

შოთა გიორგი

ერლოვანი ვოქვათ
სათქმელი

თბილისი
2011

წიგნში მოთხოვებილია საქართველოს შსს უმაღლე-
სი სკოლის (ახლანდელი შსს აკადემია) კურსანტებისა და
ოფიცრების მონაწილეობის შესახებ ჩვენს ქვეყნასა და მის
ფარგლებს მიღმა 1925 წლიდან – 1993 წლამდე შექმნილ ექ-
სტრემალურ ვითარებებში. ყურადღება ძირითადად ეთმობა
საქართველოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას და
ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებ-
ში კურსანტებისა და ოფიცრების თავგანწირვას.

ეს წიგნი უბრალოდ და გასაგებად მოუთხობს მკითხ-
ველს, თუ რა ხდებოდა უმაღლეს სკოლაში მისი არსებობის
მანძილზე. ასევე, როგორ დაივინყა ხელისუფლებამ უახ-
ლესი ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდში სასწავლებლის
კურსანტებისა და ოფიცრების დამსახურება სამშობლოსა
და ერის წინაშე. თანმიმდევრობით და მთელი პასუხისმგებ-
ლობითაა მხილებული ხელისუფლება და ექსპრეზიდენტის
გვარდია. წარმოჩენილია, როგორ ენირებოდა სამშობლო
ხელისუფლების შესანარჩუნებლად და ხელისუფლებაში და-
საბრუნებლად მათ ურთიერთდაპირისპირებას.

გულისტკივილითა გადმოცემული „ვარდების რევოლუ-
ციით“ მოსული ხელისუფლების მიერ შსს აკადემიის ეზოში
მდგარი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობი-
სათვის დალუპული კურსანტებისა და ოფიცრების მემორია-
ლის ბუტაფორიად ქცევის ამბავი.

მკითხველი ძალზე ბევრ აქამდე უცნობ გულისშემძვრელ
და აღმაშფოთებელ ამბავს შეიტყობს შიდა ქართლში, სამეგ-
რელოსა და აფხაზეთში დატრიალებულ მოვლენებზე.

ავტორი

წინათქმაში გადაზრდილი რეპვიციი და სადიდებელი

ლოცვა მიცვალებულთათვის

მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვლილთა მონათა შენთა ვალე-რიანისა, მირიანისა, ვახტანგისა, ვლაძიმერისა, სპარტაკისა, თეი-მურაზისა, იმედასი, გელასი, ანდრიასი, სერგოსი, ალექსანდრესი, გოგიტასი, გელასი, დემეტისა, ფრიდონისა, ზაქარიასი, ერნესტისა, ბაჩუკისა, ხვიჩასი, ლევანისა, ბადრისა, ნუგზარისა და სასოებით მკვდრებით ალდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა და დათა, მიუტევენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი და მიეც მათ საუკუნო ხსენება.

• • •

ნუ შეშინდებით ბოროტისავან ვალერიან, მირიან, ვახტანგ, ვლაძიმერ, სპარტაკ, თეიმურაზ, იმედა, გელა, ანდრია, სერგო, ალექსანდრე, გოგიტა, გელა, დემეტი, ფრიდონ, ზაქარია, ერნესტ, ბაჩუკი, ხვიჩა, ლევან, ბადრი, ნუგზარ, რამეთუ ოდეს ვიდოდეთ აჩრდილთა სიკვდილითასა მორის, თქვენთან არს უფალი; კვერთხი მისი და არგანი მისი ნუგეშსა გცემს თქვენ, ვინაითვან თქვენთანაა სულნი „საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა და დათა“; მიგიღებენ, ჩავიკრავენ და იქნებით ერთნი უსაჩინოები იმ უთვალავ „უსახელო უფლისციხელთაგან“, ვინაც სისხლი გაიღო იმის გაუსაძლისი სიკვარულით, დაფარვა რომ უხდება.

• • •

მპიმე-მპიმედ იშლება საქართველოს ისტორიის სისხლით გაჯერებული ფოლიანტები. ქართლის ცხოვრება უწოდა ქართლის სიკვდილის ძველ ამბავს ქართველმათ. სიკვდილსაც ვადიდებთ, რამეთუ სიცოცხლე მისით ფასობს.

კაცურად სიკვდილი თავისითავად ნიჭია დიდი.

სახელიანად ყოფნა და საწუთოდან ვაშად წასვლა იყო ქართველის არსი და მეობა. მამულის მსახურებაში დაღვენთილნი ქვეყნიერების ოთხივ კუთხით ხმლის მხნედ მქნეველნი ურიცხვი მოსის-ხარის ჩაკვეთილ ურდოებზე გოლიათურ ლანდებად გადადიოდნენ სულეთში.

რუსული სიტყვათშეთავსებაა – დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ნუ ვიხმართ ამ კალკირებას! მით უფრო, რომ მოვალეობაზე განუზომლად დიდი, ზემაღლებულია ის, რაც ამ ვაჟუაცებმა და მათმა, მაღლობა ღმერთს, სიკვდილს გადარჩენილმა მეგობრებმა ქმნეს.

ეს იმ ამაყ წინაპართა სისხლის ყივილია, რომელთაც აქნობამდე მოგვიტანეს მამული, ენა, სარწმუნოება! ესაა მათთან ის უხილავი, სათუთი და, ამავდროულად, ჩაკირული კავშირი, რასაც ჩვენი გენებიდან ვერც რა და ვერცა ვინ ამოშლის! ესაა ერის წინაშე დიდი მისისი შეგნება და ამ შეგნებით თავის სასწორზე შეგდება.

უშიშარი, ვითარცა უხორცოო. ვითარცა – და არა უხორცოო. ყველანი ხორციელები იყვნენ, მაგრამ სულმა სძლია ხორცს, აღზევდა და ზვარაკად შეენირა მამულს.

და გვრჩება ჩვენ უდიდესი მოწინება და პასუხისმგებლობა წასულებისა და ცოცხლების მიმართ. იმათ მიმართ, ვინც ამ თავდადებულთ დარჩათ წუთისოფელში.

დიდია მორალური თანადგომის ფასი, მაგრამ ცხოვრება – ცხოვრებაა და იგი თავისას მოითხოვს. ამაზეც უნდა ვიფიქროთ. ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ. და არა რაღაც დამამცირებელი ვითომც შეღავათებითა და ძლივსგამეტებული გროშებით!

უპირველესად, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საამისოდ! არც ერთი „უსახელო უფლისციხელი“ არ წასულა უსახელოდ ამა ქვეყნიდან.

სამარადისო დიდება მათ!

ვინც გადარჩა, ისინი კაცურად დგანან!

• • •

პი, ამ სულისკვეთებითაა დაწერილი შოთა ბითაძის დოკუმენტური მოთხოვნა „ბოლომდე ვთქვათ სათქმელი“. წიგნი შიდა ქართლსა და აფხაზეთში მებრძოლი მილიციის სკოლის (შემდგომში – აკადემიის) კურსანტებისა და ოფიცრების საქმეთა უკვდავყოფაა. და ეს სულაც არ გახლავთ ავტორის ახირება, თვითმიზანი – საქმენი მათნი ღალადებს!

კიდევ რითაა მნიშვნელოვანი ეს წიგნი?

ქრონოლოგიური სიზუსტით შედგენილ ამ წიგნში, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე პერიოდს რომ მოიცავს (სამოქალაქო ომიდან – შიდა ქართლისა და აფხაზეთში ომების ჩათვლით), არაფერია ყურით მოთრეული, გაგონილი ან გამოგონილი. ყველაფერი უშუალოდ არის დანახული და განცდილი და ასევე უშუალოდ აღწევს მკითხველის სულსა და გულში.

კიდევ რითაა მნიშვნელოვანი ეს წიგნი?

იმით, რომ მასში ძალზე ბევრ აქამდე უცნობ ფაქტს გაეცნობით. აღგაფრთოვანებთ ჩვენი ვაჟკაცების გმირობა და შეგზარავთ მთელი დანარჩენი საქართველოს გულგრილობა მიმდინარე მოვლენების მიმართ, რაც მზაკვრული დიდოსტატობით აღაზევეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იმათ, ვისაც ძალაუფლების შენარჩუნება სამშობლოს გაპარტახების, ათეულ ათასობით თანამემამულის სიკვდილის ფასადაც უღირდა; იმათ, ვინც ყველა გველაძუური ხერხი და საშუალება იხმარა, რათა დავმარცხებულიყავით!

ავტორი მოურიდებლად ამხელს ამ ვაიხელისუფალთ და ვაიმე-თაურებს, ვის უვიცობას, ამბიციებსა და პირად ინტერესებსაც შეეწირებ ჩვენი ტალიკ-ტალიკა, საჯიშე ბიჭები, მშვიდობიანი მოსახლეობა, დავკარგეთ შიდა ქართლი და აფხაზეთი!

კიდევ რითაა მნიშვნელოვანი ეს წიგნი?

იმით, რომ იგი ერთგვარი გაფრთხილებაცაა – არ გავიმეოროთ შეცდომები! ნუ ვანდობთ ერის, ქვეყნის ბედს უღირსებს! თუმცა, ჭკუა რომ ვერ ვისწავლეთ, ცხადზე უცხადესია – ახლა ხომ გაცილებით უარესად ვართ!

კიდევ რითაა მნიშვნელოვანი ეს წიგნი?

იმით, რომ თავმდაბლობას გვასწავლის. ავტორი ყველაზე ნაკლებად თავის წარმოჩენას ცდილობს. თუ აუცილებელი არ არის, თავის ხსენებასაც კი ერიდება. მაგრამ რა ქნას, თუ სწორედ ისაა მილიციის სკოლის ის ერთადერთი ოფიცერი, ვინც მუდმივად მიუძღვებოდა კურსანტებსა და კოლეგებს და ვისაც კურსანტები ყველაზე მეტად ენდობოდნენ?!

კიდევ რითაა მნიშვნელოვანი ეს წიგნი?

იმით, რომ კიდევ ერთხელ გვარნმუნებს უმადურობის ამაზრზე-ნობაში. შოთა ბითაძე გულისტკივილით წერს, როგორ ჩქმალავდა უფროსობა კურსანტებისა და ოფიცერების დამსახურებას, როგორ იწერდნენ პოლიტიკურ ქულებს მათი სისხლის ხარჯზე; თვით სასწავლებლის კედლებშივე როგორ სცადეს მათი სახსენებლის ამოგდება „ვარდების რევოლუციით“ მისულმა რობოტებმა. თავად შოთაც და ბევრი სხვა დამსახურებული მუშაკიც როგორ გაანაპირეს და აიძულეს დაეტოვებინათ სამსახური.

• • •

კიდევ ბევრი შეიძლებოდა თქმულიყო ამ დოკუმენტური მოთხობის შესახებ, მაგრამ სიტყვა ძალზე გამიგრძელდება. მჯერა, საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულთათვის, იმათ-

თვის, ვისაც სურს გაიგოს ბოლო ოცნეულის მანძილზე, როგორ მიაქანებდნენ ქვეყნის „ზეპურნი მამანი“ საქართველოს უფსკრულ-ში გადასაჩეხად (აკი, გადაჩეხეს კიდეც!) ეს წიგნი სწორედ რომ სა-მაგიდოა.

• • •

შარშან შოთას დედა – ქალბატონი მარგალიტა გარდაეცვალა. მიღეთის ხალხი მოვიდა. შოთას – მრავალი თანამებრძოლიც. როცა მისი სადლეგრძელოს ჯერ დადგა, ბიჭებმა მადლობა მოუხადეს, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ბევრი ჩვენგანი ცოცხალი არ იქნებოდა; როცა ვიკრიბებით, ბატონი შოთა, და რაიმე მიზეზით მოსვლას ვერ შეძლებთ ხოლმე, თქვენს სადლეგრძელოს ყოველთვის განსხვავებული სასმისით ფეხზე მდგომელნი ვსვამთ ხოლმეო...

ღმერთმანი, ღირს ამისთვის სიცოცხლე!

ჰოდა, მეამაყება, რომ შოთა და მე ბავშვობის მეგობრები ვართ.

ქონსტანტინე გურგანიძე

ნივნი ეძღვნება საქართველოს შსს აკადემიის ყოფილი რექტორის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, გენერალ-ლეიტენანტ გრიგორი მარძმანაშვილის ნათელ ხსოვნას

საქართველოს შსს მილიციის უმაღლესი სკოლის კალენდარი

**1925 წელი ... 1937 წელი... 1941-45 წლები...
1956 წელი... 1978 წელი... 1988-89 წლები...**

საქართველოს შსსაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის უმაღლესი სკოლა (ამჟამინდელი შსს აკადემია) დაარსებისთანავე, ზემდგომი ორგანოების განკარგულების შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და მის ფარგლებს მიღმის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

საქართველოს შსს მილიციის უმაღლესი სკოლა ჩამოყალიბებას იწყებს მე-20 საუკუნის 20-იან წლებში – ბოლშევიკების მიერ ახალგაზრდა დემოკრატიული საქართველოს ოკუპაციის შემდეგ. ახალი ტიპის რესპუბლიკას – საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას – სახელმწიფო სტრუქტურების სახელმწიფო სამსახურში, რაც შეიძლება სწრაფად ჩართვა სჭირდებოდა. ერთ-ერთი ასეთი სტრუქტურა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი იყო, რომელთანაც 1925 წლის 15 მაისს დაარსდა მილიციის უფროსი შემადგენლობის სკოლა. მანამდე კი კომისარიატთან მოქმედებდა ისნგრუქტორთა სკოლები სწავლების მოვლევადიანი კურსებით. ყალიბდებოდა მუშურ-გლეხური მილიცია.

ჩემი მიზანი არ არის წარმოვაჩინო მილიციის უმაღლესი სკოლის სრული ისტორია. მინდა მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის ყველაზე მძიმე და რთულ სიტუაციებში მონაწილეობისას ნათელვყო ზემდგომი ორგანოების როლი სკოლის პირადი შემადგენლობის (ოფიცრებისა და კურსანტების) განვითარების საქმეში.

უკვე ითქვა, რომ მილიციის უმაღლესი სკოლა დაარსდა 1925 წელს. საარქივო მასალებიდან ირკვევა: 1925 წლიდან 1937 წლამდე ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე ისეთი არაფერი მომხდარა, რომ მილიციის უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში არ ასახულიყო, თუ არ ჩავთვლით ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნას, სკოლაში სწავლა-განათლების, საშტატო და სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, 1934 წლის 17 ივნისს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, შეიქმნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა და ამიერკავკასიის სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომელთანაც თბილისის მილიციის სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მუშურ-გლეხური მილიციის უფროსი ხელმძღვანელი შემადგენლობის გაერთიანებული სკოლა. სკოლის კონტინგენტი ივსებოდა სამი რესპუბლიკის: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეებით. ძირითად (შტატიან) მასწავლებლებთან ერთად აქ მუშაობდნენ მონვეული მასწავლებლები. სკოლის სასწავლო გეგმები შეიცვალა, რამაც სწავლების დონე საგრძნობლად აამაღლა: იმ დროისათვის მოულოდნელ გა-დაწყვეტილებას იღებს სკოლის ხელმძღვანელობა – კურსანტების რუსული ენის სუსტად ფლობის გამო აყალიბებს ეროვნულ ჯგუფებს „პოლიტიკური და სპეციალური მილიციის ციკლების მშობლიურ ენაზე შესასწავლად“. საგულისხმოა ის, რომ ამიერკავკასიის შს სახალხო კომისარიატმა დადებითად შეაფასა სკოლის მუშაობა და 1936 წლის 31 მარტის № 63 ბრძანებით, ამიერკავკასიის გაერთიანებული სკოლის უფროსს და საშუალო შემადგენლობას დაარსების წლისთვის მიულოცა. ამ ბრძანებას წითელ ზოლად გასდევს მაშინდელი ეპოქის კვალი. მილოცვა მთავრდება ხალხის, პარტიის ბელადისა და ლავრენტი ბერიას ხოტბა-დიდებით.

1937 წლის პარილის ბოლოსათვის ამიერკავკასიის გაერთიანებული სკოლა წყვეტის ფუნქციონირებას და მის ბაზაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშურ-გლეხური მილიციის თბილისის № 2 სკოლა იქმნება. აბიტურიენტები შემოწმებისა და სამანდატო კომისიის გავლის შემდეგ ირიცხებოდნენ. თუ ისინი შემოწმებას ვერ გაივლიდნენ თავის განყოფილებაში ბრუნდებოდნენ.

ქვეყანაში ავისმომასწავებელი 1937 წელი იდგა. სკოლის ცხოვრებაში თითქოსდა არაფერი ხდებოდა. საარქივო მასალები არაფერს მიგვანიშნებს. მხოლოდ ან განსვენებული პოლიციის პოლ-

კოვნიკის მიხეილ კობეშავიძის საოჯახო ფოტოალბომში ჩაკრული ფოტოსურათები მიანიშნებს მილიციის სკოლის თანამშრომლების მიმართ გატარებული სტალინური რეპრესიების კვალის შესახებ. მასში ჩაკრულ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი პიროვნებების შემხედვარეს მე-20 საუკუნის 30-იანი წლები წარმოგიდგებათ. სურათები მილიციის სკოლის ისტორიულ ფონს ქმნის. ალბომის დასურათება 1935 წლიდან იწყება. ამ წელს ამიერკავკასიის შს სახალხო კომისარიატის მილიციის უფროს მეთაურთა სკოლაში შეიქმნა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „მხედრული“, რომლის სულის ჩამდგმელიცა და ხელმძღვანელიც ამავე სასწავლებლის წარჩინებული კურსანტი, შემდგომში ქორეოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი მილიციის პოლკოვნიკი მიხეილ კობეშავიძე იყო.

ალბომში მილიციის სკოლის თანამშრომელთა სურათების მთელი გალერეა. ყურადღებას იძყრობს ის, რომ თანამშრომელთა რიგებში მდგარ თვიცრებს სახეები შეგნებულად აქვთ გადაშლილი და ამის შემხედვარეს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს პიროვნებები მეგობრებს მოწყვიტეს, ამოკვეთეს საზოგადოებიდან და დავინწყებას მისცეს. მეგობარმა, პოლიციის პოლკოვნიკმა პამლეტ კობეშავიძემ განმარტა, რომ მამის – მიხეილ კობეშავიძის გადმოცემით, ეს პირები რეპრესირებულნი იყვნენ განსხვავებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხედულებებისათვის, ამ არა-საიმედო „ელემენტების“ ხსენება, მათი ფოტოსურათების შენახვა მკაფიოდ იყო აკრძალული. ეს ფოტოები, რომლებიც ალბომში არის წარმოდგენილი, უდაოდ, ისტორიის კუთვნილებაა. სურათებზე აღბეჭდილი სახეგადაშლილ თანამშრომელთათვის სიცოცხლის ნაწილი, ცხოვრება აქ არის შეჩერებული.

ცნობილია, რომ რეპრესირებულებს ძირითადად ტროცკისტულ-ნაციონალისტურ ტერორისტულ ცენტრთან კავშირი ბრალდებოდა. რეპრესიების წლებში ე.ნ. „ტროკაში“ წარდგენილ დასმენებში ასეთი ფრაზა იკვეთებოდა: „საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად მუშაობდა“. 1937 წელს გახშირებული იყო პასუხისმგებელი მუშაკების დაპატიმრება, როგორც ხალხის მტრებისა. იმ დროს ძალზე ბევრს სჯეროდა, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სამართლიანად აპატიმრებდა კაცს. ხშირად იყო პირადი მტრობის, გაუტანლობის ფაქტები. აპატიმრებდნენ პოლიტიკური მოტივაციით. 1937 წლის დიდმა ტერორმა და მისმა მომდევნო, 1938 წლის ტალღამ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები შეიწირა. „ხალხის მტრებად“, „მავნებლებად“ შერაცხულ ადამიანებს საკენებში ხვრეტ-

დნენ, გამომძიებლის ოთახში კლავდნენ, ციმბირსა და შუა აზიაში ასახლებდნენ, უწიოკებდნენ ოჯახებს, ართმევდნენ ბინებს, კვეთ-დნენ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ასევე, რეპრესირებულთა ცოლებს იმიტომ ასახლებდნენ ციმბირსა და შუა აზიაში, რომ ისინი „სამშობლოს მოღალატის“ ცოლები იყვნენ.

რეპრესირებულთა შორის იყვნენ შინაგან საქმეთა სახალხო კო-მისარიატის ერთგული და გამოცდილი მუშაკები. შემდგომ წლებში დადგინდა, რომ ბევრი რეპრესირებული უსაფუძვლოდ იყო დაკავე-ბული. მასობრივი რეპრესიების წლებში (1937-38 წწ.) და შემდგომ (რეპრესიები მიმდინარეობდა 1953 წლამდე) მილიციის ორგანოების საქმიანობაში დამკაიდრებული იყო ბიუროკრატიზმი, გახშირებუ-ლი იყო საქმის გაჭიანურება, მოქალაქისადმი უდიერი მოპყრობა, უკანონო დაკავება, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, კანო-ნების დარღვევა, დამსმენობა. ხალხში ხმა იყო გავრცელებული, რომ ვისაც სერიოზული ბრალდება ჰქონდა, ვინც დიდ მავნებლად და ხალხის დიდ მტრად მიიჩნეოდა, პირდაპირ შინსახვომში მიჰყავ-დათ, ხოლო ვინც ე.წ. „მავნებელთა“ მეორე და მესამე კატეგორი-ას, ან კიდევ „მტრის კუდებს“ მიეკუთვნებოდა ორთაჭალის ციხეში მიჰყავდათ. მილიციის სკოლის რეპრესირებული მუშაკების ბედის გარკვევას შევეცადე, მაგრამ დიდი სურვილის მიუხედავად, სა-ქართველოს შს სამინისტროს არქივში ინფორმაცია ვერ მოვიპოვე. განმიმარტეს, რომ მათი ვინაობის ცოდნის გარეშე, შეუძლებელია ასეთი ინფორმაციის მოძიებაო. იმედია, კობეშავიძეების საოჯახო ალბომში მოქცეული წარსულის გამომზეურებაზე მომავალი თაობა იზრუნებს და საერთო ძალისხმევით დაადგენს ჭეშმარიტებას.

რეპრესიების წლებში მილიციის სკოლა განაგრძობს მუშაობას ჩვეული გარდაქმნებითა და სტრუქტურული ცვლილებებით. გარ-დაქმნები მისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 1938 წლის პირ-ველ აგვისტოს სკოლას სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მუშურ-გლეხური მილიციის თბილისის სკოლა ეწო-და. საქართველოს მოქალაქეების გარდა, იქ ყაბარდო-ბალყარე-თის, ჩეჩენეთის და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების მოქალაქეებს იღებდნენ.

1941 წლის იანვრიდან სსრ კავშირის შს სახალხო კომისარიატის მუშურ-გლეხური მილიციის სკოლა შეიცვალა სსრ კავშირის შს სა-ხალხო კომისარიატის თბილისის მილიციის სკოლად.

1941 წელი. მეორე მსოფლიო ომი. თბილისის მილიციის სკო-ლის უფროსის ბრძანებებში ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ

შს სახალხო კომისარიატის ბრძანების შესაბამისად, ამოირიცხოს სკოლის ცვალებადი (ცვალებადი შემადგენლობა ანუ კურსანტები, – შენიშვნა ჩემია) შემადგენლობის სიიდან, მოიხსნას ყველა სახის კმაყოფიდან წითელ არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით და გადავიდნენ საქართველოს სსრ შინსახკომის კადრების განყოფილების განკარგულებაში“. „საქართველოს შინსახკომის ბრძანების შესაბამისად, სკოლის სრული კურსის დამთავრების შესაბამისად, სკოლის სრული კურსის დამთავრებული სკოლაში დარჩნენ განსაკუთრებულ განკარგულებამდე“. „სკოლის მუდმივი შემადგენლობის თანამშრომლები (მუდმივი შემადგენლობა, ანუ ოფიცრები – შენიშვნა ჩემია) ჩაითვალონ წითელ არმიაში მობილიზებულად. სიი თან ერთვის“ და ასე შემდეგ. ასეთი ბრძანება რამდენიმეა შემონახული სკოლის არქივში. ისინი 1941 წლის 30 ივნისით არის დათარიღებული და რამდენიმე პარაგრაფისაგან შედგება. ასეთ ბრძანებებს, ოლონდ, მეტს, ვხვდებით შემდგომ წლებშიც. ძირითადად 1989-93 წნ.

წითელ არმიაში გაწვეულთა შორის არიან მილიციის სკოლა-დამთავრებულები: გალაქტიონ რაზმაძე, შოთა ჭრელაშვილი, ილია კატაშვილი, გიორგი ბურდული, ანდრო თეთრუაშვილი, ალექსანდრე გოგიაშვილი, ილია ბასილაშვილი, ზაქრო ლესვერიძე, ზაქრო ციცრიაშვილი, მაპმედ გაურგაშვილი, მიზდონა კვარჩიანი, ვასილ ელბაქიძე, სევერიან კვირკველია, გიორგი კერვალიშვილი, არჩილ ბერიანიძე, შალვა ოდიშვილიძე, მურზუ გურჩიანი, შალვა ბასილაია, ალექსანდრე ლევიძე. სკოლის თანამშრომლები: მილიციის უმცროსი ლეიტენანტი დომენტი ფაცაცია, ბენიამინ ოსეფაშვილი, მილიციის ლეიტენანტი ვალერიან კოლესნიკოვი, შალვა გაბეჩავა, მილიციის სერუანტი კირილე ჩერეგაჩი, ალექსი კაპანაძე, გიორგი ამირხანოვი, ვარანც მოვსესიანი, გურგენ აბრამიანი, პირველკურსელი სარქისოვი.

ფრონტზე წამსვლელთა შორის იყო მილიციის სკოლის აღზრდილი, ბატალიონის მეთაური გალაქტიონ რაზმაძე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. ფრონტზე მოხალისედ წავიდა მილიციის სკოლის უფროსის მოადგილე ვიქტორ ლისოვი. მან ვაიარა სახელოვანი გზა სამთო მსროლელი დივიზიის მეთაურის თანამდებობამდე. მას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. დაჯილდოვდა მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით.

1944 წლის 6 თებერვალს კადრების დარგში სსრ კავშირის შს სახალხო კომისრის მოადგილის მბრუჩინიკოვის განკარგულებით,

სკოლის კურსის უფროსი, მიღიცის უფროსი ლეიტენანტი ე. ხიდიშელი, სამეურნეო ნაწილის უფროსი, მიღიცის უმცროსი ლეიტენანტი ზეითურიძე და 73 კურსანტი გაიგზავნა ჩეჩენეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ოპერატიული მივლინებით. ბრძანებაში არ არის მითითებული მივლინების მიზანი. ჩემი აზრით, ეს მივლინება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ჩეჩენი ხალხის გადასახლებასთან.

1949 წელს სკოლის ისტორიაში სტრუქტურული ცვლილებები ხდება: მიღიცის ორგანოების სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლის გამო სკოლა გადაეცა აღნიშნულ სამინისტროს, რომლის შემადგენლობაში 1953 წლამდე დარჩა. ამ წელს კი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიც გამოეყო, სკოლა შსს დაქვემდებარებაში გადავიდა და სსრ კავშირის შსს თბილისის მიღიცის სკოლა ეწოდა.

1956 წლის 9 მარტის ცნობილი ტრაგიული მოვლენების დროს თბილისის მიღიცის სკოლაში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება. სკოლის პირადი შემადგენლობა იმყოფება სკოლის ტერიტორიაზე, ცხადდება სადღელამისო განწესი და ძლიერდება სკოლის ობიექტების დაცვა.

1956 წლიდან 1978 წლის 30 ნოემბრამდე მიღიცის სკოლა რამდენჯერმე გადაკეთდა და სწავლების პროფილიც შეიცვალა. 1960 წლის იანვარში სსრ კავშირის შსს დაშლის გამო, თბილისის მიღიცის საშუალო სპეციალური სკოლა მიღება-ჩაბარების აქტით საქართველოს შს სამინისტროს გადაეცა. 1968 წლის 1 დეკემბრიდან იგი სსრ კავშირის შს სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა და სსრ კავშირის შსს სპეციალური საშუალო სკოლა ეწოდა. მიღიცის სპციალური საშუალო სკოლა უმაღლეს სასწავლებელთა რიგებში დგება. თუ სკოლაში მანამდე სწავლების კურსი 2 წლის ვადით განისაზღვრებოდა, 1978 წლის 30 ნოემბრიდან სკოლა ოთხწლიან სწავლებაზე გადავიდა და სსრ კავშირის შსს მოსკოვის მიღიცის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტად იწოდებოდა. ფაკულტეტი უმაღლესი კვალიფიკაციის იურისტებს ამზადებდა.

1988 წლის ზაფხულში თბილისა და ქვეყნის რეგიონებში კრიმინოგენული ვითარება მწვავდება და ამან საქართველოს სსრ შს სამინისტროს მთელი შემადგენლობის მობილიზაციის აუცილებლობა მოითხოვა. კრიმინოგენული ვითარების განეიტრალების მიზნით, საქართველოს სსრ შსს თბილისის შს სამმართველოს მიერ

შემუშავებული გეგმის მიხედვით ჩატარდა ღონისძიება, რომელსაც პირობითად „ზედამხედველობა-88“ ეწოდა. იგი თბილისის რაიონებში საზოგადოებრივი წესრიგის დამყრებას ითვალისწინებდა. სამმართველოს მუშაკებთან ერთად მასში მონაწილეობას თბილისის ფაკულტეტიც იღებდა. ამავე წელს სსრ კავშირის შსს მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მითითების თანახმად, შესაძლო დისლოკაციის რაიონში გასაგზავნად, თბილისის ფაკულტეტის კურსანტებისა და ხელმძღვანელი შემადგენლობისაგან 150 კაციანი რაზმი ფორმირდება. აღსანიშნავია, რომ თბილისის ფაკულტეტისა და, შემდგომ, საქართველოს შსს მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტები და ოფიცრები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში.

სწორედ 1988 წლიდან იწყება მილიციის უმაღლესი სკოლის უახლესი ისტორიის ყველაზე საპასუხისმგებლო და, ამავდროულად, დამქანცველი პროცესები. ამ დროისათვის თბილისის ფაკულტეტის უფროსად დაინიშნა საქართველოს შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, მილიციის გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი.

1988 წლის 3 სექტემბერს, ფაკულტეტის უფროსის პრძანებით ოპერატიული მდგომარეობის გაუარესების გამო, გლდანის მილიციის რაიგანყოფილებაში პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩინად, ფაკულტეტის დასწრებული სწავლების მეოთხეურსელები იგზავნებიან.

1988 წლის 8 დეკემბერს, სომხეთში დამანგრეველი მინისტრის მეორე დღეს, ფაკულტეტის ხელმძღვანელობის სახელზე შედის კურსანტებისა და ოფიცრების პატაკები უბედურების რაიონში მათი გამგზავრების შესახებ. უმოკლეს ვადაში გატარდა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული სამუშაოები. უკვე 9 დეკემბერს კურსანტებისაგან და ოფიცრებისაგან შემდგარი ასკაციანი ჯგუფი მიემგზარება ქ. სპიტაკში სპეცსამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად. სტიქიით დაზარალებულ ზონაში სულ მიღლინებული იქნა ფაკულტეტის 250-ზე მეტი კურსანტი და ოფიცერი. მომდევნო დღეებში ფაკულტეტის სამედიცინო ნაწილში სისხლს ორგანიზებულად აბარებს 300-მდე კურსანტი და ოფიცერი. ავდრის მიუხედავად ფაკულტეტის ნარგზავნილებმა ფიზიკური და მორალური დახმარება აღმოუჩინეს ქ. სპიტაკის მოსახლეობას. პირველ დღეებში მიღლინებულნი სამაშველო-გამწმენდ სამუშაოებს ასრულებდნენ. ისინი ჩარიცხულნი იქნენ ქ. სპიტაკის მილიციის რაიგანყოფილების დროებით შემადგენლობაში. მათ სახელმწიფო ობიექტებისა და სასურსათო საწყობების

დაცვა ევალებოდათ. კომენდანტის საათის შემოღებიდან ახორციელებდნენ პატრულირებას.

სტიქით დაზარალებულ ზონაში ყოფნის მანძილზე (ორთვენა-ხევარი) ფაკულტეტის კურსანტებმა დააკავეს 120-ზე მეტი მოროვილი და სისხლის სამართლის სხვა დამნაშავე, ალკეთეს მრავალი სისხლის სამართლის დანაშაული.

ფაკულტეტის პირადი შემადგენლობის მიერ განეულმა მუშაობამ საქართველოს და სომხეთის ხელისუფალთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. სსრ კავშირის შს მინისტრმა მრავალ კურსანტსა და ოფიცერს მაღლობა გადაუხადა.

სსრ კავშირში 1985 წელს გამოცხადებულმა გარდაქმნამ და საჯარობამ ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩვენში. ეს პროცესი კანონზომიერი მოვლენა იყო. ამას ერთი მიზანი ჰქონდა – საქართველოს დამოუკიდებლობა. აღნიშნულმა პროცესმა და მისგან მოულოდნელად წამონებულმა გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაძაბა. დამოუკიდებელი პროცესები შეუქცევადი ხდებოდა. ამ ღონისძიებებში ხალხის ფართო მასების ჩართვამ რესპუბლიკაში მდგომარეობა გაართულა. ხელისუფლება ვალდებული იყო დაცვა მართლწერიგი. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში რესპუბლიკის შს ორგანოების სხვა ძალებთან ერთად ჩვენი სასწავლებლის ოფიცრები და კურსანტებიც მონაწილეობდნენ.

თბილისში 1989 წლის 4 აპრილს გამართულმა ხალხმრავალმა მსვლელობამ, რაც მთავრობის სახლთან მიტინგში გადაიზარდა, დედაქალაქში საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების აუცილებლობა მოითხოვა. ამ განსაკუთრებული შემთხვევის გამო, საქართველოს შს სამინისტროს პრძანებით, შს ორგანოების სისტემაში და თბილისის ფაკულტეტზეც სრული მობილიზაცია გამოცხადდა. თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად ფაკულტეტზე 250 კაციანი რაზმი შეიქმნა. იგი მოვალეობის შესრულებას 5 აპრილს შეუდგა. ორატორების გამოსვლებში ძირითადი ყურადღება საქართველოს სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის პრაქტიკულ ღონისძიებებს ეთმობოდა. თუ ნინა წელს მომიტინგები აფხაზეთში მომხდარი ამბების გამო გამოხატავდნენ მღელვარებას (აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, 18 მარტის გადაწყვეტილებით, თხოვნით მიმართა მოსკოვს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობიდან გამოყოფისა და მისი მე-16 რესპუბლიკად აღიარების შესახებ), 5 აპრილს

აფხაზეთის პრობლემამ მეორე რიგში გადაინაცვლა. საერთო ატ-მოსფერომ აშკარად მიიღო ანტისაბჭოთა ხასიათი. დაიწყო მოშიმშილეთა აქცია. ეს სამართალდამცავი ორგანოების თვალწინ ხდებოდა.

დღითიდღე იზრდებოდა მომიტინგეთა რაოდენობა. მათმა რიცხვმა 8 აპრილისათვის 15-20 ათასს მიაღწია. აქ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებსაც ნახავდით.

იმ დღეს სამათალდამცავი ორგანოების მუშაკთა ნაწილი რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ განაგრძობდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. იქვე იყვნენ თბილისის ფაკულტეტის ოფიცირები და კურსანტები.

სასწავლებლის პირადი შემადგენლობა, ფაკულტეტის უფროსის ბრძანებით, მთავრობის სახლის ეზოს მთელ პერიმეტრზე იყო განლაგებული. 250 მათგანიდან – 100 ავტომატური იარაღით იყო შეიარაღებული, დანარჩენი უიარალოდ პატრულირებდნენ.

გვიან ღამით მზვერავის გამომეტყველებით „მოსეირნე“ საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მეთაურს გენერალ ბოგუნივს მთავრობის ეზოში მდგარი კურსანტები სამხედრო ნესდების თანახმად არ მიესალმნებ და დაბოლმილმა ნამოიძახა „Эти артисты что здесь делают?! Забирайте их отсюда!“

ფაკულტეტის უფროსმა, გენერალმა გივი კვანტალიანმა „ბრძანება“ აღასრულა – სასწავლებლის პირადი შემადგენლობა 8 აპრილს შუალამით გაიყვანა მთავრობის სახლის ტერიტორიიდან. I-II კურსელები, რამდენიმე ოფიცირთან ერთად, ორი ავტობუსით ქ. რუსთავის მიმართულებით გაამგზავრა, ხოლო III-IV კურსელები, ასევე ოფიცირებითურთ ვაკეში, დედაქალაქის პრესტიულ უბანში მცხოვრებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და შე მინისტრის საცხოვრებელ სახლებთან გაამჩესა საპატრულოდ.

ქ. რუსთავში გაყვანილ ჯგუფს 9 აპრილი რუსთავის ლუდის ქარხნის წინ გაუთეხდათ. დილით ისინი რუსთავის ერთ-ერთი პროფექსიასასწავლებლის საერთო საცხოვრებელში მოათავსეს და 11 აპრილამდე იქიდან ფეხი არ მოაცვლევინეს. ანუ, კურსანტები და ოფიცირები რუსთაველზე მოსალოდნელ ხოცვა-ჟლეტას განარიდეს, რადგან მოზღვავებული ემოციის გამო, კურსანტები მოქალაქეების მიმართ ჩადენილ სისასტიკეს ვერ მოითმენდნენ და... ერთი სიტყვით, თავი რატომ აეტკივებინათ?!

9 აპრილის ამბები რუსთავის საერთო საცხოვრებელში ჩაკეტილებმა ქალაქის ქუჩებში შავლენტიანი მანქანებით მოძრავი მძღო-

ლებისაგან შეიტყვეს თუ, როგორ გაუსწორდა საბჭოთა ჯარი მომიტინგებს ხელკეტებითა და სასანგრე ნიჩებით და არაფორმალი ლიდერების: მ. კოსტავას, ზ. გაშასურდიას, ი. წერეთლის, გ. ჭანტურიას, ი. სარიშვილისა და სხვების გაპარვის შესახებ, ჯარის ქვედანაყოფების მომიტინგებზე თავდასხმისას.

11 აპრილი. დილის 4 საათი. რუსთავში მყოფი ფაკულტეტის პირადი შემადგენლობა სასწავლებლის ბაზაზე ბრუნდება. თბილისის შემოსასვლელთან საბჭოთა ჯარი დგას ჯავშანტრანსპორტიორებით. ამის შემხედვარე კურსანტებს შორის ნერვიულობამ იმატა. ფაკულტეტის ოფიცერმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ბიჭიკო შოსაძემ (იგი რუსთის შინაგანი ჯარების ერთ-ერთი ნაწილიდან გადმოვიდა სასწავლებელში) აღფრთოვანებულმა წამოიძახა: „Давно надо было это отдо“. კურსანტები ლანძღვა-გინებით მისცვივდნენ მას. ეს ინცინდენტი სხვა ოფიცერებმა აღმოფხვრეს. ასე დაძაბულებმა მიაღწიეს სასწავლებლამდე. აქ მისულებმა გაიგეს, რომ 11 აპრილიდან თბილისში გამოცხადებულია კომენდანტის საათი 23.00 საათიდან 6 საათამდე. ქალაქში გადაადგილება იზღუდებოდა. დედაქალაქის კომენდანტად დაინიშნა გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი, 9 აპრილის უპრეცენდენტო სისასტიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. ფაკულტეტის ტერიტორიაზე ქ. ომსკის და ქ. გორკის მილიციის უმაღლესი სკოლების პირადი შემადგენლობები განალაგეს. ეზოში მდგარ ხის მაგიდაზე ერთ-ერთმა ჩამოსულმა კურსანტმა ამოჭრა სიტყვები: „Россия это сила“. ჩვენმა კურსანტებმა დაადგინეს ამ სიტყვების დამწერი და გაჩენის დღე აწყევლინეს.

ფაკულტეტზე დაძაბულობა.

1989 წლის აპრილი-მაისი. თბილისსა და რესპუბლიკაში მდგომარეობა უკიდურესად რთულია. დედაქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი და ქუჩებში მდგარი ათობით ჯავშანტრანსპორტიორი ფეთქებადსაშიშ სიტუაციას ქმნის. მიუხედავად ამისა, ფაკულტეტი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს: მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. გაცდენილი სასწავლო საათების ანაზღაურების მიზნით ტარდება დამატებითი ლექციები.

ზაფხულში დაძაბულობამ ქვემო ქართლში იფეთქა. ისევ დგება შს ორგანოების ჩართვის აუცილებლობა. ფაკულტეტის სასწავლო-სამწყობრო დანაყოფი 1989 წლის ივნისში მიავლინეს მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.

მარნეულის შესასვლელთან მოეწყო საველე ბანაკი. შეიქმნა შტაბი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა პირადი შემადგენლო-

ბის მოქმედებას მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებსა და მათ მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში. ოფიცრები და კურ-სანტები იცავდნენ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ობიექტებს, მონაწილეობდნენ რეიდებსა და ეროვნებათშორისი კონფლიქტების სალიკვიდაციო ღონისძიებებში.

1989 წლის ივნისისა და ივლისში სასწავლებელი გადასული იყო ყაზარმულ მდგომარეობაზე. ამ ხნის განმავლობაში მისმა პირად-მა შემადგენლობამ რეიდების დროს მოქალაქეებს ჩამოართვა დიდი რაოდენობით ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი. სასწავლებლის პირადი შემადგენლობის ოპერატიულ-პროფილაქტიკურმა მუშაობამ ხელი შეუწყო ვითარების ნორმალიზებას.

ამავე ხანს ფაკულტეტის კურსასანტებისა და ოფიცრების ერთი ნაწილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის გადაწყვეტილების, საქართველოს შსს ბრძანებისა და სსრ კავშირის შს სამინისტროს უწყების საფუძველზე იგზავნება ქუთაისში, რადგანაც ქუთაისის, მაიკოვსკის, წყალტუბოსა და ხონის შს განყოფილებებიდან იარაღი გაიტაცეს. ასევე ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორიდან და გეგუთის კოლონიდან დამნაშავეები გაიქცნენ. მივლინებულნი დასავლეთ საქართველოს ტრასებზე ამონმებდნენ ავტოტრანს-პორტს დამნაშავეთა ძებნისა და ცეცხლსასროლი იარაღის ჩამორ-თმევის მიზნით.

საქართველოს შსს ტელეფონოგრამის (№ 877, 25 ოქტომბერი, 1989 წ.) საფუძველზე ფაკულტეტის პირადი შემადგენლობის 250 ოფიცერი და კურსასანტი გაძოიყო თბილისის შს სამმართველოს განკარგულებაში კომპლექსურ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ქალაქში.

ეს ღონისძიება დამთავრებული არც იყო (ის 25 ნოემბრამდე უნდა გაგრძელებულიყო), რომ შსს განკარგულებით, ფაკულტეტის 250 კაციანი შემადგენლობა 20 ნოემბრიდან 4 დღის ვადით ქ. ცხინვალში გაიგზავნა შს მინისტრის პირველი მოადგილის გენერალ-მაიორ ვარლამ შალიაშვილის განკარგულებაში. მათ ევალებოდათ, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სსრ კავშირის შინაგანი ჯარის შემადგენლობასთან ერთად, სამსახურებრივი და-ვალებების შესრულებისას ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისას თავაზიანი მოპყრობა, სოციალისტური კანონიერების მკაფიო დაცვა.

ასევე, 20 ნოემბერს ქ. ცხინვალში დამატებით იგზავნება ფაკულტეტის ერთი ჯგუფი. ბრძანებაში (ფაკულტეტის უფროსის 1989 წლის 20 ნოემბრის № 98 ბრძანება) ვკითხულობთ: „სამხრეთ

ოსეთის ავტონომიურ ოლქში ბოლო პერიოდში ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ნიადაგზე იპერატიული მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა, ოსური არაფორმალური ორგანიზაციები ცდილობენ მო-სახლეობის პროვოცირებას, შემდგომში მდგომარეობის გართულე-ბის დაუშვებლობის და სტაბილიზაციის მიზნით ქ. ცხინვალში გაიგ-ზავნოს ფაკულტეტის დამატებითი ჯგუფი“.

ფაკულტეტის ოფიცირებისა და კურსასნობების იქ გაგზავნა გა-მოწვეული იყო ცხინვალის საოლქო საბჭოს დეპუტატების, არა-ფორმალურ და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების უმარ-თებულო მოთხოვნით, რაც ოლქისათვის სახელმწიფო ენის სა-კითხის გადახედვასა და საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნას გულისხმობდა.

ოსების ამ მოთხოვნას არც იურიდიული საფუძველი ჰქონდა და არც მორალური, ოსი სეპარატისტები მას ეროვნებათაშორისი მტრობის გასაღვივებლად იყენებდნენ.

საკავშირო მთავრობისადმი არაფორმალური ორგანიზაციის „ადამიონ ნიხასის“ (სახალხო კრება) აქტიურობით გაგზავნილი მი-მართვა ტენდენციურობით ცნობილ აფხაზურ წერილს არ ჩამოუ-ვარდებოდა. ორივე წერილს ბევრი საერთო ჰქონდა. წერილის ავ-ტორები ოსური ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და მისი დამკვიდრებისათვის კი არ იღვნოდნენ, არამედ გამიზნულად იბრ-ძოდნენ რუსული ენის ჰეგემონიისთვის.

გამოაშეკარავდა, რომ ისინი მოსკოვიდან იმართებოდნენ. ამას ადასტურებს იმხანად მოსკოვში გამოცემული ატლასი, სადაც ოს-თა წინაპრების – ალანების სახელმწიფო ოთიქების მთელ ჩრდილო კავკასიას, მტკვრის მარცხენა ნაპირამდე ტერიტორიასა და დღე-ვანდელ მონლოლეთსაც მოიცავს. შესაძლოა, რომ მათ წინაპრების მიერ დაპყრობილი რუსეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაი-ჯანისა და თვით ოსეთის ტერიტორიების მითვისების სურვილიც გაუჩნდეთ. ეს ხომ აბსურდია და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს! ისტორიულად ცნობილია, რომ მონლოლების მიერ დაწიოკებული ოსი ხალხი, საქართველომ, ქართველმა ხალხმა შეითარა. საქართ-ველის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს და სხვა არაქართველთა ნაწილს, ჩვენი ტერიტორიის ხარჯზე მოესურვათ ტერიტორიების ჩამოჭრა და აქ უხსოვარი დროიდან მყოფი ქართველების გასახლე-ბის სურვილიც კი გაუჩნდათ(დღეს ეს სურვილი ოსებმა სისრულე-ში მოიყვანეს გარე ძალების ხელშეწყობით და ჩვენი ბედოვლათო-ბით).

ეს მოკლე ისტორიული მიმოხილვა აუცილებლად მივიჩნიე რადგანაც 1989-1990 წლების მოვლენები, სწორედ ჩვენი შემწყნარებლობის გამოხმაურება, ასე ვთქვათ, ტოლერანტობის შედეგი იყო, ქართული მოსახლეობა კი ხელისუფლების მიერ მაშინაც მიტოვებული იყო და ახლაც მიტოვებულია.

ცხინვალში მყოფი ფაკულტეტის პირადი შემადგენლობის წინაშე დასახული იყო კონკრეტული ამოცანა: მოსალოდნელი მიტინგებისას დაეცვათ მართლენირიგი, არ დაეშვათ მოსალოდნელი ექსცესები. ცხინვალის შესასვლელი იყო რუსეთის შინაგანი ჯარის დანაყოფების მიერ გადაკეტილი. ბრძანების მოლოდინში მყოფი ჩვენი კურსანტები იქვე იდგნენ.

საქართველოს საზოგადოებრივ გაერთიანებათა ინიციატივით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცნობილი წერილის საპასუხოდ ცხინვალში საქართველოს ხელისუფლების მიერ სანქციონებული მიტინგი უნდა გამართულიყო. 23 ნოემბერს ცხინვალში ზემოთქმულის გამო ჩავიდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, უზენაესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარე გივი გუშბარიძე, სხვა პასუხისმგებელი პირები.

მეორე დღეს, 24 ნოემბერს, პირველი საათისათვის თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან ცხინვალში ათასობით ადამიანი ჩავიდა, ცნობილი იყო ამ მიტინგის მიზეზიც – ანტიქართული პროცესები, რაც ბოლო ხანებში ასე გახშირდა ცხინვალში.

ცხინვალისაკენ დაძრული მრავალათასიანი კოლონა ქალაქის შესასვლელთან, ხიდთან გააჩერეს შინაგანი სამსახურის ჯარის ნაწილებმა და ჯავშანტრანსპორტიორებმა. ფაკულტეტის პირადი შემადგენლობა რუსეთის შინაგანი ჯარის ნაწილებსა და ოსი მოსახლეობის მიერ აღმართულ ბარიკადებს შორის მოჰყვა. ოსებს ცხინვალის შესასვლელი სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტომანქანებით ჩაეხერგათ. თავად ამ „ბარიკადების“ უკან იყვნენ შეკრებილნი.

ჩამოსულ მრავალათასიან მოქალაქეს სიტყვით მიმართეს საზოგადოებრივ გაერთიანებათა ლიდერებმა: ზვიად გამსახურდიამ და ორაკლი წერეთელმა, რომელთაც დაგმეს ოსი ხალხის ერთი ნაწილის პროვოკაცია და მოუწოდეს თანამოქალაქეებს მოქმოთ გონიერებისათვის. მოუწოდეს, უკან დაბრუნებლიყვნენ და მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის სხვა საშუალებებით ეპასუხათ მათვის, ვინც სანქციორებული მიტინგის ჩაშლას შეუწყო ხელი. მიტინგის მსვლელობისას ოსებმა შეიარაღებული თავდასხმა სცადეს, მაგრამ ფაკულტეტის პირადი შემადგენლობისა და კურსანტების

მიერ მიღებული გადამწყვეტი ზომების შედეგად სისხლიანი პროვოკაცია ჩაეჭალათ. ფაკულტეტის პირადმა შემადგენლობამ მაღალი პროფესიონალიზმი, სიმტკიცე გამოავლინდა და დიდი რისკის ფასად აღკვეთა ეს შეტაკება. უნდა გამოვყოთ ის ოფიცირები, რომელთა უშუალო ძალისხმევითაც მოხერხდა ეს: მიღიცის პოლკოვნიკი პავლე ნორაკიძე, პოდპოლკოვნიკი დავით რაფავა, მაიორი ვიქტორ ნიკოლაიშვილი, კაპიტანი ალექსანდრე ხუციშვილი და აქ მყოფი კურსანტები.

იმ დღეს იხსენებს მაშინდელი პირველკურსელი გია ბიძინაშვილი: „კურსანტები ორ ბარიკადს შორის რეზინის ხელკეტებითა და ფარებით ვიდექით, როდესაც არშემდგარი მიტინგი დაიშალა და მომიტინგები ავტობუსებისაკენ დაიძრნენ, მათ რიგებს გამოეყო 10 თუ 12 ახალგაზრდა ქართველი ქალი და ცხინვალის მიმართულებით დაიწყო სვლა. შევაჩერეთ, გავარკვიეთ, რომ მიტინგზე დასასწრებად ცხინვალიდან იყვნენ მოსულები და მათი სახლებამდე გაცილება გადავწყვიტეთ, რათა შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ პიკეტზე მდგარ ოსებს. მე, ლევან ცისკარიშვილი, კახა ადამია, მიშა ბაიდოშვილი, შოთა პერტია, ერნესტ კუკსა, ბადრი გერაძე და ნუკრი მარშანიშვილი გავყევით. ის იყო ნაბიჯი გადავდგით, რომ ჩვენმა მამაცმა ქალებმა ერთხმად შემოსძახეს სიმღერა „შავლეგო“. გაგვაოცა ქალების მტკიცე ნებისყოფამ და გაბეჭულებამ. ქალებმა სიმღერა წამით შეწყვიტეს და ხმამაღლა წამიძახეს „გაუმარჯოს საქართველოს!“ გზად უფრო და უფრო ხმამაღლა ულერდა „შავლეგო“. სიმღერა ძვალსა და რბილში გაგვიჯდა, ურუანტელმა დაგვიარა, ეხლაც კი ჩამესმის ამ სიმღერის სტრიქონები:

შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო,
ყაზიმები გიხდებოდა, შავლეგო,
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, შავლეგო!

ისე მღეროდნენ, პროფესიონალიც კი ინატრებდა. ასე, სიმღერით მივაღწიეთ ოსების პიკეტს. არ მავიწყდება ის გარემო, რომელიც ქალაქის შესასვლელში დაგვხვდა. ქალაქის შესასვლელში ოსებს ქვებით სავსე ორი „მაზი“ ედგათ. ხელთ ეპყრათ რუსული და ოსური გადაჯვარედინებული დროშები. ოს ექსტრემისტებს შემოყვანილი ჰყავდათ ჯავშანტრანსპორტიორი „МТРБ“, რომელზეც ლენინის დიდი სურათი იყო აღმართული. შესაძლოა, ცეცხლსასროლი

იარაღითაც ყოფილიყვნენ შეიარაღებულნი. თვალწინ მიდგას გარშემოხვეული ოსების გამომეტყველება. ჩვენ, რომ მივუახლოვდით, დავინახეთ მათი გაოგნებული, ნიღბებადქცეული სახეები, გადმოკარკლული სიძულვილით სავსე თვალები. ქართველი ქალები ცენტრში, უნივერმალთან სახლებამდე მივაცილეთ, დავემშვიდობეთ და გამოვპრუნდით. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ჩვენს მიერ გაცილებული ქალებისათვის მეორე დღეს ოსებს შეურაცხყოფა მიუყენებიათ. მიხტომიან სახლებში ლანძღვა-გინებითა და აგრესიული გამოხტომებით. ჩვენს გულებში რაც ხდებოდა, გამიგებთ. ვნანობდით, იქ რომ არ ვიყავით“.

1989 წლის ნოემბერ-დეკემბერში ოსი სეპარატისტების შეიარაღებული ფორმირებების საპასუხოდ, ეროვნული ინტერესებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გორის, კასპის და ქარელის რაიონების მცხოვრებთა მხრიდან ცხინვალი ბლოკირებულ იქნა შეიარაღებული პიკეტებით. მათ გვერდით იდგნენ ჩვენი სასწავლებლის კურსანტები და ოფიცრები.

1989 წლის 23 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე საქართველოს სსრ შს მინისტრის ბრძანების შესაბამისად ფაკულტეტის პირადი შემადგენლობა აქტიურად იყო ჩართული ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებში და სადღელამისო საპატრულო საგუშავო სამსახურს ეწეოდა შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ტირზნისი, ტყვიავი, ავნევი, ფრისი, ერედვი, თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, კარალეთი.

საქართველოს სსრ შსს 1989 წლის 6 დეკემბრის № 389 ბრძანებით, განსაკუთრებულ განკარგულებამდე ფაკულტეტის უფროსის გენერალ-მაიორ გ. კვანტალიანის ხელმძღვანელობით 45 ოფიცერი და კურსანტი მივლინებულ იქნა ქ. ცხინვალის შინაგან საქმეთა სამმართველოში. აქ შეიქმნა ოპერატიული ჯავაზი ფაკულტეტის პედაგოგთა შემადგენლობიდან: მილიციის მაიორები იური დიაჩ-კოვი-დუმბაძე, დავით ჩაგუნავა, ვიქტორ ნიკოლაიშვილი და იგორ კლესტოვი.

რუსეთის შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები მთლიანად იქნა გაყვანილი ოლქის ტერიტორიიდან. საზოგადოებრივ წესრიგს მხოლოდ და მხოლოდ მილიციის ძალები იცავდა. ფაკულტეტის სამწყობრო ქვედანაყოფი სპეცტრანსპორტის მეშვეობით წლის ბოლომდე აგრძელებდა მართლწესრიგის უზრუნველყოფას ზემო-ჩამოთვლილ პუნქტებში. მათი ძალისხმევა მიმართული იყო დასახლებულ პუნქტებში გზებზე უსაფრთხო გადაადგილებისაკენ, პატ-რონს უბრუნებდნენ გატაცებულ ავტოტრანსპორტს.

დაძაბულობა, რომელიც მომდინარეობდა ოსი ექსტრემისტებიდან კი არ ნელდებოდა, უფრო ძლიერდებოდა. საქართველოს შს სამინისტროს არ ძალუდა ამ დაძაბულობის აღმოფხვრა. სეპარატისტები, რუსეთის მეშვეობით გაცილებით უკეთ იყვნენ შეიარაღებულნი.

დაძაბულობას ბოლო არ უჩანდა. ასეთ ვითარებაში მიიღია 1989 წელი.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის
უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის ოფიცერთა და
კურსანტთა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და
მასობრივ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა ნინააღმ-
დევ ბრძოლის ღონისძიებებში მონაწილეობის

გეოგრაფიული რუკა და მასშტაბები
1989-1990 წწ.

ქიათურა	ჯავა
ქუთაისი	კებვი
ზესტაფონი	ქურთა
სამტრედია	ერედვი
ავნევი	თამარაშენი
ყორისი	ფრისი
ყორისი	ცხინვალი
ყორისი	ტირქნისი
ზნაური	ტყვიავი
ხაშური	კარალეთი
	გორი
	საგარეჯო
	თბილისი
	რუსთავი
	მარნეული
	ბოლნისი
	დმანისი



საპროტო სახელმწიფო სისტემის დემონტაჟი დასრულებულია

1990 წელი.

„ისტორიის გაკვეთილი მხოლოდ ისაა, რომ
მისგან ვერაფერს ვსწავლობთ.“

ნიჰილისტური ნათქვამი

ეს წელი პირველივე დღეებიდანვე უკიდურესად დაძაბულია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატორული ვითარება სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მწვავდება, რასაც ბიძგი ცხინვალის რაიონში მომხდარმა ახალმა დრამატულმა მოვლენამ მისცა. (ცხინვალის მეზობლად მდებარე სოფელ ფრისში მოკლულია ცხრა თვის პატარა ნიკორიშვილი. ოსი ექსტრემისტების თავხედობა ყოველგვარ ზღვარს გადასცდა – ისინი სარგებლობდნენ სამართალდამცავი ორგანოების ინერტულობით, იჭრებოდნენ ქართველი მოსახლეობის სახლებში და დაუნდობლად უსწორდებიან ჯგუფურად აუპატიურებდნენ. აღვირახსნილი ექსტრემისტების დანაშაულობანი დაუსჯელი რჩება. ამასობაში კი სიტუაცია დღითიდლე მძაფრდება და არავინ იცის, რით დამთავრდება. სამხრეთ ოსეთში არიან ძალები, რომლებიც არაფერს არ ერიდებიან, ხელიდან არ უშვებენ არცერთ შემთხვევას, რათა და-არღვიონ სიმშვიდე ქართულ მიწაზე, შექმნან კატასტროფული ვითარება, დაუპირისპირონ ერთმანეთს ხალხები და დაღვარონ სისხლი. ამის მაგალითები შარშან დეკემბერში გამოჩნდა: ეროვნებათაშორისი შუღლის ნიადაგზე 26 დეკემბერს ორმხრივ სროლებში დაიღუპა 3, და-იჭრა – 25, დაშავებულია 100-ზე მეტი ადამიანი.

წინა წელს (1989 წლის 21 ნოემბრიდან) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მყოფი თბილისის ფაქულტეტის კურსანტები და ოფიცირები 1990 წლიდან აგრძელებენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით ღონისძიებების გატარებას ფაქულტეტის უფროსის 1990 წლის 2 იანვრის № 4 ბრძანების შესაბამისად, სადაც, ნათქვამია: „საქართველოს სსრ ხელისუფლების გადაწყვეტილების, სსრ კავშირის შსს მითითებისა და საქართველოს სსრ შსს ბრძანების საფუძველზე, გაიგზავნოს ფაქულტეტის პედაგოგ-მასწავლებლები და კურსანტები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საზოგადოებ-

რივი წესრიგის დასაცავად“. ამ მიზნის მისაღწევად, განისაზღვრა საგუშაგოების დისლოკაცია და პატრულირება მარშრუტების გათვალისწინებით. ფაკულტეტის თანამშრომლებთან ერთად, ცხინვალი-გორის მაგისტრალზე პატრულირებას ადგილობრივი მილიციის მუშაკებიც ეწეოდნენ. სამოქმედო ტერიტორია დაიყო ზონებად. საგუშაგოები გაიხსნა შემდეგ დასახლებულ პუნქტებში:

I ზონა – გორი-ცხინვალის ტრასა

№ 1 საგუშაგო: სოფ. კარალეთი, სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგო;

№ 2 საგუშაგო: სოფ. ფრისი;

№ 3 საგუშაგო: სოფ. ერედვი.

II ზონა – გორი-ზნაურის ტრასა;

№ 4 საგუშაგო: სოფ. ავნევი;

III ზონა – ცხინვალ-ჯავის ტრასა;

№ 5 საგუშაგო: სოფ. თამარაშენი;

№ 6 საგუშაგო: სოფ. კეხვი.

IV ზონა – ქალაქი ცხინვალი.

ორგანიზატორული მხარე: საგუშაგოების განრიგი ასეთი იყო: განწევი 24 საათის განმავლობაში ეწეოდა სამსახურს – თითო იფი-ცერი, 5 კურსანტი. შექმნილი იყო სარეზერვო ჯგუფი.

ფაკულტეტის თანამშრომელთა მოვალეობაში შედიოდა: სო-ციალისტური კანონიერების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა უსაფ-რთხოება, დანაშაულის თავიდან აცილება, ქართველი და ოსი მო-სახლეობის წარმომადგენლებს შორის კონფლიქტების არდაშვება. ხორციელდებოდა გადამჭრელი და საგანგებო ღონისძიებანი ყველა თვითმოქმედი შტაბებისა და პიკეტების მოსაშლელად; ცეცხლსას-როლი იარაღის ჩამოსართმევად.

ეს არ იყო „ქმედითი“ ღონისძიებები, რომელსაც ფაკულტეტის პი-რადი შემადგენლობა ატარებდა. ეს იყო საბჭოთა სისტემაში მოქავეული ქვეყნის „რეაგირება“, „მოკრძალებული“ სამსახურის გაწევა ჩვენსავე ტერიტორიაზე. ფაკულტეტის საქმიანობით ბევრი სასიკეთო მოქმე-დებები განხორციელდა. ამით ზოგადი ფონი იქმნებოდა წესრიგის და-საცავად, მაგრამ, რაც მთავრობა, ცეცხლსასროლი იარაღის მასობრივი ჩამორთმევის ღონისძიებები ოს სეპარატისტებში არ განხორციელდა: აქ საქართველოს ხელისუფლების ნება არ იყო გამოხატული.

საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნები სავალდებულო იყო როგორც ჩვენი სასწავლებლის თანამშრომლებისათვის, ისე ქართული მოსახლეობისათვის. ჩვენ მოგვიწოდებდნენ გონიერებისაკენ, ქართუ-

ლი თავდაჭრილობისაკენ, ხოლო ოსი სეპარატისტების აღვირახსნილ მოქმედებებს კი ბოლო არ უჩანდა. აი, ის „ინტერნაციონალური ვალი“, რის გადახდასაც მხოლოდ ქართველებს ავალდებულებდნენ.

ქართული მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ადგი-ლობრივი სამართალდამცავი ორგანოების მუშაობით, ფაკულტეტის პირადი შემადგენლობის მიერ გატარებული ლონისძიებების გამოც და იძულებული იყვნენ, ჩასულიყვნენ დედაქალაქში საპ-როტესტო აქციების მოსაწყობად. ამ კრიზისული ვითარებიდან გამოყვანის გზების საძიებლად, 7-16 იანვრის ჩათვლით, ფაკულტეტის თანამშრომელთა მიერ დაცული საგუშაგოების გავლით, შიდა ქართლში მცხოვრები ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (ქალები) გაემგზავრა დედაქალაქში, სადაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდნენ გადამჭრელი ზომების მიღებას. ისინი მჯდომარე აქციებს მართავდნენ ხან ცენტრალური კომიტეტის შენობასთან, ხან – მთავრობის სახლთან. ქართველი ქალები მტკიცე პროტესტს გამოთქვამდნენ თლეში სეპარატისტული ძალების მოქმედების გამო, მოითხოვდნენ ეთნოკრიზისის მოთავეთა გამოვლენა-დასჯას, როკის გვირაბის გაუქმებას, საიდანაც შიდა ქართლის ოსი მოსახლეობა იარაღით მარაგდებოდა; ოსი მოსახლეობიდან უკვე შემოტანილი იარაღის დაუყოვნებლივ ამოღებას, უკანონიდ შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას. ეს მოთხოვნები სავსებით დამაჯერებელი და რეალური იყო.

ჩვენი ქვეყნის ნარსულს თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ მსგავსებას შიდა ქართლში შექმნილ 70 წლის წინანდელ ვითარებასა და დღევანდელობას შორის. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივის ფონდში დაცული დოკუმენტებიდან ცხადდება, რომ ე.ნ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველობა მაშინაც ისევე ითხოვდა ოსური აგრესისაგან დაცვას, დახმარებას, როგორც 1990 წელს.

ჯერ კიდევ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნამდე, ქართული სოფლების მოსახლეობა იძულებულია ერთობლივი განცხადებით მიმართოს ხელისუფლებას: „....გვაქვს მეტად ცუდი მდგომარეობა, დღეს ჩვენ ვიმყოფებით ლტოლვილებად, ვართ ჩვენს სახლებს მოწყვეტილი. ოსების შემოსვლის შემდეგ გვიხდება 3 თვე, რაც გამოქცეული ვართ სახლებიდან... ცხინვალში დაგვიწვეს 78-80 სახლი და რაც გადარჩა საქონელი და ავეჯი, ჭირნახული წაიღეს ჯავის რაიონისკენ... როცა ვთხოვთ ცემითა და მუქარით გვიპასუხეს. ამ დროს ამოხოცეს 32 კაცი.ზოგი დაწვეს, ზოგიც ცემით დახოცეს. გააუპატიურეს ქალები დიდები და პატარები...“

ნიშანდობლივია, რომ ქართველობა ადანაშაულებდა საქართველოს რევგომს პასიურობასა და სიტუაციის დამუხტვაში. რა იცოდა გულუბრყვილო ქართველობამ, რომ ადგილობრივი რევეკომი არ იყო დამოუკიდებელი. დახმარებას ითხოვდნენ თბილისშიც, მაგრამ ამა-ოდ. ოსებისათვის ავტონომიის შექმნის საკითხი იქ, „ზემოთ“ უკვე გადაწყვეტილი იყო. ქართველობა აღსდგა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ. ძირძველ ქართულ მინაზე „ქართული მთავრობა“ სახელმწიფოებრიობას უქმნის სხვა ერს. ცხინვალის რაიონის თითქმის ყველა ქართულ სოფელში გაიმართა კრებები, ერთსულოვნად დაიგმო ეს აქტი. საარქივო მასალების მოტანა უხვად შეიძლება როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე პერიოდის მოვლენების შესახებ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არც მაშინ და არც მომდევნო ეტაზზე ქართველთა სამართლიან მოთხოვნას პასუხი არ ლირსებია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მის მიერ შექმნილ უკანონო ავტონომიას არ გააუქმებდა. ისმის კითხვა: ვის სჭირდებოდა ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება? რა მიზანს ისახავდა იგი? ამ კითხვების საპასუხოდ კიდევ ერთხელ მიკუბრუნდეთ არქივის მასალებს, სადაც სამხრეთ ოსეთის რევეკომის 1921 წლის 6-8 სექტემბრის სხდომის დადგენილებაშია ჩანწერილი ავტონომიური ოლქის შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ. სიმართლე არ იმაღება; მასში არის ჭეშმარიტების შემცველი ერთი პუნქტი, რომელიც ოსებისათვის ავტონომიის მინიჭების, ნამდვილ მიზანს ცხადყოფს. დადგენილება, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზეა, მაგრამ ეს პუნქტი ქართველ მკითხველს ქართულ ენაზე მინდა მიგანოდო. მასში ნათქვამია: „ასეთი პოლიტიკური ერთეულის შექმნა (იგულისხმება სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შექმნა – შენიშვნა ჩემია), მოცემულ ობიექტურ პირობებში, კეთილსაიმედო საფუძველს ქმნის სამხრეთ ოსეთს მშრომელთა საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის“ (ფ. 281, ალ.2, საქ. 3, ფ. 166).

ეს უკანონო წარმონაქმნი საქართველოს უზენაესმა საბჭომ, კანონიერად არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ 1990 წლის 11 დეკემბერს გააუქმა.

საბჭოთა სტრუქტურების ფარგლებში ეს საკითხი გონივრულად და სამართლიანად არ გადაწყდა. ვერც გადაწყდებოდა, რადგან მას ყალბი წანამძღვრები ედო საფუძვლად. ამის შედეგია ეთნოკონფლიქტები, რომლებიც ქვეყნის ხან ერთ რეგიონში იფეთქებს, ხან -მეორები. ფაქტია, რომ ე.წ. ეთნოკონიზაციის ცენტრის მიერ არის ინსპირირებული. ამით იგი საბაბს აძლევს მას ჩაერთოს სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, შემდეგ კი არბიტრად მოევლინოს დაპირისპირებულ მხარეებს; ულტიმატუმის ფორმით წაუყენოს თავისი პირობები

და ამ კონფლიქტიდან დიდი სარგებელი მიიღოს. სწორედ ამ სცენარით გათამაშდა შიდა ქართლში, ამ ძირძველ მიწაზე, ტრაგედია.

დავუბრუნდეთ 1989-90 წწ. მიჯნაზე თბილისის ფაკულტეტის თანამშრომელთა მიერ გატარებულ ღონისძიებებს. 1989 წლის 21 ნოემბრიდან 1990 წლის 11 მარტამდე მათ მიერ ცხინვალის რეგიონში გატარებული ღონისძიებების შედეგები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ „სასწავლებლის წინაშე მდგარი ამოცანა მეტანულებად შესრულებულია. თუკი იმ პერიოდში მოხშირებულ გამოთქმას გამოვიყენებთ, სიტუაცია თანდათან დასტაბილურდა“, მაგრამ საბოლოო ნორმალიზებამდე ჯერ კიდევ შორის.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ხანგრძლივი ურთიერთობა, ასევე, ოპერატიული ინფორმაცია საშუალებას იძლევა დაგვესკვნა, რომ შიდა ქართლში სტაბილური მდგომარეობა დროებითი და არამყარი იყო. ეროვნებათშორისი კონფლიქტი ლია კონფრონტაციიდან ფარულ ფორმებში გადაიზარდა. ხელისუფლებამ ქართველი მოსახლეობის მიერ წამოყენებული სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნები არ შეასრულა. უფრო მეტიც, მდგომარეობა ასების დანაშაულებრივ აქტიურობას უწყობდა ხელს. დაპირისპირება 1990 წლის ბოლომდე გრძელდებოდა. პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოები მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობით იყო დაკავებული. ეს, ასე ვთქვათ, კომუნისტური იდეოლოგიის ხრიკი იყო.

ოპერატიული მდგომარეობის ანალიზიდან გამომდინარე, საქართველოს სსრ შსს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაკულტეტის პირადი შემადგენლობის ნაწილი მეცადი-ნეობებს უპრუნდება, ხოლო საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი დაცვისა და ოპერატიული მდგომარეობის სტაბილიზების მიზნით, ქ. ცხინვალსა და მისი რეგიონის ზოგიერთ სოფელში დატოვებულია ფაკულტეტის თანამშრომელთა 100 კაციანი ჯგუფი. ცხინვალში შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, სადაც თბილისის ფაკულტეტის მუშაკებს, სსრ კავშირის შსს შინაგანი ჯარის დანაყოფებთან ერთად, მჭიდრო კავშირი უნდა დაემყარებინათ ავტონომიური ოლქის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან, საზოგადოებასთან.

ახლადშექმნილი ოპერატიული ჯგუფი ეწეოდა საპატრულო-საგუშავო სამსახურს კეხვი-ერედვის მიმართულებით. მისი მუშაობის ოპერატიულობისათვის გამოიყო ავტომანქანა „უაზ-469“ მილიციის პოლკოვნიკ პორის გალუსტოვის ხელმძღვანელობით. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სასწავლებლის თანამშრომლებიც: მილიციის მაიორები დავით ჩაგუნავა, იგორ კლესტოვი, იური დიაჩკოვი-დუმბაძე და სხვადასხვა კურსიდან შერჩეული კურსანტები. წინასწარ იყო შედგენილი გრაფიკი. ჯგუფები ამ გრაფიკის მიხედვით იცვლებოდა.

ფაკულტეტის უფროსის პრძანებაში ვკითხულობთ, თუ როგორ ავალდებულებს იგი ფაკულტეტის უფროსის მოადგილეს, მილიცი-ის პოლკოვნიკ იური ზაბოიარკინს პოლიტალმზრდელობითი მუშა-ობის ორგანიზების მოგვარებას მსმენელთა (კურსანტთა) ინტერნა-ციონალური აღზრდისა და ამიერკავკასიის ხალხთა შორის მეგობ-რობის განმტკიცების კუთხით.

ოს ექსტრემისტებთან იარაღი, ძირითადად, ჩრდილო კავკასიი-დან შემოდიოდა. იმ დროისათვის შიდა ქართლსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გახშირდა მილიციის განყოფილებებზე ყაჩაღური თავდასხმები იარაღისა და ტყვია-წამლის გასატაცებლად. ამის ასა-ცილებლად, აპრილის დასაწყისში ფაკულტეტის მეოთხე კურსელე-ბი იგზავნებიან ქ. ჭიათურაში. ამის პარალელურად ისინი ქ. ჭიათუ-რაში სტაუირებას გადიან სისხლის სამართლის სამქებროს ოპერა-ტიული რწმუნებულისა და უბნის ინსპექტორის ხაზით.

ამავე წლის ზაფხულსა და შემოდგომით სასწავლებლის ოფიც-რები და კურსანტები იგზავნებიან დასავლეთ საქართველოში, კერ-ძოდ, 40 კურსანტი მილიციის მაიორ ვიქტორ ნიკოლაიშვილის ხელ-მძღვანელობით ივნის-ივლისში ქ. ზესტაფონის შს განყოფილების თანამშრომლებთან ერთად, ახორციელებდა პროფილაქტიკურ ღო-ნისძებებს განყოფილებაზე შესაძლო თავდასხმების აღსაკვეთად. ისინი, ასევე, მონაწილეობდნენ საპასპორტო რეჟიმის შემოწმება-ში, ტერიტორიის პატრულირებასა და ავტონისპექციის პოსტებ-ზე სადღელამისო მორიგეობაში შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: თერჯოლა, არგვეთი, სვირი, ბარდუბანი და სიმონეთი.

საქართველოში შექმნილი რთული ვითარების მიუხედავად, ფა-კულტეტზე სასწავლო პროგრამით და სასწავლო გეგმით გათვალის-წინებული ღონისძებები მიმდინარეობს. ასე მაგალითად, 11 მარტი-დან სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები და კურსანტების ერთი ნაწილი უბრუნდება სასწავლო პროცესს: 14-16 მარტი. აფხა-ზეთი, სოხუმი, ქვემო ეშერაში „დინამოს“ ბაზაზე იმართება საქარ-თველოს სსრ შსს გეგმით გათვალისწინებული შეჯიბრი იარაღიდან სროლაში. მასში ფაკულტეტის წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. მარტში ქ. გორებში (რუსეთის ფედერაცია) სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე სსრ კავშირის შსს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღე-ბად იგზავნებიან სასწავლებლის მუშაკები: მილიციის კაპიტანი გივი ქევხიშვილი და მეოთხეკურსელები აბულაქე და ხუბაშვილი; მარტში მესამეკურსელები სასწავლო პრაქტიკას გადიან საქართველოს სა-ბაზო შს ორგანოებში; ფაკულტეტის „სამცუნიერო დღე“ გადატანი-ლია 27 აპრილისათვის; გამოტოვებული მეცადინეობების აღსადგე-ნად კურსანტებს უტარდებათ დამატებითი მეცადინეობები.

საბჭოთა სისტემა ორდვევა, წარსული დიდება საგრძნობლად ქრებოდა, უფერულდებოდა. ღრმა კრიზისში მყოფ კომუნისტურ პარტიას აღარ ძალუძა ძველებურად ემართა ქვეყანა. მას, ტოტალიტარიზმის შემოქმედს, დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ მიმავალ საზოგადოებაში ადგილი აღარ რჩებოდა. ამ მძიმე კრიზისიდან გამოსასვლელად საქართველოს კპ XXVIII ყრილობის მოწვევა გადაწყდა. იგი მუშაობას იწყებს 15-16 მაისს. ყრილობის დღეებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს შეს 12 მაისის № 59/2 ბრძანების გათვალისწინებით, ფაკულტეტზე იქმნება მუშა ჯგუფი სამწყობრო ნაწილის დარგში ფაკულტეტის უფროსის თანაშემწის მილიციის პოლკოვნიკ პავლე ნორაკიძის მეთაურობით. 15-16 მაისს ჯგუფი (სულ 250 კაცი) განლაგებული იყო მინისტრთა საბჭოს შენობაში და ტერიტორიიდან გაუსვლელად ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებდა. იგივე ჯგუფი, საქართველოს სსრ XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის (იგი გაიხსნა 20 ივნისს) მუშაობისას, მინისტრთა საბჭოს ტერიტორიიაზე ახორციელებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით ლონისძიებებს.

ამ დროისათვის ქ. თბილისში ოპერატიული მდგომარეობა მკვეთრად გართულდა და ფაკულტეტზე თავდასხმის აღსაკვეთად სასწავლებლის სამორიგეო ნაწილთან იქმნება იპერატიული ჯგუფი. სადღელამისო განწესში სამსახურს ეწევიან ფაკულტეტის ხელმძღვანელები და მასწავლებელთა შემადგენლობა, მორიგეობა 18 ივნისიდან 21 ივნისამდე გაგრძელდა.

მანამდე კი სასწავლებელში მეორე სემესტრი იწურებოდა და კურსიდან კურსზე გადასაყვანი ჩათვლები და გამოცდები კარს იყო მომდგარი. მთელი წლის განმავლობაში კურსანტები საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის გამო მზად არ აღმოჩნდნენ სესიებისათვის. კურსანტების ნაწილი ვერ ახერხებს გამოცდების ჩაბარებას და ისინი ფაკულტეტის უფროსის ბრძანებით, პირობით გადაჰყავთ მომდევნო კურსზე. საგამოცდო სესიის შესაძლო ჩავარდნას დაემთხვეთ ფაკულტეტზე კურსანტების გამოსვლა ქართული ენის დასაცავად, პირველკურსელთა მიერ სასწავლო აუდიტორიაში დაწყებულმა შეკრებამ სასწავლებლის ეზოში გადმოინაცვლა. შეკრების მონაწილეების გამოსვლები გაჯერებული იყო ქართული ენის პატივისცემის მითხოვნით. პირველკურსელები კატეგორიულად მოითხოვენ ლექციების ქართულ ენაზე წარმართვას. მიზეზი ზოგიერთი პედაგოგის მიერ ლექციების ქართულ ენაზე წაკითხვაზე უარი იყო. კურსანტები მათ ფაკულტეტის ტერიტორიიაზე შეუშვებლობითაც კი დაემუქრნენ. პირველკურსელთა ამ მოთხოვნას რეაგირების გარეშე არ ჩაუვლია. მოგვიანებით, სასწავლებლის უფროსის ბრძანებით აღ-

ნიშნული კატეგორიის ექვსი პედაგოგ-მასწავლებელი 1991 წლის პირველი იანვრიდან კადრების განკარგულებაში იქნა გადაყვანილი.

1990 წლის აგვისტო, ფაკულტეტზე დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე მისაღები გამოცდები მიმდინარეობს. გამოცდების მსვლელობისას (18 აგვისტოს), საქართველოს შეს ბრძანებით, სასწავლებლის 45 კაციანი ჯგუფი გივი კვანტალიანის ხელმძღვანელობით მიემგზავრება სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის შეს სამმართველოში განსაკუთრებულ განკარგულებამდე. მათ დაევალათ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის განხორციელება და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრა. 22 აგვისტოს მისაღები გამოცდები დასრულდა. მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, დასწრებული სწავლების პირველ კურსზე ჩაირიცხა 105 აბიტურიენტი. აქედან, პირველ ფაზაში ფაკულტეტის ისტორიაში, 5 გოგონაა.

პირველკურსელები სწავლების დაწყების პირველივე დღეებში ჩართულები აღმოჩნდნენ დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში. ვაჟებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ გოგონებიც. ფაკულტეტის განრიგის შესაბამისად, ახლად ჩარიცხული კურსასანტების შეს ორგანოებში შესვლის გამო, ფიცის მიღების დღე გამოცხადდა. სასწავლებლის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ამ რიტუალის გამართვის ადგილად დიდგორის ველი შეირჩა. აქ, ახლად გახსნილ მემორიალთან (იგი 1990 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა) კურსასანტებს წესისა და კანონების მიხედვით მოქცევის ფიცი უნდა დაედოთ. ფიცი ქართულ ენაზე უნდა მიეღოთ (მანამდე ფიცს რუსულ ენაზე იღებდნენ). სამზადისი დაიწყო.

1990 წლის 8 სექტემბერი, შაბათი. სარ კავშირის შეს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის ეზოში მდებარე პლაცზე ოთხივე კურსის კურსასანტები გამწკრივებულან. კურსის უფროსები სიას კითხულობენ. ამის პარალელურად ისინი კურსასანტთა ჩაცმულობასა და იერსახეს ამონმებენ. ყველა ფორმაში გამოწყობილი. პირველკურსელთათვის ეს დღე განსაკუთრებულია. ისინი მზად არიან დიდგორის ველზე გასამგზავრებლად. მათ დანიშნულების ადგილზე გადასაყვანად სასწავლებლის ეზოში „ლაზის“ მარკის 2 ავტობუსი დგას.

პირველკურსელთა სიის ამოკითხვა დამთავრდა (ამ კურსზე, ჩარიცხვის დღიდან, კურსის უფროსად დავინიშნე) და ამის შესახებ ვუპატაკე ფაკულტეტის უფროსის თანაშემნეს სამწყობრო ნაწილის დარგში მილიციის პოლკოვნიკ პავლე ნორაკიძეს. კურსასანტებმა სკოლის სასადილოში ისაუზმეს, ავტობუსებში ჩასხდნენ და მცხეთის მიმართულებით დავიძარით. დიდგორისკენ მივემართებოდით...

ჩემდა უნებურად, თვალწინ წარმომიდგა დიდგორის ველი, ახლადგახსნილი მემორიალური კომპლექსი და გონებაში გამიელვა დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებულმა ისტორიულმა მოთხრობამ. „თავად დიდგორი ხომ ხელთუქმნელი ძეგლია. 1121 წელს, 12 აგვიტოს დავით აღმაშენებელმა საკვირველი ომი გადაიხადა. დიდგორმა არა მარტო გადაგვარჩინა, არამედ შეგვინახა კიდეც. „მუსულმანურ სახელმწიფოთა დიდი გაერთიანებული ლაშქრის დამარცხების მეორე დღე იყო, დიდგორის ველზე ამოსულმა დავით მეფემ საქართველოს ყველა მხრიდან მოსულ შაოსან დედებს სთხოვა ცოტა ხნით მოთქმა შეეწყვიტათ. ზარებმა შემოკრეს. მანგლისელი ეპისკოპოსი წინ წამოდგა, აღაპყრო ზეცისკენ ხელები და „მამა ჩვენოს“ გალობა დაინყო. ერი და ბერი ერთხმად აჰყვა ეპისკოპოსს. დავით მეფე და მისი მხლებლებიც ხმამაღლა გალობდნენ. გალობა რომ დამთავრდა, დიდმა მეფემ იქვე დასვენებულ მეომართა გვამების წინაშე ორივე მუხლზე დაიჩოქა და წარმოთქვა: „თქვენი დაღვრილი სისხლის ყოველი წვეთი სამარადისო დიდებად ექცეს ქართველ კაცს!“ მეფის ამაღლამაც დაიჩოქა და ომასიანად გაიმეორა იგივე.

მეფემ კიდევ ერთხელ მოავლო თვალი წაომარ ადგილს და მორთმეულ ცხენს მოახტა. გზად მიმავალი მეფე ხარებშებმულ ურემს წამოენია. ურემს წინ ყმაწვილი მიუძღოდა, უკან კი 70 წელს მიღწეული ხმელ-ხმელი წვეროსანი მისდევდა. ურემს ფარდაგი ჰქონდა გადაფარებული. დავითი და მისი ამალა მიხვდნენ, რომ ურმით იმში დალუპული მეომრები მიჰყავდათ. მგზავრებმა შენიშნეს მეფე და მისი ამალა და ურემი გვერდზე მიაყენეს. მეფე მიუახლოვდა ურემს, სწრაფად გადმოხტა ცხენიდან და წყნარად მიესალმა, დავითი მოკრძალებით მივიდა ურემთან, მშვიდად გადასწია ფარდაგი და 4 ვაჟკაცის გვამი იხილა. მის მახვილ თვალს არ გამოპარვია, წვეროსანმა როგორ მოიწმიდა ცრემლი – ვინ არიან შეხი, კეთილო კაცო? 3 ჩემი ვაჟია – მიუგო წვეროსანმა, – ეგ ქერა ახალგაზრდა კი ჩემი მეზობელია, ობოლი იყო, მარტოხელა, უცოლშვილო. – ხომ არავინ დარჩენია? – პატარა ძმა დარჩა 14 წლისა, ისიც გუშინ ბიჭებთან, აქ, ომში ყოფილა, 2 თურქი გაუგორებია, ეს ჩემი ბალლიც აქ ყოფილა. – მამავ, შენც ხომ იქ იყავი... თითქოს რაღაცაზე წაასწრესო, წვეროსანმა ისე ჩალუნა თავი. მერე წაწყინმა თქვა: – აბა, მაშ სად უნდა ვყოფილიყავ ქვეყნის შეჭირვების დროს? რომელი სოფლიდან ხართ? – იკითხა დავითმა. ზოვრეთელები ვართ დიდო მეფეო, – მადლობელი ვარ თქვენი ზოვრეთელებო, საქართველოს სიყვარულისათვის.

წვეროსანს სახეზე კვლავ რაღაც წყენა დაეტყო. დავითმა შეამჩნია და ჰკითხა: – ხომ არაფერი გწყვენია, კეთილო კაცო?

– თქვენ ნუ მიწყენთ, დიდო მეფეო და, ქართველ კაცს საქართველოს სიყვარულისათვის მაღლობას არ უნდა უხდიდნენ, მგონი.

ეგ რა ჰყადრე მეფესა – პირტიტველამ სცადა მამის ნათქვამის შერბილება, მაგრამ პირიქით გამოუვიდა. მეფე დუმდა, ამალის წევრებიც შეიშმუშნენ და მეფეს შეაჩერდნენ.

რა კარგი იქნებოდა, რომ ყველა ქართველი შენნაირად ბჭობდეს და მოქმედებდეს კიდეც და განაგრძო: – ერთი ეს მინდა გკითხო, კეთილო კაცო – ეს ქვეყნისათვის დაღუპული ვაჟუაცები აქ, დიდგორზე საქვეყნო, საძმო საფლავში რომ დაგემარხათ, უკეთესი არ იქნებოდა?

წვეროსანმა ხანჯლის ტარზე დაიდო მარჯვენა ხელი და მეფეს პირდაპირ დაუწყო ყურება – რამე რომ ვთქვა, მეფეო, ამ ჩემს შვილს შეიძლება არ მოეწონოს, რას იზამ, დღევანდელ ახალგაზრდობას ენა და თავხედობა უფრო უსწრებს წინ და ამიტომ ჩვენი, ძველების არც ცხოვრება მოსწონს და არც აზრები. პატივისცემით ვითომ პატივს გვცემენ, გვისმენენ კიდეც, მაგრამ საქმეს მაინც თავიან ჭუაზე აკეთებენ. აი, ახლაც თქვენი კითხვის პასუხი ჩემებურად რომ გითხრა, ამ ცინგლიანს არ მოეწონება.

– სთქვი, მაგას თუ არა, მე მომწონს.

– მაშინ გეტყვი, დიდო მეფეო. თქვენ ამბობთ, რომ ჩემი ვაჟები და ეს ობოლი ვაჟი აქ, დიდგორზე, საძმო სასაფლაოზე დამეტოვებინა, განა მთლად საქართველო საძმო სასაფლაო არ არის?

– საქართველო საძმო სასაფლაო – გაიმეორა დავითმა ერთხელ ორჯერ, სამჯერ და ბოლოს, მთელი თავისი მეფეური და კაცური დარბაზსლობით ეამბორა წვეროსანს ნათელ შუბლზე.

– ღმერთმა გიცხონოთ მიცვალებულნი, – თქვა მეფემ და წავიდა.

დიდხანს, დიდხანს დუმდა ალგეთხეობაზე მიმავალი დავითი. ფარცხისას რომ მიაღწია, შედგა, მდუმარედ ახედა საკუთარი ხელით დანგრეულ ქართულ ციხე-სიმაგრეს და ისევ ზოვრეთელი წვეროს-ნის სიტყვები გაახსენდა: მთელი საქართველო ხომ საძმო სასაფლაოა, ბევრჯერ გაიმეორა ლიპარიტთა დანგრეული ციხის მაყურებელმა ეს სიტყვები გულში და ხმამალლა მხოლოდ ორიოდე სიტყვა, თავისი ყრმობისა და კაცობის სამარადფუამო ნატვრა ამოთქვა: როდისლა გახდება საქართველო საძმო ედემი?

9 დღის შემდეგ ზოვრეთს დავითის კაცნი მივიდნენ და იქიდან 14 წლის ობოლი, ნელშემართული ბიჭი წაიყვანეს მეფესთან“.

ამ ფიქრებში გასულს გვიან შევამჩნიე ავტობუსში ატეხილი ჩოჩქოლი. კურსანტები საქართველოს ისტორიის ცოდნაში ეჯიბ-რებოდნენ ერთმანეთს, კამათობდნენ დავით აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, დიდგორის ბრძოლის შესახებ, დავითის

რეფორმებზე. მოვითხოვე მოსმენის ეტიკეტი დაეცვათ და დიდი მეფის პერიოდის ისტორიის ცოდნა ისე გამოვლინათ.

რამდენიმე წამითა ვტობუსში სიჩუმე ჩამოვარდა კურსანტებმა ერთმანეთს გადახედვეს. ცდილობენ სიტყვა დაუთმონ თანაკურსელებს. სიჩუმის დარღვევა სოსო ბერიაშვილს მოუწია: „დიდგორის ბრძოლა დავით აღმაშენებელმა 1121 წლის 12 აგვისტოს გადაიხადა. ამ დღეს ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ძალა: ერთ მხარეს მუსულმანურ სახელმწიფოთა დიდი კოალიცია, ხოლო მეორე მხარეს საქართველოს ლაშქარი დავით აღმაშენებლის მეთაურობით, იგი ერთგვარი დასასრული იყო იმ მრავალწლიანი ომის, რომელთაც XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველო აწარმოებდა თავისი არსებობის შენარჩუნებისა და პროგრესისათვის“.

ავტობუსში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ფიქრებში წასული ბიჭები ისტორიულ ფაქტებს იხსენებენ. პატარა პაუზის შემდეგ თითქოს გაახსენდათ და რამდენიმემ ერთდროულად წამოიწყო კამათი, მაგრამ ისევ ერთმანეთს გადახედვები და მშვიდად განაგრძეს საქართველოს ისტორიის გაცოცხლება.

„ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლის ისტორიაში ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დიდგორის ბრძოლას, – ამბობს ედიშერ ხიდაშელი, – დავითმა გააერთიანა და ერთმეფობას დაუმორჩილა ყველა კუთხე, ეს ძირითადად 1122 წლის შემდეგ მოხდა, როცა თბილისიც შემოიერთა. XI საუკუნის 80-იანი წლების ეკონომიკურად დაქვეითებულ და პოლიტიკურად დასუსტებულ საქართველოს მოევლინა მეფე დავითი. ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ გვირგვინი მამამ დაადგა. ეს იყო გადატრიალება, რომელიც ფეოდალთა ერთი გარკვეული ჯგუფის მონდომებით და აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა. დავითის გამეფება გარკვეულ იძულებასთან იყო დაკავშირებული., დავითმა თავიდანვე მოახდინა დაქსაქსული მოსახლეობის მობილიზება, მომხდეური მტრის დამარცხება და ქვეყნის აღმავლობის გზაზე დაყენება, ამას მოჰყვა დიდი გარდაქმნები და მშენებლობები“.

სანამ დავით აღმაშენებელი დიდგორის ველზე ბრწყინვალე გამარჯვებას მოიპოვებდა, – ჩაერთო გოდერძი ჩანქსელიანი, – აღსანიშნავია რომ მან, როგორც წინამორბედისაგან განსხვავებულმა მეფემ, შორსმჭვრეტებულმა პოლიტიკოსმა თავგასული ქვეშევრდომების გონზე მოყვანა სცადა. თავგასული ფეოდალები ცენტრალური სამეფოს ხელისუფლების მონინააღმდეგები იყვნენ. ისინი ებრძოდნენ სამეფო ხელისუფლებას და თავისი მიზნის მიღწევას გარეშე მტრების დახმარებით ცდილობდნენ. დავითმა უკომპრომისო პოლიტიკის სუსხი, თავდაპირველად დიდგვაროვანმა ფეოდალმა,

კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბალვაშმა იგემა. მას ჯერ ღალატი არ აპატია. შემდეგ პირობა ისევ გაუტეხია მეფის წინაშე. მეფეს დაუტყვევებია და საბერძნეთში გაუძევებია. მისი ქონება და კლდეკარის საერისთავო დავითმა სამეფო საკუთრებად გამოაცხადა. ლიპარიტის სამფლობელო არგვეთი კი გელათისათვის შეუწირავს. მეფემ შიო მღვიმისადმი ბოძებულ „ანდერძში“ მოხსენიებულ ძაგანისათვის კი ყველა პატივი და ლირსება აუყრია“.

ვალერიან (ვალო) ბერიძე: – „1089 წელს 16 წლისა გამეფდა დავითი. მეფეს დაუძლურებული სამეფო ერგო. თავიდან მან გაბნეული და დაქსაქსული ქვემევრდომების შეგროვება დაიწყო. თბილის საამიროს და კახეთის გარდა, მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო ოურქებს ეპყრათ. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გაძლიერდა ოურქთა შემოსევა-ჩასახლებანი. 1080 წლიდან დაიწყო „დიდთურქობა“. საქართველომ სრული დამოუკიდებლობა, თურქ-სელჩუკების ხარკის მიცემის შეწყვეტის, 1097 წლის შემდეგ, 1099 წელს აღადგინა. დავით აღმაშენებელმა ქვეყნის გაძლიერებაზე ზრუნვა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც განავრძო. დავითმა სპა გაამრავლა და სულთანს ხარკი შეუწყვიტა. საქართველომ მარტო ოურქთა ხარკისაგან კი არ დააღწია თავი, არამედ „დაუპატიჟებელი სტუმრებისგანაც“ გათავისუფლდა“.

ეხლა კი ჩემი ჯერი დადგა, წამოიძახა ზურაბ ბადრიაშვილმა და განავრძო: „სანამ მეფე კახეთის შემოერთებას შეუდგებოდა, მან ყურადღება საეკლესიო საქმეებზე გადაიტანა და დიდი ცვლილებები მოახდინა. დიდმა საეკლესიო რუს-ურბნისის კრებამ „ძეგლისწერის“ სახით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები დააკანონა. შემოღებულ იქნა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომელიც არა მარტო სახელმწიფო საქმეების მთავარი გამგე, არამედ მეფის საკუთარი და პირადი ქონების საგამგეოს უზენაეს მმართველადაც ითვლებოდა. კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლისას მეფემ მნიშვნელოვანი პუნქტი ზედაზნის ციხე 1103 წელს აიღო. კახეთის საბოლოო შემოერთება უსისხლოდ გადაწყვიტა. კახთა მეფე ალსართანი შეუპყრიათ ჰერთა დიდებულებს და მეფისათვის გადაუციათ. ამ ამბავს განძის პატრონის წყრომა გამოუწვევია და ომი გამოუცხადებია მეფისათვის. ბრძოლა ერწუხში მომხდარა და მეფის წინააღმდეგ სულთანს ურიცხვი ჯარი, განძის ათაბაგი და კახთა ერი გამოუყვანია. ამ ომში დავით აღმაშენებელს 3 ცხენი მოუკლეს და მეოთხეთილა დაამთავრა. საბოლოოდ კახეთ-ჰერეთი 1104-1105 წწ. დაიპყრო. 1110 წლიდან კი კახეთ-ჰერეთი საქართველოს შემადგენლობაშია“.

„დავით აღმაშენებელი გეგმაზომიერად ატარებდა ღონისძიებებს ფეოდალური ცენტრალიზაციისა და სამხედრო ძლიერებისათ-

ვის – ამბობს დემე წულუკიანი, – 1110 წელს გიორგი ჭყონდიდელი – მწიგნობართუხუცესმა რუსთავი 1115 წელს თურქებს წაართვა. დავითი ქართული არმიის თავმოყრისა და პირდაპირი გალაშქრები-სათვის მაღლი მზადყოფნით, როგორც სტრატეგიული ისე ტაქტი-კურ დარტყმათა დასწრების დიდ შესაძლებლობას ჰქმნიდა“.

„დიდგორის ბრძოლამდე დავით აღმაშენებელმა ტერიტორიე-ბის შემოერთებას ლაშქარში რეფილმების გატარებით მიაღწია – ამ-ბობს გია ვარამაშვილი, – მან ჯარში შემოილო მკაცრი დისციპლინა. შემოიკრიბა ერთგული მოლაშქრები და მათგან მუდმივი, ძლიერი გვარდია „მონა-სპა“ შექმნა. ალჭურვა იარაღითა და მათ წვრთნას შეუდგა. ჯარში თავის მიერ შემოლებულ ტაქტიკასა და სტრატეგი-ას იყენებდა. დაარსა მზვერავთა ინსტიტუტი, რომლებსაც მემატი-ანე მსტორებს უწოდებს. ისინი თვალყურს ადევნებდნენ მტრის მოძრაობას და დროულად აცნობებდნენ მეფეს. მეფემ ძლიერი სა-პოლიციო აპარატი შექმნა, რომელსაც აღმაშენებელმა ხელმძღვა-ნელად მანდატურთუხუცესი ჩაუყენა“.

ელიშერ ხიდაშელი: – „დავით აღმაშენებელს გადაწყვეტილი ჰქონდა არა დროებითი და დაქირავებული ჯარის, არამედ მუდმივი ჯარის შექ-მნა. მან დაამკვიდრა ტაქტიკური ერთეულების სისტემა. ეს მას ტახტზე ასვლისთანავე, ყივჩალთა ჩამოსახლებამდე მოუხერხებია. სტრატეგიის სფეროში გაზარდა მოულოდნელ დარტყმათა შესაძლებლობანი, ტაქ-ტიკაში კი საპროლო მოქმედებათა მრავალფეროვნება დაამკვიდრა. შეუქმნია ცენტრალიზებული სარდლობა, რომლის სათავეში თვითონ იდგა. პირად გვარდიაში 5000 მხედარი ჰყავდა. არმიაში მკაცრი წესრი-გი დაუმუარებია. მთელი სამეფო საომარ ბანაკად გარდაქმნა.“

საქართველოს ისტორიის გაკვეთილის ჩატარებისას ავტობუს-ში სიჩურე სუფევდა. ყველა ყურადღებით უსმენდა მეგობრებს.

ამასობაში მცხეთას მივადექით. ავტობუსში მარცხნივ არმაზი-ძეგვის მიმართულებით გაუხვია. პირველად შევამჩნიე კვირბები – გზის მაჩვენებლები, მაღალ კვარცხლებეკზე შემომჯდარი ორბი-არწივნი. მთელ გზაზე დიდგორის ველამდე ასეთი კვარცხლებეკი იდგა და კვირბები მემორიალამდე მიგვაცილებდნენ.

ისტორიული ფაქტების მომდევნო ეტაპებს იხსენებდნენ ბიჭები, თუ როგორ განმინდეს დავითმა და მისმა ძემ დემეტრემ თურქ-სელ-ჯუკებისაგან ტაო, აილეს ციხე-ქალაქები: გიში, ლორე, ქალაძორი, ხუნანი, ბარდავი, ყაბალა, სევგალამეჯი, აგარანი; არაქსის პირას თავს დაესხა სელჯუკებს და დაამარცხა. თუ როგორ გადმოიყვანა ჩრდილოეთიდან ყივჩალთა 40 ათასი ოჯახი საქართველოში.

კურსანტების ცოდნამ გამაოცა. დავასკვენი, რომ განათლე-ბული, წიგნიერი კურსანტების შევსება მოვიდა. სანამ დიდგორის

ველს მივუახლოვდებოდით, კურსანტებს შორის კამათი გამოიწვია მაჰმადიანმა კოალიციური ჯარის რაოდენობამ. ამ კამათში აქტიურად ჩაერთო კობა პაპუაშვილი. მან თქვა, რომ ისტორიოგრაფიის თანახმად, დავით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლაში 55 600 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ჰყავდა. მან მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ გამოიყანა 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩალი, 500 ალანი (დაქირავებული მოლაშქრები) და 100 ფრანგი (ევროპელი რაინდი). ხოლო კოალიციური სელჯუკების, თურქმენებისა და არაბებისაგან შემდგარი ლაშქარი 560 000 კაცს ითვლიდა. დავითის ისტორიკოსი კი არაფერს ამბობს არც მაჰმადიანთა გაერთიანებული ლაშქრისა და არც საქართველოს ჯარის რაოდენობის შესახებ. მისი თქმით, კოალიციური ჯარი ურიცხვი ყოფილა. შეტევაზე ქართველთა ლაშქარი გადასულა. საქართველოს ლაშქარს 200 მხედარი გამოეყო და მტრისკენ გაემართა. მაჰმადიანთა ლაშქრის სარდლობას ეგონა, მეფეს უღალატეს და შეწყალებისა და დანდობის სათხოვნელად მოდიანო. ისინი დაუბრკოლებლივ შეუშვიათ თავის განლაგებაში, მაგრამ 200 მხედარმა უეცრად იშიშვლა ხმლები და მტერს დაერია. ასეთმა ხერხმა მტერი დააბნია. თურქები გონს გვიან მოეგნენ. დავითმა კი ქართველთა მთავარი ძალებით იერიში მიიტანა მტრის დაბნეულ ლაშქარზე. საშინელი ხოცვა-ულეტა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა.

როცა დიდგორის ველს მივადექით, ნიავი ქროდა. დანარჩენი კურსანტებისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობის მოსვლამდე მემორიალის დათვალიერება გადავწყვიტეთ. ყველა მდუმარედ გავცექეროდით დიდგორის ველს, საცალფეხოებს, სადაც 1121 წლის შორეულ ზაფხულში დავით აღმაშენებელმა გადამწყვეტი ბრძოლა „ძლევაი საკვირველი“ გადაიხადა. ეს ის ადგილია, სადაც თურქები ბრძოლის დაწყებას არ ელოდნენ, მაგრამ იგი მაინც დაიწყო. კომპლექსის მთავარი ძარღვი – ბორცვზე აღმართული დედაბოძი – დიდგორის ველის ყველაზე შორეული მხრიდანაც კარგად ჩანს; მის გარშემო მინაში ღრმად ჩამჯდარი მახვილებია „მიმოფანტული“, მახვილიცაა და ჯვარიც; მოშორებით ორი სვეტია აღმართული. ერთზე – ნარჩერაა ამოკვეთილი, მეორეზე კი – სხვადასხვა ზომის ზარი ირხევა. მეორე ბორცვზე მეომარია ნამოქცეული, თითქოს ნამოდგომას ცდილობს, გვერდზე განსხვაულებული ფიგურა გაპევრია ბალახს. ეტყობა ველარ ადგება, დაკვდომია დიდგორს. აქ, ამ ველზე, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. მაჰმადიანთა კოალიციას ჯვაროსნების დიდი სისხლისდამაქცევარი ილდაზი სარდლობდა რომელსაც მთელი ქრისტიანული სამყაროს ამოძირევა ევალა.

ოვალურ თეატრონთან ჩამოვედით. იგი ცალკერდ სკამ-საფეხუ-რებითაა შემორაგული, ცალკერდ კი ქვის მაღალი სვეტები აკრავს. თეატრონის ტერიტორიაზე შეკრებილი კურსანტები ფიცის მისა-ლებად ემზადებიან. ფაკულტეტის უფროსის – გენერალ-მაიორ გი-ვი კვანტალიანის მიერ გამოყოფილი კურსანტი, კურსის ზემდეგი ბესარიონ ბარნაბიშვილი ფიცის ტექსტს კითხულობს. ყველა სიტყ-ვა-სიტყვით იმეორებს. საზეიმო, დიდად საპასუხისმგებლო რიტუ-ალი დასრულდა. ფიცის ტექსტს ნითელ ზოლად გასდევდა საბჭოუ-რი, სოციალისტური იდეები და საბჭოთა კანონების შესასრულებ-ლად იყო გამიზნული. მოგვიანებით გაირკვა, რომ ფიცის ტექსტი მომზადდა და დამტკიცდა ფიცის მიღების დღეს. ქართული ტექსტი რუსულიდან იყო ნათარგმნი.

ფიცის მიღების დამთავრების შემდეგ, კურსანტებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველას ერთი აზრი უტრიალებდა თავში. ის, რომ საზეი-მოდ მიღებული ფიცი არ შეესაბამებოდა იმ სივრცეს, სადაც ვიმყო-ფებოდით და ამ ისტორიული ადგილისათვის შეუთავსებელი იყო!

მომდევნო წლებმა ცხადყო ამ ბიჭების თავგანწირვა სამშობ-ლოს დასაცავად, მათ სამაგალითო სიმამაცე გამოავლინეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში და სი-ცოცხლესაც სწირავდნენ.

პირველკურსელები ჩარიცხვის დღიდანვე მორიგეობით მონა-ნილეობდნენ თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღო-ნისძიებებში, ხოლო მორიგეობიდან გათავისუფლებულნი სასწავ-ლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობებზე ისხდნენ.

ოქტომბერი იდგა. ამ თვეს უნდა გადაეწყვიტა ის მომავალი, რომელსაც, დიდი ცვლილებების მოლოდინში, უკეთესობისაკენ ლტოლვა ედო საფუძვლად, მაგრამ პირიქით მოხდა, მთელი შემ-დგომი პერიოდი დრამატული მოვლენებით, ფსიქოზით იყო აღ-სავსე. ამის შეჩერება არავის ძალუძღვა, სიბნელემ დაისადგურა. ამ უკუნეობი ჩვენი სასწავლებელიც მოჰყვა. მოულოდნელობით აღსავსე პერიოდში ვცხოვრობდით და პროგნოზირება შეუძლე-ბელი იყო.

გარეშე ძალების აქტიურობამ იმძლავრა. ეროვნულ მოძრაობას კპ და საბჭოთა მთავრობამ იდეოლოგიური ომი გამოუცხადა და მის დასაბირისპირებლად რუსულენოვანი „ინტერფრონტები“ შექმნა. მათი მიზანი ერებს შორის დაპირისპირება იყო. რუსულენოვანი მო-სახლეობა ყველა რესპუბლიკაში იყო. ჩვენშიც, მაგრამ აქ სხვა რამ იმალებოდა. ამით „ცენტრს“ ეროვნული მოძრაობის ჩახშობა სურ-და. ხალხთაშორის დაპირისპირება ვითომც უმართავი გახდა. არა-და, ეს ცენტრის მიერ გათვლილი გეგმის ერთი ნაწილი იყო. მეორეს

კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანება ეფო საფუძვლად.

28 ოქტომბერს საბჭოთა საქართველოს ისტორიაში პირველად იმართება მრავალპარტიული არჩევნები. არჩევნების შემდეგ, 14 ნოემბერს ზვიად გამსახურდია აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ამით დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მაგრამ, როგორი დამოუკიდებლები ვიყავით, შემდეგი წლები დაგვანახებს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინა საარჩევნო პერიოდში, მდგომარეობის სტაბილიზებისათვის, თბილისში 17 ოქტომბრიდან 24 ოქტომბრამდე ფაკულტეტის პირადი შემადგენლობა ქალაქის ავტონინსპექციასთან ერთობლივად ატარებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით რეიდს. შემადგენლობა ქალაქში ავტობუსებით გადაადგილდებოდა, მათი მძღოლები კურსანტებმა შეცვალეს. უქმეებში გაძლიერდა სასწავლებლის ტერიტორიაზე ფაკულტეტის პირადი შემადგენლობის მორიგეობა.

22 ოქტომბრიდან ფოთის საქალაქო აღმასკომის შს განყოფილებაში პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩინად, ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად გაემგზავრა ფაკულტეტის კურსანტებისგან შემდგარი ჯვეფი მილიციის პოდპოლკოვნიკ დავით რაფავას ხელმძღვანელობით.

1990 წელს, სსრ კავშირის შს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის ბაზაზე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 23 ოქტომბრის № 572-ე დადგენილებით, დაარსდა საქართველოს შს მილიციის უმაღლესი სკოლა.

ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლის საფუძველზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, შეიქმნა სპეციალური დანიშნულების შეიარაღებული ასეული სასწავლებლის კურსანტთაგან, რომელთაც ჰქონდათ შს ორგანოებში მუშაობის გამოცდილება. ამ ასეულს დაენიშნა ხელფასი. სპეციასეულის უფროსად დაინიშნა სკოლის უფროსის თანამემნე სამწყობრო ნაწილში მილიციის პოლკოვნიკი პავლე ნორაკიძე, მოადგილები: ოპერატიული სამსახურის დარგში მილიციის პოდპოლკოლვნიკი გურამ ივანიშვილი და სპეცტექნიკური საშუალებების გამოყენების დარგში მილიციის მაიორი დავით ჩაგუნავა, პირველი კურსიდან შეირჩა 31 კურსანტი, მეორე კურსიდან – 22, მესამედან – 27. ყველაზე გაიცა სატაბელო იარაღი.

საქართველოს შს მილიციის უმაღლესი სკოლა ურთულეს ვითარებაში ჩამოყალიბდა. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური დაძაბულობის სიმძიმემ სკოლის პირა-

დი შემადგენლობის მხრებზე გადაიარა. ახლადშექმნილ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითმა პროცესში მეორე ეტაპზე გადაინაცვლა. მის მთავარ მოვალეობად მასობრივი არეულობებისა და კრიმინოგენული სიტუაციების მონესრიგება, ასევე, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიქცა.

2 ნოემბერს, 23 საათზე სასწავლებელში ცხადდება სასწავლო საგანგაშო შეკრება პირადი შემადგენლობის გამოცხადებისა და საპრძლო მზადყოფნის შემონაბეჭის მიზნით. უზრუნველყოფილი იყო კურსანტთა და ოფიცერთა შემადგენლობის სრული დასწრება. შემოლებულ იქნა მკაცრი წესები; სკოლა ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიდა. მზადყოფნაშია სკოლის ავტოტრანსპორტი, სპეციალური და თავდასაცავი საშუალებები. პირადი შემადგენლობა სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში დაბინავდა.

თბილისში სპეცდანიშნულების ობიექტების დასაცავად, 30 ნოემბრიდან მეოთხე კურსელები იყვნენ მივლინებულნი.

საქართველოს შსს კოლეგიის დადგენილების თანახმად, ოპერატიული ვითარების დაძაბვის გამო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად 15 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე იგზავნება მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა: საგარეჯო – 100 კურსანტი, ჯგუფის უფროსია მილიციის პოლკოვნიკი პავლე ნორაკიძე; ხაშური – 50 კურსანტი, ჯგუფის უფროსია მილიციის პოდპოლკოვნიკი დავით რაფაგა; მთავრობისა და ადმინისტრაციული დაწესებულებების დასაცავად – 100 კურსანტი, ჯგუფის უფროსი – მილიციის პოლკოვნიკი ალექსანდრე კვაშილავა.

შს მინისტრის მითითებით 4 დეკემბრიდან სამტრედის რაიონული შს განყოფილებისათვის დასახმარებლად, იგზავნება 30 კაციანი ჯგუფი, მილიციის პოდპოლკოვნიკ დავით რაფაგას ხელმძღვანელობით.

რესპუბლიკაში დაძაბული ოპერატიული ვითარების გამო, სასწავლებლის ძალებით იქმნება სადღელამისო საგუშაგოები: საგუშაგო №1 – კოლხური კოშკი, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სახლის დასაცავად – 10 კაციანი ჯგუფი; საგუშაგო № 2 – უზენაესი საბჭოს შენობა, ხელმძღვანელი – მილიციის პოლკოვნიკი ბადრი სალუქვაძე; მაიორი იური დიაჩიკოვი-დუბაძე, კაპიტანი სანდრო გედევანიშვილი და კაპიტანი გივი ქვეხიშვილი – 15 კურსანტი; საგუშაგო № 3 – მაჩაბლის ქუჩა „მრვვალი მაგიდის“ შტაბინა, ხელმძღვანელი მილიციის პოლკოვნიკი ზურაბ გვიშიანი; მაიორი დავით ჩაგუნავა, ლეიტენანტი გრიგოლ ქათამაძე და 15 კურსანტი; საგუშაგო № 4 – ტელევიზიისა და რადიოს სა-

ხელმწიფო კომიტეტის შენობა, ხელმძღვანელი – პოდპოლკოვნიკი ანზორ ყურაძევილი; პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ პეტროსიანი, კაპიტანი ელგუჯა ჭანტურია, მაიორი იგორ კლესტოვი და 15 კურსანტი; საგუშავო № 5 – საქართველოს კპ ცკ შენობა – ხელმძღვანელი – მილიციის პოლკონიკი რუდოლფ ხაჩატურიანი; პოდპოლკოვნიკი ვიტალი პუტიატინი, პოდპოლკოვნიკი ფიოდოროვი, მაიორი ალიკა მამედოვი და 15 კურსანტი.

5 დეკემბერს მთავრობის სახლის ნინ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მიზანს ერის გამთლიანება, დარაზმვა და ხალხის კანონიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება გახლდათ. გამოკრული იყო ლოზუნგები „გაუქმდეს ყველა შეიარაღებული ფორმირება“, „მუშაობის ნორმალური პირობები მიეცეს ერის მიერ არჩეულ კანონიერ მთავრობას“:: მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და ხელისუფლების სხვა ნარმომადგენლები. ამ დროისათვის მილიციის უმაღლესი სკოლის ოფიცირები და კურსანტები (სულ 200-250 კაცი) 28 ოქტომბრიდან შიდა ქართლში, საგანგებო წესების შემოღების დღემდე (11 დეკემბრამდე) იმყოფებოდნენ მთავრობის სახლის ეზოში და ასრულებდნენ ხელისუფლების დავალებებს.

80-90-იანი წლების მიჯნაზე პოლიტიკური რეალობა საქართველოში განპირობებული იყო იმით, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დამაჯერებლად გაიმარჯვა მრავალპარტიულ არჩევნებში. სოციალური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა ახალ ეტაპზე გავიდა, დაიწყო ძველის მსხვრევა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის მართვის მექანიზმის ფორმირება. ამ ცვლილებების ფონზე, 1990 წლის მიწურულს, კვლავ კრიტიკულად გამწვავდა კრიმინოგენული და პოლიტიკური სიტუაცია შიდა ქართლში, კპ და საბჭოთა ხელისუფლებას სახელმწიფოს მართვა აღარ ძალუდა. მათი მეთოდებით სახელმწიფოებრიობას განადგურება ემუქრებოდა. უამრავი პრობლემა დაგროვდა, ქართველებს შორის სოლიდარობა არ იყო.

ასეთ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო 11 დეკემბერს გამართულ სესიაზე ერთხმად იღებს კანონს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“: საქართველომ დაიბრუნა ისტორიული ტერიტორია – შიდა ქართლი. გამოცხადდა საგანგებო წესები ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონში (1990 წლის 12 დეკემბრიდან), მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი თვით. ცხინვალის კომენდანტად დაინიშნა მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსი, მილიციის გენერალ-მაიორი გივი კვანტა-ლიანი. რეგიონში საპატრულო მორიგეობას, სსრ კავშირის შინაგა-

ნი ჯარის ქვედანაყოფებთან ერთად, მილიციის უმაღლესი სკოლის ოფიცირები და კურსანტები ეწევიან.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს შსს კოლეგიის დადგენილებით მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა 12 დეკემბრიდან იგზავნება ცხინვალში კომენდანტის საათის შესასრულებლად. სასწავლებლის ოფიცირები და კურსანტები შეაირაღეს ტაბელური იარაღით, ტყვიამფურქვევებითა და სპეცდანიშნულების საშუალებებით. სასწავლებლის უფროსის ბრძანებით (№ 22, 11.12.1990) მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის ხელმძღვანელობა დაევალა მილიციის პოლკოვნიკ პავლე ნორაკიძეს. აღნიშვნული ბრძანება პროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო ცხრილის შესაბამისად მეცადინეობების ჩატარებას ავალდებულებდა.

12 დეკემბერს სასწავლებლის დისლოკაციის ადგილად გორის სასტუმრო „ქართლი“ განისაზღვრა. იქ, სასწავლებლის პირადი შემადგენლობის ძირითადი ნაწილი მოთავსდა. პირველკურსელები კი, ჩემი ხელმძღვანელობით, გორის რკინიგზის სადგურის ჩიხში მდგარ ვაგონებში განვთავსდით. ინსტრუქციებს სასტუმრო „ქართლში“ ვიღებდით და საგუშაგოებზე ვნანილდებოდით. რეზერვში მყოფ კურსანტებს, „ქართლში“ უტარდებოდათ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეცადინეობები. სასწავლებლის მუშაკთა თათბირებს გივი კვანტალიანი სასტუმროს რესტორანში, მოსამსახურე პერსონალის თანდასწრებით მართავდა, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო.

ცხინვალის რეგიონში მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა პატრულირებდა ქართულ სოფლებში: თამარაშენი – კეხვის მიმართულებით, რომლის მოსახლეობა, ფაქტობრივად, ალყაში იყო მოქცეული და იზოლირებული გარე სამყაროსაგან. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონის მილიციელთა დიდი ნაწილი ოსი ეროვნებისა იყო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ადგილობრივი მილიციის ფუნქციები მილიციის უმაღლესი სკოლის პირად შემადგენლობას შეესრულებინა. გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე და პროვოკაციების თავიდან ასაცილებლად. ჯავაში გაიგზავნა სპეცდისციპლინების კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. მილიციის პოლკოვნიკი სერგო ბალდასაროვი, მილიციის პოდპოლკოვნიკები ვალერი ბეტრისანი, ვიტალი ჟუტიატინი და იური გლადკიში, მაიორი ვიქტორ ნიკოლაიშვილი. ჯავის სამხედრო კომენდანტის მოვალეობას ასრულებდა ვიქტორ ნიკოლაიშვილი. მათი ძირითადი მოვალეობა რაიონში სურსათის, მედიკამენტებისა და სხვა სასიცოცხლო, აუცილებელი ტვირთების შეუფერხებელი ტრანსპორტირება იყო. ცხინვალში ფუნქციონირებდა შტაბი მილიციის მაიორ დავით

ჩაგუნავას, პოდპოლკოვნიკ ბიჭიკო შოხაძის, პოდპოლკოვნიკ და-ვით რაფავასა და მაიორ ვაჟა გურგენიძის შემადგენლობით.

დეკემბრის ბოლოს ჯავში დისლოცირებულმა უმაღლესი სკო-ლის ჯგუფმა დატოვა რაიონი იმ უბრალო მიზეზის გამო, რაც შემ-დეგ წლებშიც იჩენდა ხოლმე თავს. იქ, სსრ კავშირის შინაგანი ჯარი ჩადგა, სამოქმედოდ და გასაკონტროლებლად მხოლოდ ცხინვალის შესასვლელი დაგვიტოვეს და ცხინვალის შტაბში უფრო უფრო ციონდ დარჩენილი მილიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლები შტაბის ტე-რიოტორიას ვერ სცილდებოდნენ. მიუხედავად შინაგანი ჯარის მიერ ასეთი შევიწროებისა, ჩვენი ინიციატივით მაინც ვახორციელებდით პატრულირებას ქართული სოფლების მიმართულებით.

25 დეკემბერს, დაახლოებით დამის 2 საათზე მე და მილიციის მაიორმა მირიან თეთრაძემ ცხინვალის შესასვლელთან განლაგებული საგუშაგოები შემოვიარეთ. გვეამა, რომ ბიჭები დიდი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ასრულებდნენ მოვალეობას. მირიანის კუთვნილი „შიგულის“ „07“ მარკის ავტომობილით გამოვემგზავრეთ გორისკენ, სოფ. ტყვიავს გამოვცდით. კარალეთის საგზაო პოლიციის შენობამდე 300-350 მეტრი იქნებოდა დარჩენილი, რომ ტრასაზე რუსი, შინაგანი ჯარის ჯარისკაცები გადაგველობნენ და გაგვაჩერეს. ოთხმა ავტომატიანმა ჯარისკაცმა მანქანიდან გადმოსვლა და მანქანის სახურავზე ხელების დაწყობა მოგვთხოვა. მანქანიდან გადმოსვლამდე მაკაროვის სისტემის ტაბელურ იარაღზე მოვიკიდე ხელი. მირიანმა გამაფრთხილა იარაღი არ ამომელო, პროვოკაციაზე არ წამოგვაგონო. დავმორჩილდით. გადმოვედით მანქანიდან და ჯარისკაცებს ვუყვირე: „რა უფლებით გვაჩერებთ, ჩვენ მილიციის თანამშრომლები ვართ, ფორმას ვერ ხედავთ?!“ მოშორებთ, სიბნელეში შევნიშნე „ურალის“ მარკის ტენტიანი სამხედრო მანქანა და უკანა ძარასთან მდგომი სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მაღლალი კაცი. მან გასცა ბრძანება ჩვენი „მაკაროვის“ პისტოლეტები შეემოქმებინათ. დარწმუნდნენ, რომ მჭიდრი რვა ვაზნა იდო. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა კაცმა გვითხრა „შინაგანი ჯარის პოლკოვნიკი ვარ“, ბოდიში მოგვიხადა და გზის გაგრძელების ნება დაგვრთო. იმ ღამეს, არც მე და არც მირიანს არ გვძინებია, ღამე თეთრად გავათენეთ. ეს ამბავი დილით სასტუმროში მოსულ უმაღლესი სკოლის უფროსს მოვახსენეთ. შეგვპირდა, რომ ალნიშნულზე შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობასთან მკაცრად იმსჯელებდა. თუმცა, დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი კრინტის დამძვრელი არ იყო, რადგანაც იგი ბუნებით ჩინოვნიკური მორჩილებით იყო შეპყრობილი და ამას ვერ გაბედავდა. მაშ, არც თავისუფლები ვიყავით და არც კომენდანტის საათის განმახორციელებლები. დავრნ-

მუნდით, რომ ჩვენს საქმიანობაში ფორმალური მხარე სჭარბობდა, მთავარი წარმართველი ძალა რუსეთის შინაგანი ჯარი იყო.

ცხინვალში მდგომარეობა უკიდურესად იძაბებოდა, ოსი ექსტ-რემისტები გამოსვლებს მართავდნენ. გახშირდა მათი ბოევიკების პროვოკაციული გამოხდომები. ერთ-ერთი ასეთი პროვოკაცია 27 დეკემბერს, ცხინვალში მილიციის სამმართველოში სამხედრო კო-მენდატურის შენობის ნინ მოხდა. დაახლოებით 16 საათზე კომენ-დატურის შენობის შესასვლელი ბლოკირებული ჰქონდათ „ადამონ ნიხასის“ 1500-2000-მდე აქტივისტს. ისინი მოითხოვდნენ საქართ-ველის გენპროკურატურის საქციის საფუძველზე ქ. ცხინვალში მცხოვრებ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ ალიხან ფუხაევის განთავისუფლებას. საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მანქანით საგუშაგოების შემოწმებიდან დაბრუნებულ მილიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლებს: მილიციის პოდპოლკოვნიკებს ბიჭიკო შოხაძესა და დავით რაფაგას სამხედრო კომენდატურასთან დახვ-დათ აგრძელულად განწყობილი ოსი ეროვნების ადამიანთა ჯაგუფი. მათ კომენდატურის შესასვლელში ფიზიკური და სიტყვიერი შეუ-რაცხოფა მიაყენეს და მძევლად აიყვანეს შსს მილიციის უმაღლესი სკოლის პოდპოლკოვნიკები ბ. შოხაძე და დ. რაფაგა. აგრძელულად განწყობილ ოს მოქალაქეებს შორის იყო დიმიტრი სანაკოვი (დღეს იგი ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორია-ზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმი-ნისტრაციის ხელძღვანელია). ალყაში მოაქციეს ჩვენი თანამშრომ-ლები, ჩაისვეს, მერსედესის „მარკის მსუბუქ მანქანაში, რომელსაც მართავდა ე.წ. ოლქის აღმასკომის თავმჯდომარის ძმისშვილი სლა-ვიკა. მიიყვანეს სოფელ ხეთაგუროვოს ხის სახერხ ქარხანაში, დაამ-წყვდიეს საყარაულოში და 2 ავტომატით შეიარაღებული მამაკაცი მიუჩინეს. ასე უნდა ჰყოლოდათ ა. ფუხაევის გათავისუფლებამდე. მოკვლითაც ემუქრებოდნენ. იმავე სალამოს ბ. შოხაძე და დ. რაფა-გა გადაიყვანეს ცხინვალის ცენტრში ნახევრადსარდაფის ტიპის კლუბარში. მძევლები გვიან ლამით შინაგანი ჯარის პოლკოვნიკმა ფოკინმა გაათავისუფლა და შემოვლითი გზით გორში ჩაიყვანა.

ახალი წელი ახლოვდებოდა. თბილისის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფი ცხინვალიდან გამოდიოდა. ქალაქის ცენტრ-ში მათ, არც ისე დიდი რაოდენობის ოსი ეროვნების ქალები დახვდ-ნენ და 17 ერთეული ავტომატი წაართვეს. ამ ამბავმა ჩვენი სასწავ-ლებლის მეოთხე კურსელები განარისხა და გივი კვანტალიანს ულ-ტიმატუმი წაუყენეს. ისინი სასტუმრო „ქართლში“, სადაც მილიციის უმაღლესი სკოლის იარაღი ინახებოდა, ავტომატებით შეიარაღდნენ და განაცხადეს: „რაც კანონით გვევალება განვახოციელოთ თუ არა

და აქედან წავიდეთ და ყველაფერი დავთმოთ“. გივი კვანტალიან-მა ბიჭები დააიმედა და შეპპირდა, რომ ყველაფერს მოევლებოდა. მოგვიანებით კი ყველაფერი დავთმეთ და ქართველი ხალხი ბედის ანაბარა მივატოვეთ. შიდა ქართლი მტრებს ჩავუგდეთ ხელში...

28 დეკემბერს, გალის ქუჩაზე კოლხურ კოშკთან ახლოს მდებარე „ინტურისტის“ ავტოფარეხიდან მილიციის უმაღლეს სკოლას 3 ერთეული ჯავშანტექნიკა „БРДМ“-ი გამოუყვანეს. მათ წამოსაყვანად მეოთხე კურსელები მივიდნენ და სამხედრო ტექნიკა გლდანში, მილიციის უმაღლესი სკოლის ეზოში გადაიყვანეს. ჯავშანტრანსპორტიორების გადაცემისას საქართველოს შს მინისტრი დილარ ხაბულიანი კურსანტებს დაპირდა, რომ იგი მათ გვერდით იქნებოდა. მინისტრმა თავისი დანაპირები როგორ შეასრულა, ამის შესახებ ქვემოთ მოგითხოვთ.

წინასაახალწლო მზადება დაწყებულია. შიდა ქართლის საოცრად კაცთმოყვარე და სტუმართმოყვარე ქართველობა, უკვე მესამე წელია ახალ წელს ისევ დაძაბული ხვდება. ქართული სულის გადასარჩენად ვერც ეროვნულმა ხელისუფლებამ იზრუნა.

გორის სასატუმრო „ქართლში“ მცხოვრები მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა ახალი წლის შესახვედრად სახლებში გაუშვეს. ამავე ბრძანებით, მე და სამაჩაბლოში მცხოვრები კურსანტები სოფ. თამარაშენში უნდა შევსულიყავით და ქართული სოფლების დასაცავად გვეზრუნა. შემოვიკრიბე პირველყურსელები: სოსო ბერუაშვილი, ვასილ ბაციკაძე, გია ბორცვაძე, გოჩა ბლიაძე, ბადრი გოგიძე, სპარტაკ მიდოდაშვილი, ზურაბ მინდიაშვილი, თემურ დათაშვილი, დავით ყაულაშვილი, მევლუდ ჯიოშვილი და ბათუმელი რევაზ ქარცივაძე, ასევე მეოთხეკურსელი მალხაზ დათაშვილი. ყველა ჩვენთაგანი შეიარაღებული ვიყავით „AKM“-ის სისტემის ავტომატური იარალით, 2-2- მჭიდრო. თუ ოსები თავს დაგვესხმოდნენ, ასეთი შეიარაღებით რას გავხდებოდით?! სოფელ თამარაშენში 29 დეკემბერს, დღისით შევედით. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი მონამეობრივი დღეების ათვლა, რაც მომდევნო წლის 5 იანვრამდე გაგრძელდა. 8 დღის განმავლობაში სოფ. თამარაშენიდან კეხვამდე ვპატრულირებდით ქართული სოფლების დასაცავად. უძილო ღამეებმა, უწყლობამ და უშუქობამ მძიმე დაღი დაასვა ჩვენს ყოფას. სულიერი და ფიზიკური დაძაბულობა შეგვეტყო, მაგრამ მაინც არ გავტყდით. ცხოვრებამ გამოცდა ჩაგვიტარა. დღის საათებში რიგრიგობით ვიძინებდით და სოფ. თამარაშენის უნივერმალთან კოცონთან ვთბებოდით. ისე გაიარა იმ დღეებმა, რომ არც შს და არც მილიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობას არ გავხსენებივართ.

საქართველოს შს სამინისტროს უმაღლესი სკოლის
ოფიცირთა და კურსანგთა საზოგადოებრივი წესრიგის
დაცვაში, დამნაშავეობის წინააღმდეგ პრძოლის ღო-
ნისძიებებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლი-
ანობისათვის ნარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის

გეოგრაფიული რუპა და მასშტაბები
1991 წ.

ცაგერი

ონი
საჩხერე

თამარაშენი

ცხინვალი

მეღვრიკისი

თელავი
გურჯაანი

ბორჯომი

ფოთი

გორი

ბაკურიანი

თბილისი

ქობულეთი

ბათუმი

ახალქალაქი

ნინოწმინდა



მახსენდება ცუდიც და კარგიც...

1991 წელი

„არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან და-
მალვით სენი კი არ რჩება, ძლიერდება, ხრნის
საზოგადოებრივ ორგანიზმს და სიკვდილს უზ-
ზადებს ერს“.

იაკობ გოგებაშვილი

ახალ წელს შიდა ქართლში, სოფელ თამარაშენში ლია ცის ქვეშ
შევხვდით. კურსანტები დიდი სიყვარულითა და აღტაცებით იხსე-
ნებენ ბავშვობაში სოფლად გატარებულ წლებს. აქებდნენ ადგი-
ლობრივ მოსახლეობას, სტუმართმოყვარე და სულიერად მტკიცე
ხალხია, შექმნილი მდგომარეობა აღელვებთ და ვერ აუტანიათო.
იხსენებენ სოფლის ისტორიას: ერთ დროს ცნობილი ქალაქი თა-
მარაშენი დაუარსებია თამარ მეფეს 1190 წელს. იქ მცხოვრებნი
ვაჭრობას მისდევდნენ. მე-12-13 სს. ჩრდილოეთ კავკასიონაც
მოდიოდნენ აქ სავაჭროდ, ქალაქად საუკუნე-ნახევარი იარსება.
იგი მინასთან გაუსწორებია ჯალალედინს რუსუდანის მეფობის
დროს.

ახალ წელს კურსანტების იჯახები შემოვიარეთ. ყოველ მათ-
განს მივულოცე 1991 წელი და ყველა ქართველს ამ მხარეში ოპტი-
მისტური და მომავლის რწმენის იმედით, ჰეშმარტებისაკენ სავალი
გზა დავულოცე. მძიმედ გადიოდა დღეები, მთელი ღამეები არ გვი-
ნებია. დღისით 1-2 საათით თვალს თუ მოვატყუებდით სოფლის სა-
ბავშვო ბაღში.

4 იანვარი თენდებოდა და მელვრიკისის მხრიდან წამოსული მი-
ლიციის კოლონა შემოვიდა ცხინვალში. ავტოსაგზაო საგუშავოზე
მდგარმა რუსეთის შინაგანმა ჯარმა შლაგბაუმი ანია და კოლონა
გაატარა. რუსეთის შინაგანმა ჯარმა ცხინვალის შესასვლელი მი-
ატოვა და ქალაქის ცენტრში გადაინაცვლა. იმავე დღეს შემოდის
ჩვენი სასწავლებლის პირადი შემადგენლობა. მილიციის უმაღლესი
სკოლის მეოთხეურსელები ქ. ცხინვალის მილიციის სამმართვე-
ლოში განლაგებულ სამხედრო კომენდატურაში რჩებიან ჯავშან-
ტრანსპორტიორების „БРДМ“-ის 2 ეკიპაჟით, რომლებიც დაკომპ-
ლექტებული იყო სასწავლებლის პირადი შემადგენლობიდან და „ავ-

დანელების” რიგებიდან. ამ დღიდან იწყება კომენდანტის საათით გათვალისწინებული ღონისძიებები. მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი სოფ. თამარაშენში განლაგდა. სასწავლებლის პირადი შემადგენლობა შეიარაღებული იყო ავტომატური იარაღით: AKM, AKC, ПК და РПК ტყვიამფრქვევით, ასევე ჩვენს განკარგულებაში იყო ერთი ჯავშანტრანსპორტიორი „БРДМ“-ი. მთელი რეგიონი დაყოფილი იყო საგუშაგოებად, რომლებიც ქართულ დასახლებებში იყო განლაგებული და სამხედრო კომენდატურის მიერ ოპერატორილი თვალსაზრისით ნომერაციით მოიხსენიებოდა. თამარაშენში განლაგებული მილიციის საგუშაგო სახელდებოდა № 10-ით, სადაც მილიციის უმაღლესი სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად იმყოფებოდნენ ბალდათის, ქუთაისისა და ვანის შე განყოფილებების თანამშრომლები. შტაბი № 10 განთავისებული იყო თამარაშენის საშუალო სკოლაში. შტაბს შსს წარმომადგენელი, მილიციის პოლკოვნიკი მერაბ ლუდუშაური ხელმძღვანელობდა.

მეორე დღეს, 5 იანვარს, იმატა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან წარგზავნილმა სამართალდამცავთა ძალებმა. ამის საპასუხოდ, „ადამონ ნიხასის“ ბოევიკებმა ცეცხლი გაუხსნეს ქართულ დასახლებებს. ე.წ. სამხრეთ ოსებმა საქართველოს ფაქტობრივად ომი გამოუცხადა. დაიღვარა სისხლი, იყო დაჭრილები და მოკლულები. ჯავაში შეყვანილი ოფიცერთა ჯგუფი ცხინვალში გამოიძახეს. თამარაშენში მდგომარეობა გართულდა, აქ მყოფი თანამშრომლები ექსტრემალურ პირობებში აგრძელებდნენ სამსახურს. იცავდნენ ქართულ სოფლებს ოსი ბოევიკებისაგან. ე.წ. ოლქის კომიტეტის შენობას იცავდა მე-8 პოლკის შინაგანი ჯარის ქვედანაყოფი პუზირინის მეთაურობით, რომელიც მოგვიანებით შსს ქვედანაყოფამ შეცვალა.

ცხინვალში, „შანხაის“ დასახლებაში, ქვემო ქართლის: გარდაბნისა და მარნეულის მილიციის თანამშრომლები ოსებმა ალყაში მოაქციეს. ყოფილ სამხრეთ ოსეთში მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა, ოსი ექსტრემისტების წამოწყებული საპრძოლო მოქმედებები სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. გახშირდა თავდასხმები საქართველოს შსს წარმომადგენლებზე. ოს სეპარატისტებს ისინი მძევლებადაც აჰყავდათ და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებასაც არ ერიდებოდნენ. ამ დღეებში ერთ-ერთ ქართულ სოფელში მდგარ თელავის შე განყოფილების თანამშრომლებს შორიახლოს დაფრენილი ვერტმფრენიდან გადმოსულმა შეიარაღებულმა ოსებმა ტაბელური „მაკაროვის“ სისტემის იარაღი აჰყარეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ.

სსრ კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩივის 7 იანვრის ბრძანებულებამ ძალადაკარგულად გამოაცხადა საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ილქის გაუქმებისა და ცხინვალსა და ჯავის რაიონებში საგანგებო წესების შემოღების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას დაავალა 3 დღის ვადაში გაეყვანა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ილქის ტერიტორიიდან შეიარაღებული ფორმირებანი სსრ კავშირის შსს შინაგანი ჯარების გარდა. ამ ბრძანებულებამ ოსები აღაფრთოვანა და საგანგებო ვითარების ზონაში თავდასხმები წამოიწყეს საქართველოს შსს თანამშრომლებზე. მართლმადიდებლური სამყაროს დიდ რელიგიურ დღესასწაულზე, შობის დღეს, ოსებმა ნამდვილი ნადირობა გამართეს შსს წარმომადგენლებზე. დაჭრეს 7 კაცი: მათგან 2 საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მ.გორბაჩივის ბრძანებულება ყოველგვარ მორალურ და იურიდიულ საფუძველს იყო მოკლებული. რეგიონში არ იყო არავითარი „შეიარაღებული ფორმირებანი“, გარდა ოსი ექსტრემისტებისა. ე.ნ. სამხრეთ ოსეთში კი შსს ქვედანაყოფები, როგორც ბრძანებით იყო გათვალისწინებული, პროფილაქტიკურ და ოპერატიულ-საგამოძიებო ლონისძიებებს ახორციელებდნენ რეგიონში ვითარების სტაბილიზებისათვის, ხოლო შსს შილიცის უმაღლესი სკოლის ოფიცრები და კურსანტები 1990 წლის 12 დეკემბრიდან განვაგრძობდით ცხინვალსა და ჯავის რაიონებში საგანგებო სიტუაციების წესების გამოცხადების შესახებ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.

მ. გორბაჩივის ბრძანებულებების საპასუხოდ, 8 იანვარს თბილისში, მთავრობის სახლის წინ გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. 9 იანვარს კი უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიამ მიიღო დადგენილება, რითაც სსრ კავშირის პრეზიდენტის 7 იანვრის ბრძანებულება არაკომპეტენტურად, არაკანონიერად იქნა ცნობილი. საქართველოს უზენაესი საბჭო აცხადებდა, რომ თუკი სსრ კავშირის შინაგანი ჯარი შეეცდება ცხინვალის რეგიონში მოქმედი ქართული მილიციის იქიდან გამოძევებას, ეს ქმედება ცენტრის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებად იქნება შეფასებულიო.

8-9 იანვარს „ადამიონ ნიხასის“ აქტივისტები განაგრძობდნენ ქართულ მილიციასა და ქართულ მოსახლეობაზე თავდასხმებს. სროლები ოსების მხრიდან არ წყდებოდა, შტაბის ხელმძღვანელობის ბრძანებით ჩვენ უფლება არ გვქონდა სროლითვე გვეპასუხა. შტაბში მისული კურსანტები, ავტომატური იარაღის ვაზნების გაცემას რომ ითხოვდნენ, შტაბის უფროსმა მერაბ ღუდუშაურმა უარით გაისტუმრა. შტაბის ფუნქციები ნოლამდე იყო დაყვანილი

და არ შესწევდა უნარი ეხელმძღვანელა თამარაშენში მყოფ მილი-ციის ქვედანაყოფებისათვის.

8 იანვარს, შუადღეს, სოფ. თამარაშენის შესასვლელთან, მე-10 საგუშაგოს სიახლოვეს ცხინვალიდან მომავალი ავტომანქანა გაჩერდა. იქიდან გადმოვიდა საქართველოს შს მინისტრი, სამო-ქალაქო ტანსაცმელში მსუბუქად გამოწყობილი (იგი თეთრი პე-რანგის ამარა მოპრანდა საგუშაგოზე). მას თან ახლდა წარსულში წარმატებული სპორტსმენი, ძიუდოისტი ჯიბილო ნიჟარაძე. მი-ნისტრი მოგვიახლოვდა, მიწაზე დაყრილი ავტომატური იარაღის მასრების დანახვაზე შესძახა: „რატომ ისკრით, ტყვიერს რატომ ხარჯავთ?! ამის საპასუხოდ ბრაზმორეულმა კურსანტებმა ლან-დღვა-გინებით უპასუხეს და ხმამაღალი ტონით შესძახეს: „ოსები გვესვრიან, გვხოცავენ და ჩვენ, შუბლი ხომ არ გინდა, რომ შევუშ-ვიროთ?“ მინისტრმა ხმა ვერ ამოილო და ფეხით განაგრძო შტაბის-კენ სვლა.

მის შემოსვლას თვალს ვადევნებდით მე და ჩვენი სასწავლებ-ლის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი, მილიციის კაპიტა-ნი გივი ქევხიშვილი. მინისტრმა გვერდზე ჩაგვიარა და შტაბისკენ წავიდა. გივიმ აღმშოთება ვერ დამალა ჯიბილო ნიჟარაძის უყუ-რადღებობით, რომელთანაც წლების მანძილზე იყო საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებში. უფთხარი, რომ არ უნდა სწყებოდა, ვინა-დან ეს თანამდებობის პირებისა და მათი ამალის უკურნებელი სე-ნია.

ცხინვალში ოსების ბარიკადები თავისუფალ გადაადგილება-ში გვიშლიდა ხელს. ბარიკადები უნდა აგველო. არადა, ცენტრიდან გათავსედებული ექსტრემისტები, თავისუფლად მოქმედებდნენ, ბარიკადებს ჩვენს თვალწინ აგებდნენ, შტაბი დაყრუებულ-დაბრ-მავებული იყო.

9 იანვარს საგუშაგოდან 150-200 მეტრში მოაყენეს ამწეკრანი და სინკარებით დატვირთული მანქანა და ქუჩის გადაკეტვა და-ინყეს. ოფიცერთაგან ვერავინ ითავა ამის აღკვეთა. რამდენიმე წუთი გაოგნებული შევცეკეროდით ერთმანეთს. მოთმინების ფი-ალა აგვევსო. წინ წავედი და კურსანტებიც გავიყოლიე. სროლა-სროლით გავაქციეთ ამწესა და სატვირთო მანქანის მძლოლები. დავინდეთ, არ მოვკალით. გზა სინკარებისაგან გავწმინდეთ და ამწეს საპულტე მექანიზმიც დავაზიანეთ. იმ ღამეს საგუშაგოს ახ-ლა თვითმცლელი მოადგა, ის იყო სინკარები უნდა ჩამოეყარა 8 ივნისის ქუჩაზე, რომ პოსტზე ჯავშანტრანსპორტიორ „БРДМ“-ში მყოფმა მსროლელს ვუბრძანე რამდენჯერმე ესროლა საბურავებ-ში. მძლოლი, ოსი აქტივისტი ამჯერადაც დავინდეთ, გაქცევის სა-

შუალება მივეცით. თვითმცლელი „БРДМ“-ის მეშვეობით ტროტუ-არზე ავაგდეთ.

ეს გამოწვევა საქართველოს შსს-ზ სათანადო შეფასების გა-რეშე დატოვა. შსს ძალები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ჩამოერთმიათ აღვირახსნილი ექსტრემისტებისათვის დიდი რაო-დენობით დაგროვილი იარალი, ან როგორ შექლებდნენ ამის გაკე-თებას, როცა შსს მუშაკები არ იყვნენ ამისთვის მზად; არც სათანა-დო შეიარაღება ჰქონდათ და არც სამინისტროს ხელმძღვანელობა იყო დაინტერესებული ამით. ხოლო ერთადერთ შენაერთს – შსს მილიციის უმაღლეს სკოლას, რომელსაც შეიარაღებაში ჰქონდა 3 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი, ავტომატები და ტყვიამფრქ-ვევები, საგუშაგოდან გასვლის უფლებას არ აძლევდნენ. როგორ უნდა გავმიღავებოდით ექსტრემისტებს, რომლებიც კარგად იყვნენ შეიარაღებული რუსების მიერ?! ამაში გვიან დავრწმუნდით, როცა ქართულ საგუშაგოებს ოსები უკვე რაკეტებს ესროდნენ.

საგულისხმოა, რომ რეგიონში საგანგებო ნესების შემოღება, რაც საკავშირო ორგანოების მიმნებებლობით იყო გამოწვეული, სათანადოდ არ ხორციელდებოდა. ამით სარგებლობდნენ ოსი ექს-ტრემისტები და თავს ესხმოდნენ მილიციის საგუშაგოებს.

სასწავლებლის ოფიცირების ერთი ნაწილი და მე-4 კურსელები ქ. ცხინვალში იდგნენ. მილიციის მაიორები: იური დიაჩკოვი-დუმ-ბაძე, დავით ჩაგუნავა და იგორ კლესტოვი იური დიაჩკოვი-დუმბა-ძის კუთვნილი „გაზ-24“ მარკის ავტომანქანით დიდი რისკის ფასად ცხინვალიდან თამარაშენისკენ პატრულირებდნენ.

რეგიონში ოსი ექსტრემისტები და ჩრდილოეთ ოსეთიდან შე-მოსული ბოევიკები აქტიურობდნენ. შინაგანი ჯარის დანაყოფებს მეთაურობდა პოლკოვნიკი ვ. პუზირინი (რუსეთის ჯარების ოპერა-ტიული სამსახურის უფროსი). იგი, მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის, გენერალ-მაიორ გივი კვანტალიანის, ცხინვალის კომენ-დანტის იზოლირებას შეეცადა, მაგრამ ეს ცდა უშედეგო გამოდგა. მეოთხეურსელები არ დანებდნენ და გივი კვანტალიანს მოუწია ცხინვალის კომენდანტის უფლება-მოვალეობების შესრულება.

შსს მილიციის უმაღლეს სკოლაში, 10 იანვარს შტატები გაუქ-მდა. ხელახალი დანიშნულები თანამშრომელთა დაუსწრებლად გაი-მართა, რადგან ოფიცერთა შემადგენლობა შიდა ქართლში იყო მო-ბილიზებული.

11 იანვარს, დამით, ცხინვალის მილიციის სამმართველოს შე-ნობაში განლაგებულ კომენდატურაში მოვიდა შეტყობინება ქ. ცხინვალის ცენტრში მდებარე ერთ-ერთ ბინაზე ყაჩალური თავ-დასხმის შესახებ. ყაჩალთა სალიკვიდაციოდ გივი კვანტალიანმა

გამოყოფილი მეოთხე კურსელთა შემადგენლობიდან. ადგილზე ავტობუსით მისულთ, შენობიდან ექსტრემისტებმა ცეცხლი გაუხსნეს ავტომატებიდან და მსხვილ კალიბრის ტყვიამფრქვევებიდან (ეს ხაფანგი აღმოჩნდა). ორმხრივი სროლისას თავის არეში ძიმედ დაიჭრა მეოთხე კურსელი ვლადიმერ (ზაზა) ლობუანიძე. კურსანტებთან ერთად იყო მილიციის უმაღლესი სკოლის წინა წლის კურსდამთავრებული, თბილისის ისნის რაიონის მილიციის რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი ზურაბ გოგიაძე მისვილი, დედისერთა, რომელსაც მტრის მიერ ნასროლმა ტყვიამ სიცოცხლე მოუსწრავა. ზაზა ლობუანიძე და ზურაბ გოგიაძე მისვილი ცეცხლის ხაზიდან მილიციის მაიორმა ვიქტორ ნიკოლაიშვილმა გამოიყვანა. თავში დაჭრილი ზაზა ლობუანიძე სოფელ ტირძნისში განდაგებულ სამხედრო-საველე ჰოსპიტალში გადაიყვანეს. აქ მოჰყავდათ ბოევიკების მიერ დაჭრილი თანამშრომლები. ზაზა ლობუანიძე 18 იანვარს გარდაიცვალა. მისი ცხედარი მილიციის უმაღლესი სკოლიდან გამოვასვენეთ. ათასობით ადამიანი მივიდა გმირულად დალუპული კურსანტის გასაცილებლად.

გამოსვენებას ესნრებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. მეოთხე კურსელები ემშვიდობებოდნენ მეგობარს, თანამებრძოლს, რომელთანაც 4 წლის განმავლობაში ბევრი მძიმე დღე ჰქონდათ გადატანილი.

ოსი ექსტრემისტები არ ცხრებოდნენ. დაძაბულობა 7 იანვრიდან ფეთქებადი გახდა, რამაც ომი გამოიწვია. 13 იანვარს, საღამოს კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ, გორიდან თამარაშენში ჩვენი სასწავლებლის მეორეკურსელებს: ვეფხია გოგიას, გია ბიძინაშვილს, ლევან ცისკარიშვილს, კობა ოთანაძეს, გია ცელაძეს, კახა ადამიას და ვასილი ტრაპაიძეს „კავზის“ მარკის ავტობუსით მოჰქონდათ საქართველოს არენდატორთა, აქციონერთა და თავისუფალ მეწარმეთა კავშირის ინიციატივით მილიციის დახმარების ფონდის მიერ გამოყოფილი სურსათი. 8 ივნისის ქუჩის ნახევარიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ თავს ოსი ბოევიკები დაესხნენ. მათ ჯერ ხელყუმბარები ესროლეს ავტობუსს, შემდეგ ავტომატების ჯერით დაცხრილეს. ავტობუსმა დაკარგა მართვა და გადაბრუნდა, ავტობუსიდან გადმოსულმა კურსანტებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. ეს შეტაკება რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. ლევან ცისკარიშვილმა მოახერხა ცხინვალის შესასვლელთან საგზაო ინსპექციის საგუშავოსთან მისვლა და იქ მყოფ შინაგანი ჯარის სამხედროს, რუს ლეიტენანტს დახმარება სთხოვა. ჯავშანტრანსპორტიორში მჯდომმა ლეიტენანტმა გულისხმიერება გამოიჩინა (ეს გამონაკლისი შემთხვევა შემდგომში აღარც განმეორებულა), ადგილზე მი-



მეოთხე კურსელი ვლადიმერ (ზაზა) ლობჟანიძის საქართველოს შსს
მილიციის უმაღლესი სკოლიდან გამოსვენება.



ვლადიმერ ლობჟანიძის პანაშვიდზე შსს უმაღლეს სკოლაში მოვიდა
საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.



სოფელი თამარაშენი 1991 წლის იანვარი

წინა რიგებში სხედან (მარცხნიდან მარჯვინ) კურსანტები: ნოდარ გავაშელიშვილი, ვასილი ბეგლარიშვილი, ლევან ცისკარიშვილი, ზაზა ბუთხუზი, ნოდარ აკოფაშვილი, კოტე შორუშოლიანი, ეპიტანი შოთა ბი-თაძე, ემზარ ქურდაძე, ზურაბ მინდიაშვილი; დგანან (მარცხნიდან მარჯვინ) კურსანტები: იოსებ ბერიაშვილი, გიორგი ჯავახიშვილი, გენადი თავართექილაძე, ზურაბ გამეზარდაშვილი, გია ბიძინაშვილი, გოჩა ხვე-დელძე, ლევან ჭულუხაძე, გიორგი ლეზავა, გოჩა მიქიაშვილი.

სულმა „БТР“-მა ტყვიამფრტვევიდან რამდენჯერმე გაისროლა და ბოევიკები იქაურობას გაეცალნენ. კურსანტები უგნებლად მივიღ-ნენ დისლოკაციის ადგილზე, თამარაშენში.

სროლები შემდგომ დღეებშიც გრძელდებოდა, მაგრამ შსს ხელ-მძღვანელობა არავითარ ზომებს არ იღებდა. „კონსტიტუციური წესრიგის“ ალდეგენა არ ხერხდებოდა. მილიციას არ ძალუძა ამის გაკეთება, აქ საომარი მდგომარეობაა და საომარი ოპერაციების ჩა-ტარება სამხედრო ხელოვნებას მოითხოვს, საქართველოს ჯარი არ ჰყავდა, ვისაც ეს ოპერაციები უნდა ჩაეტარებინა.“

17 იანვარს ცხინვალში მდებარე ლიახვის ხიდზე ექსტრემისტე-ბი აფეთქებენ ავტომანქანა „მოსკვიჩს“, რომელშიც ისხდნენ მილი-ციის თანამშრომლები.

22 იანვარს, შუადღეს ექსტრემისტებმა ქალაქის ყველა კუთხი-დან ცეცხლი გაუხსნეს მილიციის საგუშაგოებს, ისროდნენ ყუმბარ-მტყვორცნებიდანაც. მეორე დღეს 23 იანვარს მე-10 პოსტზე (საგუ-შაგოზე) თამარაშენში ჯავახანტრანსპორტიორ „БРДМ“-ში პირველ-კურსელებთან: სოსო ბერიაშვილთან, ვალო ბერიძესთან, ედიშერ

3ლადიმერ (ზაზა) ლოპჩანიძე

1965-1991



ზაზა ლოპჩანიძე დაიბადა 1965 წლის 5 იანვარს ქ. თბილისში. იგი მშობლებმა 8 წლის ასაკში შეიყვანეს ქ. თბილისის 87-ე საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლას აფრიცელებს მოსე თორიძის სახელმობის № 11 სამუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, მხატვრული და საიუველირო ნივთების სტეციალობით, რომელიც დაამთავრა 1983 წელს. 1983-1985 წლებში მსახურობდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საჰაერო სადესანტო ნაწილში. ზაზა სადესანტო სტეციკებულთან ერთად იმყოფებოდა ავღანეთში. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილი ზაფირის შემდეგ მუშაობას იწყებს ტელევიზორების ქარხანა „ქერანი“ მუშის თანამდებობაზე.

ზაზა ბავშვობაში გატაცებული იყო სპორტით. ვარჯიშობდა ჭიდაობა ძიუ-დორში, შემდეგ კრიკეტი გაიტაცა. მოგვიანებით ზაზა აღმოსავლეური ორთაბრძოლით დაიხტერესდა. თანატოლებში გამორჩეული ბავშვი იყო თავისი სპორტული მონაცემებით, თავისუფალ დროს წიგნის კითხვით იყო დაკავებული.

ზაზას სურვილი იყო მუშაობა დაწყური შინაგან საქმეთა ორგანოებში და ეს სურვილი რეალურად აქცია. იგი 1986 წელს მუშაობას იწყებს ქ. თბილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის შეს სამმართველოში სახელმწიფო და სასწავლო დაწესებულებების დაცვის მიღწეულით აბარებს გამოცდებს სსრ კავშირის შეს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე. სწავლის პერიოდში ზაზა ხასიათდებოდა როგორც თავდადებული, შრომისმოყვარე, დისციპლინირებული კურსანტი. პროფესორ-მასახავლებელთა და კურსანტთა შორის სარგებლობდა დიდი პატივისცმითა და სიყვარულით. სწავლასა და შრომაში მიღწეული ნარმატეტის სტანდარტული მიღწეულის მიერ. აქციურ მონაწილეობ-



ბას იღებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და ეროვნულადათშორისი კონფლიქტების მოგვარების ომხისიერებებში მარნეულის, დმანისისა და ბოლნისის რაიონებში.

1990 წლის 12 დეკემბრიდან თბილისის ფაქტულტეტის პირადი შემადგენლობა კურსანტებთან ერთად მივლინებული იქნება ქ. ცხინვალში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, მათ შორის ზაზა ლობუანიძეც. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 1991 წლის 11 იანვარს ზაზასათვის საბეჭისწერო აღმოჩნდა. იგი ოსი ექსტრემისტების მიერ ნასროლ ტყვიას ემსხვერპლა. თავის არეში მძიმედ დაჭრილი ზაზა ვორის საავადმყოფოში 1991 წლის 18 იანვარს გარდაიცვალა.

ზაზას დედა ქალბატონი ვენერა საყვარელი შვილის დაკარგვით გამოწვეული დარღითა და ტკიფილით იხსენებს: „ზაზას უყვარდა ისტორიული წიგნების კითხვა, გატაცებული იყო ბრძოლის თემაზე გადაღებული ფილმებით, ვარჯიშობდა კრიგსა და კარატეში. სკოლის ასაკში დადიოდა ცეკვაზე, თავისუფალ დროს ხატვითა და ნიგნის კითხვით იყო დაკავებული. ზაზას გაუტეხელ ხასიათზე მეტყველებს მშობლებისადმი მიმართული სიტყვები, რომელიც ზაზამ ტერიტორიული მთლიანობისათვის ნარმოებულ ბრძოლებში ქ. ცხინვალში გამგზავრების წინ ნარმოთვა: „ბიჭებს ვერ ვუღალატებ, სიტყვას ვერ გავტე“.

ზაზა ლობუანიძეს ოჯახში დარჩა მეუღლე – ნინო მაისურაძე და შვილი დათო ლობუანიძე დედა – ვენერა მუხულიშვილი და მამა ალექსანდრე (კობა) ლობუანიძე.

ზაზა ლობუანიძეს საქართველოს შეს 1997 წლის 1 დეკემბერს № 694 კუბრძნებით მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის სპეციალური „პოლიციის ლეიტენანტის“ წოდება (სიკვდილის შემდეგ) მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შეს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე, მისი სახელი მიენიჭა შეს აკადემიის მეოთხე კურსის IV ოცეულის პირველ ათეულს.

კლადიმერ (ზაზა) ლობუანიძეს გვარი და სახელი ამოტვიფრულია ქ. თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზეც.

ზაზას ოჯახი მის დაბადების დღეს ყოველწლიურად იხდის, ეს ტრადიცია მომავალშიც გავრძელდება.

შენი სახელი უკვდავია ზაზა!



ხიდაშელთან, როინ ჯანიაშვილთან და დავით წერიალაშვილთან ყოფნის დროს მიმღებ-გადამცემ „ვიოლა“-ში მოვისმინეთ ცხინვალის ქალაქის საბჭოში მილიციის თანამშრომლის განწირული ხმა, – შველას ითხოვდა ექსტრემისტების მიერ ქალაქის საბჭოს შენობის მიმართულებით ინტენსიური სროლის გამო. მივიჩნიეთ, რომ მათი თხოვნა ყურად არავინ ილო და გადავწყვიტეთ ჯავშანტრანსპორტიორით შეესულიყავით ცხინვალში. 8 ივნისის ქუჩის ერთ-ერთ გადაკვეთაზე, ფარებანთებული „ლაზის“ მარკის ავტობუსი იდგა. იგი ოსებს სპეციალურად გაეჩერებინათ გზაზე მოძრაობის გასაკონტროლებლად. ავტობუსი მწყობრიდან გამოვიყვანეთ და ქალაქის საბჭოსკენ განვაგრძეთ მოძრაობა. სანამ ჩვენ ქალაქის ცენტრს მივუახლოვდებოდით, თამარაშენში ოსმა ბოევიკებმა 3 უმართავი „ნურსის“ ტიპის რაკეტა ჩამოაგდეს, იქ მყოფი მილიციის თანამშრომლები დაბნეულები იყვნენ. იმ ღამეს ოუსული შინაგანი ჯარის ჯავშანტრანსპორტიორი არ პატრულირებდა, ალბათ მოლაპარაკებულები იყვნენ ოს ექსტრემისტებთან.

მილიციის სამმართველოსთან მისულებმა შევნიშნეთ მსუქანი მილიციის მაიორი „მაკაროვის“ სისტემის იარაღიდან როგორ ესროდა ლამპიონებს. მის გვერდით კი შე მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე იდგა. მაიორს ნაბრძანები ჰქონდა ლამპიონების ჩაქრობა, რათა ექსტრემისტებისათვის იოლი სამიზნები არ ყოფილიყვნენ. „БРДМ“ გავაჩერე, ლუკიდან ამოვედი და რომან გვენცაძეს მოვახსენე: „მე მილიციის უმაღლესი სკოლის კაპიტანი ვარ და ქალაქის საბჭოსკენ მივდივარ დახმარების აღმოსაჩენად“. მოხსენება დავამთავრე, მინისტრის მოადგილეს სიტყვის თქმა არც კი აცალა, მილიციის სამმართველოს მხრიდან წამოსულმა მილიციის კაპიტნის სამხრეებიანმა ოფიცერმა: „ბატონი შოთა მომმართა – თქვენ ხართ“ და დაამატა: „დილარმა მითხრა, „БРДМ“-ით შემოსულს უთხარი, ქალაქის შემოსასვლელთან, საგზაო ინსპექციის პოსტზე, ექსტრემისტები ისვრიან და მილიციას მიეხმაროს“. მილიციის კაპიტანს გელა გელაშვილს გაოცებულმა შევხედე (იგი ჩემი ყოფილი პატიმარი იყო. მას „ყაჩალას“ სახელით იცნობდნენ. მილიციის სკოლაში გადმოსვლამდე შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს სისტემაში ვმუშაობდი და გელა გელაშვილი ჩვენი მსჯავრდებული იყო), მის უკან, მილიციის სამმართველოს შენობის გასწვრივ ნაძვებში 6-8 ჯავშანტრანსპორტიორი შევნიშნე და გელას ვუთხარი: „ეს „БРДМ“-ები რის მაქნისები არიან, რატომ დგანან?“ მივხვდი, რომ გელა პასუხს ვერ გამცემდა, ჩავდერი ჩვენს „БРДМ“-ში და ქალაქის საბჭოსკენ წავედით. სულ 150-200 მეტრი გავიარეთ და ქალაქის საბჭოსთან შევჩერდით. ჯავშანტრანსპორტიორის ნინ გა-

სახედ მინას ლითონის სქელი დამცავი ფარი ჩამოვაფარეთ. გამოვალე გვერდითა ამბრაზურა (ეს იმიტომ, რომ „БРДМ“-დან ამოსვლა შეუძლებელი იყო სროლების გამო) და საბჭოს კართან მდგარ ოფიცერს ვკითხე: საიდან ისვრიან-მეთქი. ხეივნის მხრიდანო, მიჰასუხა. სამხედრო მანქანით შევედით ხეივანში (ნაძვნარში), პროუექტორი მივანათეთ საბჭოს უკან მდებარე ტერიტორიას. ექსტრემისტებმა თუ ოსმა აქტივისტებმა ჩვენი ჯავშანტრანსპორტიორის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს ტყვიამფრქვევებიდან, ავტომატებიდან. ჩაგვიქრეს პროუექტორი. ტყვიამფრქვევთან მჯდომ კურსანტის მივმართე: „შენ იცი, რომ ტყვიის წილ ბამბას არავინ ისვრის, სწრაფად მომართე (ПКВТ) ტყვიამფრქვევი და პერიმეტრისკენ გაისროლე. სროლები 4-6 წუთს გაგრძელდა. გამოვბრუნდით. საგზაო ინსპექციის პოსტზე მისულებს შენობა ჩაბნელებული დაგვხვდა. მიღლიციის თანამშრომლები, პოსტის წინ მდგარ „უიგულის“ მარკის ავტომანქანების ქვეშ მნოლიარენი ემალებოდნენ ტყვიებს. მათგან გავიგეთ, რომ ოსები ესროდნენ პოსტის ზემოდან, რესტორნის მხრიდან. საგზაო ინსპექციის შენობას ზემოდან მოუჟარეთ, შევედით ნაძვებში, სადაც ნისლი იყო ჩამოწლილი და სროლა გაუხსენით მტრებს.

დილით, ჯავშანტრანსპორტიორის დათვალიერებისას, ვნახეთ, რომ უამრავი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. იმის გამო, რომ საგუშა-გო მივატოვე და მიღლიციის თანამშრომლებს დახმარება აღმოვუჩინე, მიღლიციის უმაღლესი სკოლის უფროსმა გივი კვანტალიანმა ჯავშანტრანსპორტიორს ჩამომაცილა, „БРДМ“-ში კი სხვა ჯგუფი გამოყო, რომელიც შემდგომში კავშირს ამყარებდა ცხინვალის კომენდანტურასთან. ერთ-ერთი რეიდის დროს, 25 იანვარს, ოსმა ექსტრემისტებმა „БРДМ“-ი ააფეთქეს და ეკიპაჟის წევრებმა: კაპიტანმა დათო აჭარაძემ, მეორე კურსელებმა: ლადო იმედაშვილმა, ლევან ცისკარიშვილმა და ნუკრი მარშანიშვილმა კონტუზია მიიღეს. სავარაუდოდ, შსს ხელმძღვანელობას ქართული მოსახლეობის ამოხოცვა ჰქონდათ დავალებული. აბა, მათ უმოქმედობას რა დავარქვათ?

ცხინვალის კომენდანტურასთან კავშირის დასამყარებლად და ქალაქის შემოსასვლელიდან მიღლიციის რაიგანყოფილების თანამშრომელთა შესაცვლელად მოსული ჯგუფების ქალაქში უსაფრთხლოდ გადასაადგილებლად რამდენჯერმე მოგვინია თამარაშენიდან გასვლა. იანვრის შუა რიცხვებში ერთ-ერთი ასეთი გასვლისას ქალაქის შესასვლელთან შესაცვლელად მოსული მიღლიციის განყოფილების თანამშრომლებით სავსე ავტობუსი ცხინვალში სროლის გაგონებისთანავე უკან გაბრუნდა. აბა, ამას რა გამართლება მოეძებნება?! აქვე, საგზაო ინსპექციის შენობასთან მდგარ-

მა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა მოქალაქემ, რომელიც უშიშროების პოლკოვნიკ მალხაზ გაგუად გამეცნო. მთხოვა, გამეყვანა ცხინვალის კომენდანტურაში. იგი ჯავშანტრანსპორტიორით გავიყვანეთ და თამარაშენში დავბრუნდით. შთაბეჭდილება, რომელიც თავიდანვე შემექმნა ახლადგაცნობილ პოლკოვნიკ მალხაზ გაგუას მიმართ, შემდგომმა დღეებმა გაამყარა. ის ქართულ სოფლებში უშიშრად გადაადგილდებოდა და შემდგომ ცხინვალში ბრუნდებოდა.

მოგვიანებით ამოქმედდა სსრ კავშირის პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების მესამე პუნქტი: „3 დღის ვადაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნეს შეიარაღებული ფორმირებანი, სსრ კავშირის შს შინაგანი ჯარების გარდა“. ცხინვალის რეგიონიდან თებერვლის დასაწყისში გამოგვიყვანეს და ეს მილიციის უმაღლეს სკოლაში მეორე სემესტრის დაწყებას დაუკავშირეს, ხოლო შს რაიონული განყოფილებების მილიციის თანამშრომლები ფორმალურად იდგნენ ქართულ სოფლებში. მ. გორბაჩივის ეს ბრძანებულება ცენტრის მიერ საქართველოს ოკუპაციას წინავდა. საქართველოს ხელისუფლებას კი არ ძალუქდა წინააღმდეგობა გაეწია ცენტრის მიერ დაკანონებულ უკანონობას.

საქართველოს ხელისუფლებას ამ პროცესის შესაჩერებლად საყრდენი ძალა არ გააჩნდა. მან ისიც ვერ გაითვალისწინა, რომ ომი მილიციის საქმე არ არის. ქართული არმია ჩამოყალიბების პროცესში იყო და სსრ კავშირის ჯარის წინააღმდევ მაინც ვერას გავხდებოდით.

მილიციის უმაღლეს სკოლაში მეორე სემესტრი 8 თებერვალს დაიწყო. კურსანტთა დიდი ნაწილი სასწავლებელში არ ცხადდება. სასწავლო პროცესი ჩაშლის პირასაა, კურსის უფროსები დიდი გაჭირვებით უყრიან თავს აუდიტორიებში კურსანტებს. მიმდინარეობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მეცადინეობები, მაგრამ ამას დროებითი ხასიათი ჰქონდა. ისევ მივლინებები, ისევ ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობა. სასწავლებლის პირადი შემადგენლობის ერთი ნაწილი 20 მარტიდან განსაკუთრებულ განკარგულებამდე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მივლინებულია ქარელის, გორისა და ბორჯომის რაიონებში. ათი სამაჩაბლოები კურსანტი ერედვის შს განყოფილებაში აგრძელებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

მას შემდეგ, რაც წინაგანი ჯარის ნაწილები ჯავშანტრანსპორტიორებით შევიდნენ ქართულ სოფლებში და განიაღეს იქ მყოფი საქართველოს მილიციის თანამშრომლები და, ფაქტობრივად,

გამოდევნეს ისინი იქიდან, ქართული მოსახლეობა დაუცველი აღ-მოჩნდა. მათ ერთი გზალა ჰქონდათ დარჩენილი – მიეტოვებინათ საცხოვრისი მამა-პაპისეული სახლები და გარიდებოდნენ იქაურობას.

ესეც ჩვენი ბედის ირონია. ჩვენს მამულში იდგნენ ერთ ალი-ანსში რუსის ჯარი და ოსი ბანდიტები და ქართველებს უშლიდნენ გადაადგილებას, მეგობარ-ნათესავებთან მისვლა-მოსვლას. ოსი ექსტრემისტების მხეცურ ნამოქმედარს საზღვარი აღარ უჩანს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ერედვი-თამარაშენის გზაზე პირველკურსელი თემურ დათაშვილი სეპარატისტების მსხვერპლი ხდება. მას სეპარატისტების მიერ ნასროლმა ტყვიამ გული გაუგმირა 5 აპრილს. ამ დღეს ინტენსიური სროლები არ წყდებოდა ქართული სოფლების მიმართულებით. ოსმა ექსტრემისტებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი დაუშინეს, რაკეტები ესროლეს სოფელ თამარაშენსა და ყორნისის რაიონის სოფელ ავნევს.

თბილისში მძიმე ოპერატიული მდგომარეობა იყო. ამიტომ შს სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, 10 აპრილიდან თბილისის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებთან ერთად, მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა მონაწილეობს ქალაქში ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებში, სახელ-დობრ, მცხეთის, ავჭალის მხრიდან, ფონიჭალაში, კახეთის გზატკეცილზე. „კოლხურ კოშკთან“ გაიხსნა № 1 საგუშაგო საქართველოს პირველი პრეზიდენტის დასაცავად. ამ საგუშაგოზე სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გამოიყო მილიციის უმაღლესი სკოლის 10 კურსანტი.

ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში ხშირი მონაწილეობისა და ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, ზოგიერთ კურსანტს ნერვებმა უმტყუნა, თავი იჩინა უდისკიპლინობამ. ამის მაგალითა, მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის 1991 წლის 19 აპრილის № 37 პ/შ ბრძანება, რომლის საფუძველზეც, სასწავლებლის სპეცდანიშნულების ასეულის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მოხდა ცვლილება. ეს გამოწვეული იყო სპეცასეულში დისციპლინის მომლით, კურსანტებისა და ოფიცრების უპასუხისმგებლობით, რაც გამოიხატა სპეცდანიშნულების ასეულის 25 კაციანი ჯგუფის მიერ, რომელიც მივლინებულ იქნა გორის რაიონის სოფელ მელვრიკისში, სპირტიანი სასმელების მიღებაში. 14 აპრილს დამის 21-22 საათზე სპირტიანი სასმელები მიიღეს მეორკურსელებმა: კურცხალიამ, შაიშმელაშვილმა და ტრაპაიძემ. ტრაპაიძემ სოფლის საბჭოს შენობაში ტყვიამფრქვევიდან ატეხა სროლა. შედეგად, დაიჭრა 2 კურსანტი: შახნაზარიანი და ლამბაშიძე. დაჭრილები გორის საავადმყოფოში



თემურ დათაშვილი

1967-1991

სამაჩაბლოს ძირძეველ ქართულ მინაზე მტერი არ ისვე-ნებდა. მას შორს მიმავალი აზრები ანუხებდა: ქართველი ხალხის კანონიერი მოთხოვნების – თავისი სამშობლოს ტე-რიტორიული მთლიანობისათვის დაცვის პასუხად, ოსმა ექ-სტრემისტებმა, რომლებსაც რუსეთის იმპერიის სამხედრო ძალები მხარს უჭირდნენ, საქართველოს თმი გამოუცხადეს. საქართველოს მინაზე, ჩვენსავე სახლში, იღვრებოდა უდანა-შაულო ადამიანების სისხლი. იმხანად სამაჩაბლოში დატრი-ალებულმა მოვლენებმა სამაჩაბლოში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებს, მათ შორის თემურ დათაშვილს, გადააწყვე-ტინა ჩაებარებინა მილიციის უმაღლეს სკოლაში.

თემურ დათაშვილი დაიბადა 1967 წლის 14 აპრილს სამა-ჩაბლოში, სოფელ თამარაშენში. შვიდი წლის თემური მშობ-ლებმა სოფ. თამარაშენის რვანტიან სკოლაში შეიყვანეს. არასრული კურსის დამთავრების შემდეგ თემური სწავლას აგრძელებს ქ. ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლაში. სკოლის სრული კურსის დამთავრებისთანავე იგი გაინვიეს სამხედ-რო სავალდებულო სამსახურში, საიდანაც 1987 წელს დემო-ბილი ზებულ იქნა. თემური მშობლიურ სოფელს უბრუნდება და მუშაობას იწყებს ქ. ცხინვალის ხყალთა მუზეუმის სამ-მართველოში. თემური ოცნებობდა უმაღლესი ტექნიკური განათლების მიღებაზე, მაგრამ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისთანავე და ტე-რიტორიული მთლიანობის დაცვის აუცილებლობამ გადააწყ-ვეტინა ჩაებარებინა მილიციის უმაღლეს სკოლაში და შედევ-მაც არ დააყოვნა.

თემური 1990 წლის აგვისტოში წარმატებით აბარებს მი-საღებ გამოცდებს სსრ კავშირის მოსკოვის მილიციის უმაღ-



ლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის სამართალმცოდნე-
ობის სპეციალობაზე. თემური, თავის თანაკურსელებსა და
თბილისის ფაკულტეტის პირად შემადგენლობასთან ერთად
სასწავლებელში ჩარიცხვის დღიდან, მონაწილეობს ქ. თბი-
ლისში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში.
1990 წლის 12 დეკემბრიდან კი მილიციის უმაღლესი სკოლის
პირად შემადგენლობასა და კურსანტებთან ერთად, თემური
თავის საყვარელ სამაჩაბლოში იცავს ქართულ მოსახლეობას
ოსი ექსტრემისტებისა და გადამთილი „ბოუვიკების“ თავ-
დასხმისაგან. თავის მხარეზე უსაზღვროდ შეყვარებული,
გატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობისას თემური შეუ-
პოვრობითა და შემართებით გამოიჩინა.


სულ რამდენიმე თვე ატარა თემურ დათაშვილმა კურსან-
ტის ფორმა. პირველი კურსის კურსანტი თავის ბიძაშვილთან
ერთად ოსი ექსტრემისტების მიერ განხორციელებულ თავ-
დასხმას შეენირა აპრილის თვეში.

თემურ დათაშვილს ოჯახში დარჩა მამა – ვიორგი დათაშ-
ვილი, დედა – დარეჯან ტატიშვილი-დათაშვილისა, და – ნინო
დათაშვილი.

თემურ დათაშვილს საქართველოს შსს 1997 წლის 1 დეკემ-
ბრის № 694 პ/შ ბრძანებით მიენიჭა მეთაურთა შემადგენლო-
ბის, პოლიციის ლეიტენანტის სპეციალური წოდება (სიკვდი-
ლის შემდეგ). მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრუ-
ლია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს
ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე.
მისი სახელი მიენიჭა შსს აკადემიის პირველი კურსის მესამე
ოცეულის მეორე ათეულს.

თემურ დათაშვილის გვარი და სახელი ამოტვიფრულია ქ.
თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთი-
ანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, თემურ!



გადაიყვანეს. მეორეკურსელები გაირიცხნენ მილიციის უმაღლესი სკოლიდან და დათხოვნილ იქნენ შს ორგანოებიდან. ხელმძღვანელობის გამოეცხადათ საყვედური.

რაც დრო გადიოდა ლონისძიებებში მონაწილეობა სულ უფრო აუტანელი ხდებოდა, ოფიცირებშიც და კურსანტებშიც იყლო საშემსრულებლო დისციპლინამ, საბრძოლო შემართება ქრებოდა. ეს აიხსნებოდა იმით, რომ მილიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობა ხან ერთ ლონისძიებაში ჩართავდა სასწავლებლის ჯგუფს, ხან – მეორეში, ხან – მესამეში და ასე დაუსრულებლად. საერთოდ, კველა ლონისძიება დიდ ბასუხისმგებლობას მოითხოვდა. მთავარმა, შიდა ქართლში ქართული მოსახლეობის გვერდში დგომამ და დახმარების აღმოჩენამ მეორე, მესამე პლაზე გადაინაცვლა. შიდა ქართლის მოსახლეობა და, მათგან ჩვენი სასწავლებლის სამაჩაბლოელი კურსანტები დაუცველები იყვნენ. ამ პერიოდში პირველკურსელთა ნაწილი ითხოვდა შიდა ქართლის ქართულ სოფლებში გამგზავრებას და მოსახლეობის გვერდზე დგომას, მაგრამ მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსი ამის უფლებას არ აძლევდათ. იყო იმით იმართლებდა თავს, რომ მეორე სემესტრი დაწყებული იყო და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ლექციები უნდა მოესმინათ.

შიდა ქართლის ქართულ სოფლებში და არა მარტო იქ, მხედრონელები დომინირებდნენ. ისინი ექსტრემისტებს იარაღს ასყიდებდნენ (ისე, ოს ექსტრემისტებს იარაღი აკლდათ?), ხოლო ნარკოტიკების შეძენა მათი მთავარი, „სასიცოცხლო“ საზრუნავი იყო. მთვრალი მხედრიონელები შეურაცხყოფდნენ ქართულ მოსახლეობას. ამიტომაც ქართულმა მოსახლეობამ გამოაძევა ისინი.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ტაშის გრიალით მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს იყო მოჩვენებითი გამარჯვება. იმდენად, რამდენადაც ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა იმპერიის სურვილზე ეკიდა. იმ დროისათვის ის საშინელი იმპერია დაინგრა და ჩვენთვის თავისუფლება რეალური გახდა, მაგრამ ჩვენ ამისათვის მზად არ აღმოვჩნდით.

18 თებერვალს, შავნაბადაზე მდგარ „მხედრიონსა“ და გვარდიის ქვედანაყოფებს შორის შეტაკება მოხდა. ორივე მხარეს იყვნენ დაჭრილები. შავნაბადა სამხედროებმა დაიკავეს. ხელისუფლებამ მეორე დღეს ჯაბა იოსელიანი დაპატიმრა. დანაშაულებრივი წარსულის მქონე „მხედრიონის“ მეთაური ჯაბა იოსელიანი, რომელიც ქურდობისა და ყაჩაღობისათვის იყო ნასამართლევი, მარტო შავნაბადაში მომხდარი ინციდენტისათვის არ დაუკავებიათ. ის, როგორც პოლიტიკური ოპოზიციონერი საშიში იყო. რა-

ტომლაც, აღნიშნული ინციდენტის მეორე დღეს მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის ბრძანებით, ოფიციერთა და კურსანტთა 20 კაციანი ჯგუფი, რუსთავის გზატკეცილზე, თელეთისა და რუსთავის გზატკეცილების გზაჯვარედინზე იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს.

რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა მესამე ყრილობამ, 31 მარტს საქართველოს მიმართ დისკრიმინაციული დადგენილება მიიღო. ეს დოკუმენტი იმპერატიული კილოთი იყო დაწერილი და საქართველოს სამინაო საქმეებში უხეშ ჩარევას ადასტურებდა. ამ დადგენილების მეორე დღეს, 1 აპრილს, სსრ კავშირის უზენასამართო მდგომარეობის „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქები შექმნილი მდგომარეობის შესახებ“. ეს დადგენილებაც წამქეზებლური ხასიათის დოკუმენტი იყო აქაური ოსებისათვის. იმ დღიდან ისინი აკონტროლებდნენ ცხინვალში შესვლა-გამოსვლის მსურველებს. ამ დოკუმენტით აღფრთოვანებული ოსები არნახულად გააქტიურდნენ. ქართული სოფლების მიმართულებით ისინი უმართავ ჭურვებს „ნურსებს“ ისროდნენ, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვებოდა.

1991 წლის მარტი-აპრილი. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს დაქვემდაბარებულ უმაღლეს სასწავლებლებიდან (მინსკის, ომსკის, გორკის, რიაზანის უმაღლესი სკოლებიდან; პერმის სამხედრო სასწავლებლიდან; ვლადიკავკაზის უმაღლესი სამხედრო სასწავლებლიდან; თბილისის საარტილერიო უმაღლესი სამხედრო სასწავლებლიდან) ჩვენს მილიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის გასაგრძელებლად გადმოდის 14 მსმენელი. ეს გადმოყვანები განპირობებული იყო სსრ კავშირში შექმნილი მდგომარეობით.

საქართველოს რესპუბლიკის შსს 1991 წლის 22 აპრილის № 016 ბრძანების შესაბამისად, პირველი მაისიდან შსს მილიციის უმაღლეს სკოლაში იწყება დანიშვნები. სულ სასწავლებლის საშტატო განრიგში გატარდა 120 თანამშრომელი.

19 აპრილს სასწავლებლის სპეცდანიშნულების ასეულმა განიცადა ცვლილება. აღნიშნულ ასეულში ახალი ხელმძღვანელობა მოდის, იცვლება აგრეთვე კურსანტთა შემადგენლობაც.

ქვეყნის ისედაც გართულებულ მდგომარეობას სტიქიური უბედურება დაერთო. 29 აპრილის 8 ბალიანმა მიწისძვრამ ონის რაიონში დაანგრია და დააზიანა საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობების 90%, დაიღუპა 4 ადამიანი, იყვნენ დაშავებულები. გარდა ონის რაიონისა, მიწისძვრამ მოიცვა ამბროლაურის, საჩხერის, ცაგერის, თერჯოლის, ზესტაფონის, ახალგორის, ქარელის, ხაშურის, ჭიათუ-

რის, ტყიბულის, გორის რაიონები. დაზარალებულ რაიონებში 3 მა-ისიდან განსაკუთრებულ განკარგულებამდე იგზავნება მილიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომელთა (ოფიცრები და კურსანტები) დიდი ნაწილი საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

15 ივნისს ძლიერი მიწისძვრა განმეორდა შიდა ქართლში გორის რაიონსა და ჯავაში. დაშავდა და დასახიჩრდა 50-მდე ადამიანი. და-ინგრა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა დიდი რაოდენობის შე-ნობა. მეორე დღეს, 16 ივნისს ჩვენი სასწავლებლის 50 კაცი იგზავ-ნება გორის რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

აჭარის შს მიწისტრიისა და ქობულეთის პრეფექტის თხოვნით, 6 მაისიდან – 6 ივნისამდე, 29 კურსანტი და 2 ოფიცერი მილიციის პოდპოლკოვნიკ რევაზ ნაცარიშვილის ხელმძღვანელობით იგზავ-ნება ქ. ქობულეთში მიწისძვრის რაიონიდან დაზარალებულთა დი-დი რაოდენობით ჩამოსვლის გამო, საზოგადოებრივი წესრიგის და-საცავად.

მაისის შუა რიცხვებში გადაწყდა აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების 23 ივნისისათვის ჩატარე-ბა. მანამდე მოხდა ინცინდენტი. 22 აპრილს გაიტაცეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილ თავმჯ-დომარეს თ. ხახვას. ამან აჭარის მოსახლეობის ნაწილის უკავყო-ლება გამოიწვია, რადგან ამაში აგტონომიის მომხრეთა დაშინების ცდას ხედავდნენ. ამ ინციდენტმა აჭარაში დაძაბა სიტუაცია. საზო-გადოებრივი წესრიგი სისტემატურად ირღვეოდა.

მოსალოდნელი მასობრივი არებულობის პროვოცირების თავი-დან ასაცილებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თხოვნითა და საქართველოს შს მიწისტრის მითითების სა-ფუძველზე, 13 მაისს ჩვენი სასწავლებლის პირადი შემადგენლობა მივლინებულ იქნა ქ. ბათუმში 100 კაცის შემადგენლობით (დისლო-კაციის ადგილად გამოიყო სანატორიუმი „ნარინჯი“). ჯგუფს ხელ-მძღვანელობდა პოლკოვნიკი ვლადიმერ ციინცაძე. თანამშრომლები შეიარაღებული იყვნენ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებითა და ავტომატური იარალით. 6 ივნისს და 12 ივნისს შს ორგანოების ადგილობრივი ძალების არასაკმარისობის გამო, ჩვენს შემადგენ-ლობას ემატება მილიციის უმაღლესი სკოლის 15 ოფიცერი და 139 კურსანტი.

24 ივნისს მილიციის უმაღლესი სკოლისა და საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკური სამედიცინო სადიაგნოსტიკო ცენტ-რის ხელმძღვანელების მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძ-ველზე აღნიშნული ბიბიქტის დასაცავად გამოიყო 1 ოფიცერი და 6 კურსანტი.

ოსი ექსტრემისტების აღვირახსნილობას, მზაკვრობას და მუხანათობას ბოლო არ უჩანს. ტყვიერები და „ნურსის“ ტიპის რაკეტები დაუშინეს სოფელ დისნევს. მანამდე კი, დაატყვევეს მილიციის უმაღლესი სკოლის სამაჩაბლოელი კურსანტები: პირველკურსელი დათო ყაულაშვილი და მეოთხე კურსელი მალხაზ დათაშვილი. ყველაფერი რუსი სამხედროების ხელშია.

მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის ამათუ იმ ღონისძიებებში ჩართულობის საკითხი ზემოთ წყდებოდა. ჩვენ, როგორც სამართალდამცავი ორგანოს სისტემაში შემავალი დანაყოფი, მითითებებს, პრძანებებსა და განკარგულებებს გასრულებდით.

ასე, საქართველოს პრეზიდენტისა და რესპუბლიკის შეს სამინისტროს განკარგულებით მივლინებული ვიყავით ნინოწმინდისა და ახალქალაქის შეს განყოფილებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში დახმარების აღმოჩენის მიზნით. აღნიშნულ ღონისძიებებში, 3 ივლისიდან განსაკუთრებულ განკარგულებამდე, მონაწილეობდნენ სასწავლებლის მე-4 კურსის კურსანტები სპეცდანიშნულების ასეულისათვის განკუთვნილი აღჭურვილობით. ასევე მივლინებულ იქნენ პროფესორ-მასწავლებლები, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ ადგილზე სპეცკურსის ლექციების ჩატარება და კურსანტთა სახელმწიფო გამოცდებისათვის მომზადება. ამ ღონისძიებებში ჩართული იყო 11 ოფიცერი, 73 მეოთხეკურსელი. ბაზირებული ვიყავით ბაკურიანის ერთერთ სანატორიუმში და იქიდან ვახორციელებდით ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონების საძოვრებზე კახეთის რეგიონის (სიღნალის რაიონი) ცხვრის ფარების უსაფრთხოებას. მეცხვარეთა ნაწილი აზერბაიჯანელი იყო და ყარაბაღში ნარმობულ ომს სომეხ-აზერბაიჯანელებს შორის გავლენა არ მოეხდინა ჩვენს ტერიტორიაზე. ძირითადად რეიდები საძოვრებზე ტარდებოდა. აღნიშნულ რაიონებში 2 კვირის განმავლობაში არც ერთი ინციდენტი არ მომხდარა. ამ ხნის მანძილზე მეოთხე კურსელებმა მოისმინეს ლექციები და მიიღეს ჩათვლა სპეცკურსში – ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის საგანში. სისხლის სამართლის პროცესში ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდა, დანარჩენ 2 საგანში სახელმწიფო გამოცდები – სახელმწიფოს და სამართლის თეორიასა და ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობაში უმაღლეს სასწავლებელში დაპრუნებისას ჩააბარეს. სულ, სრული კურსი დაამთავრა 69 კურსანტმა.

აგვისტო. მილიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. სასწავლებელში მოხვედრის მსურველთა რაოდენობა დიდია.

ფოთში 14-19 აგვისტოს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი წყალ-მოთხილამურეთა შორის. ამ ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩასა-ტარებლად საჭირო იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორ-ნისძიებების გატარება. ამ მიზნით 11-20 აგვისტოს ფოთში, საქართ-ველოს შსს-ს მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად, მივლინებულ იქნა მილიციის უმაღლესი სკოლის 100 კაციანი ჯგუფი მილიციის პოლკოვნიკ პავლე ნორაკიძის ხელძღვანელობით.

1991 წლის 19-21 აგვისტოს, მოსკოვის პუტჩმა მარცხი განიცა-და. ამ ფაქტის გამო, 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირის ტერიტორია-ზე შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავ-შირებით, მილიციის უმაღლესი სკოლა გადაყვანილ იქნა გაძლი-ერებულ სამხედრო მზადყოფნაზე. აიკრძალა სამუშაო საათებში თანამშრომელთა სკოლის ტერიტორიიდან უნებართვოდ გასვლა; სასწავლებელში შემოღებულ იქნა სადღედამისო პატრულირება. შევებულებიდან გამოძახებულნი იყვნენ ოფიცრები და კურსანტები, შედგა მორიგეობის გრაფიკი.

1991 წლის დასახუისში, მილიციის უმაღლეს სკოლაში აღმზრ-დელობითი სამსახურის გაუქმებამ კურსანტებს შორის აღმზრდე-ლობითი მუშაობის ჩავარდნა გამოიწვია. სასწავლებლის უფროსის ბრძანებით, პროფესორ-მასწავლებლებს დაევალათ კურსებზე აღ-მზრდელობითი მუშაობის ჩატარება. მათ დაევალათ კურსანტების დროულად გამოცხადება სასწავლებელში და სწავლაში დახმარების გაწევა.

აგვისტოს პუტჩის დღეებში, ზვიად გამსახურდია თენგიზ კი-ტოვანის გვარდიას შსს უქვემდებარებს, რაც გვარდიის მეთაურის კასპის რაიონის ტყეში გახიზენასა და დაუმორჩილებლობის გა-მოცხადებას იწვევს. გვარდიის ყოფილი სარდალი ათასობით გვარ-დიელთან ერთად პროტესტის ნიშნად გადის რკონის ხეობაში და აცხადებს დაუმორჩილებლობას.

თ. კიტოვანი კრიმინალი რომ იყო, მრავალჯერ დადასტურებუ-ლა. რკონის ტყეში გაჭრილი თ. კიტოვანი საბჭოთა ჯარებთან შებ-მას აპირებდა და ამას გვარდიელების ამოხოცვა მოჰყვებოდა.

სიკვდილი მრავალნაირი გამიგია და მრავალნაირი მკვლელო-ბის მომსწრე ვარ, მაგრამ ასეთი ტანჯვა-წამებით სიკვდილისაგან, რომელიც ჩვენი სასწავლებლის მეორე კურსის კურსანტს ერგო, ღმერთმა ყველა დაიფაროს. მაშინ, როდესაც სპარტაკ მიდოდაშვი-ლი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას (იგი ერთ-ერთი სამაჩაბლოელი კურსანტია), მარიამობა დღეს, 28 აგვისტოს ბრუნ-დებოდა სახლში, სოფელ მამისაანთუბანში, ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს. ცეცხლსასროლი იარაღით მძიმედ დაჭრილი,

იქვე მდგომმა რუსის შინაგანი ჯარის თანამშრომლებმა ცხინვალის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც უარესი ტანჯვა მოელოდა. სულ-თმობრძავ სპარტაკს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მაგივრად, ცხინვალელი ექიმები წამებით კლავენ, პირს ქვებით უვსებენ.

ასეთი მძიმე ხვედრი ერგოთ საქართველოს ძირძველ მინაზე მცხოვრებ ქართველებს, დაილალა იქაური ქართველობა. ისინი მარტონი დარჩენებ საქართველოსაგან მიტოვებულნი და ოსი ექსტრემისტების, ჩრდილო სეთიდან და საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული ბანდების პირისპირ აღმოჩნდნენ. ჩრდილოეთიდან შემოსული ბანდები მგლური კანონებით მოქმედებდნენ. ფართო იყო მათი მოქმედების დიაპაზონი: ქართველების ძარცვითა და დაწვით დაწყებული, მძევლად აყვანით, ჯოჯოსეთური წამებითა და დახოცვით დამთავრებული. დახმარება არსაიდან ჩანდა. ქართველი ხალხის გენოციდი გრძელდებოდა.

ჩვენ ისევ საბჭოთა წყობის კანონებით ვმოქმედებდით – ზემოდან კარნას მიჩვეულნი. ამას ვერც დემოკრატიის გზაზე დამდგარი მთავრობა გადაურჩა.

თავს ნებას მივცემ და ქართველ მკითხველს შევახსენებ, თუ როგორ ეპყრობოდნენ შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსები – ხიზნები ქართველებს საქართველოს ისტორიის გზაჯვარედინზე.

ეს ბრძოლა, რომელიც ოსმა ექსტრემისტებმა წამოიწყეს გუშინ არ დაწყებულა. იგი საქართველოში ეროვნული მოძრაობის მომძლავრების პარალელურად მიმდინარეობდა. შიდა ქართლში დასახლებულმა ოსებმა, ჩრდილო კავკასიელი ოსებისა და იმპერიული ძალების ხელშეწყობით სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოგვიცხადეს ქართველ ხალხს. შემზარავია ოსების მზაკვრობა და მუხანათობა, უკიდურესი სისასტიკე და ვანდალიზმი, რომელსაც ისინი ქართველების მიმართ იჩენდნენ. მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენები და პროცესები იმის საშუალებას იძლევა, რომ ითქვას, ისტორია მეორდება. 1989-91 წწ განვითარებული მოვლენები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს 1917-1920 წწ, განვითარებულ მოვლენებს. მაშინაც და ახლაც ოსი ექსტრემისტები რუსეთის რეაქციული ძალების კარნახით მოითხოვდნენ „დემოკრატიული რესპუბლიკის“ სტატუსს ცენტრალური საქართველოს ტერიტორიაზე და რუსეთთან შეერთებას. ოსი სეპარატისტების ხელით ცენტრი ცდილობს პოლიტიკური ბრძოლით საქართველოს შეჩერებას. ამას მონმობს თუნდაც ის, რომ ცხინვალში შეიქმნა ეროვნული თავდაცვისა და ხსნის კომიტეტი და ააფრიალეს რუსეთის დროშა, გამოიტანეს ლენინის პორტრეტი.



სპარტაკ მიდოდაშვილი

1967-1991

კიდევ ერთი მძიმე დანაკლისი განიცადა საქართველოს შსს უმაღლესი სკოლის 1990 წელს ჩარიცხულ კურსანტთა შემადგენლობაში. კურსანტი, რომელმაც თავისი თავი სამსხვერპლოზე მიიტანა, ეს იყო ღირსეული მამულიშვილი, სამშობლოს სეუფვარულს ზარაკად შენირული სამაჩაბლოელი სპარტაკ მიდოდაშვილი. ოს სეპარატისტთა ნლების მანძილზე დაგროვილმა შურმა და ბოლმამ სპარტაკ მიდოდაშვილზე იძალა.

სპარტაკის ბუნება, მისი ხასიათი, როგორც სამშობლოზე უზომოდ შეუფვარებული ადამიანისა, ორ ძირითად მოთხოვნას – სამშობლოს დაცვას და სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას ეფუძნებოდა.

სპარტაკი დაიბადა 1967 წლის 27 იანვარს ცხინვალის რაიონის სოფელ მიმისაანთუბანში. 1984 წელს დაამთავრა ქ. ცხინვალის № 1 სამუალო სკოლა. 1985-1987 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. შინაგან საქმეთა ორგანიზაციის მუშაობას იწყებს 1988 წლის სექტემბრიდან. იგი მუშაობდა ქ. ცხინვალის მილიციის რაიონულ განყოფილებაში მილიციელად. სამაჩაბლოში მცხოვრებ ცხრა ქართველ თანატოლთან ერთად 1990 წლის აგვისტოში სპარტაკი წარმატებით აპარებს მისაღებ გამოცდებს სსრ კავშირის შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაქულტეტზე. სასწავლებელში ჩარიცხვის დღიდან სპარტაკ მიღოდაშვილი მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა პირნათლად და კეთილსინდისიერად. ის იყო კეთილი და მოუსვენარი სულის ადამიანი.

სპარტაკი 1991 წლის 28 აგვისტოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ოსმა ექსტრემისტებმა მძიმედ დაჭ-




რეს, მძიმედ დაჭრილი სპარტაკი ოსებმა ხელთ ჩაიგდეს და ნამებით მოკლეს.

სპარტაკ მიღოდაშვილს ოჯახში დარჩა მშობლები: ვი-გენტი და მარიამ მიღოდაშვილები, და – ნონა მიღოდაშვილი. სპარტაკი წავიდა და ოჯახის წევრებს დაუტოვა ტკიფილი, რომელსაც მოშუბება არ უნირია.

სპარტაკ მიღოდაშვილს საქართველოს შსს 1997 წლის 1 დეკემბერის № 694 პ/შ ბრძანებით მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური ნოდება (სიკვდილის შემდეგ). მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე. მისი სახელი მიენიჭა შსს აკადემიის პირველი კურსის მესამე ოცეულის პირველ ათეულს.

სპარტაკ მიღოდაშვილის გვარი და სახელი ამოტვიფრულია ქ. თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, სპარტაკ!



შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში გაერთიანებისათვის მოძრაობას 1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მიეცა გასაქნი. ოსები, 1918 წლის დამდეგისათვის ე.ნ. სამხრეთ ოსეთის ცალკე სამაზრო-საერობო ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის მოთხოვნებს აყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთის ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ოფიციალურად არ არსებობდა (იგი საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ დაარსდა), მდგომარეობა გაართულა 1918 წლის დასაწყისში ფრონტიდან ჯარისკაცების დაბრუნებამ. ოსმა ჯარისკაცებმა შექმნეს შეიარაღებული რაზმი და დაინტეს „წესრიგის დამყარება“. ამას დიდი უნგრებიობა და ანარქია მოჰყვა გორის მაზრაში. შეიარაღებული ექსტრემისტები თავს ესხმოდნენ მემამულეთა ოჯახებს, ხოცავდნენ და ძარცვავდნენ მათ.

მაშინ, როდესაც საქართველოს თურქეთი დაბყრობით ემუქრებოდა, ოსებმა ომი გამოუცხადეს საქართველოს. საქართველო თურქეთს ვერ გაუმკლავდებოდა, მას არმია არ ჰყავდა და, რასაკვირველია, ვერ მოიგერიებდა მტერს. მუშაობა მიმდინარეობდა მეფის არმიის ქართველი ჯარისკაცების მობილიზაციისა და მათგან ქართული ჯარის ნაწილების შესაქმნელად. შეიქმნა ქართული სახალხო გვარდია, რომელმაც ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების განიარაღება სცადა. ეს მოხდა 1918 წლის იანვარ-თებერვალში. განიარაღებული ჯარისკაცები სოფლებში დაბრუნდნენ და მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად ამზადებდნენ გლეხობას. ისინი ფიზიკურად უსწორდებოდნენ თავადაზნაურობას, დახოცეს თავადები ციციშვილები და ვეზირიშვილები. მათი მკვლელები შეიძყრეს სახალხო გვარდიელებმა და ადგილზე დახვრიტეს. ამ ფაქტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში და დაინტეს გვარდიისათვის წინააღმდებობის განევის სამზადისი. ოსთა დელეგაცია 1918 წლის 16 მარტს მოთხოვნებს უყენებს გორის აღმასრულებელ კომიტეტს, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ მათი განხილვა ამ ინსტანციის კომპეტენციას აღემატებოდა. მაგრამ მაინც თავისის გატანა უნდოდათ და მოთხოვნების დაუყოვნებლივ ასრულებას მოითხოვდნენ. ეს მოთხოვნები იყო: 1. დაუყოვნებლივ მიწების დაყოფა; 2. გორის მაზრიდან გააძევონ რევოლუციურ ორგანიზაციაში მომუშავე პირები (ოსებისათვის არასასურველი პირები). 3. გორის მაზრიდან ყველა თავადისა და აზნაურის გაძევება; 4. სიტყვისა და კრებების თავისუფლება, ამ მოთხოვნების შესრულებისათვის განისაზღვრა იმავე დღის 3 საათი.

მეორე დღეს, 17 მარტს ცხინვალში ამოდის გორის წითელი რაზმი სამაზრო კომისრის გიორგი მაჩაბლის მეთაურობით. გიორგი მა-

ჩაბელი პირდება მოთხოვნების დაქმაყოფილებას, გარდა თავადაზნაურების გაძევებისა. 18 მარტს შეკრება იმართება დგვრისის მოედანზე, რომელიც ცხინვალს იქით მდებარეობს ყორნისის მიმართულებით. ოსები დაპირების დაუყოვნებლივ ასრულებას მოითხოვენ. კულუმბეკოვი (ცხინვალის კომისარი) ანიშნებს ზღუდის კალთასა და ნაცარ-გორაზე ჩასაფრებულ ოსებს და იწყება სროლები. შეუძლებელი ხდება ნინაალმდეგობის გაწევა ბრბოს მხეცობის ნინაალმდეგ. ორივე მხრიდან ცხინვალში შემოიჭრება გამხეცებული ბრბო ველური ღრიალით. იწყება ძარცვა-რბევა, დუქნების მტვრევა, ყუმბარების სროლა. ძარცვა-რბევში მონაწილეობას იღებდნენ ერედველი ქართველებიც.

მძიმედ დაჭრილ გიორგი მაჩაბელს საავადმყოფოს წინ კლავენ. სიცოცხლეს მოუსწრაფავენ კოსტა კაბიშვილს, სანდრო კეცხოველს, გამხეცებული ბრბო ტყვიით გაუგმირავს გულს, მის გაციებულ გვამს საშინლად ამახინჯებენ. გიორგი მაჩაბელი ტყვიებით დაცხრილული იყო მუხლებში, ხანჯლით იყო დაჩხვლეტილი მთელ ტანზე და თავის ქალა თითქმის აგლეჯილი. გამხეცებულ ოსებს კეცხოველის ნანამები გვამისათვის თავი მოეჭრათ, სხეული ქუჩაში დაეგდოთ და ზედ ფაეტონებით დადიოდნენ. ოსთა 1918 წლის მარტის აჯანყება ქართულმა სახალხო გვარდიამ ჩაახშო. ოქტომბრის რევოლუციის შემარე წლისთავზე ბოლშევკიუბი მთელ საქართველოში ამზადებდნენ აჯანყებას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაალმდეგ. აჯანყება როკის რაიონში 1919 წლის 23 ოქტომბერს დაიწყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ იგი შედარებით იოლად ჩაახშო. 1920 წლის 8 მაისს ოსებმაროკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ცხადია, რომ ეს აქტი ბოლშევკიუბის მიერ წინასწარ გათვლილ მიზანს ემსახურებოდა — ე.ნ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და შემდგომ საბჭოთა რესეთთან შეერთება. იმთავითვე კარგად ჩანდა რუსეთის ზრაცხები, თუ როგორ ებრძოდა იგი დამოუკიდებელ საქართველოს მაშინაც.

სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნა სტალინის ამ ავბედითი პოლიტიკის განხორციელების ნაყოფი იყო, რაც საქართველოს არსებობას ეჭვის ქვეშ აყენებდა. მისმა გამონათქვამმა: „სანამ საქართველო არსებობს, სოციალიზმის საქმე სასიკვდილო საქმეშია“, განაპირობა შიდა ქართლში სამხრეთ ოსეთის ოლქის დაბადება. სიმპტომატურია, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნამდე ორი წლით ადრე, 1920 წელს ჩრდილოეთ ოსეთში მოკალათებული აქაური ოსი ბოლშევკიუბი თავს სამხრეთ ოსეთის რევეომს უწოდებდნენ, თუმცა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს ასეთი

კუთხე – „სამხრეთ ოსეთი“ – არ ჰყავდა არც ფაქტობრივად და არც ფორმალურად. სტალინის გამონათქვამს თავისი ფორმით, არსი არ შეუცვლია XX საუკუნის მიწურულსაც. სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩიოვს არ დაუმაღავს, რომ თუ საქართველო შეეცდება „ძმური კავშირიდან“ გამოყოფას, მას პრობლემები შეექმნებოდა საკუთარ ტერიტორიაზე არსებულ ავტონომიებში. მოსკოვის ფარული და აშკარა მხარდაჭერით ოსეთში იმბლავრა ანტიქართულმა განწყობამ. ექსტრემისტები, კრემლის ხელშეწყობით, იარაღს იმარაგებდნენ და სამხედრო კონფრონტაციისათვის ემზადებოდნენ. სწორედ ამ აგრძესიულმა პარტოკრატიამ შექმნა თავისი პრივილეგიების შესანარჩუნებლად სამხრეთ ოსეთის ოლქი ქართველი ხალხის დაუკითხავად, ქართველების წინააღმდეგობისა და პროტესტების მიუხედავად, მაგრამ ამ ვოლუნტარისტულად, პირთა ვიწრო ჯგუფის მიერ შექმნილ ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულს ხანგრძლივი არსებობა არ უნერია!

1991 წლის 24 აგვისტო. მილიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარე მისალები გამოცდების შედეგების მიხედვით, მსმენელებად (კურსანტებად) ირიცხება 245 კაცი. სასწავლებლის არსებობის მანძილზე ასეთი დიდი რაოდენობა კურსანტებისა არ ჩარიცხულა. მათგან 17 გოგონაა. ახლად ჩარიცხულთა ბუნება, ხასიათი და დანაშაულებრივი საქმიანობა პირველ ორ თვეში გამოიკვეთა. ამ კურსზე კურსანტების გარკვეული ნანილი შს ორგანოებში შემთხვევით მოხვედრილი აღმოჩნდა. მათი ადგილი მიღლიცის რიგებში კი არა, საზოგადოებაშიც ზედმეტი იყო. ახლადჩარიცხულ კურსანტთა რიგებში იყვნენ: ნარკომანები, მკვლელები, ქურდები, ჯიბის ქურდები. სწავლის დაწყებიდან მოკლე პერიოდში ზოგი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა, ზოგმაც სასწავლებლის სრული კურსი ვერ დაასრულა. ადამიანი შეუიარაღებელი თვალითაც კარგად დაინახავდა მათ ნაკლოვან მხარეებს.

თუმცა, ცხადია, იყვნენ მაღალი ზნეობის, პატრიოტი ახალგაზრდებიც, რომლებმაც თავიანთი ნამოქმედარით დაამტკიცეს ქვეყნის ერთგულება (ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ).

ამ კურსზე სწავლობდა თვალსაჩინო კურსანტი კუკური ხიბლიშვილი, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა საქართველოს შსს აკადემია (საქართველოს შსს მიღლიცის უმაღლესი სკოლა 1994 წლის 3 ივნისს საქართველოს შსს აკადემიად გადაკეთდა). ლმერთის მიერ დაჯილდოვებული ნიჭის გამო, კუკური დიდი პატივისცემით სარგებლობდა სასწავლებელში. თავისი მოწოდებით იგი სამართალ-დამცველი და სამართლიანი სახელმწიფოს ერთგული იყო. კურსანტებს შორის ასაკით ყველაზე უფროსი იყო და მათგან პატივის-

ცემას გრძნობდა. იგი გამორჩეული იყო როგორც თვითშეგნებით, ასევე წიგნიერებით. აღმოსავლური პოზიტის ბრნეინვალე მცოდნეს და მსოფლიო რენესანსის მთავარი ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირმცოდნეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა კურსანტებს შორის. ასეთი ადამიანები XVIII-XIX სს. საქართველოში დაფასებულნი იყვნენ. მათ მესაგანძურებს უწოდებდნენ. საუბედუროდ, მისი ნიჭი და განსწავლულობა 2 წლის წინ ავტოკატასტროფამ შეიწირა. სამართლიანობისადმი ლტოლვა მას იმის საშუალებას აძლევდა, რომ სწავლის პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის თანაკურსელებისათვის ეთქვა: „შვილოსა, შენ აქ, მილიციაში რა გინდა, შენი ადგილი მოუსვლელშია“, ან „ვინ დაიდო შენი ცოდვა“, მათ „დემოკრატიის ნაყოფებს“ უწოდებდა.

ახალი სასწავლი წელი (1991-92 წწ.), რომელიც 1 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის ბრძანებით, 16 სექტემბრამდე გადაიდო (არა მარტი ჩვენი სასწავლებლისათვის გადაინია სწავლის დაწყებამ, არამედ საქართველოს ყველა საშუალო სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებშიც). საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მილიციის უმაღლესი სკოლა ისევ კაზარმულ მდგომარეობაზეა გადასული. ეს სასწავლებლისათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

2 სექტემბერი, ორშაბათი, „გკჩ“-ის შხარდაჭერის მოტივით არასაპარლამენტო ოპოზიციაში მყოფმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა გიორგი ჭანტურიამ იმ დღეს თბილისში, კინოს სახლთან, გამართა მიტინგი. მანიფესტანტები დარბია დამოუკიდებელი საქართველოს ომონმა. დაჭრილები და დაშავებულები იყვნენ, როგორც სამართალდამცავთა, ისე დემონსტრანტებს შორის.

ფაქტობრივად, 2 სექტემბრის შემდეგ თბილისში დაიწყო დესტაბილიზაცია. ყოველდღე იმართებოდა ოპოზიციის ხალხმრავალი მიტინგები, მათ დაუპირისპირდა ხელისუფლების მხარდამჭერი „საინფორმაციო მიტინგები“. ამ დღიდან მიტინგების გამართვა მთავრობის სახლის წინ წესად იქცა.

იმ დღეებში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. მინისტრის მოვალეობის შესრულება დაევალა ნოდარ გიორგაძეს, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა ვახტანგ (ლოთი) ქობალია. ამაზე განაწყენებულმა თენგიზ კიტოვანმა თავისი მომხრე გვარდიელები შავნაბადაზე შეკრიბა და საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედებისათვის გამოსაყენებლად ამზადებდა.

შავნაბადაზე შეკრებილ ჯარისკაცებსა და ოფიცირებს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაევალათ დაეტოვებინათ შავნაბადა და ყაზარმებს დაბრუნებოდნენ. მათ ეს მოთხოვნა არ შეასრულეს. 11 სექტემბერს მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის ზეპირი ბრძანების თანახმად (რა თქმა უნდა, ზემდგომი ორგანოს მიერ ნაკარნახევი მითითების საფუძველზე), 30 კაციანი რაზმი გავემგზავრეთ თელეთი-რუსთავის გზატკეცილის გასაყართან მდებარე სახელმწიფო ავტონისპექციის საგუშაგოსთან სადლელამისო მორიგეობის გასაწევად. ჩვენს მოვალეობაში შედიოდა შავნაბადაზე დაბანაკებული გვარდიელების გადაადგილების არდაშვება დედაქალაქის მიმართულებით. რამდენიმე საათის დგომის შემდეგ საგუშაგოს შავნაბადიდან დაძრული ტანკი მოადგა. ტანკის ლუქიდან ამოსულმა გვარდიელმა გაბრაზებული ხმით მოგვმართა, რატომ დგახართო. მცირე პაუზის შემდეგ კონკრეტულად ვუპასუხეთ, რომ დისლოკაციის ადგილს დაბრუნებოდა. მას განემარტა, რომ მისი და შავნაბადაზე მყოფი გვარდიელებისათვის თბილისის მიმართულებით გადაადგილება აკრძალული იყო. გვარდიელმა ხმის ამოუღებლივ მიაბრუნა ტანკი და შავნაბადისაკენ გაემართა. საგუშაგოზე 3 დღე-ლამე დაცუავით და მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის ბრძანებით სასწავლებელში დავბრუნდით.

რამდენიმე დღეა მთავრობის სახლის პირველ სართულზე განლაგებულია მილიციის საკონრდინაციო შტაბი. აქ თავმოყრილია შსს დაქ. თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთა დიდი რაოდენობა. მთავრობის სახლის წინ მოედანზე ყოველ დღე ასეულობით ადამიანი იყრიდა თავს მიტინგზე, მხარდაჭერა და თანადგომა რომ გამოეცხადებინა საქართველოს ეროვნული პარლამენტისა და რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი. ერთ-ერთი მიტინგის დროს, ოპოზიციის ჯგუფი შეეცადა მთავრობის სახლის წინ, კიბეებზე პლაცდარმის გაკეთებას, მაგრამ მიტინგის მონაწილეთა აქტიური მოქმედებით ეს ჯგუფი მაღლევე განდევნეს. ძალზე დაძაბული სიტუაცია შეიქმნა. სწორედ ამ დროს გაისმა პრეზიდენტის მოწოდება ქართველი ხალხისადმი, დაეცვათ ეროვნული პარლამენტი. ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ერთმანეთის პირისპირ ათასობით ქართველი იდგა. დაიწყო რუსთაველის გამზირიდან ავტობუსებისა და ქუჩის ბარიკადებისაგან განმენდა. თბილისში სიძულვილი, ბოლმა და უნდობლობა მძვინვარებს. რუსთაველის გამზირი სავსეა გაბოროტებული, ფსიქოკაშერყეული, იარაღშემართული ფანატიკოსებით, რომლებმაც შეიძლება აღარავის წინაშე აღარ დაიხიონ უკან.

26 სექტემბერს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ოპოზიციამ თავისას მიაღ-

წია. ისინი მიზნად დესტაბილიზაციასა და დაპირისპირების მიღწევას ისახავდნენ და ამის მიღწევა შეძლეს კიდეც.

სანამ ხელისუფლება ავტობუსებისაგან რუსთაველის გამზირს გაათავისუფლებდა, ოპოზიციურმა ძალებმა თავი მოიყარეს რეს-მპუბლიკის მოედანზე და დაიძრნენ მთავრობის სახლის მიმართულებით. შუადღეს რუსთაველის გამზირი სავსე იყო გიორგი ჭანტურიას მიერ მობილიზებული ახალგაზრდებით. მთავრობის სახლის წინ ჩახერგილ ავტობუსებთან მისულთ ხელისუფლებამ თავისი ხალხი დაახვედრა. ატყდა ერთი ამბავი. ურთიერთშეურაცხმყოფელი ხმამალალი ლაპარაკი ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, ზოგი გარეთ ჩხუბობდა, ზოგი ავტობუსებში არკვევდა ურთიერთობას, ზოგსაც ავტობუსის სახურავებზე გაემართა ხელჩართული. ერთი სიტყვით, ნინძების ჩხუბი გეგონებოდათ. აქეთ, საგამოფენო შენობის წინ მრგვალი მაგიდის იდეოლოგს, მედოლე-დებუტატს (როგორც მას ეძახდნენ) ავთანდილ რცხილაძეს 6 შავოსანი ქალი მოევანა, ზემოთ კიბეებზე აიყვანა, ერთად მჭიდროდ დააყენა, დი-რიუორის ჟესტიკულაციით ხელი აიქნია და ქალებმა მორთეს ყვირილი: „ზვიადი!.. ზვიადი!.. ზვიადი!..“

დღითიდლე მატულობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დაპირისპირება. არავის სურს საკუთარი პოზიციების დათმობა, პიროვნულზე მაღლა ეროვნულის დაყენება. ამ დღეებში არ წყდება მთავრობის სახლთან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან დელეგატთა ჩამოსვლა, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ეროვნული პარლამენტის მხარდამჭერი მიტინგები. ამან კიდევ უფრო დააბაა ისედაც რთული კრიმინოგენული ვითარება, სტიქიურად შეიარაღებული ხალხის წინაშე მიღლიცა უძლური აღმოჩნდა.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულთა მოძრაობამ დამღუპველი სახე მიღლო. პრეზიდენტის სიმპათიები, აშკარად სამეგრელოსაკენ იხრებოდა, ხოლო შე მინისტრს დ. ხაბულიანს სვანეთის იმედი ჰქონდა. ასეთ ვითარებაში ზ. გამსახურდიამ თბილისში 25 სექტემბრიდან საგანგებო წესები გამოაცხადა. 24 სექტემბერს კი – საყვარელთაო მობილიზაცია. მოსახლეობის დაცვის მომიზეზბით, თ. კიტოვანის მომხრე გვარდიელები ფილარმონიასთან დაბანაკდნენ. უკვე სამი კვირაა, რაც გრძელდება საპროტესტო აქციები ტელერადიო დეპარტამენტის შენობის წინ. გრძელდება საინფორმაციო მიტინგები მთავრობის სახლთან. პოლიტიკური ვითარება უაღრესად დაძაბულია. პარტია სამოქალაქო ომის სუნი ტრიალებს.

ამ დროისათვის მიღლიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის ნაწილი მთავრობის სახლშია და იქ ეწევა სამსახურს, ნაწილი – ტელერადიო დეპარტამენტის სიახლოვეს სასტუმრო „აჭა-

რასთან“ დგას, ნაწილიც – სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. იმ დროს, 30 სექტემბერს, ცირკის მიდამოებიდან ქვემების ჭურვი ესროლეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობას. საპასუხო ცეცხლი ტყვიამფრქვევებიდან და ავტომატებიდან მთავრობის მომხრე მეომრებმა გაუხსნეს.

25, 26, 27, 28 სექტემბერს მთავრობის სახლის წინ მიტინგი გრძელდება. ტელერადიო დეპარტამენტის მუშაკების ერთმა ჯგუფმა საპროტესტო აქცია მოაწყო დეპარტამენტის შენობის წინ, რის შედეგადაც შეწყდა ტელერადიოგადაცემები. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ოპოზიციურ-პოლიტიკურ დაჯგუფებათა მიერ დეპარტამენტის შენობის პიკეტირებამ. 1 ოქტომბერს ტელე-რადიოდეპარტამენტის წინ გაიმართა ოპოზიციონერთა მიტინგი, ისინი პოლიტპატიმრების: გ.ჭანტურიას, ჯ. იოსელიანის და გ. ხაინდრავას გათავისუფლებას მოითხოვდნენ.

3 ოქტომბრის საინფორმაციო მიტინგზე გაქლერდა აზრი იმის თაობაზე, რომ ძმათა შორის სისხლისლვრის თავიდან აცილების მიზნით, გვარდია ტოვებს ტელერადიოდეპარტამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიას და გადის ქალაქიდან. მართლაც, 6 ოქტომბერს ღამით თ. კიტოვანის გვარდიამ და მერაბ კოსტავას საზოგადოების შეიარაღებულმა ფორმირებამ ქალაქი დატოვეს. ისინი თბილისის ზღვაზე დაბანაკვდნენ.

იმავე ღამეს, ბრძანებით, მილიციის უმაღლესი სკოლის 30 კაციანი ჯგუფი ადის თბილისის ზღვაზე, თემქის მხრიდან და მთელი ღამე მორიგეობს, რათა არ დაუშვან გვარდიელების ქალაქის მიმართულებით გადაადგილება. დილით სასწავლებლის მეორე ჯგუფმა შეგვცვალა და ჩვენ სასწავლებელში დავბრუნდით. ის-ის იყო სასწავლებელში შემოვედით, რომ სკოლის რადიოსადგურში გაისმა თბილისის ზღვაზე შეცვლაზე მისული ჯგუფის ხმა, ისინი დახმარებას ითხოვდნენ თ. კიტოვანის უკანონო ფორმირების მიერ სასწავლებლის პირადი შემადგენლობის მიმართულებით ცეცხლის გახსნის გამო. მყისვე იქით გავწიეთ. ინტენსიური სროლები არ წყდებოდა. გვესროდნენ პროფესიურების სასწავლო ცენტრის რაიონიდან. კიტოვანის შეიარაღებული ფორმირების წევრები ან ნასვამები იყვნენ ან ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. იძულებულნი გავხდით სროლითვე გვეპასუხა. ორმხრივი სროლა 4-7 წელს გაგრძელდა. სროლა შეგვაჩერებინა თბილისის ზღვაზე ამოსულმა სასწავლებლის უფროსმა გივი კვანტალიანმა. ცოტა ხნის შემდეგ, მისივე ბრძანებით დავბრუნდით მილიციის უმაღლეს სკოლაში.

ოქტომბრის დასაწყისში სასწავლო წლის დაწყება კვლავ გადაიდო. განათლების სამინისტროს ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა

თბილისის სასწავლო დაწესებულებებში მეცადინეობების დაწყება. სამინისტრო კატეგორიულად აცხადებდა, რომ სტაბილური მდგომარეობის შექმნამდე, ვიდრე ქალაქში თუნდაც ერთი უკანონო შეიარაღებული ფორმირება ან ჯგუფია, რითაც საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სასწავლო პროცესის დაწყება შეუძლებელია. სწავლის განახლება მოხერხდება მას შემდეგ, როდესაც ქალაქში სრული წესრიგი დამყარდება.

ოქტომბერი მიტინგების თვეა. 10 ოქტომბრისათვის თბილისში შედარებით სიმშვიდეა. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მეცადინეობები დაიწყო. მათ შორის ჩვენს სასწავლებელშიც. დიდი მიტინგი გაიმართა 18 ოქტომბერს მთავრობის სახლთან.

15 ოქტომბერს ჩრდილო ოსეთიდან გადმოსულმა ტერორისტებმა, შიდა ქართლში მოკალათებულ სეპარატისტებთან ერთად, რაკეტები დაუშინეს აჩაბეთსა და ქურთას. ქართული მოსახლეობა მძიმე დღეშია. არც არავის დახმარების იმედი აქვთ. ოსი სეპარატისტები და მათი დამქაშები მგლური კანონებით მოქმედებენ. ქართველი პოლიტიკოსები კი ქუჩაში მიტინგების საშუალებით უპირისიპირდებიან, არკვევენ ურთიერთობებს, რასაც დასასრული არ უჩანს. ამ დღეებმა დაგვანახა, რომ საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური კულტურა, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, რადგან მათ აკლიათ სიბრძნის ხელოვნება. ისინი მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკის სფეროსთან სიახლოვეს, საპასუხისმგებლი თანამდებობები დილეტანტებით იყო დაკომპლექტებული. ყოველივე ამან დაღი დაასვა საქართველოს სახელმწიფო ბრივ და საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროს. დანაშაულობამ და კორუფციამ არნახულ დონეს მიაღწია. უპერსპექტივო ჩანდა საქართველოს საერთაშორისო აღიარება, დაუსჯელობა გამეფებულია ქვეყანაში. საქართველო უფსკრულისკენ მიექანება. სამოქალაქო ომი კარს არის მომდგარ.

საქართველოს შსს დავალებით, 27 სექტემბერსა და 11 ნოემბერს ქ. გორის შს განყოფილებისთვის დახმარების აღმოსაჩინად, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით მივლინებულ იქნა მილიციის უმაღლესი სკოლის 2 ჯგუფი მილიციის პოდპოლკოვნიკ დავით ჩაგუნავასა და პოდპოლკოვნიკ მერაბ ქოქიაშვილის ხელმძღვანელობით.

ოქტომბერსა და ნოემბერში სასწავლებელში არსებული სპეცდანიშნულების ასეული განიცდის ცვლილებებს. ძირითადად, ცვლილებები ასეულის ხელმძღვანელ მუშაკთა შორის მოხდა. უმნიშვნელო ცვლილებები ხდება კურსანტთა შორისაც.

16 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე ქ. თელავში ოპერატიული ღონისძიებების გასატარებლად მივლინებულ იქნა სასწავლებლის მე-

ოთხე კურსი მიღიცის პოლკოვნიკ რობინზონ ხმალაძის ხელმძღვანელობით.

საქართველოს შს მინისტრის ბრძანების შესაბამისად, 11 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე ქ. თბილისის № 1 საგამოძიებო იზოლატორში მივლინებულ იქნა სამორიგეო სამსახურის შესასრულებლად 24 პირველკურსელი ნანა ქოჩორაშვილის ხელმძღვანელობით.

დეკემბერი. მიღიცის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა ქ. თბილისის სახელმწიფო ავტონინსპექციასთან ერთად საგანგებო მდგომარეობის პირობებში მონაბილეობდა რეიდებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ საგზაო უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებებში. ეს რეიდები ტარდებოდა თბილისის მასშტაბით. ერთ-ერთი ჯგუფი, რომელსაც მესამეკურსელი კობა კალმახელიძე ხელმძღვანელობდა, რეიდს ატარებდა ორთაჭალაში, გორგასლის ქუჩაზე. პეტრე ბაგრატიონის ძეგლთან, დადგენილი ნესის შესაბამისად, გააჩერეს სატრანსპორტო საშუალება „07“ მარკის „ჟიგული“ და მძლოლს მართვის მოწმობა და ტექნიკური პასპორტი მოსთხოვეს – მძლოლმა, გვარად ჯაფარიძემ აღნიშნულ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და აქეთ ჩხუბი დაინყო, რა უფლებით გამაჩერეთო. როგორც გაირკვა მძლოლს არ აღმოაჩნდა მანქანის ტექსტასპორტი (ჟიგულის მარკის ეს მანქანა მოპარული იყო) და აქეთ შეტევაზე გადმოსულმა ხელჩართული ბრძოლა გააჩადა. მას მასთან მყოფებიც მიერმონენ. ატყდა შეხლა-შემოხლა. კურსასანტებმა იარალი არ გამოიყენეს. სცადეს მათი შეკავება, მაგრამ უშედეგოდ. ჩხუბის წამომწყები „თეთრი გიორგის“ საზოგადოების წევრი აღმოჩნდა. გულზე ეკიდა „თეთრი გიორგის“ მედალიონი. დებოშის ამტეხი „თეთრი გიორგის“ წევრები პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი და მოახერხეს შემთხვევის ადგილიდან მიაღვა. კურსანტი კობა კალმახელიძე, ჩხუბით მიყენებული დაზიანებების გამო, სავადმყოფოში მოათავეს.

იმავე დღეს, 18 დეკემბერს კობა კალმახელიძეს საავადმყოფოში „ესტუმრნენ“ თბილისის უმაღლესი სასანავლებლის სტუდსაბჭოს დელეგატები 5 კაცის შემადგენლობით. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს დაზარალებულს და მოუწოდეს არსებული რეზიმის წინააღმდეგ შეერთებოდნენ სტუდენტებს. კობას პასუხი ერთგვაროვანი იყო: ამ ფაქტის პოლიტიზირების წინააღმდეგი ვარ და მხოლოდ სამართლიანობას, დამნაშავეთა დასჯას მოვითხოვო. სტუდსაბჭოს დელეგატებს მოყვანილი ჰყავდათ უურნალისტი და ოპერატორი, რომელიც აფიქსირებდა ამ საუბარს. მეორე დღეს კალმახელიძე სავადმყოფოდან გაეწერა.

20 დეკემბერს მილიციის უმაღლეს სკოლაში მოვიდნენ ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის წარმომადგენლები, რომლებმაც თანადგომა გამოუცხადეს კურსანტებს და ინტერვიუ ჩაწერეს. ისე როგორც სტუდენტების, მათაც ანალოგიური პასუხი მიიღეს, რომ გამოსვლებში მონაწილეობის წინააღმდეგნი არიან და სამართლიანობის მისაღწევად ყველა სამუალებას გამოიყენებდნენ. კურსანტებმა გადაწყვიტეს სამართლიანობის აღდგენის მიზნით, შემშილობა დაწყოთ.

იმავე დღეს, 20 დეკემბერს (პარასკევი) კურსანტთა 40 კაციანი ჯგუფი გავიდა რესთაველზე მდებარე „იმელის“ შენობასთან და იქ მჯდომარე აქცია გამართა. აქცია დილის 11 საათზე დაიწყო. რესთაველის მხრიდან „იმელის“ შენობის კიბეების გასწვრივ გააძეს ბაწარი, მოიტანეს ლეიბები და შიმშილობა გამოაცხადეს. მოშიმშილებებს, მოგვიანებთ 200-მდე კურსანტი შეუერთდა. ამ დროისათვის სასტუმრო „ივერიის“ წინ მდებარე რესპუბლიკის მოედანზე ოპოზიციის მიტინგი იმართებოდა. მოშიმშილე კურსანტებთან მისული სტუდენტობის წევრები სილიდარობას უცხადებდნენ. მოშიმშილებთან მოვიდნენ ქართველი და უცხოელი უურნალისტები. აქ იყო ბიბი-სი-ს უურნალისტიც, რომელმაც თარჯიმინის სამუალებით ინტერვიუ ჩამოართვა მესამე კურსელს თემურ ხაჩიძეს. მან გაიმეორა თანაკურსელების, თავისი მეგობრების სიტყვები, რომ არ შეარჩენდნენ მეგობრის შეურაცხყოფას, სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებზე ხელის აღმართვას და „თეთრი გიორგის“ საზოგადოების იმ წევრთა დასჯას მოითხოვდნენ, ვინც ხელი აღმართა მათ მეგობარზე.

ამ აქციაზე მისული შს ორგანოს თანამშრომლები დადგებითად შეხვდნენ მოშიმშილეთა მოთხოვნებს და ამხნევებდნენ მათ. აქციის მონაწილეებთან მივიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები: ნუგზარ მოლოდინაშვილი, შს მინისტრის მოადგილეები. მოგვანებით მოვიდა დილარ ხაბულიანის მძღოლი ანზორ მარგიანი და აქციის ინიციატორები: მიხეილ ბაიდოშვილი, შმაგი ჯალაბაძე, თემურ ხაჩიძე, კახა ადამია და ლევან ცისკარიშვილი მანქანით მიიყვანა პარლამენტში. იქ კურსანტები მიიღო შს მინისტრმა. აქციის ინიციატორებიდან მინისტრმა გამოარჩია მ. ბაიდოშვილი, რომელსაც ცალკე განუცხადა, თუკი კურსანტები არ მოითხოვდნენ „თეთრი გიორგის“ საზოგადოების იმ წევრების დასჯას, რომლებმაც ჩეუბი აუტეხეს კურსანტებს და აქციას შეწყვეტდნენ, ბაიდოშვილს იმ თანამდებობაზე დანიშნავდა, რომელსაც მოისურვებდა. მინისტრის შეთავაზებას ასეთი პასუხი გაეცა: აქცია თანამდებობაზე დასანიშნავად კი არ ტარდება, არამედ ჩვენი მთავარი მოთხოვნაა დამნაშავეთა დასჯა და სამართლიან სახელმწიფოში ცხოვრება, აქციის

დაშლას კი მე ვერ გადავწყვეტ, ბიჭებს უნდა მოველაპარაკოო. ამის შემდეგ მინისტრს ბაიდოშვილი შეჰვყავს საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. პრეზიდენტის კაბინეტში იმყოფებოდა გენერალური პროკურორი კოტე ფირცხალვა. გამსახურდიამ ბაიდოშვილს მიმართა მის კაბინეტში მყოფ სტუმრის თანდასწრებით სურდა მას საუბარი, თუ ცალკე· გენპროკურორის დასწრებით – იყო ბაიდოშვილის პასუხი. სანამ მოშიმშილეთა მოთხოვნებს ჩამოაყალიბდა, მიხეილმა საქართველოს პრეზიდენტს უამბო 18 დეკემბერის ინციდენტის შესახებ და შემდგომ ჩამოაყალიბა კურსანტთა მოთხოვნები: კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა; შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები მილიციის შესახებ კანონში; განაირადდეს ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია და დაისაჯოს, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე „თეთრი გიორგის“ საზოგადოების იმ წევრების მიმართ, რომელთა ვინაობაც და სატრანსპორტო საშუალებების ნომრები ცნობილია.

ისედაც და ასედაც, ამ მოთხოვნებს ასრულება არ ეწერა. საღამოს 5 საათისათვის აქცია დაიშალა. ყველა კურსანტი სასწავლებელში დაბრუნდა. მაშინ, როდესაც რუსთაველზე კურსანტთა აქცია ტარდებოდა, მილიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის ნაწილი თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში მონაწილეობდა.

მერამდენე დღეა უზენაესი საბჭოს შენობაში ვიმყოფებით, აქ ქაოსი და ანარქია სუფევდა. იყო ერთი ალიაქოთი. უზენაესი საბჭოს ნახევრადსარდაფის ტიპის დარბაზში გვარდიელები იდგნენ. საწილები ჰქონდათ გაშლილი და უსაქმურობისაგან დაოსებულები ჩანდნენ. მთელი დღე-დღმე ტელევიზორს უყურებდნენ. ერთი სიტყვით, უზენაესი საბჭოს შენობა ტრაქტირს წააგავდა.

21-22 დეკემბრის ღამე მძიმედ გადიოდა, ვერავინ ნარმოიდენდა როგორი დღე გათენდებოდა. 22 დეკემბრის კვირადღე თენდებოდა, დაახლოებით 8 საათზე, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან ნასროლი ტყვია უზენაესი საბჭოს შენობას ხედება. ამით ოპოზიციამ ავტედითი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. ეს გახდა პრეზიდენტისა და მთავრობის დაბომბვის სიგნალი. შენობაში იმყოფებოდნენ უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრთა საბჭოს კაბინეტის წევრები და თვით პრეზიდენტიც. დამნაშავეებმა ცეცხლი გახსნეს, შეეცადნენ შეჭრილიყვნენ შენობაში. პრეზიდენტის დაცვამ, ეროვნული გვარდისა და მილიციის ნაწილებმა გახსნეს საპასუხო გამაფრთხილებელი ცეცხლი, რომელიც ინტენსიურ სროლაში გადაიზარდა. შენობაში ვინ საით გარბოდა, ვინ პოზიციებს იკავებდა, არავინ უწყის. იყო ერთი ამბავი.

რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობა სერიოზულად დაზიანდა, ხოლო მიმდებარე შენობებს ცეცხლი ეკიდა. საღამოს, 22 დეკემბერს დროებითი სიმშვიდე ჩამოვარდა, ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლებამ დაიწყო მოლაპარაკება შეიარაღებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერთან. სამწუხაროდ, ეს მოლაპარაკება წარუმატებელი აღმოჩნდა. საღამოს 6 საათზე მივიღეთ ბრძანება შენობიდან გასვლის შესახებ. ჩიტაძისა და ჭონქაძის ქუჩების მიმართულებით გამოვედით, საიდანაც სატრანსპორტო საშუალებებით დავპრუნდით სასწავლებელში. ამ შეტაკებამ თვალივაზ დაგვანახა, რომ ოპოზიციის შეიარაღებული ბროვოკაცია დიდხანს და გულდასმით იგეგმებოდა და მზადდებოდა.

იმ დროს, როდესაც თბილისში სამოქალაქო ომი დიდ მასშტაბებს იღებდა, შიდა ქართლში ოსი სეპარატისტები ქართულ სოფლებში მოსახლეობას აწიოკებდნენ, ძარცვავდნენ და ხოცავდნენ, მათ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ. რუსთაველზე იწვოდა შენობები, დაძრნოდნენ მძარცველები, მოროდიორები, ათასი რჯულის დამნაშავენი.

დეკემბრის ბოლო დღეებში მიღიცის უმაღლესი სკოლის ტერიტორია არ მიგვიტოვებია. მთელი პირადი შემადგენლობა ყაზარმულ მდგომარეობაზეა გადაყვანილი. 27 დეკემბერს გვარდიამ პატიმრობიდან გაათავისუფლა გიორგი ჭანტურია, ჯაბა იოსელიანი, გოგა ხაინდრავა და სხვანი.

პრესა იტყობინებოდა, რომ 25 დეკემბერს თბილისის აეროპორტში დაეშვა გროვზოდან საგანგებო რეისით მომავალი ტუ-154. მას დახვდა საქართველოს პრეზიდენტის ერთგული ომონის ნანილი. აეროპორტში სროლა ატყდა ოპოზიციური გვარდიელების, საგანგებო დანიშნულების ბატალიონ „თეთრ არნივსა“ და ომონს შორის. ორივე მხრიდან იყვნენ დაჭრილები, იქვე, აეროპორტში 25 ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე დააკავეს, მათ ჩამოართვეს 17 ავტომატი და სხვა საომარი საშუალებები. გია ყარყარაშვილი აცხადებდა – ზვიად გამსახურდიამ ჩეჩენები ჩამოიყვანა ქართველების დასახოცადო.

სისხლიანი დღეების განმავლობაში მიღიცის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა გაურკვეველ მდგომარეობაში იყო. ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანი სასიკეთო ძვრები არსაიდან ჩანდა.

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის ოფიციერთა და კურსანტთა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ნარმოებულ ბრძოლებში მონაწილეობის

გეოგრაფიული რუკა და მასშტაბი

1992 წ.

ლესელიძე

ხეივანი

განთიადი

გაგრა

მელვრიკისი

კოლხიდა

ნალენჯიხა

ჩხოროწყუ

მარტვილი

ზუგდიდი

ხონი წყალტუბო

ხობი

სენაკი

აბაშა

ფოთი სამტრედია

ქ. თბილისი



ბიჭვების ენერგია აქ დაცხარჯა

1992 წელი

„მე მინდა ვემსახურო ჩემს
სამშობლოს და არა ჩემი
სამშობლოს მთავრობას“
მარკესი

მოახლოვდა სისხლიანი ახალი წელი. თბილისში დიდთოვლობაა. ამ წლიდან ქვეყანას მესამე ხელისუფლება მოევლინა...

1992 წლის დადგომისთანავე სამხედრო უპირატესობა პუტჩის-ტებისკენ გადაიხარა. მილიციის უმაღლესი სკოლა უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამსახურშია. მინისტრი დილარ ხაბულიანი და მისი მოადგილები მიმაღვაში არიან. ერთი სიტყვით, სამინისტრო უპატრონოდაა დარჩენილი. ისინი არც აქამდე იჩენდნენ ხელქვეითების მიმართ სათანადო პატრონობას.

ქვეყნის მართვა „საინფორმაციო მიტინგებით“ სახელმწიფოს სიკეთეს რომ არ მოუტანდა ეს კარგად გამოჩენდა. პატივმოყვარეობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ახასიათებდა, სახელმწიფოს მართვისათვის დამდუბეველი აღმოჩენდა. მისივე გარემოცვა აღიარებდა, რომ მასზე დიდი გავლენა ჰქონდათ ქალებს – ცოლის დას ლელე არჩვაძეს და ჯანდაცვის მინისტრს მანანა ძოძუაშვილს. პრეზიდენტს ხელი უნდა შეეწყო ერის გამთლიანებისათვის, პირიქით კი მოხდა – მან საქართველო დაპყო „ზვიადისტებად“ და „არაზვიადისტებად“. ქვეყანა გათიშულობამ მოიცვა. ინტელიგენციაშიც გამოიკვეთა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული ფენა.

ეს წელიც შსს უმაღლესი სკოლისათვის ცუდი ამბებით დაიწყო. მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრებმა პირველკურსელ ვახტანგ ნამგალაძეს ცეცხლსასროლი იარაღი გასტაცეს. ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირველკურსელი გიმზერ უვანია თბილისის რეინიგზის სადგურზე ატეხილი დებოშისათვის ირიცხება შსს უმაღლესი სკოლიდან და დათხოვნილ იქნა შს ორგანოებიდან. ახალ წელს, პირველკურსელები: ხვიჩა ხურციძე, ლევან მგალობლიშვილი, გოჩა ქუთათელაძე და ზაზა გუგავა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამსახურის შესრულებისას უნებართვოდ ტოვებენ საგუშავოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოდან იტაცებენ ავ-

ტომანქანა „კოლხოზიკს“, იქვე მდგომ ავტომანქანა „ვოლგიდან“ იპარავენ აკუმულატორს და მიღიან ხეიჩა ხურციძის სახლში ახალი წლის აღსანიშნავად. დაბრუნებულ ნასვამ კურსანტებს თბილისის შემოვლით გზაზე „ბაქო-ნოვოროსისკის“ ტრასაზე, გლდანის გა-დასახვევთან, ღამით, 8-10 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი აყაჩალებს, ართმევს ავტომანქანას, მათზე განპირობებულ ავტომატურ იარაღს და დემონსტრაციულად ტოვებს შემთხვევის ადგილს. შსს მიღიცი-ის უმაღლესი სკოლის უფროსს ბრძანებით, ყველა ზემოჩამოთვ-ლილი კურსანტი ირიცხება შსს მიღიციის უმაღლესი სკოლიდან.

მომხდარის გამო, ამ ამბიდან ერთი საათის შემდეგ სკოლაში იქმნება სპეციალური ჯგუფი ჩემი – კაპიტან შოთა ბითაძის ხელმ-ძღვანელობით და შვიდი კურსანტის შემადგენლობით შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნით. ყაჩალებთან შეხვედრის შემთხ-ვევაში, ისინი უნდა გაგვენადგურებინა. ჩემი მონდომება, შემთხ-ვევის ადგილისა და მიმდებარე ტერიტორიის 35-40 კილომეტრის შემოვლა, უშედეგოდ დამთავრდა, 2-3 საათიანი რეიდის განმავლო-ბაში გზაზე სულიერი არ გაჭაჭანებულა.

2 იანვრისათვის ოპოზიციის ხედმძღვანელმა ჯგუფმა თავის თავს სამხედრო საბჭო უწოდა და გამოაქვეყნა მიმართვა, სადაც ნათქვამი იყო: „ზვიად გამსახურდის მიერ უზურპირებული ხელი-სუფლება დამხობილია და ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ“. მეორე დღეს, 3 იანვარს თბილისში სამხედრო საბჭო სა-განგებო მდგომარეობას აცხადებს ნოლი საათიდან. ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად ინიშნება გია ყარყარაშვილი.

ამ დღიდან, 3 იანვრიდან მიღიციის უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა ჩართულია თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში. სასწავლებლის თანამშრომლები (ოფიც-რები და კურსანტები) მონაწილეობას იღებენ თბილისის რაიონებში რეიდებსა და დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღო-ნისძიებებში. აღნიშნული ღონისძიებების გატარებისას ჩემი სასწავ-ლებლის ოფიცრები და კურსანტები ვერ გადაურჩნენ თავდასხმას.

5 იანვარს, 22 საათსა და 30 წუთზე საბურთალოდან მიღიციის უმაღლესი სკოლისკენ მოძრავ სატრანსპორტო საშუალებას „ფუ-რას“ (ასეთი ავტომანქანებით ვახორციელებდით პატრულირებას თბილისის მასშტაბით), რომელშიც ისხდნენ სასწავლებლის თანამ-შრომლები, დიღმის მასივთან ტრასაზე, „ვოლგის“ მარკის ავტომან-ქანიდან ცეცხლი გაუხსნეს, შედეგად, „ფურა“ გადაბრუნდა. ერთ-ერთი ტყვია, მიღიციის უფროს ლეიტენანტ ვალერი ნანიკაშვილს გულში მოხვდა. იგი ადგილზე გარდაიცვალა. ხოლო მის გვერდით მჯდომი პირველკურსელი გიორგი გელაშვილი მძიმედ დაიჭრა. ის



31ლერი ნანიკაშვილი

1961-1992

ვალერი ნანიკაშვილი დაიბადა 1961 წლის 24 ოქტომბერს.
1878 წელს დაამთავრა ყვარლის რაიონის სოფელ საბუეს სა-
შუალო სკოლა. საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ვა-
ლერი თანაკლასელებს შორის გამოიჩინა და სიბეჯითით.
იგი კარგ ცოდნას ამჟღავნებდა ტექნიკური საგნების: მათე-
მატიკის, ფიზიკისა და ქიმიის მიმართ. ამ საგნების მიმართ
დაინტერესებამ ვალერი ნანიკაშვილს გადააწყვეტინა სწავ-
ლა გაეგრძელებინა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტი-
ტუტში.

1978 წელს ვალერი ნარმატებით აბარებს მისაღებ გამოც-
დებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირ-
გაბმულობის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამ-
თავრა 1983 წელს. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ
მუშაობას იწყებს ქ. ფოთში შორეული ნაოსნობის გემზე თა-
ვისი სპეციალობით.

შორეული ნაოსნობის გემზე მუშაობამ, ბავშვობაში გულ-
ჩათხრობილი ვალერი, მთლიანად გარდაქმნა, ოკეანისა და
ზღვის ტალღების ერთგული გახდა. გემბანზე მართო დარ-
ჩენილი თავის საიდუმლოებას ტალღებს ანდობდა, თავის
გულისნადებს ეჩურჩულებოდა. მის მიერ შექმნილ დღიურში
სჭარბობს გენიალური ადამიანების თხზულებებიდან ბრძნუ-
ლი აზრების ამონარიდები, რომლებსაც მის დღიურში განსა-
კუთრებული ადგილი აქვს დათმობილი.

1990-91 წლებში საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურ-
მა მდგომარეობამ ქ. ფოთის ნაგსადგურიდან გემების გასვ-
ლა შემცირდა და შემდგომ საერთოდ აიკრძალა და ვალერი
ნანიკაშვილს მოუნია დამშვიდობებოდა თავის სტიქიას. ამ
მდგომარეობამ ვალერი საგონებელში ჩაავდო, მას ვერ ნარ-



მოედგინა ოკეანისა და ზღვის სტიქიასთან განშორება, თუმცა კარგად ესმოდა რომ რეალობას უნდა შეგუებოდა.

ვალერი ნანიკაშვილმა შრომითი საქმიანობა საქართველოს შსს უმაღლეს სკოლაში გააგრძელა. ვალერი, დედის ტაისა ნანიკაშვილის (იგი საქართველოს შსს უმაღლეს სკოლაში კურსის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა) შუამდგომლობით, 1991 წლის ივლისს მუშაობას იწყებს შსს უმაღლეს სკოლაში კავშირგაბმულობის სამსახურის უფროსად.

მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა ვალერი ნანიკაშვილმა, ბუნებით კეთილმა და მეგობრობისადმი ერთგულმა, მოკლე ხანში სასწავლებლის თანამშრომლებსა და კურსანტთა შორის მოიპოვა დიდი პატივისცემა და სიყვარული.

შსს უმაღლეს სკოლაში მუშაობა ვალერისთვის ხანმოკლე აღმოჩნდა, იგი, 1992 წლის 5 იანვარს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაიღუპა.

ვალერი ნანიკაშვილს ოჯახში დარჩა დედა – ტაისა ნანიკაშვილი, მეუღლე დალი ნანიკაშვილი და შვილები: ოთარი და ქეთევანი.

ვალერი ნანიკაშვილის გვარი და სახელი ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე, მისი სახელი მიენიჭა შსს აკადემიის პირველი კურსის პირველ ოცეულს. მისი გვარი და სახელი ამოტვიფრულია ქ. თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ვალერი!



დღემდე საწოლს არის მიჯაჭვული. დაიჭრნენ პირველკურსელები: მამუკა დაგითინიძე და რამაზ იქრაპირიძე. გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდა. ერთ-ერთი ვერსიით, ავტომანქანას, საიდანაც სროლა განხორციელდა ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს მუშაკი მართავდა, დანაშაული გაუხსნელი დარჩა.

6 იანვარი, ორშაბათი. პრეზიდენტის „კორტეჟი“ ღამის 4 საათზე ბუნკერიდან გამოვიდა და აღმოსავლეთის მიმართულებით, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრისკენ გაემართა. „თბილისის ომი“ ამით დამთავრდა. ეს იყო ორი დაპირისპირებული ბანაკის ბრძოლა ხელისულებისათვის. თავშივე ჩანდა, რომ აგონიაში მყოფი ზ. გამსახურდიას რეზიმი დიდხანს ვერ გაძლებდა. ლირდა კი პრეზიდენტის დასამხობად ამდენი მსხვერპლის გაღება?

რამდენიმე დღეში დროებითი მთავრობის პრემიერთან – თენგიზ სიგუასთან შეთანხმებით, გივი კვანტალიანი სასწავლებლის გაფართოებაზე ზრუნავს. და აი, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 15 იანვრის № 23-1 დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების კურსებისა და შსს მილიციის უმაღლესი სკოლის გაერთიანებით იხსნება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლა. შსს მილიციის უმაღლესი სკოლა გადავიდა უშიშროების უმაღლესი კურსების ადმინისტრაციულ შენობაში ქერჩის შესხვევ № 2-ში (მილიციის უმაღლესი სკოლის პირდაპირ). სკოლის საშტატო განრიგი განისაზღვრა 268 თანამშრომლით. უმაღლესი სკოლის სტატუსისა და დანიშნულების შეცვლის გამო ტარდება პირადი შემადგენლობის ატესტაცია.

15 იანვარს ზ. გამსახურდია სოხუმში ჩაფრინდა. მან განაცხადა, რომ აქედან იგი შეუტევს თბილისა, ხოლო ჩეჩენეთთან მოლაპარაკების თანახმად, დაარსდება აფხაზეთ-სამეგრელოს რესპუბლიკა.

იანვარში სამხედრო საბჭოს, ანუ დროებითი მთავრობის ორი წევრისათვის, კერძოდ თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას პირადი დაცვისათვის გივი კვანტალანმა კურსანტთა რიგებიდან, სათანადო ფიზიკური მონაცემების მქონე 10 ახალგაზრდა გამოჰყო.

ახალშექმნილი უშიშროების უმაღლესი სკოლის რანგში, დროებითი მთავრობის ხელმძღვანელობის დავალებით, სასწავლებლის პირადი შემადგენლობა იგზავნება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ: ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, ხობში, სამტრედიასა და სხვა რაიონში.

25 იანვარს ქ. სენაკში მივლინებულ იქნა 60 კურსანტი პოდპოლკოვნიკ მერაბ ქოქიაშვილის ხელმძღვანელობით. იქ ჩასული ჩვენი სასწავლებლის პირად შემადგენლობას დახვდნენ სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობა: ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი. ჯა-

ბა იოსელიანი ქ. სენაკის კომენდანტად ნიშნავს მერაბ ქოქიაშვილს ქალაქში კომენდანტის საათის შემოღებასა და საქმისადმი სიმკაც-რის გამოვლენას ავალებს. ჯაბა იოსელიანი მერაბ ქოქიაშვილს საუბრისას განუცხადა, რომ ის და კიტოვანი აპირებენ ფოთსა და ზუგდიდში ლამით გამგზავრებას და ამ ქალაქების აღებას. ამ ამბავს მ. ქოქიაშვილი გაოცებული შეხვდა მას. თვალწინ წარმოუდგა მეორე მსოფლიო ომის ბატალიები.

უშიშროების უმაღლესი სკოლის მუშაკები მხოლოდ ერთი კვირა ახორციელებდნენ ქ. სენაკში კომენდანტის საათით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სამხედრო საბჭომ სამეგრელოს რეგიონში, „წესრიგის დასამყარებლად“ მხედრიონი გაგზავნა და 2 თებერვალს უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა სენაკიდან გამოიყვანეს. „მხედრიონის“ ხელმძღვანელს შტაბი სამტრედიაში ჰქონდა. „მხედრიონის“ წევრებს სამეგრელოში „თავისუფალი მოქმედების“ საშუალება მიეცათ. დაინტ სამეგრელოს მოსახლეობის აწიოკება.

მაღვე ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი სამხედრო საბჭოს სახელით გამოსცემენ „ჰუმანურ ამნისატიას“, რომლითაც ციხეები-დან და შრომა-გასწორების კოლონიებიდან განთავისუფლდა მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული ოთხი ათასი კაცი. გათავისუფალებულებმა მაღვე „მხედრიონის“ რიგები შეავსეს.

კვირას, 2 თებერვალს, დილის 12 საათზე ათიათასობით მოქალაქე შეიკრიბა თბილისის ვაგზლის მოედანზე, ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიტინგზე. ასეთი მიტინგები პირველი იანვრიდან ყოველდღე იმართებოდა. მიტინგზე გამოტანილი იყო ზ. გამსახურდიას სურათები, ტრანსპარანტები, ითხოვდნენ ზეიად გამსახურდიას დაბრუნებას და პოლიტპატიმრების გათავისუფლებას. მიტინგის დაშლისას სამხედრო საბჭოს შეიარაღებულმა რაზმმა ხალხს ტყვია დაუშინა. მუცლის არეში მძიმედ დაიჭრა პირველკურსელი ხვიჩა ლიპარტელიანი. რესპუბლიკურ საავადმყოფოში რამდენიმესაათიანი ოპერაციის შემდეგ იგი ნარკოზიდან ვერ გამოდის და იღუპება.

მიუხედავად იმისა, რომ 15 იანვარს შეს მილიციის უმაღლესი სკოლა და უშიშროების უმაღლესი კურსები გაერთიანდა, ტერიტორიულად მილიციის უმაღლეს სკოლაში განვავრძობდით მუშაობას (მილიციის უმაღლესი სკოლა უშიშროების უმაღლესი კურსების ადმინისტრაციულ შენობაში მარტში გადავიდა ეტაპობრივად). 10 თებერვალს მეორე სემესტრით გათვალისწინებული მეცადინეობები ისევ მილიციის უმაღლესი სკოლის აუდიტორიებში ტარდება. აქვე ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „მხედრიონი“ და მისი მეთაური ჯაბა იოსელიანი ჩვენს სასწავლებელზე აპირებს თავდასხმას. გივი კვანტალიანის ბრძანებით, უმაღლესი სკოლის

ხვინა ლიპარტელიანი

1963-1992



ხვინა ლიპარტელიანი დაიბადა 1963 წლის 21 იანვარს ლენტეხის რაიონში, სოფელ გულიდაში. სამუალო სკოლა დაამთავრა სოფელ მელისაში 180 წელს, სამუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ხვინა თანატოლებში პატივისცემით სარგებლობდა. იგი კეთილი და ძეგლითი მოსწავლე იყო. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილი ზაციის შემდეგ შრომით საქმიანობას ენევა ლენტეხის რაიონში.

ხვინა ლიპარტელიანს სურვილი ჰქონდა ჩამდგარიყო სამართალამცავი ორგანოების რიგებში დაგადაწყვიტა ჩაებარებინა შეს უმაღლეს სკოლაში. ხვინა 1991 წლის აგვისტოში წარმატებით აპარებს მისაღებ გამოცდებს საქართველოს შეს უმაღლეს სკოლაში და ირიცხება სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველ კურსზე.

სასწავლებელში დღიდან ჩარიცხვისა ხვინა თანატოლებთან ერთად მოხანძლეობდა ქ. თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში. ასრულებდა ხელმძღვანელ მუშაქთა მიერ მიღებულ დავალებებს.

ხვინა ლიპარტელიანი, იმ საბედისნერო დღეს, 2 თებერვალს თბილისის ვაგზლის მოედანზე, ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიტინგზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მუცლის არეში მძიმედ დაიჯრა და ქ. თბილისის რესპუბლიკურ სააგადმყოფოში გარდაიცვალა.

ხვინა ლიპარტელიანი 29 წლის იყო, მას იჯახში დარჩა დედა – ფაფადა ზურაბიანი-ლიპარტელიანი, მამა ვანო ლიპარტელიანი.


საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ხვინა ლიპარტელიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალუ-



რი წოდება. შსს აკადემიის მეორე კურსის მეორე ოცეულის პირველ ათეულს მიენიჭა მისი სახელი. მისი გვარი და სახელი ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მე-მორიალზე.

ხვიჩა ლიპარტელიანის გვარი და სახელი ამოტვიფრულია ქ. თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ხვიჩა!



პირადი შემადგენლობა გაძლიერებულ მზადყოფნაზე გადავიდა. სასწავლებლის ადმინისტრაციული შენობის სახურავზე ტყვიამფარქვევი დავაყენეთ. ტყვიამფარქვევთან დაწესდა მორიგეობის გრაფიკი, ხოლო დანარჩენი კურსანტები და ოფიცირები სადღელამისო მორიგეობას ეწეოდნენ უმაღლესი სკოლის შიდა პერიმეტრსა და სასწავლებლის გარე პერიმეტრზე.

სასწავლებლით თავდასხმის მოლოდინშია...

25 თებერვალს, შუადღეს სასწავლებლის ეზოში „კოლხოზნიკის“ მარკის სამხედრო მანქანა შემოვიდა. მას თენგიზ კიტოვანი მართავდა. მის გვერდით ჯაბა იოსელიანი იჯდა. მანქანა სასწავლებლის შუა ეზოში გაჩერდა. დაუპატიჟებელ სტუმრებს სასწავლებლის უფროსი გივი კვანტალიანი შეეგება. ერთმანეთს მიესალმნენ. მოკლე საუბრის შემდეგ გ. კვანტალიანმა მოიხმო სასწავლებლის თანამშრომელი გია შენგელია და ოფიცერთა და კურსანტთა ფორმის ტანსაცმლის სანყობში შესვლა და ოფიცრის 2 თბილი ქურთუუკის მოტანა დაავალა. თენგიზ კიტოვანმა კვანტალიანს საჩუქარზე უარი უთხრა, ხოლო ჯაბა იოსელიანს ხმა არ გაუღია, ალბათ თანახმა იყო. ამასობაში შენგელიამ ქურთუუკი მოიტანა და კვანტალიანს გადასცა. მან ქურთუუკი ჯაბას მოახურა და უფრო თამამად განაგრძო საუბარი. ამის შემხედვარე ოფიცრები და კურსანტები გაოგნებული ვიდექით: ორი კვირის განმავლობაში „შეედრიონის“ თავდასხმის მოლოდინში მყოფებს ჯაბა იოსელიანის მშვიდობიანი ვიზიტილა შეგვრჩა. თენგიზ კიტოვანმა ქურთუუკმოხურულ ჯაბას შეედა და ნამოიძახა: „ჯაბა! გივიმ, ბოზური ქურთუუკი ჩაგაცვა?“ ამაზე ჯაბამ იორნიული გამოხედვით უპასუხა. კიდევ რამდენიმე წუთი ისაუბრა სამეულმა ტებილად და დაემშვიდობა ერთმანეთს.

სენაკში ვითარება იძაბება და სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, 29 თებერვალს იქ უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის დიდი ნანილი მიდის, აქვეა ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები. ქალაქში კომენდანტის საათი გაუქმებული არ არის. უმაღლესი სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად, სენაკშია გივი კვანტალიანიც. მისი ხელმძღვანელობით ქალაქში მიმდინარეობდა სადღელამისო მორიგეობა. უკიდურესად დაძაბულია მდგომარეობა ზუგდიდშიც.

სენაკის სკოლა-ინტერნატში, სადაც უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა იყო დისლოცირებული, პირველ მარტს, დილით მოვიდა გივი კვანტალიანი და გამოგვიცხადა, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ზუგდიდის საკოორდინაციო საბჭო, ქალაქში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, ითხოვდა ქალაქსა და რაიონში წესრიგის აღსადგენად და დამნაშავეობასთან საბრძოლველად უშიშროების

უმაღლესი სკოლის კურსანტთა შეყვანას. აქვე გადაწყდა ზუგდიდში წამსვლელთა ვინაობა. გასამგზავრებლად გამოიყო 45 კურსანტი, რომელთა სურვილითაც, მათი ხელმძღვანელობა მე დამეკისრა.

ზუგდიდში ჩასვლისთანავე მართლაც, რომ მძიმე ვითარების მომსწრენი გავხდით. ქალაქში თარეშობდნენ გვარდიელები და მხედრიონელები. ადგილობრივი მოსახლეობა გაურკვევლობაშია. ყოყმანობს, ეშინია. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული გვარდიელები და მხედრიონელები თავის ნებაზე იყვნენ მიშვებულნი.

ჩვენ გაცნობიერებული გვქონდა ზუგდიდში გასატარებელი ღონისძიებების სირთულე და დიდი პასუხისმგებლობა ქალაქის მოსახლეობის მიმართ.

ჩასვლის დღეს, პირველ მარტს, ზუგდიდის კომენდანტად დაინიშნა ოზურგეთის შე განყოფილების უფროსი გენადი გიორგაძე. ჩვენი შემადგენლობა კომენდანტის დაქვემდებარებაში გადადის. კომენდატურაში შედგენილი გეგმის შესაბამისად, ვახორციელებდით პატრულირებას ჭითანწყლიდან – რუხის ციხემდე. კურსანტები განაწილებული გვყავდა ქალაქის ცენტრშიც. ისინი საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა უსაფრთხოებას იცავდნენ. ჩასვლის დღიდან ვცხოვრობდით „ენგურქაღალდკომბინატის“ საერთო საცხოვრებელში, სადაც ელემენტარულ ყოფით პირობებს ვიყავით მოკლებულნი. როდემდე მოგვიწევდა ზუგდიდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება ჩვენთვის გაურკვეველი იყო, ამდენად გადავწყვიტე „ენგურქაღალდკომბინატის“ გენერალური დირექტორისათვის, ბატონ ოთარ ფაცაციასათვის მიმემართა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად მისდამი დაქვემდებარებულ სასტუმროში ჩვენი კურსანტების გადაყვანის თაობაზე. შემპირდა, რომ სასტუმროში დაბინავებული გვარდიელების გასვლისთანავე, გადაგვიყანდა სასტუმროში და პირობებიც გაგვიუმჯობესდებოდა.

ქალაქში პატრულირების განსახორციელებლად კურსანტების განაწილების დროს, საერთო საცხოვრებელში 4 მარტს შემოვიდა პირველკურსელი სერგო (ბაჩი) ჩაჩიბაია. იგი იმ დღეს ჩამოსულიყო მშობლიურ ქალაქში და ჩვენთან სურდა მუშაობა. იგი ნარკოტიკული ნივთიერებებით იყო გაბრუებული და ჩვენ სიახლოვეს გამოჩენა ავუკრძალე. იმ დღიდან იგი ჩვენს შემადგენლობას ალარ გაპეკარება. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ჩაჩიბაია ერთ-ერთ გვარდიელს დამეგობრებია და მასთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, ზუგდიდში მცხოვრებ შეძლებულ ოჯახებს აყაჩალებდა. მისი დანაშაულებრივი საქმიანობა მარტო ამით არ შემოიფარგლებოდა. მან „ზვიადისტთა“ შეიარაღებული რაზმების შემოსვლამდე, ნარკოტიკული საშუალებე-

ბის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, დამეგობრებულ გვარდიელებთან ერთად, თანაკლასელის – ნათიძის დედა გააუპატიურა.

კრიმინალად იქცა ქ. სენაკში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ჩასული სასწავლებლის მეორეკურსელი ალექსანდრე ფანგანი, რომელიც მოქალაქეების უსაფრთხოებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, თავად ძარცვავდა მოქალაქეებს. მან სენაკში მცხოვრები მოქალაქე ჩამოსვა მისი კუთვნილი ავტომანქანა „ნივიდან“ და ავტოსატრანსპორტო საშუალება გაიტაცა. უმაღლესი სკოლის უფროსმა გივი კვანტალიანმა გატაცებული ავტომანქანა პატრონის დაუბრუნა. ასეთი დანაშაულობები ხშირად ხდებოდა. ამის ჩამდენთა მიმართ არც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარა და არც გარიცხულა ვინმე სკოლიდან.

9 მარტი. საგუშავოებზე განაცნილებული კურსანტების შემოწმებიდან დაბრუნებული შევედი „ენგურქალალდკომბინატის“ საერთო საცხოვრებელში. თენდებოდა. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ზუგდიდის ცენტრიდან სროლის ხმები გაისმა. თურმელოთი ქობალის შეიარაღებული რაზმი თავს დასხმია ქალაქის მილიციის განყოფილებას, თავდამსხმელებს მოუკლავთ ადგილობრივი მილიციის თანამშრომელი (მილიციის მაიორი და კაპიტანი) და შენობისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ. ქობალიელთა მეორე ჯგუფი კი თავს დაესხა „ენგურქალდკომბინატის“ სასტუმროში მყოფ გვარდიელებს.

გადავწყვიტე სასტუმროში მისვლა და გარკვევა თუ ვინ იყვნენ თავდამსხმელები. თან გავიყოლე მეორე კურსელი კობა პაპუაშვილი. სასტუმრომდე მისვლამდე (სასტუმრო, საერთო საცხოვრებლი-დან 150-200 მეტრში იყო) გზაში სროლის ხმა მოგვესმა. სასტუმროს-თან მისულებმა, დავინახეთ თავდამსხმელებს როგორ გამოჰყავდათ სასტუმროს შესასვლელიდან იარაღაყრილი და ხელებანეული 17 გვარდიელი. თავდამსხმელების მიერ გაკეთებული კორიდორით გაჰყავდათ და ავტობუსში სვამდნენ. აქვე თავი მოეყარათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და ლანძღვა-გინებით იკლებდნენ დატყვევებულებს. თავდამსხმელებს თეთრი სამკლაურები ეკეთათ, ლამე ერთმანეთი რომ გაერჩიათ. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა გია უჩავა. გიას მივე-სალმე, ერთმანეთი მოვიკითხეთ და ვთხოვე, ქალაქის ცენტრში საგუშაგოზე განაწილებული ოთხი კურსანტის მოძებნაში დამხმარებოდა (გია უჩავა მთავრობის სახლთან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს გავიცანი). გიამ დახმარება აღმითქვა და მასთან ერთად ავტობუსში მოვთავსდით, იქ, სადაც დატყვევებული 17 გვარდიელი იჯდა.

ავტობუსი ქალაქის ცენტრისკენ დაიძრა. ქალაქის ქუჩებში სალხი იყო გამოსული. ბაზართან შეჯგუფებულმა ხალხმა ჩვენი ავ-

ტობუსი გააჩერა და გზის გაგრძელების საშუალება არ მოგვცა. გია უჩავა, მე და კობა პაპუაშვილი ავტობუსიდან ჩამოვედით და ხიდთან შეკრებილ ხალხთან მივედით. აქ გავიგეთ მიზეზი ჩვენი ავტობუსის გაჩერებისა. თავდამსხმელები, რომლებიც ქალაქში შემოსულიყვნენ, მილიციის განყოფილებას ესროდნენ, სროლის შედეგად კი ორი ადგილობრივი მილიციის თანამშრომელი მოეკლათ. ადგილობრივმა ხალხმა წინ გადაადგილება ამიკრძალა: „მილიციის ფორმა გაცვიათ და თქვენც მოგვკლავეთ“. ხალხში მდგარმა ერთ-ერთმა ქალბატონმა სახლიდან შვილის სპორტული ზედა ჩასაცმელი გამომიტანა და დასძინა, თუკი გადაწყვეტით წასვლას, ეს სპორტული ჩაიცვითო. გია უჩავამ განზრახვაზე ხელი ამაღებინა, მირჩია ადგილზე დავრჩენილიყავი. მას იმ ოთხი კურსანტის გვარი ჩავაწერინე, რომლებიც ღამით ზუგდიდის ცენტრში პატრულირებდნენ. გია შემპირდა, რომ მოძებნიდა მათ და სამშვიდობოს გამოიყვანდა. 30-40 წუთის ლოდინის შემდეგ, გია უჩავას მიერ გამოგზავნილმა კაცმა მაცნობა, რომ საგუშაგოზე მყოფი 4 კურსანტი უსაფრთხო ადგილას - საავადმყოფოში იყვნენ გადაყვანილნი.

შუადღე იდგა. ყველა კურსანტი საერთო საცხოვრებელში შევკრიბე. გადავწყვიტეთ, ზუგდიდი დაგვეტოვებინა და იქაურობას გავცლოდით. საერთო საცხოვრებელში გამოჩნდა ჩვენი სასწავლებლის უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ანზორ ყურაშვილი. მას მოყვნენ „ზვიადისტები“ ვალტერ შურლაია და 3 კაცი. ვალტერ შურლაიამ ზუგდიდის საკოორდინაციო საბჭოს სახელით მოითხოვა ჩვენი იქ დარჩენა და ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებები მონაწილეობის მიღება, მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილება უკვე მიღებული გვქონდა. ავტობუსით, რომელსაც მეორეურსელი ავთო გაიმარჯვამვილი მართავდა, ხობის მიმართულებით გავემგზავრეთ.

ზუგდიდიდან გამოსული ჩვენი შემადგენლობა შეუერთდა ქ. ხობის სტადიონზე, ფეხბურთელთა ბაზაზე დისლოცირებულ უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის თანამშრომლებს. ისინი, ადგილობრივ შს განყოფილების პირად შემადგენლობასთან ერთად ახორციელებდნენ ღონისძიებებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის და დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც სამეგრელოს მთელ რეგიონში, აქაც გაზრდილი იყო ორგანიზებული დანაშაულობანი: ყაჩაღობა, მკვლელობა. იყო განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულობების ფაქტებიც.

სამხედრო საბჭოს მოწვევით, 7 მარტს თბილისში ჩამოდის ედუარდ შევარდნაძე. 10 მარტს, სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით ძალაში შევიდა საქართველოს დემოკრატიული კავშირის პროექტი,

რომლის მიხედვითაც, ე. შევარდნაძის თავმჯდომარეობით შეიქმნა სახელმწიფო საბჭო. ამ დღიდან სამხედრო საბჭო წყვეტდა ფუნქციონირებას. სახელმწიფო საბჭოს წევრები გახდნენ: თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი.

9 მარტს, ზუგდიდზე ექსპრეზიდენტის მომხრეთა თავდასხმა სწორედ ე. შევარდნაძის ჩამოსვლის პროტესტად შეიძლება მივიჩნიოთ.

ხობის ფეხბურთის გუნდის ბაზაზე გავიგეთ, რომ ლოთი ქობალიას შეიარაღებული რაზმის წევრ ნათიძეს დედის შეურაცხყოფისათვის, უმაღლესი სკოლის ბირველკურსელი სერგო (ბაჩო) ჩაჩიბაია სასტიკად უცემია და ზუგდიდის მილიციის განყოფილების წინასწარი დაკავების საკანში ჩამოეხრჩო.

უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის ხობში ყოფნისას სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით და უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის უფროსის გივი კვანტალიანის დავალებით, 14 მარტს ჩვენს შემადგენლობას გამოყო თოთხმეტკაციანი ჯგუფი ჩემი ხელმძღვანელობით დაბა ჩხოროწყუში გასამგზავრებლად. გივი კვანტალიანის განმარტებით, ჩხოროწყუს რაიონში, ისე როგორც მთლიანად სამეგრელოს რეგიონში, მძიმე ოპერატორი და პოლიტიკური ვითარების პირობებში ჩვენ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პარალელურად უნდა გვეზრუნა ჩხოროწყუში სტაბილურობის მისაღწევად.

ადგილზე ჩასულებს, დაბის ცენტრში მდებარე სასტუმროში დაგვხვდნენ ჩვენი სასწავლებლის – უშიშროების მაღალიჩნოსნები, რომელსაც ხელმძღვანელობდა უშიშროების პოლკოვნიკი მალხაზ გაგუა. იმავე დღეს შეკრებაზე გაირკვა, რომ რაიონში ვითარება წარმოუდგენლად მძიმეა, ხალხი მონაცრებულია მშვიდ ცხოვრებას, მათ არა აქვთ ნორმალური შრომისა და დასვენების უფლება, მილიციის რაიონული განყოფილება პარალიზებულია (მილიციის უფროსი ომები ალანია), მისი პირადი შემადგენლობა სამსახურში არ ცხადდება, მათ არ ჰყოფნით სითამამე, ძალისხმევა და მონდომება დაამყარონ წესრიგი. არ მუშაობს პურის ქარხანა, 2 ჩაის ფაბრიკა (დირექტორი: აკაკი გეგუა და ანატოლი ლემონჯავა), ადგილმრეწველობის კომბინატი, სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, სკოლაში ჩაშლილია მეცადინებები. მთელი დატვირთვით არ მუშაობს ფოსტა (დირექტორი თენგიზ ლაგვილავა) სამედიცინო ობიექტები – აფთიაქი და საავადმყოფო (მთავარი ექიმი ალექსანდრე მიქაილი) და სხვ.

შეკრებაზე ჩვენს წინაშე დაისახა ამოცანა, სტაბილიზაციის დასამყარებლად და მის შესანარჩუნებლად, შესაძლებლობის ფარგლებში გამოგვეცოცხლებინა რაიონში საზოგადოებრივი ცხოვრება.

ამ რთული მისიის შესრულებისათვის მრავალი ლამის გატეხა დაგვაჭირდა. ვმუშაობდით ხალხთან, ორ დღეში პურის ქარხანა ამუშავდა, გაისხა საზოგადოებრივი კვების ოპიექტები. სრული დატვირთვით ამუშავდა აფთიაქი, საავადმყოფო. საავადმყოფოში მიმდინარეობდა პაციენტების მიღება. ჩვენს მონდომებას ხალხი დღითიდღე გრძნობდა. ყოველი ზემოჩამოთვლილი ოპიექტის ამოქმედებაში გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდ გოგუასა და მისი მოადგილის გოგი სორდიას აქტიური მხარდაჭერის გარეშე ვერ მოხერხდებოდა.

დაბა ჩხოროწყუში ჩასვლის პირველივე დღეს ავამოქმედეთ რაიონის მილიციის განყოფილება. ადგილობრივ მილიციის თანამშრომლებთან ერთად ვახორციელებდით ჩხოროწყუს ტერიტორიის პატრულირებას. აქ და, საერთოდ, რაიონში სტაბილიზების მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უშიშროების პოლოკოვნიკის მალხაზ გაგუას, როგორც ხელმძღვანელის, მიზანმიმართულმა გადაწყვეტილებებმა.

ინფორმაციები სანუგეშო არ ჩანდა, რაიონში, წალენჯიხის მხრიდან საეჭვო 10-15 კაციანი რუსულ ენაზე მოლაპარაკე შეიარაღებული ჯგუფი გადაადგილდებოდა და ამ უცხო ჯგუფის თარეშით იყო გამოწვეული მოსახლეობის შეშფოთებაც. ჯგუფის მოქმედებები გარკვეულწილად დაზვერვითი იყო. ეჭვს ბადებდა, რომ ისინი რუსეთიდან იყვნენ შემოგზავნილები. ჩვენდა სასიკეთოდ თუ საუბედუროდ, ამ ჯგუფს პატრულირებისას არ შევევედრივართ.

ჩხოროწყუში ჩასვლის დღიდან და იქ ყოფნის პერიოდში (ჩხოროწყუში ვიმყოფებოდით 30 მარტამდე) დაბის ცენტრში – ობელისკთან ადგილობრივი მოსახლეობა 70-100 კაცამდე იკრიბებოდა და მიტინგს მართავდა. მომიტინგები ინფორმაციებს ზუგდიდსა და წალენჯიხისაში წარგზავნილთაგან იღებდნენ და აქციის მონაწილეებს ათვითცნობიერებდნენ. ე.ნ. საინფორმაციო აქციებს ლობირებდნენ: ზურაბ შენგელია (ჰელსინკის ჯგუფიდან), კოტე ნაჭყებია (მრგვალი მაგიდა) და ვალერი იზორია (ჩხოროწყუს ყოფილი პრეფექტი). კარგად გვესმოდა, რომ შორს ვიყავით სრულ სტაბილიზაციამდე. მიტინგები ისევ ყოველდღიურად იმართებოდა, მაგრამ სანდო ინფორმაციების ანალიზიდან გამომდინარე, მაინც ვცდილობდით ცივი გონებით შეგვენარჩუნებინა სტაბილურობა, უბრალოდ, ვცდილობდით აქ შეკრებილ ხალხს დავმსგავსებოდით.

ვითარების შესახებ ინფორმაციას დროდადრო ვუგზავნიდით შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონრდინაციო შტაბს სენაკში. შტაბი მხოლოდ ჩვენი გაგზავნილი ინფორმაციებით კმაყოფილდებოდა და, ჩვენთვის დახმარების აღმოსაჩენად ზომებს არ იღებდა.

ჩვენი დიდი მონდომების მიუხედავად, „ზვიადისტება“ შეიარა-ლებულ რაზმთან დაპირისპირებას მაინც ვერ ავცდით. ასეთ რთულ სიტუაციაში ბევრჯერ აღმოვჩენილვართ და ჩვენი თავის იმედად ბევრჯერ დავრჩენილვართ.

17 მარტი. წალენჯიხიდან მოვიდა ოპერატიული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დავალებით, გროზნოდან ზუგდიდში ჩავიდა ზურაბ გურუა. მან მიტინგი ჩა-ატარა ზუგდიდში და აღნიშნა: მილიციას დასაჭერი ხალხის სია აქვს და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს დაჭრები ზუგდიდში უნდა განახორციელოს. ზურაბ გურუას განცხადება დეზინფორმაციად მივიჩნიეთ, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს განცხადება არც ისე უსაფუძვლო იყო. ამის საბაბად შეიძლება ვივარაუდოთ, იმხა-ნად ჯაბა იოსელიანის სატელევიზიო გამოსვლა, სადაც იგი იუწყე-ბოდა ჩეჩენეთიდან ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლის შესახებ.

ზუგდიდში გაკეთებულ განცხადებას და ჯაბა იოსელიანის მიერ გაცხადებულ ინფორმაციას სამეცნიელოს რეგიონში ჯაჭვური რეაქ-ცია მოჰყვა. ჯერ იყო და ჩხოროწყვის სასტუმროში 19 მარტს, ლამით, „უიგულის“ მარკის ორი ავტომანქანით დაუბატიუებელი ოთხი სტუ-მარი გვეწვია თბილისიდან. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ავტომა-ტური იარაღით. ჩაკმულობით და იერსახით არ ჩამოვარ-დებოდნენ მანანნალებს. მათი თქმით, დედაქალაქიდან დავალებული ჰქონდათ წალენჯიხისაში შესვლა და იქ დივერსიული აქტის მოწყობა. პოლკოვნიკი მალხაზ გაგუას დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ მათი შეჩერება. მას ერთსაათიანი მსჯელობა დასჭირდა, რათა „დივერსან-ტები“ დავალების აბსურდულობაში დაერწმუნებინა. დაუბატიუებელ სტუმრებს წალენჯიხისაში რომ შეეღწიათ, ამას რა მოჰყვებოდა, ღმერ-თმა უნდის. მთელი ღამე ჩვენს შემადგენლობას არ ეძინა,. თვალს არ ვაკილებდით მათ მოქმედებებს. ისინი ნარკომანები აღმოჩნდნენ, ჩა-იყეტნენ სასტუმროს პირველი სართულის ოთახში და ნარკოტიკული ნივთიერებით გაბრუებდნენ. ეს უდღეულები დილით ყოველგვარი წი-ნააღმდეგობის გარეშე ჩავსვით მანქანებში და ჩხოროწყვის ტერიტო-რიიდან გავიყვანეთ. ჩავაცილეთ სენაკის ტრასამდე, დავრწმუნდით, რომ რაიონს გასცდნენ და დავბრუნდით.

ინტრიგა ამოქმედებულია. ჯერი „ზვიადისტებზე“ მიდგა.

22 მარტი, კვირა. დილიდან დაბაში სიწყნარეა. შუადლეს, სად იყო და სად არა, ობელისკთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მიტინგის ჩატარება არც უფიქრიათ. ბევრ უცხო სახეს ვხედავდით. ადგილობ-რივები არ უნდა ყოფილიყვნენ და რაღაც მიზნისათვის იყვნენ შემოგ-ზავნილები. ყველაფერ ამას სასტუმროს წინ მდგარნი ვადევნებდით თვალს. ეჭვი იმისა, რომ შეკრებილთაგან ბევრი შემოგზავნილი იყო,

უფრო მეტად გააღრმავა მაკა რაზმაძის გამოჩენამ. ეს ის რაზმაძეა, რომელიც ზეიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში ჟურნალისტად. იგი ერთადერთი ჟურნალისტი იყო, რომელიც ექსპრეზიდენტის ხელისუფლების ბოლო თვეებშიც ამბიციურად გადასცემდა ახალ ამბებს.

ობელისკიდან, ხალხის თავშეყრის ადგილიდან, დაიწყო ხალხის მსვლელობა სასტუმროს წინ მდებარე ქუჩის მიმართულებით, რაც სახალხო მსვლელობის ინსცენირებას უფრო ჰგავდა. იგრძნობოდა, რომ ამის მიღმა რაღაც განზრახვა იმალებოდა. ეს განზრახვა მაკა რაზმაძის „იდუმალებით“ მოსილმა კითხვებმა გამოააშკარავა. იგი მსვლელობას მოხდენილად ჩაცმული მოუძღოდა. სასტუმროს წინ მდგარ ჩვენს შემადგენლობას მოუახლოვდა თანმხლებ პირებთან ერთად და რამდენიმე კითხვა დამისვა. სახელფობრ: „აქ იმისათვის ხართ, რომ მომიტინგებს ესროლოთ?“ მივუგე: „თავს არავის ვესხმით, ვებრძეით კრიმინალებს, ჩვენი მიზანი რაიონში სტაბილურობის დამყარებაა“. მაკა რაზმაძეს კიდევ სურდა კითხვების დასმა, მაგრამ ყურადღება კურსანტებზე გადავიტანე – ხელით ვანიშნე სასტუმროში შევსულიყავით და ამით თავი აგვერიდებინა პროვოკაციული შეკითხვებისათვის. 15-20 წუთში „სანახაობრივი“ მსვლელობა დამთავრდა. დაბის ცენტრში აქა-იქ ადგილობრივი მოქალაქეებილა მიმოდიოდნენ.

მთავარი მეორე დღეს მოხდა. 23 მარტს, დილის 10 საათსა და 20 წუთზე წალენჯიხაში დაბანაკებული ექსპრეზიდენტის შეიარაღებული რაზმი შემოვიდა და ალყა შემოარტყა დაბა ჩხოროწყუს სასტუმროს, სადაც დაბანაკებული იყო უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის ოპერატორი ჯგუფი. შემოსულთა შეიარაღება და ძალები ამკარად აღემატებოდა ჩვენსას. ვიდრე „ზვიადისტები“ პოზიციებს დაიკავებდნენ, რაზმის მეთაურებმა ჩვენთან სტუმრობა გადაწყვიტეს. კურსანტებმა დაუპატიუებელი სტუმრები ჩემ სასტუმრო ნომერში მეორე სართულზე ამოაცილეს. მათ ჩვენები შემოჰყვნენ: მალხაზ გაგუა, იური ბოქოლიშვილი და გოგი იორდანიშვილი. დაუპატიუებელ სტუმრებს შორის იყვნენ: ზაზა მჭედლიძე (სამხედრო რწმუნებული, მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ხელმძღვანელობდა „ზვიადისტთა“ შეიარაღებულ რაზმს), რობინზონ მარგველანი (ზ. გამსახურდიას დაცვის უფროსი), გოჩა (გია) ბახია (სოხუმის ბატალიონის მეთაური) და ლალი მაისურაძე (ზ. გამსახურდიას პირადი მდივანი). მაკა რაზმაძის „ვიზიტის“ შემდეგ ასეთი შემადგენლობით სტუმრობას ვერც კი ვინატრებდით.

სანამ სკამებზე ჩამოვსხდებოდით, გია ბახიამ გაიხსენა ჩვენი ნაცნობობა შიდა ქართლში 1991 წელს და ისე მივესალმეთ ერთ-

მანეთს, როგორც ძველ ნაცნობებს შეეფერება. თავიდან ისინი არ გაგვეცნენ. ალპათ იფიქრეს, იმდენად ცნობილები ვართ, რაღა წარ-დგენა გვჭირდება, ან გაცნობის შესაფერისი დრო არ არის, ანდა კი-დევ, რა გაცნობა, ესენი (ე.ი. ჩვენ) ხომ ჩვენი მტრები არიანო.

ლალი მაისურაძე არ მალავდა სიხარულს და ჩვენზე გამარჯვე-ბას წინასწარ ზეიმობდა. ზაზა მჭედლიძე ცდილობდა შემრიგებლუ-რი მხარე დაეჭირა. რობინზონ მარგველანი ოთახის ცენტრში მა-გიდას მიუჯდა და მოლუშული შემოგვყურებდა. ოთახში წამიერად სიჩუმემ დაისადგურა, საუბარი მაღაზ გაგუამ წამოიწყო. მან გა-ნუმარტა, რომ ჩხოროწყუში სამშვიდობო მისით, ვითარების სტა-ბილიზებისათვის ვიყავით ჩასული. რობინზონ მარგველანმა, არც აცია, არც აცხელა, ჯიქურ მოგვთხოვა საბრძოლო იარალის ჩაბა-რება და რაიონის დატოვება. გადავხედე სტუმრებს და მათ გასაგო-ნად წარმოვთქვი: „ჩვენ იარალის ჩაბარებას არ ვაპირებთ“. პასუხმა ლალი მაისურაძე გააციანა. გაბრაზებულმა მას სახელით მივმართე. ლალის სიცილი სახეზე შეეყინა და მთხოვა, მეტვა საიდან ვიცნობ-დი. შევპირდი, რომ ამის შესახებ მოგვიანებით ვეტყოდო.

გუშინდელი დღესავით მახსოვეს როგორ შემოაღო ჩვენი შეე-რების ოთახი პირველკურსელმა ამირან ნაკაშიძემ და გარეთ გასვ-ლა მთხოვა. დერეფანში გავიგე, რომ „ზვიადისტთა“ შეიარაღებულ რაზმს ალყაში ვყავდით მოქცეული. ჩავირბინე სასტუმროს პირველ სართულზე ფანჯრებიდან კარგად მოჩანდენ ჩასაფრებული მებრ-ძოლები. მათ სასტუმროზე დამიზნებული ჰქონდათ ყუმბარმტყორ-ცნები, ტყვიამფრქვევები, ავტომატები. ალელვებული კურსანტები დავაწყნარე, დავარიგე, პროვოკაციას არ აცყოლოდნენ. იქვე მდგომ ჯუმბერ ნარიმანიძეს გადავეცი ჩემზე განპირობებული ავტომატი და გავედი გარეთ. ქუჩის გადაღმა, სასტუმროს მოპირდაპირე მხა-რეს, საცხოვრებელი სახლების ეზოებში ობელისკამდე მებრძოლე-ბი იყვნენ განლაგებული. ზოგი – სამხედრო ფორმაში, ზოგიც – სა-მოქალაქო ტანსაცმლში. ობელისკთან 40-50-მდე ადგილობრივ-საც მოეყარა თავი. აქეთ, ფოსტის შენობასა და სასადილოს შორის გაცრეცილ უნიფორმაში ჩაცმული მებრძოლი იდგა და გაჰკიოდა, პოზიციები დაიკავეთ და ბრძოლისათვის მოემზადეთო.

ამან გამაცეცხლა, ახლაც ვერ ვიხსენებ როგორ აღმოეჩნდი იმ ად-გილას, საიდანაც ეს თვითმარქებია მეთაური ძმათამკელელ ბრძანე-ბებს გასცემდა და ხმამალლა მივახალე: „თუ იცი, ვის უსაფრებ ამ მებ-რძოლებს?! თუკი სროლას აპირებ, უმჯობესია, დასახლებული პუნქ-ტიდან გავიდეთ, მოსახლეობა რომ არ დაზარალდეს და იქ მოვსინჯოთ ძალები“ (რით ვაპირებდი ამის გაკეთებას, არ ვიცი, მაშინ როდესაც ჩვენ შეიარაღებაში გვქონდა 12 ერთეული ავტომატი თითო მჭიდლით).

გაკვირვებულმა შემომხედა და მიპასუხა: „თუ ჩვენი ხელმძღვანელები ისასტუმროდან არ გამოვლენ, გესვრით!“ „თქვენი ხელმძღვანელები ჩვენთან არიან და არავინ არაფერს ერჩის, ხოლო ეს შენი ე.წ. ბრძანებები სიკეთის მომტანი რომ არ იქნება თუ გესმის?!!!“

დაძაბულობა მოლაპარაკების მაგიდასთან მსხლომთა გამოჩენამ განმუხტა. ზაზა მჭედლიძემ უსაყვედურა თვითმარქევია მეთაურს და მებრძოლებს დაბის ცენტრში შემოსვლის გამოსადაც დაგტოვეთ, იქ უნდა მდგარიყავითო. ამ დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია მილიციის განყოფილების მხრიდან წამოსულმა ტანკმა, რომელიც დიდი სიჩქარით მოხრიგინებდა დაბის ცენტრისკენ. ფოსტასთან ძრავა ჩაუქრა და ძლივსლა აამუშავეს. ეს მოძველებული ჯავშანტექნიკა „ზვიადისტთა“ შენაერთის კუთვნილება იყო. ტანკის გამოჩენაზე ჩემს გვერდით მდგარ ლალი მაისურაძეს ბავშვივით გაუბრწყინდა სახე და ხელები ზემოთ აღმართა, „რა არის ლალი, გამარჯვებას ხომ არ ზეიმობ?! მოგვიანებით, წალენჯიხაში, ექსპრეზიდენტის შეიარაღებული დაჯგუფების გარემოცვაში ყოფნისას, ლალი მაისურაძეს გაურკვეველ ვითარებაში კლავენ“.

23 მარტს, „ვიზიტი“ მშვიდობიანად დასრულდა. წალენჯიხიდან შემოსულმა შენაერთმა შუადღეს დატოვა ჩხოროწყუს რაიონის ტერიტორია და წალენჯიხაში დაბრუნდა. იმ დღეს ზაზა მჭედლიძემ და გია ბახიამ ჩვენი სასწავლებლის ოფიცრებთან ერთად ისადილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონდინაციო შტაბთან შეთანხმებით ჩხოროწყუში ჩვენი მივლინება დასრულდა და სასწავლებლის ოპერატიული ჯგუფი 30 მარტს თბილისში დაბრუნდა. ოპერატიულ ჯგუფში შედიოდნენ:

– გაგუა მალხაზი, პოლკოვნიკი, კათედრის უფროსი, ოპერატიული ჯგუფის უფროსი.

- ბოქოლიშვილი იური, პოლკოვნიკი, კათედრის უფროსი
- იორდანიშვილი გიორგი, პოლკოვნიკი, კათედრის უფროსი
- პეტრენკო ალექსანდრე, პოდპოლკოვნიკი, კათედრის პედაგოგი

– ქელეხსაშვილი გივი, კადრების თანამშრომელი, უფრ. ლეიტენანტი

– კვიჭიძე თამაზი, პოლკოვნიკი, სასწავლო ნაწილის თანამშრომელი

- ბალაგაძე მირიანი, უფრ. ლეიტენანტი, ბუღალტერი
- ნარიმანიძე ჯუმბერი, ზემდეგი
- ხორგუაშვილი
- გობოზოვი
- მამედოვი ალიკა, ავტობუსის მძლოლი

- ხინჩიგაშვილი ბენო
- თვაური როლანდი
- კოტოიანი ლუდვიკა
- ქველიძე ოთარი

შეიარაღებული ჯგუფი:

- ბითაძე შოთა, კაპიტანი, ხელმძღვანელი
- გამეზარდაშვილი ზურაბი, მესამეკურსელი
- ლიპარტია მერაბი, მეორეკურსელი
- ნაკაშიძე ამირანი, პირველკურსელი
- გოგიშვილი სპარტაკი, პირველკურსელი
- ზაუტაშვილი ნუგზარი, პირველკურსელი
- გოგოლაძე ზვიადი, პირველკურსელი
- მჭედლიძე ოთარი, პირველკურსელი
- თულიანი მამუკა, პირველკურსელი
- თუთარაშვილი გელა, პირველკურსელი
- ნოზაძე ნოდარი, პირველკურსელი
- ხუსკივაძე მირზა, პირველკურსელი

ფოთი. ქალაქი ექსპორტიდენტ ზ. გამსახურდიას შეიარაღებული რაზმის ხელშია. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქალაქის გასათავისუფლებლად უკვე მერამდენე დღეა გრიგოლეთში, საფეხბურთო გუნდის ლანჩხუთის „გურიის“ ბაზაზე დისლოცირებულია უშიშროების უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა, სამწყობრო დარგში სკოლის უფროსის მოადგილის, პოლკოვნიკ მერაბ რუხაძის მეთაურობით. მასთან ერთად არიან ოფიცრები და კურსანტები – სულ 40 კაცი. მათ მიიღეს ბრძანება გამაგრებულიყვნენ მაღლატაყვის ხიდზე. აქ არის „მხედრიონელთა“ 20 კაციანი ჯგუფი. ქალაქიდან სროლა არ წყდება მალთაყვის ხიდზე გამაგრებულთა მიმართულებით. აქედან „მხედრიონელთა“ ერთ-ერთი ლიდერი „ბულა“ (თამაზ ყურაძვილი) ძალიან აქტიურობს. მან მოითხოვა უშიშროების უმაღლესი სკოლის გააქტიურება და იერიშზე გადასვლა (ესეც ჩვენი ბედის ირონიაა!) და მერაბ რუხაძეს პოლკოვნიკის სამხრეები ჩამოგლიჯა. ოფიცრებმა და კურსანტებმა „მხედრიონელებთან“ დაპირისპირების მოლოდნები იარაღი ფეხზე შეაყენეს. „ბულა“ აიძულეს სამხრეები დაებრუნებინა. ინტენსიური სროლა ქალაქიდან გრძელდება. ორმხრივი სროლის შედეგად პირველ აპრილს მალთაყვის ხიდზე პოზიციების დაკავებისას პირველკურსელ იმედა ირემაძეს „ზვიადისტების“ მხრიდან გამოსროლილმა ტყვიამ მას სიცოცხლე მოუსწრაფა.

ერთობლივი ძალისხმევით, ფოთში გვარდიის შემოსვლით, ქალაქი გათავისუფლდა. ექსპორტიდენტის შეიარაღებული ჯგუფი ზღვით, მცურავი საშუალებებით გაიქცა.

19 მარტიდან სასწავლებლის პირადი შემადგენლობის 60 კაციანი დანაყოფი თბილისის აეროპორტში იცავს საზოგადოებრივ წესრიგს.

აპრილსა და მაისში უშიშროების უმაღლესი სკოლის მუშაკები იგივეს აკეთებენ ფოთში. ქალაქის კომენდანტია ჯუმბერ წივილაძე. გატარებული ღონისძიებების შედეგად, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სკოლის კურსანტები. ქალაქში კრიმინოგენული სიტუაცია დღითიდღე სტაბილური ხდებოდა. ჩვენი შემადგენლობა შს საქალაქო განყოფილებასთან ერთად პატრულირებდა. კომენდანტის საათის დროს სადღელამისო მორიგეობა იყო დაწესებული ფოთის ორივე შესასვლელში – მეტვიდე კილომეტრსა და მალთაყვაში. ვიცავდით სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს: ნავსადგურსა და ნისქვილექარხანას.

საქართველოში შექმნილი რთული ოპერატიული მდგომარეობის გამო, ფოთის საქალაქო უშიშროების განყოფილებაში 4 მაისი-დან 26 მაისამდე მივლინებული იყო უშიშროების უმაღლესი სკოლის 30 მუშაკა, პოლკოვნიკ მალხაზ გაგუას მეთაურობით.

19 მაისს წალენჯიხაში, ჯვარზენ-ზუგდიდის გზაზე ბანდიტთა ჯგუფი თავს დაესხა უშიშროების უმაღლესი სკოლის ოფიციელსა და კურსანტებს. იმავე დღეს სამტრედიაში სასწავლებლის მესამე-კურსელი ზაზა ბერიძის მიმართ ალიძრა სისხლის სამართლის საქმე.მან სამტრედის მუშაკთა სახლის წინ ყოველგვარი საბაბის გარეშე მასზე განპირობებული ავტომატური იარაღით სასიკვდილოდ დაჭრა მამუკა ბექანია.

12 მაისიდან, კურსანტთა საერთო ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის განმტკიცების მიზნით იმართება სკოლის საგაზაფხულო სპარტაკიადა სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

14 მაისს სასწავლებლის მეორე კურსი სასწავლო პრაქტიკას გადის თბილისში ადმინისტრაციული ხაზით.

ადგილობრივი მმართველობის 29 აპრილის მოთხოვნის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პაშაში იგზავნება სასწავლებლის 18 კაციანი ჯგუფი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასატარებელ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის მიზნით, 19 მაისიდან 31 მაისამდე ზუგდიდსა და ხობში უშიშროების უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებელი – სულ 9 ოფიცერი და 16 კურსანტი გაიგზავნა მივლინებაში.

21 მაისიდან 31 მაისამდე კახეთის რეგიონში, კერძოდ, გურჯა-ანში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მივლინებული იყო შვიდი ოფიცერი და 106 კურსანტი.

იმედა ირემაძე

1967-1992



იმედა ირემაძე დაიბადა 1967 წლის 13 ივნისს ცაგერის რაიონში, სოფელ ნასპერში. 1974 წელს შევიდა ნასპერის არასრული სამუალო სკოლაში. იქ ეზიარა მშობლიურ ენასა და საქართველოს ისტორიას. 1984 წელს დაამთავრა ღვირიშის სამუალო სკოლა და ჩაირიცხა ქუთაისის საამშენებლო ტექნიკურში. 1986-88 წლებში იმედა საბჭოთა არმიის რიგებშია.

იმედა ირემაძე ბავშვობიდანვე ოცნებობდა პოლიციის მძიმე და ვაჟაუცურ პროფესიაზე და ეს ოცნება მან აისრულა. იგი წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს საქართველოს შსს უმაღლეს სკოლაში და თანატოლებთან ერთად აქტიურად მონაბილეობს ქ. თბილისა და რესპუბლიკის რეგიონებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში.

ქ. ფოთში, 1992 წლის მარტსა და აპრილში, შექმნილი იყო მძიმე მდგომარეობა. ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული დაკვირვება ანიოკებდა ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას, ხელყოფდა ქვეყნის ერთიანობას. შსს უმაღლესი სკოლის ოფიცირები და კურსანტები ყველა ღონეს ხმარობდნენ შექმნილი სიტუაციის აღმოფხვრისა და ცხოვრების ნორმალიზაციისათვის, მაგრამ შინაური მტრის, ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმის მხრიდან გამოსროლილმა ტყვიამ პირველურსელის იმედა ირემაძის სიცოცხლე ქ. ფოთში, მაღლა და მის სიმშვიდეს შეენირა. იგი საქართველოს მომავალს და მის სიმშვიდეს შეენირა.

იმედა ირემაძეს ოჯახში დარჩა მშობლები და და-ძმა.

იმედა ირემაძეს საქართველოს შს მინისტრის № 52 პ/შ ბრძანებით (24.08. 91 წ.) მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის



„პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება (სიკვდილის შემდეგ). მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შეს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე, მისი სახელი მიენიჭა შეს აკადემიის პირველი კურსის მეოთხე ოცეულის მეორე ათეულს.

იმედა ირემაძის გვარი და სახელი ამოტვიფრულია ქ. თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, იმედა!



22 მაისს 24 საათიდან უშიშროების უმაღლეს სკოლაში ცხადდება ყაზარმული მდგომარეობა.

გარკვეული ოპერატიული მდგომარეობის გამო, 5 ივნისიდან სასწავლებლის მეოთხეკურსელების სტაჟირებას თბილისში გადიან.

ცხინვალის რეგიონში კი ოსი ექსტრემისტები რუსული შინაგანი ჯარის ხელშეწყობით ანიკებენ ქართველობას. საქართველოს რესპუბლიკის შეს 1992 წლის 11 მაისის №127 ოპერატიულ-სადლელამისო კრებსში გადმოცემული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ ცხინვალიდან 02 საათზე სოფელ ერგნეთს თვისმა ექსტრემისტებმა დაუშინეს რაკეტები და სხვა სახის ცეცხლსასროლი იარალი. ასევე სროლა აუტეხს სოფლების: ნიქოზის, თამარაშენის, აჩაბეთისა და ქემერტის მოსახლეობას. შედეგად, დაიჭრა 14 ადამიანი, სოფელ ერგნეთში დაიღუპა ერთი ჯარისკაცი-გვარდიელი. აღნიშნულის გამო, უმაღლესი სკოლის ოფიცერთა და კურსანტთა ნაწილმა ზემოაღნიშნულ სოფლებში ნასვლის სურვილი გამოთქვა. სასწავლებლის ხელმძღვანელობამ მხოლოდ 16 კურსანტი გააგზავნა ახლომდებარე რაიონში.

ცხინვალის რეგიონში ხორციელდება უშუალო აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, იქაური ქართველობა ბედის ანაბარაა მიტოვებული. ქართული სოფლები ბლოკადაშია. ცხინვალის რეგიონის ქართული მოსახლეობა სისხლისაგან დაცლის პირასაა. 18 ივნისს, სამი საბრძოლო ვერტმიტრენი (რუსეთის სამხედრო-საპარავო ძალების საცნობი ნიშნებით) თავს დაესხა საქართველოს გვარდიის ქვედანაყოფებს და რაკეტები დაუშინა. ვერტმიტრენებმა მცირე სიმაღლიდან დაიწყო ქართული სოფლების დაბომბვა, პარალელურად, დაიწყო შეიარაღებულ ფორმირებათა შემოტევა. გამოიყენეს ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. ექსტრემისტები საშინელებებს სჩადიოდნენ. დამწვარი და დანგრეულია ქართველთა სახლები, ათასობით მოსახლე განიდევნა საკუთარი კარმიდამოდან. სასტიკი შურისძიებით უსწორდებიან ქართველებს: ოსები „დრუჟბით“ უხერხავენ თავს თამარაშენელ დათაშვილს, ცოცხლად ხარშავენ დისეველ ბოლაშვილს, თავისისავე სახლში გამოწვეს ცხინვალელი ჭაია, ცხენის კუდზე მიაბეს, ათრიეს და ისე ამოხსადეს სული საცხენეთელ ხადურს, ცოცხლად წვავენ სოფელ ფრისთან 8 ქართველ ვაჟკაცს, ცოცხალს ამოაცალეს გული კუბითელ ოქროპირიძეს.

აქეთ, ექსპრეზიდენტის მომხრეებსა და სახელმწიფო საპტოს შორის დაპირისპირებამ წალეკა ქვეყანა. ხელმოსათბობითანამდებობასა და ხელისუფლებაში მოსვლის დიდმა წყურვილმა გადაავიწყათ თანამოძმები, ჩვენის სისხლიდა ხორცი. ქიშპობითავიწყდებათ უმთავრესი – სამშობლოს სამსახური, ქართველი ხალხის დაცვა. ხელისუფლებისაკენ დაუოკებელმა ლტოლვამ სულ დაავიწყათ, რომ ადამიანი წარ-

მავალია, სამშობლო კი მარადიული! ისტორია ამას არ გვაპატიებს! დანარჩენ საქართველოში დამნაშავეობა ორგანიზებული ხდება და ფართო მასშტაბებს იღებს. რესპუბლიკის მოსახლეობა პრაქტიკულად დააშინა დამნაშავეთა სამყარომ. მუდმივმა კონფლიქტმა და საომარმა ვითარებამ მრავალი შეიარაღებული ფორმირება წარმოშვა. რიგითი მოქალაქე დაუცველი დარჩა. კრიმინოგენული სიტუაცია უალრესად მძიმედ დააწვა ქვეყანას. ხელისუფლებაში მრავლად იყვნენ მოკალათებულნი ქურდები, მძარცველები, ნარკომანები, ბანდიტები. ამ მხრივ არც შინაგან საქმეთა ორგანოები იყო გამონაკლისი.

24 ივნისი, უშიშროების უმაღლეს სკოლაში დილიდან შეკრებაა გამოცხადებული. სკოლის უფროსის გივი კვანტალიანის ბრძანებით, სასწავლებლის პირად შემადგენლობას უნდა გაეთავისუფლებინა ტელერადიო დეპარტამენტის შენობა. შეკრებაზე ითქვა, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული ჯგუფი შემოიწრა დედაქალაქში, განაიარალა შინაგანი ჯარის ერთერთი ქვედანაყოფი, აიღო სატელევიზიო სტუდია და სატელევიზიო ანძა. შეტაკების დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი. წესრიგის ალსადგენად, ტელე-რადიოდეპარტამენტთან მისულებმა შევამწინეთ შინაგანი ჯარის წევრები, რომლებიც მოპირდაპირე მხრიდან ესროლნენ ტელესტუდიას. ჩვენ მოვახერხეთ, ზოოპარკიდან ტელესტუდიის შენობის მარცხენა მხარესთან მისვლა და შენობაში შესვლა. შენობაში შინაგანი ჯარის მებრძოლებიც შემოიჭრნენ სროლა-სროლით. ერთობლივი ძალის-ხმევით მოხერხდა ტელევიზიის დაცხრილული შენობიდან იქ გამაგრებულთა გამოყვანა. დაკავებულია ჯგუფის მეთაური ვალტერ შურლაია და სხვა „ლიდერებიც“. ეს განწირული, სიკვდილისათვის გამეტებული ადამიანების გაუმართლებელი აქცია იყო.

სამეგრელო ისევ ექსპრეზიდენტის მომხრეთა რეგიონად რჩება. ისინი ზუგდიდში ყოველდღე მართავენ მიტინგს და მოსახლეობას ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებენ. რეგიონში ვითარების განსამუხტავად, იქ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე ერთაშორისი ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე გაემგზავრა. მას თან ახლდნენ ჩხოროწყუს რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კანდიტ გოგუა და ჩხოროწყუს რაიონის მთავარი ექიმი ალექსანდრე მიქაია. წალენჯიხა-ჩხოროწყუს გზაზე, სოფელ ჯგალთან მათ თავს დაესხნენ შეიარაღებული პირები. ბანდიტებმა გოგუა ადგილზე მოკლეს, ალექსანდრე კავსაძე, ალექსანდრე მიქაია და მძღოლი მძევლებად წაიყვანეს ლუგელას მთის მიმართულებით. ალექსანდრე მიქაია 10 ივლისს გაათავისუფლეს, ხოლო სხვები დაიტოვეს.

ამ ვანდალური აქტის ჩამდენ ბანდიტთა დასაკავებლად და მძევლების გასათავისუფლებლად, დანაშაულის ჩადენის მეორე დღეს ჩხოროწყუში გავემგზავრეთ 40 კაციანი ჯგუფი. ჩხოროწყუში ჩასულებს ცენტრში მოსახლეობამ თბილი შეხვედრა მოგვიწყო. ძირითადად, ბავშვები აქტიურობდნენ, რომლებიც გვერდიდან არ გვცილდებოდნენ. ადგილობრივ მილიციის თანამშრომლებთან ერთად, იმავე დღეს შევუდექით ოპერატიული ონისძიებების გატარებას. დადგინდა, რომ მძევლების კვალს ლუგელას ხეობისაკენ მივყავდით. ამიტომაც გადაწყდა ლუგელას ტყის დათვალიერება. ორდღიანი მუშაობის შედეგად, მძევლების ადგილსამყოფელს ვერ მივაგენით. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბანდიტებს მძევლები ლუგელას ხეობიდან სხვა მიმართულებით წაუყვანიათ.

გივი კვანტალიანის ბრძანებით, ამჯერად წალენჯიხის მიმართულებით გავემგზავრეთ. სოფელ მუხურის გავლით წალენჯიხაში ჩავედით. დისლოკაციის ადგილად კვანტალიანმა წალენჯიხის რაიონული საავადმყოფო შეარჩია. ჩვენი გამგზავრება განპირობებული იყო იმით, რომ 6 ივლისს წალენჯიხაში „წესრიგის აღსადგენად“ ჩასულ „მხედრიონს“, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით თავს დასხმოდა ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ადგილობრივი სამხედრო ფორმირების რაზმი. დაიღუპა 20 და დაიჭრა 40-მდე ადამიანი.

ჩასვლისთანავე შევუდექით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ რა მიმართულებით უნდა გვემოქმედა, გაუგებარი იყო. სკოლა-ინტერნატში დისლოკირებული იყო „მხედრიონი“. აქ, შემოგვხვდა ქუთასის სკეცრაზმის უფროსი პოლკოვნიკი ელგუჯა ბუცხრიკიძე და მისი მოადგილე მაიორი რამზა იაშვილი. მათგან გავიგოთ, როგორ დახმარებიან ჯაბა იოსელიანის მეთაურობით „წესრიგის აღმდგენლებს“ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თურმე, 15-20 წუთით, რომ დაეგვიანათ, არავინ უწყის, როგორ დამთავრდებოდა ეს შეტაკება. ერთი სიტყვით, სულზე მოუსწრეს ჯაბას და მის გუნდს და ერთობლივი ძალებით ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმი ქალაქიდან განდევნეს.

იმავე დღეს მივიღეთ დავალება ჩხოროწყუდან წალენჯიხაში შემოსასვლელ გზაზე, განაპირა სახლთან ახლოს, გზის გარდიგარდმო გაყვანილი მეტრანასხევრის დიამეტრის მილში დივერსიული ჯგუფის მიერ დატოვებული ტროტილით სავსე ქანგბადის ბალონის გაუვნებელყოფის შესახებ. ეს რთული მისია პირნათლად შეასრულეს შიდაქართლელმა ბიჭებმა, მეორეკურსელებმა: ბადრი გოგიძემ, სოსო ბერუჟაშვილმა, დავით ყაულაშვილმა, გოჩა ბლიაძემ, ზურაბ მინდიაშვილმა, გია ბორცვაძემ და მევლუდ ჯაოშვილმა. ამის

შემდეგ, წალენჯიხის ერთერთ უბანში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ალყაში მოვაქციეთ საცხოვრებელი სახლი, სადაც, სავარაუდოდ, დივერსიული ჯგუფის ერთერთი წევრი იმაღლებოდა, მაგრამ ბინა ცარიელი დაგვხვდა.

წალენჯიხაში სიჩუმეს დაესადგურებინა. ქალაქში იგრძნობოდა მცხოვრებთა ნაკლებობა. ძირითადად, ქალები, ბავშვები და მოსუცები იყვნენ დარჩენილი. ყველა ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი გახიზნული იყო. მოვარდისა სამუალება ქალაქი დაგვეთვალიერებინა და გავსაუბრებოდით მცხოვრებლებს. გაირკვა, რომ „მხედრიონი“ აყაჩალებდა მოსახლეობას. დღისით-მზისით მიაყენებდნენ მათ მიერ შერჩეულ სახლებთან სატვირთო მანქანებს – „ფურებს“ და გაჰქონდათ ყველაფერი, რისი წალებაც შეეძლოთ. „მხედრიონის“ ასეთი „ვიზიტის“ მერე ერთერთ ოჯახში მოგვინია სტუმრობამ. ეს სახლი საავადმყოფოს გვერდზე გზის მოპირდაპირე მხარეს იდგა. მასპინძელმა – ქალბატონმა ლეიილა ზარქუამ შინ შეგვიპატიუა. შინ მისი დეიდა და დეიდაშვილი დაგვხვდნენ. მე და კურსანტებს ვაჟა კოხეიძესა და ზურაბ ბადრიაშვილს ქალბატონმა ლეიილამ სახლი დაგვათვალიერებინა. აქ „მხედრიონის“, „ნავაჟუაცარი“, მძიმე სურათი დაგვხვდა. აღარც ავეჯი და აღარც ტანსაცმელი. დაუთოვებული თეთრეულიც კი გაუყოლებიათ ხელისთვის. ცხადი გახდა, თუ როგორ „წესრიგსაც“ ამყარებდა „მხედრიონი“.

ივნისსა და ივლისში უშიშროების უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობასა და საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელობას, ასევე, გაერთიანება „საქსამოქმრენვმშენის“ №2 სამშენებლო ტრესტის მმართველთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მათ მიერ დაქვემდებარებული ობიექტების დასაცავად, 31 დეკემბრამდე იგზავნებიან უშიშროების უმაღლესი სკოლის ოფიცირები და კურსანტები.

იმავე თვეებში უშიშროების უმაღლეს სკოლაში არსებული სპეციალური დანიშნულების ასეული ოჯგურ განიცდის ცვლილებებს. სპეცასეულის წევრთა რაოდენობა 84 კაცით განისაზღვრა.

1992 წლის გაზაფხულიდან, გივი კვანტალიანის სიტყვიერი ბრძანებით, გამოიყო უშიშროების უმაღლესი სკოლის ოფიცირთა და კურსანტთა ნაწილი ნავთობპროდუქტებით დატვირთული მატარებლების სომხეთის ტერიტორიაზე გასაცილებლად.

სამეგრელოს რევინში შექმნილია რთული ოპერატიული მდგომარეობა. უშიშროების უმაღლეს სკოლაში 6 ივნისს ცხადდება განგაში. იმ დღეს ხობის რაიონში იგზავნება სასწავლებლის 120-კაციანი ჯგუ-

ფი. 100 კურსანტი, ძირითადად, სპეცასეულის წევრები და 20 ოფიცე-
რი დისლოცირებულ იქნენ ქ. წყალტუბოში, სასტუმრო „აიაში“.

მარტში უშიშროების სამინისტრო საინფორმაციო-სადაზერვო
სამსახურად გადაკეთდა, მაგრამ ჩვენი სასწავლებელი ხან-უშიშრო-
ების სამინისტროს, ხან – საინფორმაციო-სადაზერვო სამსახურის
აპრივიატურით მოიხსენიებოდა. ამა თუ იმ ღონისძიებაში სასწავ-
ლებლის პირადი შემადგენლობის მონაწილეობა ხშირად სკოლის
უფროსის ბრძანებებით არ იყო გამაგრებული.

წალენჯიხაში გრძელდება უშიშროების უმაღლესი სკოლის პირა-
დი შემადგენლობის ყოფნა. აუტანელი მდგომარეობის მოუხედავად,
ისინი მოსახლეობას მაინც იცავენ. გივი კვანტალიანის ბრძანებით,
უშიშროების უმაღლესი სკოლის მაიორი, ვიქტორ ნიკოლაიშვილი და
10 კურსანტი „მხედრიონის“ ჯგუფთან ერთად, 18 ივლისს იგზავნება
წალენჯიხიდან დასავლეთის მიმართულებით შესაძლო დივერსიული
ჯგუფების გასანადგურებლად. მე კი – პირველკურსელთა 25 კაცი-
ან ჯგუფთან ერთად, სამცაცხვის ტერიტორიაზე დამევალა სალამოს
ექვსი საათიდან დილის 8 საათამდე მორიგეობა. მორიგეობის დის-
ლოკაციის ადგილად შეირჩა X-XI საუკუნეების ძეგლი – წალენჯიხის
მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის საეპისკოპოსო ტაძარი.

მორიგეობა ტაძარში ლოცვით დაიწყო. შევაღეთ ტაძრის კარი
და პირჯვრის გადაწერით ლოცვა წარმოვთქვით: „უფალო ქრისტე,
ძეო ღვთისაო, შემინყალენ ჩვენ“... ტაძარი მაღლობზე მდებარეობს,
იქიდან წალენჯიხა ხელისგულივით ჩანს. ეკლესიას დაბალი გალა-
ვანი აკრავს. გალავნის შიგნით ტერიტორიაზე ძველი სასაფლაოა.
ეკლესის ტერიტორიის დათვალიერებისას, პირველკურსელ-
მა ედიშერ სამნიძემ მაცნობა ჯაბა იოსელიანის ვიზიტის შესახებ,
რომელიც კურსანტების მეთაურს კითხულობდა. გალავნის გარეთ
გასულმა შევამჩნივ მარჯვნივ, გალავნის კუთხეში მდგარი ჯაბა
იოსელიანი და მისი დაცვის უფროსი „წესრიგა“ – თამაზ ფანჩული-
ძე. ისინი ნაცნობ ადგილებს ათვალიერებდნენ. სანამ მივუახლოვ-
დებოდი, „წესრიგა“ ჯაბას ხმამაღლა ელაპარაკებოდა, ხელს ხან
მარჯვნივ, ხან მარცხნივ იშვერდა და ეუბნებოდა: „შეხე, ჯაბა, რა
კარგი ადგილებია საყაჩაღოდ!“ ჩემს ფეხის ხმაზე „წესრიგა“ უმაღ-
ლ გაჩუმდა და ორივემ ჩემკენ მოიხედა. ჯაბა იოსელიანს ვუთხარი,
რომ კურსანტების უფროსი მაიორი შოთა ბითაძე ვარ. მან შემხედა
და რჩევა-დარიგებებით „ალმჭურვა“. მიმითითა გზის იმ მხარეზე,
საიდანაც წალენჯიხაში შემოსული შეიარაღებული რაზმი დაეს-
ხა მას და გამაფრთხილა, ყურადღება სწორედ ამ მიმართულებით
გამემახვილებინა. კურსანტებს, გზის აღნიშნულ მხარეს გალავნის
შიგნითაც და გარეთაც, ვამორიგევებდი. ასევე, გალავნის მთელ პე-

რიმეტრზე იყვნენ ჩასაფრებულნი. ღამის საათებში შესაძლო უცხო პირის „სტუმრობის“ შემთხვევაში შევიმუშავეთ პაროლი – დათქმული საიდუმლო სიტყვა. დავადგინეთ პაროლის ყოველდღიურად ცვლის აუცილებლობა. პაროლი ციფრებზე ავაგეთ. მაგალითად, თუ ერთ დღეს იყო 14-ი, მეორე დღეს პარული 17-ით იცვლებოდა, მესამე დღეს – 21-ით და ა. შ. ანუ ღამით გადაადგილების დროს შემჩნეულ პირს ვაჩერებდით და ციფრს 5-ს უსახელებდით. ვთქვათ იმ დღეს იყო პაროლი 17-ი. თუკი ის ჩვენიანი იყო, ის აუცილებლად 12-ს დაასახელებდა ე. ი. ჯამური პრინციპით 17-ს, იმ დღის პაროლს ვიღებდით. ასე გაიარა ათმა უძილო ღამებ.

„მხედრიონი“ თავის „საქმეს“ არ იშლიდა. წალენჯიხაში დაუწიოკებელი ოჯახი თითქმის არ დარჩა. ზოგ გაძარცულ სახლში ხელმეორედ შედიოდნენ. საავადმყოფოს ეზოში კურსანტების საპატრულოდ განანილების დროს, იქვე, გზის მიღმა ზარქუების ეზოსთან „ფორდის“ მარკის მიკროავტობუსი გაჩერდა. იქიდან ავტომატური იარაღით შეიარაღებული 2 კაცი გადმოვიდა და ეზოში შევიდა (იმ დღიდან რა დღიდანაც „მხედრიონელებმა“ სახლი გაძარცვეს, ოჯახის წევრები აღარ გაჩერებულან შინ). სახლის გასაძარცვად შესული 2 მძარცველი ჩვენს მიერ გამოძევებულები იქნენ.

წალენჯიხის სტადიონზე ყოფნისას პირველკურსელმა ვაჟა საბიაშვილმა იცნო ერთ-ერთი მხედრიონელი, რომელსაც ჩვენი სასწავლებლის „მაკაროვის“ სისტემის ტაბელური პისტოლეტი აღმოაჩნდა. ეს იარაღი 6 თვის ნინათ უშიშროების უმაღლესი სკოლის მუშაკთა სენაკში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას მხედრიონელმა გასტაცა მას. მხედრიონელს იარაღის გადმოცემა მოვთხოვე, მაგრამ ცივი უარი მტკიცა. კამათმა რამდენიმე წუთს გასტანა. სიტუაცია იძაბებოდა და ამ დროს მოგვიახლოვდა ამ მხედრიონელის ბიძაშვილი კუსა ყიფიანი (იგი ჩემი ყოფილი მსჯავრდებული იყო), მომესალმა და თავის ბიძაშვილს პისტოლეტის დაბრუნება ურჩია, თუმცა ამ საკითხის „მოგვარება“ მან ჯაბასთან გადაწყვიტა.

სკოლა-ინტერნატის შენობისაკენ გავემართეთ. ეზო მხედრიონელებით იყო სავსე. ზოგი წყვილ-წყვილად მიმოდიოდა, ზოგიც ბუჩქებთან წამონოლილიყო. ბუჩქებთან წამონოლილ მხედრიონელისაგან მოგვესმა: „მე ორი კუბი დავითრიე, შენ კი ერთი კუბი შეგხვდა“. მეორე ისე იყო ნარკოტიკებით გაბრუებული, რომ პასუხად ლუდლულილა შეეძლო. ამ „შთამბეჭდავმა სურაომა“ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ დერეფანში მდგომი მხედრიონელის კითხვაზე: საითო, მხოლოდ მაშინდა მივხვდი, რომ ჯაბას ოთახთან ვიმყოფებოდი. მხედრიონელი შევიდა ჯაბასთან, მოახსენა ჩვენი სტუმრობის შესახებ და ამის შემდეგ მივიღეთ მასთან შესვლის ნებართვა.

ჩაბნელებულ ოთახში, იატაქზე დაგებულ ლეიბებზე ჩაცმული ჯაბა იოსელიანი და მისი დაცვის უფროსი „წესრიგა“ იყვნენ წამონოლილი. ჩვენს შესვლაზე ორივე ფეხზე წამოდგა. მივესალმეო. მხედრიონელმა ყიფიანმა, რომელსაც ჩვენი სასწავლებლის ტაბელურ პისტოლეტთან ეძნელებოდა დაშორება, რაღაც აბდაუბდა წამოიწყო. შევაჩერე და სახელმწიფოს მეთაურის მოადგილეს მოვუყევი, როგორ მოხდა მასთან ეს იარაღი. მხედრიონელმა კი განაგრძო: „ჯაბა, ხომ იცი ამ იარაღს ჩვენთვის როგორი მნიშვენლობა აქვს, წინ კიდევ რამდენი რამ გველოდება“. მხედრიონელს მივმართე: „შენ ეს ავტომატი გაქვს, სკოლის ბისტოლეტი კი დასაბრუნებელია“. ჯაბამ შემომხედა და პატარა პაუზის შემდევ დაიწყო: „შენ, მაიორო, კარგი ბიჭი ჩანხარ, სამართლიანად მოითხოვ იარაღის დაბრუნებას“ და განაგრძო: „გივი კვანტალიანი ხომ აქ არის, იმასთან გადავწყეტი ამ პისტოლეტის ბედს“. რა გაეწყობოდა, დავექმშვიდობე და ცივად გამოვბრუნდი.

„წესრიგის დამცველი“ მხედრიონელების წამოქმედარის გამო, წალენჯიხის მოსახლეობა იმდენად ზიზღითა და მტრულად განეწყო ხელისუფლების მიმართ, რომ როცა ედუარდ შევარდნაძემ 23 ივლისს ტურნე გამართა სამეგრელოს რეგიონში, წალენჯიხაში მას არასტუმართმოყვარულად შეხვდნენ და შევარდნაძე იძულებული გახდა, სასწრაფოდ დაბრუნებულიყო თბილისში.

ჩვენთვის მოულოდნელი იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. შევარდნაძის ვიზიტი წალენჯიხაში. 23 ივლისს, შუადეს წალენჯიხის სტადიონზე ორი ვერტმფრუნი დაეშვა. პირველი ვერტმფრუნიდან ედუარდ შევარდნაძე და იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი გადმოყიდნენ. მეორედან – ე. შევარდნაძის პირადი დაცვის ნევრები. ეს იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გეგმიური ვიზიტი სამეგრელოს რეგიონში პრობლემების ადგილზე გასაცნობად. სტადიონიდან ე. შევარდნაძის გადაადგილებისათვის კურსანტების ძალებით შევქმნით კორიდორი. აქ შეკრებილმა მოსახლეობამ (ძირითადად, ქალებმა) გადაადგილების საშუალება არ მისცა შევარდნაძეს. ისინი სალანდავი სიტყვებით ამკობდნენ სახელმწიფოს საბჭოს მეთაურს. მისმა ტურნემ 10-12 წუთს თუ გასტანა. ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა სასწრაფოდ გასცლოდა ქალაქს. ისე სწრაფად გაერიდა, რომ თავისი მგზავრი ჯონი ხეცურიანი დაავიწყდა და ისიც წალენჯიხაში დარჩა. ჩვენ, ორგანიზებულად მოვახერხეთ რამდენიმე კურსანტის თანხლებით ჯონი ხეცურიანის გამგზავრება თბილისში.

იმ დღეს ჯაბაც ტოვებდა თავის რაზმთან ერთად წალენჯიხას. დაახლოებით ლამის ათ საათზე ჯაბა იოსელიანი წალენჯიხის საა-

ვადმყოფოში ჩვენი დისლოკაციის ადგილას მოვიდა და განმარტოებით გამიმზილა, რომ „მხედრიონი“ წალენჯიხიდან გადიოდა, ხოლო ჩვენ, მათი გასვლიდან ერთი საათის შემდეგ უნდა ჩავსულიყავით ჩხოროწყუში და პოლკოვნიკ გუჯარ ყურაძვილის სამხედრო რაზმს შევერთებოდით. რადგან ლამე იყო, ერთმანეთს პაროლის საშუალებით უნდა დავკავშირებოდით. ეს დათქმული საიდუმლო სიტყვაც ჯაბა იოსელიანმა გამიმზილა. ლამე ჩხოროწყუში დავყავით და დილით თბილისისკენ გავემზ ზავრეთ.

სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, სამეგრელოს რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ოპერატორული ვითარების სტაბილიზებისათვის სენაკში იქმნება საკორრდინაციო შტაბი. მთელ რეგიონში თითქმის პარალიზებულია შინაგან საქმეთა ორგანოები. გაზრდილია ორგანიზებული დანაშაული: ყაჩაღობა, მკვლელობა, ქურდობა. აღნიშნულ რეგიონში შეს იმართების დასახმარებლად, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისიდან და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიგანყოფილებიდან იგზავნება ძალები.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა 30 ივლისს იგზავნება ჩხოროწყუს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში. იმ წელს ჩვენი სასწავლებლის პირადი შემადგენლობა უკვე მესამედაა ჩხოროწყუში. ხშირმა თავდასხმებმა, იარაღისა და კუთვნილი ავტოტრანსპორტის გატაცებამ იქაური რაიგანყოფილება პარალიზებამდე მიიყვანა. სენაკის საკორრდინაციო შტაბის მიერ ჩხოროწყუს ზონის ხელმძღვანელად, კომენდანტად მივლინებულ იქნა მილიციის პოდპოლკოვნიკი თეიმურაზ მურლულია. ადგილობრივი მილიციის თანამშრომლებთან ერთად, ჩვენი სასწავლებლის 7 თფიცერი და 40 კურსანტი ყაჩაღობის სანინააღმდეგო ღონისძიებებში ვიღებდით მონანილეობას. ფაქტზე დავაკავეთ ყაჩაღობას ვართა 3 კაციანი ჯგუფი. მორიგეობას ვერეოდით რაიონის ჩაის ფაბრიკებში. მუხურის ჩაის ფაბრიკაში ერთ-ერთი მორიგეობის დროს დამით, მეორე კურსელებს: ზურაბ ბადრიაშვილს, ვალო ბერიძეს და ზურაბ მინდიაშვილს თავს დამნაშვეთა შეიარაღებული ბანდა დაესხა. მათ განიარაღეს კურსანტები და წალენჯიხის მიმართულებით მიიღალნენ.

10 აგვისტოს, დილით ჩვენი შენაერთი ჩხოროწყუს ზონიდან გაიყვანეს. მე და კურსანტებმა ზ. ბადრიაშვილმა, ვ. ბერიძემ და ზ. მინდიაშვილმა გადავწყვიტეთ, ჩვენს შენაერთს არ გავყოლოდით, წალენჯიხაში ჩავსულიყავით და „ზვიადისტთა“ რაზმის ხელმძღვანელთა-გან ჩვენი ავტომატები დაგვებრუნებინა. ეს განზრახვა ჩხოროწყუს ზონის ხელმძღვანელს თეიმურაზ მურდულიას შემცვლელს მილიციის პოლკოვნიკ ლევან ჯოჯუას გავუმხილე. მან მირჩია, უარი მეთქვა

წალენჯიხაში წასვლაზე. გადავწყვიტეთ, მისი გვერდის ავლით წავ-სულიყავით, თუმცა ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, მაგრამ გადაწყვეტილება უნდა შეგვესრულებინა. ამისათვის გავიხსენ ჩემი ნაცნობობა ჩხოროწყუს ყოფილი პრეფექტ ვალერი იზორიასთან. იგი დიდი ყურადღებით მოეკიდა ჩემ თხოვნას, გამომყოლოდა ექსპრე-ზიდენტის შეიარაღებული რაზმის ხელმძღვანელობასთან ჩვენი სას-წავლებლის კუთვნილი ავტომატების დასაბრუნებლად.

მანქანას, რომელშიც მე, ვალერი იზორია და კურსანტი ზურაბ ბადრიაშვილი ვისხედით, ჩხოროწყუს შესასვლელში ქალები გადაგ-ველობნენ და გზის გაგრძელების საშუალება არ მოგვცეს. სასტუმ-როს მხრიდან სროლის ხმა მოგვესმა. ქალებმა იცნეს ვალერი იზო-რია და სოხოვეს: ქალაქში ნუ შეხვალთო. ჩვენ – მე და ზურაბ ბად-რიაშვილმა, გადავწყვიტეთ, მიგვეტოვებინა ეს ადგილი და დანარ-ჩენი კურსანტების მოსაძებნად ქუჩა გადავირბინეთ. საავადმყოფოს ეზოდან ლობეზე გადავედით და სასტუმროს უკან მდგარ კორპუსთან აღმოვჩნდით. კორპუში მცხოვრებლებმა შეგვიფარეს და გვითხრეს, რომ 10 წუთის წინ შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა სასტუმროში ახლადმოსულ მილიციის ქვედანაყოფს. შემდგომ გაირკვა, რომ დაახ-ლოებით, საღამოს 6 საათზე სენაკის საკოორდინაციო შტაბის მიერ გამოგზავნილი ქ. თბილისის მთაწმინდისა და დიდუბის შს რაიგანყო-ფილებების მუშაკებს თავს დაესხა ბოროტმოქმედთა შეიარაღებუ-ლი ჯგუფი, დაიჭრა ერთ-ერთი მილიციელი, თავდამსხმელებისაგან მოკლულია ერთი და დაიჭრა – 2. თავდამსხმელებს მთაწმინდისა და დიდუბის მილიციის თანამშრომლები თავისივე ავტობუსით გაუმგ-ზავრებიათ სენაკისაკენ. მოვძებნეთ კურსანტები ზურაბ მინდიაშვი-ლი და ვალერიან (ვალო) ბერიძე და სხვა თანამებრძოლებთან ერთად ჩხოროწყუს შს განყოფილებაში შევგროვდით.

ჩხოროწყუს ზორის ხელმძღვანელი მილიციის პოლკოვნიკი ლევან ჯოჯუა რამდენჯერმე დაუკავშირდა სენაკში საკოორდინა-ციო შტაბს, აცნობა მომხდარის შესახებ და სთხოვდა ტრანსპორ-ტის გამოგზავნას ჩვენს წასაყვანად. ბანდა, რომელმაც თავდასხმა მოაწყო, ჩხოროწყუში დაძრნოდა. ჩვენ, უიარალოდ დარჩენილებს (პისტოლეტების ამარა ვიყავით), რაიონიდან წასვლა გვქონდა გა-დაწყვეტილი. სენაკიდან დამხმარე ძალა არ ჩანდა. დრო გადიოდა და ჩვენს რიგებში ნერვიულობა მატულობდა. კიდევ რამდენჯერ შეეხმიანა სენაკის შტაბს ლევან ჯოჯუა. იქიდან ატყობინებდნენ: ავტობუსი გამოგზავნილია და მალე თქვენთან მოვაო. გავიდა 3-4 საათი. ამაოდ ველოდებოდით დამხმარე ძალას. იმედი რომ გადაგ-ვენურა, ახალციხის ავტომანქანით 9 თანამშრო-მელი სენაკისკენ გამოვემგზავრეთ.

საკონფიდენციო შტაბი, რომელიც სენაკის სასტუმროში იყო განლაგებული სავსე იყო მილიციის თანამშრომლებით. ავტობუ-სები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები სასტუმროს წინ იყო გამწკრივებული. მივხვდით, რომ ჩვენს დასახმარებლად თავიც არ შეუწეობიათ. ყველანი მანქანიდან გადმოვედით და შტაბის ხელმ-ძღვანელობისა და იქ მყოფების მიმართ უშვერი სიტყვები არ დავი-შურეთ. იმავე ლამეს გამოვემგზავრეთ თბილისისკენ. აქ კარგად გა-მოიკვეთა შტაბის უმოქმედობა, უფრო, მუშაობის ფორმალობა. გა-მოიკვეთა მილიციის თანამშრომელთა უსუსურობა და სიმხდალე.

უძიშროების უმაღლეს სკოლაში მისაღები გამოცდები დასას-რულს უახლოვდებოდა. 13 აგვისტოს ცხადდება მისაღები გამოც-დების შედეგები. პირველ კურსზე ირიცხება 234 კაცი. წინა დღიდან, 12 აგვისტოდან სასწავლებლის პირადი შემადგენლობა გადაყვა-ნილია გაძლიერებულ სამხედრო მზადყოფნაზე განსაკუთრებულ განკარგულებამდე. კურსანტების გამოუცხადებლობის გამო, ტე-ლევიზით ცხადდება სასწავლებელში მათი გამოცხადების აუცი-ლებლობის შესახებ.

ამ დროისათვის აფხაზეთში ვითარება იძაბება. 1992 წლის და-საწყისიდან განდევნილი პრეზიდენტის მომხრეთა მიერ ხორციელ-დება დივერსიები სარკინიგზო ხიდების, ლიანდაგებისა და სხვა კო-მუნიკაციების მწყობრიდან გამოსაყვანად. აფხაზეთის ტერიტორია ექსპრეზიდენტის მომხრეთა ტერიტორიად იქცა. სახელმწიფო საბ-ჭომ მიიღო დადგენილება რეინიგზაზე საგანგებო წესების შემოღე-ბისა და წესრიგის დაცვის განსაკუთრებული ზომების შესახებ. სწო-რედ ამის შესრულებას მოჰყვა მომის დაწყება. აფხაზეთში ქართვე-ლებს შორის არ იყო ერთსულოვნება. გათიმულობა კი დამღუპველი აღმოჩნდა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის. ამას შესა-ნიშნავად იყენებდნენ აფხაზი სეპარატისტები. მოშლილი იყო საკო-მუნიკაციო საშუალებები. სიტუაცია თანდათან უმართავი ხდებოდა.

14 აგვისტოს საქართველოს სამხედრო ნაწილებმა თენგიზ კი-ტრივანის მეთაურობით მდინარე ენგურზე გადასასვლელები დაიკა-ვეს და შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. იმავე დღეებში კავკა-სიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტისა და პარლამენ-ტის თავმჯდომარის ბრძანებით, დაიწყო მოხალისეთა გადასროლა აფხაზეთის ტერიტორიაზე. აგვისტოს მიწურულს აფხაზეთში მოქ-მედებდნენ ჩეჩენი, ადილეელი და ოსი „ბოევიკები“. ბევრი მათგანი ომამდეც იქ იყო. ეს ადასტურებს, რომ ექსტრემისტებს ომისათვის მზადება კარგა ხნის დაწყებული ჰქონდათ.

დავუბრუნდეთ უშიშროების უმაღლეს სკოლას. რა ხდებოდა ამ დროისათვის სასწავლებელში? 15 აგვისტოდან 7 დღის განმავლო-

ბაში საქართველოს ტელევიზიის საშუალებით გადაიცემოდა განცხადება უშიშროების უმაღლესი სკოლის მობილიზების შესახებ. მასში ნათქვამი იყო სპეცდანიშნულების ასეულისა და, მთლიანად, სასწავლებლის პირადი შემადგენლობის სასწავლებელში გამოცხადების აუცილებლობის შესახებ და გამოუცხადებელთა საკითხი პერსონალურად იქნებოდა განხილული.

ახლადჩარიცხულ კურსანტებს კი ეძრდანათ სასწავლებლის ტერიტორია არ დაეტოვებინათ და უმაღლესი სკოლის საერთო საცხოვრებელში დარჩებილიყვნენ. ზოგიერთმა კურსანტმა მოასწორო სასწავლებლიდან გასვლა და სახლში, მშობლების გახარება: უმაღლეს სკოლაში ჩავირიცხეო.

24 აგვისტო. ორშაბათი. 10 საათი. უშიშროების უმაღლესი სკოლის დიდ სალექციო დარბაზში სასწავლებლის უფროსის ბრძანებით, ოფიცირები და კურსანტები იკრიბებიან. შეკრების მთავარ საკითხზე გივი კვანტალიანი მოგვიანებით ილაპარაკებს, თავიდან კი იგი სასწავლებელში მისაღები გამოცდების შედეგებს შეეხო. ჩარიცხულთავან 50 კურსანტი ისწავლიდა უშიშროების პროფესილით, ხოლო დანარჩენი შინაგან საქმეთა ორგანოებს შეავსებდნენ. შემდეგ მან შეკრების მონაწილეებს გაუმხილა მთავარი საკითხი, ის, რომ აფხაზეთში რთული ვითარებაა შექმნილი და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, განსაკუთრებულ განკარგულებამდე, ქ. გაგრის მოსახლეობის დასაცავად უშიშროების უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა იქ გაემგზავრება. ასევე, წამსვლელთა ხელმძღვანელად უშიშროების უმაღლეს სკოლაში რამდენიმე თვის წინ გადმოყვანილ მილიციის კაპიტან ვახტანგ კვესიტაძეზე შეაჩერა არჩევანი.

შუადღეა. სასწავლებლის ეზოში კურსანტები და ოფიცირები ჯგუფ-ჯგუფად დგანან. საუბრობენ ქ. გაგრაში მივლინებაზე. ეტყობოდათ (უფრო მეტად ოფიცრებს) ქ. გაგრაში წასვლის მოსურნე ბევრი არ იქნებოდა. ოფიცრები ჩუმად საუბრობდნენ გივი კვანტალიანის „ინიციატივაზე“. ამ სისხლიან მივლინებაზე, რომ გივი კვანტალიანს სკოლის პირადი შემადგენლობის ბრძოლის ველზე გაყვანის უფლება არა აქვსო. კურსანტები კი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ხელმძღვანელად ახლადმოსული ოფიცრის დანიშვნის გამო.

წინა წლებში გაგრაში მიმდინარე ბრძოლებსა და, საერთოდ, აფხაზეთის ომზე ბევრი ინერებოდა. ინერებოდა ყველა და ყველა-ფერი. აქედან ბევრი – სიცრუეც. ბოლო წლებში კი ერთგვარად იკლო აფხაზეთის თემით დაინტერესებამ. არც ომის თემაზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი ასახავს სრულ რეალობას – გაგრის ბრძოლების მონაწილენი (რესპონდენტები) ასახელებენ ყბადა-

ღებულ სიტყვას ღალატს! ისინი ზოგადი ფრაზებით მიმოიხილავენ ომის დაწყების საბაბს და დამარცხების მიზეზებს, იხსენებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებს და ამ ბრძოლებში პირადი და თავიანთი მეგობრების (თანამებრძოლების) მონაწილეობის ეპიზოდებს. ამის დავიწყება არ შეიძლება, ამ წლებმა დიდი დაღი დაასვა იმათ, ვინც იქ იბრძოდა, ეს მოუქარებელი ჭრილობაა იმათვის, ვინც თავის თავზე გადაიტანა აფხაზეთის ტრაგედია. განუკითხაობამ ბევრი ახალგაზრდის და არა მარტო მათი სიცოცხლე შეიწირა.

ვიდრე გაგრაში უშიშროების უმაღლესი სკოლის მუშავთა (ოფიცრებისა და კურსანტების) მივლინების შესახებ მოგითხობდეთ, მინდა პრესაში გამოქვეყნებული პოლემიკური წერილები მოკლედ მიმოვისილო, ნინა წლებში რომ იქნებოდა. ავტორების მიერ ამ წერილებში მოყვანილი ფაქტები სიმართლეს არ შეეფერდა. ამაში ქვემოთ დარწმუნდებით.

2000-2002 წლებში სხვადასხვა რესპოდენტის გამოთქმული აზრები ყოველგვარ რეალობას მოკლებულია. ისინი ეჭვის ქვეშ აყენებენ უშიშროების უმაღლესი სკოლის ოფიცრებისა და კურსანტების მონაწილეობას გაგრაში წარმოებულ ომში. ესეც ღალატად შეიძლება მივიჩნიოთ – სიმართლის ღალატად! ამ სიცრუის გასამართლებლად და უტყუარი ინფორმაციის დასაბეჭდად რედაქტორებთან (ჟურნალი „თბილისელები“ რედაქტორი ზაზა ახობაძე და გაზეთ „კვირის პალიტრის“ რედაქტორი ან გარდაცვლილი ლალი გუთაიშვილი) ვიზიტებმა ფუჭად ჩაიარა – წერილების დაბეჭდვაზე უარი მითხრეს, შეთქმულებივით ერთხმად იმეორებდნენ: ესაო და, პოლემიკური სტატიების გამოქვეყნებას ვერიდებითო.

მეოთხელისითვის ნათელი რომ გახდეს, მოვიყვან მათ აბსულულ და უაზრო გამონათქვამებს. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმდენად რამდენადაც ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე.

2002 წლის ჟურნალ „თბილისელებში“, (№36, 6-16 სექტემბერი) დაიბეჭდა ეროვნული გვარდიის ყოფილი მებრძოლის, იმუამად პატიმრის (იგი სასჯელს რუსთავის კოლონიაში იხდიდა) გივი (ჯონი) ვანიშვილის წერილი: „კურსანტებს უთხრეს: „წინ „შავნაბადა“ დგას, მარჯვნივ „მხედრიონი“ ... მაგრამ მოატყუეს...“

გივი ვანიშვილი ეჭვქვეშ აყენებს ქ. გაგრაში და სოფელ კოლხი-დაში ჩვენს ყოფნას და იქ წარმოებულ ბრძოლებში ჩვენს მონაწილეობას. იგი ამბობს, რომ ნუ გეშინათ, წინ „შავნაბადა დგას და მარჯვნივ, „მხედრიონი“. კოლხიდაში ბრძოლისას მაღლობზე ჩვენ გარდა არავინ იდგა! იმ ომში ზოგიერთი მართლაც მაყურებლად იყო წამოსული. გივი ვანიშვილის გაგრის ბრძოლებში მონაწილეობას ეჭვქვეშ

არ ვაყენებ, მაგრამ იგი ზედმეტად თავდაჯერებულია და საკუთარი თავის გარდა არავის უნევს ანგარიშს, სწორედ ამ ხასიათმა მიიყვანა იგი დანაშაულამდე. მოხალისედ წავედიო, – წერს. მოხალისედ კი არა, ომში წასვლას ისინი არიდებდნენ თავს და იმალებოდნენ ვისთვისაც ეს პირდაპირი მოვალეობა იყო, მითუმეტეს, რომ ამას კონსტიტუცია გვავალებს. მან ჩვენი ქვეყნის ისტორიაც არ იცის. წინა საუკუნეებში, როდესაც ჩვენს ქვეყანას მტერი შემოესოდა, ხელისუფალი (მეფე) ქუდზე კაცს უხმობდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაშინაც (1992-93 წ. წ.) და ახლაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომში ტელევიზიები და სხვადასხვა „ჯურის“ ფირმა, „ქუდზე კაცს“ დასასვენებლად საზღვარგარეთ უხმობდა: ანტალიასა თუ კანარის კუნძულებზე, ევვიპტესა თუ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კურორტებზე დროს გასატარებლად. გივი ვანიშვილი ერთმანეთისაგან გამომრიცხავ ფაქტებით კვებავს მკითხველს: ერთგან ამბობს: – „იქ სადაც კურსანტები იდგნენ, მძიმე ტექნიკა ვერ მიუახლოვდებოდა, იქით ხევი იყო და ტანკი ვერ წავიდოდა“. და მეორე: „30 აგვისტოს 6 საათზე შეტევა წამოვინეულო, წინ „ბმპ“ მიდიოდა და ჩვენ უკან მივყებოდით“. ზუსტად რომ ჩვენც „ბმპ“ გვიკვლევდა გზას წინა ხაზზე გასაკვლევად. იგი ამბობს: „კურსანტებს ბრძოლაში გამოუსადეგარი „აკს“-ის ტიპის ავტომატები ჰქონდათ და ალკოჰოლური სასმელი დალიეს და დაღლილებს ჩაეძინათ“. ჩვენ რომ ავედით პოზიციებზე, იქაურობა სწორედ ცარიელი ბოთლებითა და საბნებით იყო მიმოფანტული. შეიარაღებაში ყველა ტიპის ავტომატური იარაღი გვქონდა, ყუმბარმტყორცნები, ტყიამფრქვევები, ხელყუმბარები და „აკმ“-ის ტიპის ავტომატებიც.

გაზიერ „კვირის პალიტრამ“ (2001 წ. 29 იანვარი – 4 თებერვლის ნომერი) გამოაქვეყნა სტატია: „საქართველოს ომი არ წაუგია, ომი ლალატმა წააგო – პასუხგაუცემელი კითხვები“. ეს სტატია ეკუთვნის გაგრაში მებრძოლ „ავაზას“ მეთაურს – მერაბ ლორთქიფანიძეს. მისი სიტყვებით, „ეს იმ თორმეტი ბიჭის შეგნებულად განირვა იყო, რადგან ხელმძღვანელობამაც კარგად იცოდა, რომ ისინი იქ, სადაც ბატალიონები დამარცხდნენ, ვერაფერს გააწყობდნენ... რომ მკითხოთ, რატომ გასცეს ასეთი ბრძანებაო, ვერ გეტყვით; ამას ხმირად ჩემს თავსაც ვეკითხები და პასუხს ვერ ვპოულობ“. ასევე „29 აგვისტოს კოლხიდაში, სადაც ბატალიონები დაეცნენ, ლამით უნდა გასულიყვნენ წინა ხაზზე მებრძოლები. ყველამ უარი თქვა, რა თქმა უნდა, უაზროდ სიკვდილი არავის უნდოდა. ეს ხელმძღვანელობამაც იცოდა, მაგრამ თავისას არ იშლიდა. პოლიციის აკადემიის ომის „ინჩიპინჩის“ უცოდინარი პირტიტველა კურსანტები გარეკეს საომრად, ბრძანებაზე, მათ უარი ვერ თქვეს. ამ განწირულ

ბიჭებს რომ შევხედეთ, გული ჩაგვწყდა – ვიცოდით სად და რისთვის უშებდნენ... 12 კაცი გაუშვეს იქ, სადაც თითქმის ბატალიონი იბრძოდა. იმ ღამეს დისლოკაციის ადგილზე არც ერთ ჩვენგანს ხეორიანად არ უძინია, ფიქრებით მათთან ვიყავით. ისე გათენდა, ერთი სროლის ხმა არ გაგვიგია. დილით ავირბინეთ ფერდობზე, შევედით სახლში და რას ვხედავთ ისეთი შემზარავი სანახობა დაგვხვდა, რომ ბევრ საშინელების მხილველ მებრძოლსაც კი სისხლი გაეყინებოდა. ზოგიერთისთვის „კოლუმბიური ჰალსტუხები“ გაეკეთებინათ, – სასქესო ორგანოები მოეკვეთათ. ერთ-ერთ მათგანს გულის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს ტყვების სამი გამავალი ჭრილობა პქონდა მიყენებული. ის როგორ გადარჩა, დღესაც არ ვიცი. მისი ნაამბობით ვიკით, რომ დაღლილებს ჩასძინებიათ, როგორც ჩანს ყარაული მიპარვით, ჩუმად მოხსნეს აფხაზებმა, სახლში შეიჭრნენ და...“ ასევე მ. ლორთქიფანიძე ამბობს: „1992 წლის 29 აგვისტოს შეტევა დავგეგმეთ და ძველი გაგრის ტერიტორია უნდა დაგვეკავებინაო“. – მ. ლორთქიფანიძე ვერ ერკვევა გაგრის გეოგრაფიულ მდებარეობაში. 29 აგვისტოს ბრძოლები მიმდინარეობდა არა ძველ გაგრაში, არამედ სოფელ კოლხიდაში და სოფელ კრასნიკრესტში (სხვანაირად გაგრის მეექვსე კილომეტრს ეძახდნენ). ეს იყო სოხუმის გზაკეცილი. იქ ცხოვრობდნენ: შეროზიები, ქეცბაიები, კალმახელიძეები, ხარებავები, ჭანტურიები, მწარიები და სხვ.

ავტორი ცრუობს, როცა ჩვენი ბიჭების დაღუპვაზე წერს. 29 აგვისტოს კი არა, 28 აგვისტოს მოხდა ეს გასვლა კოლხიდაში. თუკი ბატალიონები დაეცნენ, როგორ უბრძანეს ამ თორმეტ ბიჭს წინა ხაზზე გასვლა. აქედან შეიძლება დაგასვენათ, სამხედრო ხელმძღვანელობა სიტუაციას ვერ აკონტროლებდა, ხოლო კურსანტები უშიშარი ბიჭები იყვნენ და არ შეუშინდნენ მტერს. ყველამ უარი განაცხადა წინა ხაზზე გასვლაზე. ეს იმას ადასტურებს, რომ მშიშრები ყოფილან და კურსანტები კი წარბშეუხრელად დადგნენ იქ, სადაც ყველა უნდა მდგარიყო. მ. ლორთქიფანიძე ამბობს, კურსანტთა გამოუცდელობაზე. თავად იმ ბრძოლის წარმოების არავითარი გამოცდილება არ ჰქონდათ, არც მოხალისებს და არც სამხედრო შენაერთებს. 12 კაცი გაუშვეს, იქ, სადაც ბატალიონები დაეცნენო (ბატალიონი საჯარო ქვედანაყოფია, რომელიც რამდენიმე – ჩვეულებრივ 3-4 ასეულისაგან შედგება, ხოლო ომიანობის დროს ეს რაოდენობა იზრდება. შენიშვნა ჩემია), ესეც კურსანტების ვაჟეაცობას ადასტურებს. ისე გათენდა, რომ გასროლის ხმა არ გაგვიგიაო – ამბობს მ. ლორთქიფანიძე. 28-29 აგვისტოს დამით სროლის ხმა არ შემწყდარა, მთელი ღამე მტერი გვიტევდა და თქვენ როგორ ვერ გაიგეთ, ალბათ საღათას ძილით გეძინათ. 29 აგვისტოს დილით ჩვენსა

და „მხედრიონის“ გარდა არავინ წამოსულა პოზიციების ხელმეორედ ასაღებად, ან კიდევ სად იყო ის სახლი, სადაც შემზარავი სანახაობა დაგხვდათ. გორებისა და მანდარინის პლანტაციების მეტი იქ არაფერი იყო. ზოგიერთი კურსანტისათვის „კოლუმბიური ჰალსტუხები“ გაეკეთებინათ და სასქესო ორგანოები მოეკვეთათო – ამბობს „ავაზას“ მეთაური და დასძენს, ვილაცის ნაამბობიდან ვიცი, დალლილებს ჩასძინებიათ, აფხაზებს ყარაული მოუხსნიათ და სახლში მყოფი კურსანტები ჩაუხოცავთო. იქ, სადაც უშიშროების უმაღლესი სკოლის კურსანტები იდგნენ, იყო ბრძოლის წინა ხაზი. წინა ხაზზე, სადაც ბრძოლები მიმდინარეობს, არ გამიგია ყარაული გამწესებულიყო. ყველა იბრძვის და არავის სძინავს.

ასეთივე უაზრო ინფორმაციას გვაწვდის თავისი ინტერვიუში გაგრის ყოფილი მერი, ყოფილი დისიდენტი ჯონი ლატარია. ეს ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთ „ალიაში“ 2000 წლის 3-4 ოქტომბერს №156(955), სათაურით, „აფხაზეთის დაცემაზე პასუხისმგებელთა არასრული სია – თვითმხილველი ბრალს სდებს...“, სადაც იგი იხსენებს ხუთ ფაქტს და ერთ-ერთში აღნიშნავს: – „ფაქტი მეოთხე: მაშინ გივი კვანტალიანი მილიციის აკადემიის რექტორი იყო „სოხუმში ჩამოიყანა კურსანტები. 13 კურსანტი იქიდან გაგრაში გამოაგზავნა, თვითონ სოხუმში დარჩა. ცხონებულმა მარინაშვილმა საღამოს, როცა საგუშაგოზე ხალხი არ ჰყოფნიდა, იმ დღეს ჩამოსული კურსანტები პოსტზე დააყენა. პოზიციებზე ჩაეძინათ და დილით ცამეტი ბიჭი „კოლხიდაში“ ყელგამოჭრილი იპოვეს. მერე ჩამოვიდა კვანტალიანი. კომუნტარები თვითონ გააკეთეთ“. ამის მხილველი კი არა, ბეჭი უნდა იყოს, როგორც მერაბ ლორთქიფანიძის, ისე ჯონი ლატარიას მიერ აღნერილი ფაქტები, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ისინი ამას გულის მოფხანვის მიზნით ლაპარაკობენ. ჯ. ლატარია ამბობს, რომ „მე გაგრის რწმუნებული ვიყავი და ჩემი მოვალეობა ჯარისკაცების გამოკვება, მათთვის პირობების შექმნა იყო“. ამ საქმეს სხვაც მოუვლიდა, ჯონი ლატარიას კი იარაღით ხელში გაგრის მოსახლეობასთან ერთად წინა ხაზზე უნდა ებრძოლა და სწორედ იქ გაიგებდა უტყუარ ფაქტებს, ხოლო მიხეილ მარინაშვილი გაგრაში სექტემბერში ჩამოვიდა. იმ დღეებში (28,29,30 აგვისტოს) კი გაგრის დაცვას აკია ბარბაქაძე მეთაურობდა.

აღნიშნული სტატიებიდან კარგად ჩანს, რომ ავტორები ვერ აცნობიერებენ თავის ნათევამს, ცდებიან და მერე როგორ!

საქართველოს უშიშროების უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის ოფიცერთა და კურსანტთა გაგრის ბრძოლებში მონაწილეობა, ჩვენს მიერ ნანახი და განცდილი დღეების ქრონიკა შემდეგ-ნაირად წარიმართა:

„საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი რთული კითხვების გამო, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მიმღინარე წლის 26 აგვისტოდან განსაკუთრებულ განკარგულებამდე პოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარების მიზნით, საზოგადოებრივი ნესრივის განმტკიცებისა და მოსახლეობის უშიშროების დაცვისათვის, ოპერატიული დონისძიებების გასამტკიცებლად ქალაქ გარაში მივლინებულ იქნან უმაღლესი სკოლის თანამშრომლები და მსმენელები“.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების უმაღლესი სკოლა
ბრძანება

1992 წლის

14/09 №80

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი სკოლა 1992 წლის დასაწყისიდან დაექვემდებარა საქართველოს უშიშროების სამინისტროს, რომელიც შემდგომ საინფორმაციო-სადაზვერვო სამინისტროდ გადაკეთდა, სასწავლებელში ბრძანებების უმეტესობა საქართველოს უშიშროების უმაღლესი სკოლის ან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების უმაღლესი სკოლის სახელით იჩერებოდა. უმაღლესი სკოლის არა მხოლოდ სტრუქტურულმა დაქვემდებარებამ და, საერთოდ, სასწავლებლის გარდაქმნებმა უნდა მიიქციოს ყურადღება, ეს თავისთავად მოხდებოდა სახელმწიფოს განვითარების კვალობაზე, არამედ იმ როტულმა და გრძნობით აღსავსე დღეებმა, წლებმა, რომლებმაც მძიმე დაღი დაასვა მთლიანად საქართველოს და მათ შორის შსს მილიციის უმაღლეს სკოლასაც.

ზემოთ მოტანილი ბრძანება, რომლის თანახმადაც უშიშროების უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა უნდა გამგზავრებულიყო, თავშივე ყალბია. კერძოდ, აღნიშნული ბრძანება ჩვენი გაგრაში გამგზავრებიდან 20 დღის შემდეგ დაიწერა; რომელ ოპერატიულ ღონისძიებებზეა ლაპარაკი, როდესაც გაგრაში ბრძოლები მიმდინარეობდა. ამავე ბრძანებაში მითითებული 2 ოფიცერი და 11 კურსანტი გაგრაში არ ჩამოსულა; დაბოლოს, ამ ბრძანებას გაურკვეველია თუ ვინ აწერს ხელს, როდესაც სკოლის უფროსი მთელი სექტემბერი გაგრაში იყო (ბრძანება ხელმოწერილია გივი კვანტალიანის ხელმოწერის მიბაძვით).

დამთავრდა საქართველოს ტელევიზიის საშუალებით უშიშროების უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის (ოფიცრებისა და კურსანტების) სასწავლებელში 7 დღიანი გამოცხადება.

26 აგვისტო. ოთხშაბათი. უშიშროების უმაღლესი სკოლის ეზოში დილიდან შეკრებაა გამოცხადებული. კურსანტები ოცეულებად ეწყობიან. თითოეულ ოცეულს ოფიცერი დაუნიშნეს მეთაურად. ყოველგვარი სიის ამოკითხვის გარეშე ოფიცრები და კურსანტები სასწავლებლის ეზოში მდგარ სამ „ლაზის“ მარკის ავტობუსში სხდებიან. ჩასხდომისას ერთ-ერთმა ოფიცერმა კურსანტებს მიმართა: „საცურაო პლავცები თან წაიღეთ ზღვაში საცურაოდ“. ამ სიტყვებით მან მასხარად აგვიგდო, თვითონ კი თბილისში დარჩა უშფოთველი ცხოვრების გასატარებლად.

ავტობუსებმა გეზი ფოთისევნ აიღო. გზად, ქუთაისსა და სამტრედიაში ზოგიერთი კურსანტი ავტობუსს აჩერებს და სახლში ამჯობინებს დარჩენას. ლამით ჩავედით ფოთში და პორტის ტერიტორიაზე მთელი ღამე ღია ცის ქვეშ გავატარეთ. ჩვენი ჯგუფისათვის სკოლის უფროსს გამოუყოლებია სასწავლებლის თანამშრომელი გია შენგელია, რომელსაც ჩვენი გაცილება ჰქონია დავალებული (თურმე მის გარეშე ფოთს ვერ მივაგნებდით). გია შენგელიამ გამიყვანა გვერდით და გივი კვანტალიანის დანაბარების გადაცემა მთხოვა: „შენ დაგიჯერებსო მილიციის მაიორი მირიან თეთრაძე და უკან დაბრუნდეს თბილისში“. მირიანისგან ცივი უარი მივიღე: „სადაც თქვენ, ყველა, მეც იქ უნდა ვიყოო“ – იყო მირიანის პასუხი. ჩემს კითხვაზე, თუ თვითონ გია შენგელია, რატომ არ მოდიოდა ჩვენთან, კვანტალიანს ვჭირდები და უკან თბილისში ვპრუნდებიო.

ვახტანგ კვესიტაძეს, რომელიც უშიშროების უმაღლესი სკოლის უფროსის გივი კვანტალიანის მიერ იყო დანიშნული ჩვენ ხელმძღვანელად, ვკითხე ბრძანების ასლი თუ ჰქონდა წამოღებული ჩვენი გაგრაში მივლინების შესახებ ან ჩვენი სია თუ ჰქონდა. მისგან უარის მიღების შემდეგ გადავწყვიტე ჩემ უბის წიგნაკში გამეკეთებინა ჩანაწერები. იმავე ღამეს კურსანტებისა და ოფიცრების სია შევადგინე. ქ. გაგრაში წასასვლელად სულ 110 თანამშრომლის გვარი ჩაიწერა ჩემ უბის წიგნაკში. აქედან 78 პირველეურსელია. ისინი სულ 13 დღის წინ ჩაირიცხენ უშიშროების უმაღლეს სკოლაში. გაგრაში ყოფნისას ჩემ ჩანაწერებს 29 აგვისტოს, 4 სექტემბერსა და 29 სექტემბერს უმაღლესი სკოლის 33 თანამშრომელი დაემატა. სულ გაგრაში იბრძოდა უშიშროების უმაღლესი სკოლის 143 მუშაკი. იმ პერიოდში უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, ადგილობრივი მილიციისა და საქართველოს უშიშროების უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის გარდა არავინ იბრძოდა.

27 აგვისტო. მილიციის კაპიტანი ვახტანგ კვესიტაძე დილიდან ხვდება ფოთის ადგილობრივ მმართველობითი ორგანოს ხელმძღ

ვანელობასა და პორტის უფროსს ვალერი გეგიძეს (გივი კვანტალი-ანის დავალებას ასრულებდა) და მათ მიერ გამოყოფილი სასეირნო კატარლა „ფაჩულიათი“ (იგი სოხუმის საზღვაო პორტის კუთვნილება იყო – კაპიტანი ლადო ხვინგია) 12 საათსა და 40 წუთზე კურსს გაგრისკენ ვიღებთ. იმავე დღეს, დაახლოებით ლამის 12 საათზე დანიშნულების ადგილს მივადექით. პორტში შესვლა, რა თქმა უნდა, სახიფათო იყო რადგან კატარლის კაპიტანს ლადო ხვინგიას არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ ვის ხელში იყო ქალაქის სანაპირო ზოლი, ამიტომაც კატარლა პორტიდან 150-200 მეტრის დაშორებით გაჩერდა. კაპიტანმა რუპორით მიმართა ნაპირს. ჩვენ მოსალოდნელი ცეცხლის საპასუხოდ მოვემზადეთ. საბედნიეროდ, სანაპირო ზოლი ჩვენების ხელში აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში „ფაჩულია“ უკვე ნავ-სადგურში იდგა.

თვალწინ მიდგას პატარა შთამბეჭდავი ეპიზოდი: ჩვენი მებრძოლები კაპიტანს ემშვიდობებოდნენ. არ მავინდყება ლადო ხვინგიას გრძნობით აღსავსე მოუცილებელი მზერა, იგი თითქოს თითოეული მათვანის დამახსოვრებას ცდილობდა და მშვიდობით დაბრუნების სურვილით ბეჭებზე ხელს ადებდა. მისი ეს ჟესტი სწორედ ამის გამომხატველი იყო.

იმ ღამეს მთელი შემადგენლობა ა. წერეთლის ქუჩაზე მდებარე გაგრის სასტუმრო „აფხაზეთში“ მოგვათავსეს, რადგან შეორე დღეს, გაგრის ზონის სოფელ კოლხიდაში საბრძოლო პოზიციებზე გასვლა მოვეკლოდა.

28 აგვისტოს, როცა მთელი საქრისტიანო ბრწყინვალე დღესას-წაულს – წმიდა ქალწულ მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღეს აღნიშნავდა, უმაღლესი სკოლის კურსანტები, მიღებული ბრძანების თანახმად, 7 საათზე უკვე ფეხზე იდგნენ. მათ წინა დღის მძიმე მგზავრობა არც ეტყობოდათ. ყველას მხედრული შემართების იერი დაჲკრავდა. ეტყობოდათ, მზად იყვნენ თავდაუზოგავად შერკინებოდნენ ყველა ჯურის შეირაღებულ მომხდეულს.

დილიდანვე ვახტანგ კვესიტაძე შეუდგა უმაღლესი სკოლის უფროსის ბრძანების შესრულებას.

იგი გაემგზავრა გაგრის კომისარიატში განლაგებულ სამხედრო შტაბში დავალებების მისაღებად. შტაბიდან დაბრუნებულმა 2 უუთი ხელყუმბარა „Ф-1“ მოიტანა. ყუთები იქვე გახსნა და ხელყუმბარები კურსანტებმა გაინაწილეს. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ მოიტანა ხელყუმბარები, მიპასუხა: „კვანტალიანის დავალებით, ჩვენი შემადგენლობა დღეიდან შავნაბადის გვარდიას დაექვემდებარა და, გვარდიის მეთაურის, აკია ბარბაქაძის ბრძანებით შუადლეს გავდივართ წინა ხაზზე“.

სადილის შემდეგ, 14 საათზე დავალების მოლოდინში მთელი შე-მადგენლობა განლაგდა კომისარიატის მახლობლად მდებარე კოლ-ხიდის ქართული საშუალო სკოლის ეზოში. შავნაპატი გვარდიის მეთაური პოლკოვნიკი აკია ბარბაქაძის და შტაბის უფროს სამას (გვარდიის პოლკოვნიკი. მოგვიანებით გაირკვა, რომ იგი საქართ-ველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების დაზვერვის უფროსი იყო) თქმით, ჩვენი ასეული უნდა გამაგრებულიყო სოფელ კოლხი-დაში, მანდარინის პლანტაციებში. 28-29 ავგისტოს, ღამის საათებ-ში, როცა ჩვენი მძიმე ტექნიკა გადავიდოდა შეტევაზე ჩვენს ასე-ულს უნდა მოეგერიებინა მთის მხრიდან მისალოდნელი მტრის შე-მოტევა. ასეთი დავალებითა და მისი შესრულების მტკიცე რწმენით გავიდა ასეული საბრძოლო პოზიციებზე.

28 აგვისტოს, დაახლოებით, 3-4 საათზე, „БМП“ – ს საშუალე-ბით, რომელსაც ადგილობრივი მებრძოლები მართავდნენ, გავიკ-ლიეთ გზა მთის მიმართულებით. უკუვაგდეთ მტრის დაჯგუფებები სოფელ კოლხიდის მანდარინის პლანტაციებიდან. მთა, რომელზეც ჩვენი ასეული გამაგრდა, დაბალი იყო სტრატეგიული თვალსაზრი-სით, არასახარისებრი მდგომარეობაში ვიყავით, მაღლობზე გამაგ-რებული მტრისათვის ჩვენი პოზიციები კარგი სამიზნე იყო.

ამის მიუხედავად, ჩვენს ბიჭებს წარბიც არ შეუხრიათ, ყველამ დაიკავა მისთვის ხელსაყრელი პოზიცია. წინა ხაზზე გასულ კურ-სანტებს ხელმძღვანელობდნენ: პოდპოლკოვნიკი ღეონიდ სუბო-ტინი, მაიორი მირიან თეთრაძე, კაპიტანი ვახტანგ კვესიტაძე და ზემდეგი მალხაზ ქავთარაძე. გაგრაში შტაბთან კავშირის შესანარ-ჩუნებლად, ვინაიდან ვახტანგ კვესიტაძე პასიურობდა, მე თხი მებრძოლი დავტოვე კაპიტან მალხაზ ნემსინვერიძის მეთაურობით. წინა ხაზზე გასულების ზურგის გასამაგრებლად, მარჯვენა პოზი-ციებზე, სოფელი კოლხიდის მხარეს მესამე კურსელები: ედიშერ ხიდაშელი, იოსებ ბერიაშვილი, ვალერიან (ვალო) ბერიძე, ავთან-დილ გამარჯვაშვილი, დიმიტრი არჩვაძე და გიორგი ბუნტური ჩა-საფრდნენ. მარცხენა პოზიციიდან ზურგს გვიმაგრებდა შავნაპა-დის გვარდიის ხელმძღვანელობის მიერ დატოვებული ახალციხის „მხედრიონი“.

როგორლაც მოულოდნელად ჩამობნელდა.

ღამე ძალზე მძიმე გამოდგა. მთაზე განლაგებული ჩვენი ასე-ულის პოზიციის პერიმეტრი 200-250 მეტრის სიგრძისა იყო. მარ-ცხენა ფრთაზე მეოთხე კურსელებს ეკავათ პოზიცია მაიორ მირიან თეთრაძისა და კაპიტან ვახტანგ კვესიტაძის მეთაურობით. შტაბი-დან გამოტანილი კავშირის დასამყარებელი სამხედრო მიმღებ-გა-დამცემი დაზიანებული აღმოჩნდა და მისი გამართვა შეუძლებელი

შეიქნა. ალნიშნულის გამო დაგვრჩა ერთადერთი გზა: ტყვია-წამალი უნდა ამოგვეტანა ზურგში მყოფი კურსანტების საშუალებით. რაც დრო გადიოდა, ორმხრივი სროლა სულ უფრო ძლიერდებოდა. მდგომარეობა ძალზე დაიძაბა. ზურგში მყოფი კურსანტები ზუსტად ასრულებდნენ დავალებას, დროულად მოჰქონდათ ტყვია-წამალი. ორმხრივი ცეცხლი გრძელდებოდა.

კურსანტებთან ერთად შემოვიარეთ ჩვენი პოზიციები, მარცხენა ფლანგზე, მაიორმა მირიან თეთრაძემ, თითქოს გულმა უგრძნოო, ასეთი რამ დამაბარა: „ხომ იცი, სადაც ვართ ჩასაფრებულნი, თუ რამე მოგვივიდა, გვიპატრონე“.

ბინდი წვებოდა. სანამ ბოლო პოზიციამდე მივალნევდი ჩვენ ზე-მოთ ყუმბარმტყორცნის ჭურვი აფეთქდა და ორი: მესამე კურსელი ზურაბ ბადრიაშვილი და ზურაბ მინდიაშვილი ნამსხვრევებით და-იქრა. პოზიციიდან მათი გაყვანა კურსანტებს დაევალათ.

გზა განვაგრძე. ბოლო პოზიციაზე პირველი და მეორე კურსელები იდგნენ. გადავწყვიტე, მათთან ერთად გამემაგრებინა პოზიციები, კურსანტები დაბნეულები ჩანდნენ, არ იცოდნენ, როგორ ემოქმედათ. პოზიციების გასამაგრებლად წამოსული კურსანტები: ავთანდილ გაიმარჯვაშვილი, ვალო ბერიძე და ედიშერ ხიდაშელი უკან გავაგზავნე ჩვენი ბიჭების გასაფრთხილებლად. მთელი ღამის განმავლობაში აფხაზთა პოზიციებიდან მანქანების გუგუნი ისმოდა. სავარაუდოდ, მონინაალმდევე ამ ადგილებში ძალების კონცენტრაციას ახდენდა. კურსანტები განვალაგე წინასწარ შერჩეულ საფარში. მეორე კურსელმა სერვო დავიდოვმა (ამ ახალგაზრდამ თანამებრძოლებთან ერთად გაგრის დაცემის დღეს გმირობა ჩაიდინა) ზუსტი დამიზნებით რამდენიმე სროლა განახორციელა ყუმბარმტყორცნიდან აფხაზთა განლაგების მიმართულებით. მოგვიანებით გაირკვა, რომ იმ ღამეს დიდი შეტევა ყოფილა დაგეგმილი. მათ გვერდით იბრძოდნენ: რუსები-კაზაკები, ჩეჩენები, ადილელები, ყაბარდოლები, ოსები, სომხები და სხვა ჯურის „ბოევიკები“.

28 აგვისტოს ღამე კურსანტებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ. დღილით, 29 აგვისტოს 6 საათსა და 10 წუთზე ჩვენ პოზიციამდე მოალწია მეოთხე კურსელმა დავით სიხარულიძემ. მან შეგვატყობინა, რომ პოზიციებზე ჩვენს მებრძოლებს ვაზნები უთავდებოდათ. ისინი შველას ითხოვდნენ. იმ წამს ჩვენი დამატებითი ძალების ამოსვლა საბრძოლო პოზიციებზე სიკვდილს ნიშნავდა. ამაში შემდგომ დავრწმუნდებით. ვითარება უკან დახევას მოითხოვდა.

უკვე კარგად გათენებული იყო, როცა სოფელ კოლხიდის მხრიან, სადაც ჩვენი კურსანტების თერთმეტკაციან ჯგუფს ვხელმ-

ძღვანელობდი, მტრის ხმა მოგვესმა: „რებიატა, ნე სტრელიატე“. სერგო დავიდოვს უკვე მომარჯვებული ჰქონდა ყუმბარმტყორცნი და ზუსტად იმ მიმართულებით გაისროლა, საიდანაც ამოდიოდნენ „ბოევიკები“. ამ დროისათვის თავში მსუბუქად დაიჭრა მეორე კურ-სელი ირაკლი ბაქრაძე, ხოლო მკერდის არეში – პირველკურსელი თემურ გელიაშვილი. ჩვენი პოზიციებიდან რატომდაც სროლის ხმა არ მოდიოდა. ყველანი გაოგნებულები ვიყავით, რა ხდებოდა, ვერ გაგვეგო. უკან დახევის გზას ვეძებდით და მისი გაკეთება მხოლოდ იმ მიმართულებით შეიძლებოდა, რომელი გზითაც აქ ამოვედით. ვინაიდან მცირე გაუგებრობას შეიძლება მზიმე შედეგი მოჰყოლოდა. ამ დროს პირველკურსელმა ევგენი ცერცვაძემ წამოიძახა: „ყველამ მივვატოვა, ტყიებიც გვითავდება“ და დააპირა ქვემოთ, ჩვენს პოზიციებზე (ზურგის მხარეს) ჩასვლა. პანიკა რომ არ გავრცელებულიყო, უბრძანე ადგილზე დარჩენილიყო. ამის თქმა იყო და ჩვენი პოზიციებიდან – ზურგის მხრიდან ინტენსიური სროლა ატყდა. მივხვდით, რომ ალყაში მოვეძეცით (ქვემოთ გავიგეთ, რომ მათ, ჩვენს პოზიციებზე მყოფები დახოცილები ვეგონეთ). ყველა ჩემს ბრძანებას ასრულებდა. ყველა მინას გაეკრა. ცოცვით მივედი მოზრდილ ნაძვთან. ხეს ამოფარებული ვეძახდი, ჩვენებს უუყიროდი, ცოცხალი ვართ და ნუ გვესვრით-მეთქი, მაგრამ მათ აღარაფერი ესმოდათ. ჩემს ხმას სროლის ხმა ახშობდა. გადავწყვიტე დანარჩენი კურსანტები პოზიციებზე მომექებნა. ხოხვით გავაგრძელეთ სვლა ჩვენი პოზიციების მხარეს. კურსანტების ერთი ჯგუფი ზურგიდან (სოფ. კოლხიდაში ჩასასვლელი გზის მხარეს) აკონტროლებდა მტრის შესაძლო გამოჩენას და ასე მივინევდით ჩვენი პოზიციებისაკენ, იქითევნ, სადაც წინა ღანლაგებული იყო უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა. პოზიციებზე მოიძებნა შვიდი პირველკურსელი, რომელთაც განზრახული ჰქონდათ სოფელ კოლხიდის მიმართულებით (მთის მხრიდან) შეტევაზე გადასვლა. ყველანი ერთად შევკრიბე, აღმოჩნდა, რომ ვაზნების მცირე მარაგიდა შემოგვრჩა. ამ დროს ჩვენი ქვედა პოზიციებიდან ცეცხლი უფრო და უფრო მატულობდა. ალყიდან გამოსვლა შეუძლებელი ჩანდა. საცეცხლე ზღუდე ნებისმიერი საშუალებებით უნდა დაგვეტოვებინა. მაგრამ როგორ? ბიჭებმა პოზიციები დაიკავეს. ისე განვლაგდით, რომ ერთმანეთის დანახვა შეგვძლებოდა. პაერში სიკდვილის სუნი იგრძნობოდა, თუმცა – ვისი, არავინ იცოდა. სროლის ხმას ჩვენი პოზიციებიდან მთის გასწვრივ ჯავშანტრანსპორტიორის მუხლუ-სების ხმა დაემატა. ყველას ერთი აზრი უტრიალებს, ნეტავი ვისი მანქანაა, ჩვენი თუ... გასვლა თუ გვიწერია ღირსეულად უნდა გავიდეთ, – ვუთხარი ბიჭებს.

არავინ დაბნეულა, სიამაყით ვაცხადებ, კრიტიკულ სიტუაციაში კურსანტებმა ქუშმარიტად რაინდული სული გამოიჩინეს. ჩავსაფრდით, ველოდებით „ბმპ“-ს მოახლოებას. სერგო დავიდოვს ვუბრძანე, ყუმპარმტყორცნი მოემზადებინა, თუ ჯავშნიანი მანქანის აფეთქება იქნებოდა საჭირო. ყველა კურსანტი მძიმე ფსიქოლოგიურ მომენტს დაძაბულად, მაგრამ მშვიდად შეხვდა. მალე ჯავშანტრანსპორტიორი – „ბმპ“-ც გამოჩნდა, დაგვინახა და ლულა დაგვიმიზნა. ეს ის „ბმპ“-ე იყო რომლითაც წინა დამეს პოზიციებზე გაგვიყვანა. ყვირილით მივიჭრით „ბმპ“-სთან მე და სერგო დავიდოვი. „ბმპ“-ს მძღოლმა ჩაცმულობით გვიცნო. მე მას ვუთხარი, რომ ქვემოთ პოზიციებზე მყოფებს დროებით სროლა შეეწყვიტათ, რადგან ჩვენს აქ გაჩერებას აზრი არ ჰქონდა. ვაზნები გამოგველია და დამხმარე ძალაც არ ჩანდა. საბრძოლო მანქანის მძღოლმა დავალება შეასრულა, სროლები შეწყდა. ჩვენმა 18-კაციანმა ჯგუფმა წინა ხაზი დატოვა და ქვემო პოზიციებს შეუერთდა.

სამშვიდობოზე გამოსულები ვეხვეოდით და გადარჩენას ვულო-ცავდით ერთმანეთს. „ბიჭებო დღეს თქვენ შეუდარებლები იყავით“, „ხომ შევძელით გამოსვლა“ – ასე გავამხნევე ბიჭები. აქ საშინელი ამბავი გავიგეთ. წინა ხაზის მარცხენა ფლანგზე მყოფი ჩვენი ბიჭები მტრის მოულოდნელი თავდასხმის მსხვერპლი გამხდარან. სასწრაფოდ შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც ჩვენი მეგობრების, დაჭრილების თუ დაღუპულების (არ გვჯეროდა, რომ დაიღუპნენ) გამოყვანა დაევალა. „ბმპ“, რომლის დახმარებითაც უნდა გაგვერღვია პოზიცია, ადგილიდან დაიძრა, მათ უკან მიჰყვებოდნენ მხედრიონელები (მათი რაოდენობა ოცს არ აღემატებოდა), რომელთაც ჩვენი შეცვლა ჰქონდათ დავალებული. აშეარა იყო, რომ წინა ხაზზე გასვლამდე ნარკოტიკული ნივთიერებები მიეღოთ. ზოგიც ჩვენ თვალწინიკეთებდა ნარკოტიკს.

მაღლობზე, რომ ავედით, მოწინააღმდეგის ინტენსიურმა ცეცხლმა გვაიძულა ჩვენი ბიჭების პოზიციამდე გვეხოსა. მაღლობზე პირველკურსელის ანდრო ჭანტურიძის უძრავი სხეული შევნიშნეთ. ჩვენს გამოჩენას მოწინააღმდეგის ჯოჯოხეთური ცეცხლი მოჰყვა. როცა მეგობრების სამყოფს მივაღწიეთ, თვალწინ შემზარავი სურათი გადაგვემალა. მარჯვენა მხარეს, ნაძვებთან მეოთხე კურსელის ერნესტ კუესას დამახინჯებული გვამი იდო, მისთვის ხელებში აფეთქებულ ყუბარას ორივე ხელის კიდური წაეგლიჯა. რამდენიმე ნატყვაარი სახეზეც ჰქონდა. აქვე ახლოს ფოლადისჩაფხუტიანი, ნაძვს მიყრდნობილი ლევან ცისკარიშვილი უსულოდ იჯდა. მისთვის სხაიპერის ტყვიას ფოლადის ჩაფხუტი გაეხვრიტა. გზის მარცხენა მხარეს მაიორ მირიან თეთრაძის, მეოთხე კურსელის ნუგ-

ზარ მარშანიშვილის, პირველკურსელების ბაჩუკი კოკაიას და გელა ბელქანიას უმოძრაო სხეულები დაგინახეთ. ახლოს მისვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მირიან თეთრაძეს თავი ჰქონდა გაპობილი. ყველა დანარჩენს სხეულზე ნატყვიარები ჰქონდა. აქეთ ნაძვებთან, გზის მხარეს კაპიტან ვახტანგ კვესიტაძის და მისგან ათი მეტრის მოშორებით მეოთხე კურსელის ზაქარია ვეშაპურის გვამები შევნიშნეთ, მეოთხე კურსელი ბადრი გერაძე არსად ჩანდა. ყელში სიმწრის ბურთი გამეჩირა.

მოწინააღმდეგის ცეცხლი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ნანახით გაცეცხლებელი და შურისძიების გრძნობით ანთებული ჩვენი ბიჭები მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ. სწორედ აქ მძიმედ დავვეჭრა სამი კურსასტი: მესამე კურსელი გია დავითაშვილი და პირველ-კურსელები მორის ჯუვაშვილი და გივი კობალაძე.

ჩვენ თვალწინ მტრის მიერ გამოსროლილი ტყვიებით მიწა ითხრებოდა. ამ მძიმე ვითარებაში დაჭრილი კურსანტები მასირებული სროლების ადგილიდან უნდა გამოგვეყვანა. მიწაზე გაწოლილებმა ხოხვით მოვახერხეთ დაჭრილებთან მისვლა. მორის ჯუვაშვილს ხელები დასისხლიანებული ჰქონდა. მას ტყვია ხელებში მოხვედროდა, ხოლო გია დავითაშვილი და გივი კობალაძე მუცლის არეში იყვნენ დაჭრილები. მათი გამოყვანა უნდა მომხდარიყო რაც შეიძლება სწრაფად. ვინაიდან ბიჭები სისხლიდან იცლებოდნენ. ჩვენთან სიახლოვეს მყოფ კურსანტებს: ერიკ თუმანოვს, პეტრე ოსიაშვილს, ბაჩუკი საათაშვილს, ემზარ ნადირაძეს, თემურ ცნობილაძეს და ვეფხია კინწურაშვილს ვუთხარი დავვეზღვიეთ. იმათაც არ დააყოვნეს და მტრის პოზიციების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. ვინაიდან მორისი ხელებში იყო დაჭრილი და მისი ხელებში მოკიდებით გამოყვანა არ შეიძლებოდა, ფეხებში ჩავლებით ხოხვით გამოვიყვანე და გადავეცი მის თანაკურსელებს სასწრაფოდ საავადმყოფოში გადასაყვანად. მიუხედავად მასირებული სროლებისა, კურსანტებმა იშვიათი სიმამაცით მოახერხეს გია დავითაშვილის და გივი კობალაძის გამოყვანა და საავადმყოფოში გადაყვანა. ამასობაში მეოთხე კურსელ ბადრი გერაძის ტყვიებით დაცხრილულ ცხედარს, მეოთხე კურსელებმა კახა ადამიამ და კობა კალმახელიძემ მთის ძირში მესამე ტერასაზე მიაგნეს.

ის იყო ჩვენი ბიჭების ცხედრები ჩვენს მიერ შერჩეულ ადგილას დავასვენეთ, ჩვენს მხარეს გამოჩნდა გვარდიის „ბმპ“. ეკიპაჟის წევრებს ვთხოვე, დაეთმოთ ჯავშნიანი მანქანა დალუპულების ჩამოსასვენებლად. დალუპულთა მანქანამდე მიყვანაში ერთგულად გვეხმარებოდა მხედრიონები კახა მუმლაძე (ნარმოშობით ჭიათურიდან). იმ დღეს ჯავშნიანი მანქანით 6 დალუპულის: მირიან თეთ-

რაძის, ერნესტ კუესას, ნუგზარ მარშანიშვილის, ანდრო ჭანტურიძის, გელა ბელქანიას და ბაჩუკი კოკაიას ჩამოყვანა შევძელით. სანამ მეორე ჯავშნიანი მანქანა მოვიდოდა პოზიციებამდე, ჩვენი დაღუპული მეგობრები: ვახტანგ კვესიტაძე, ბადრი გერაძე, ლევან ცისკარიშვილი და ზაქარია ვეშაპური გვერდიგვერდ დავასვენეთ. პოზიციები გავამაგრეთ. მაგრამ, ჯავშნიანი მანქანის მწყობრიდან გამოსვლის გამო, ჩვენი ოთხი მეგობრის ჩამოსვენება იმჯერად ვერ მოვახერხეთ. მათი ჩამოყვანა დროებით გადავდეთ.

ჩვენი ალყაში მოქცევის დროს აღვნიშნე, რომ დამატებითი ძალების საბრძოლო პოზიციებზე ამოსვლა ჩვენთვის სიკვდილს ნიშნავდა. ამაში დავრნმუნდით მხედრიონელების მოქმედებით, რომ-ლებიც პოზიციებზე განლაგებული უმისამართოდ ისროდნენ.

ჩვენი მეგობრები რამდენიმე მიზეზის გამო დაიღუპნენ. ბრძოლის ხაზიდან გამოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ სასწავლებლის პირადი შემდაგნლობის ზურგის დასაცავად დატოვებულმა ახალციხის მხედრიონმა 28-29 აგვისტოს ლამით თვითნებურად დატოვა პოზიცია და გაურკვეველი მიმართულებით წავიდა. მტერი ჩვენ განლაგებას მათ მიერ მიტოვებული პოზიციებიდან შემოეპარა. მსხვერპლის მიზეზი გახდა, ასევე შავნაბადის გვარდიის ხელმძღვანელობის არასწორი ტაქტიკა, მათი არაკომპეტენტურობა. შემდგომში გაცხადდა, რომ მძიმე ტექნიკის არავითარი შეტევა არ ყოფილა დაგეგმილი! არადა, შავნაბადის გვარდიის ხელმძღვანელთა მტკიცებით სწორედ ამ შეტევის თანამონანილენი უნდა ვყოფილიყვათ. მათ ბიჭები ფაქტობრივად გაწირეს, ამაზე პასუხი არავის უგია!

ტრაგედიის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ გაგრას. ქართული მოსახლეობა მოდიოდა დაჭრილებისათვის სისხლის გასაღებად (მოპერაციათ სურსათ-სანოვაგე, თუმცა ჭამისთვის ვის ეცალა). დიდ ყურადღებას იჩენდნენ დაჭრილების მიმართ გაგრის მედიცინის მუშაკები. ჩვენი კურსანტები მთელი გულისყურით პატრონობდნენ დაჭრილებსა და დაღუპულებს. მძიმე დაჭრილთა შორის იყვნენ პირველკურსელები: გივი კობალაძე, თემურ გელაშვილი, მორის ჯუგაშვილი და მესამე კურსელი გია დავითაშვილი. წინა ხაზიდან დაბრუნებული კურსანტები დაჭრილ მეგობრებს საავადმყოფოში აკითხავდნენ.

29 აგვისტოს შუადღეს გაგრაში ჩამოდის ჩვენი სასწავლებლის უფროსი, გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი, რომელსაც ჩამოყვა 15 ოფიცერი და კურსანტი. სოფელ კოლხიდიდან, წინა ხაზიდან დაბრუნებული სასტუმრო „აფხაზეთთან“ შევიკრიბეთ, ვმსჯელობდით წინა ხაზზე დარჩენილი ჩვენი დაღუპული 4 მეგობრის ჩა-



ანდრია (ანდრო) ჭანტურიძე

1971-1992

ანდრია ჭანტურიძე დაიბადა 1971 წლის 11 აპრილს, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოში. ვლადიმერ ჭანტურიძის ოჯახში პირველი შვილი დაიბადა. ვაჟიმშვილს ბაბუის სახელი ანდრია უნიდეს.

1988 წელს ანდრიამ ნარმატებით დამთავრა თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლა. სკოლაში სწავლის პერიოდში ანდრია ჭანტურიძე მონაწილეობდა მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებულმა ყმანვილმა ოთხჯერ მიიღო I და II ხარისხის დიპლომები ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ქიმიაში შესრულებული ნაშრომებისათვის. სკოლის დამთავრების შემდეგ ანდრია სწავლას ავრცელებს თერჯოლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომელსაც 1989 წელს ნარჩინებით ამთავრებს.

ანდრია ჭანტურიძე 1989-1991 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. არმიიდან დემობილი ზაციის შემდეგ ანდრია უბრუნდება მშობლიურ რაიონს და იმავე წლის სექტემბერში მუშაობას იწყებს თერჯოლის შე რაიონულ განყოფილებაში ქვემომიერებას.

ანდრიას მამა, ბატონი ვლადიმერი ივონებს: „ანდრია ჩემი ითხი შვილიდან უფროსი ვაჟი იყო. ბავშვობიდან გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, სიბეჯითით და ნიჭიერებით, მუდამ მოწესრიგებული, მშობლებისა და დედმამიშვილების მოყვარული, მოხდენილი ფიზიკური აღნავობის, სიმაღლით ორ მეტრს აჭარბებდა. პოლიციის ფორმა ძალზე შვენოდა“.

თერჯოლის შე რაიონული განყოფილების ადმინისტრაცია ანდრია ჭანტურიძეს ახასიათებდა, როგორც დისციპლინირებულ, კეთილსინდისიერ თანამშრომელს, პირად შემადგენლო-



ბაში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. ანდრიას, როგორც მონინავე მუშაქს შეს რაიგანყოფილების ხელმძღვანელობამ შეუძლია გაუნია საქართველოს უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის წინაშე, რათა ანდრია ჭანტურიძეს მონაწილეობა მიეღო სასწავლებლის მისაღებ გამოცდებში. ბეჯითი და სწავლას მოწყურებული ანდრია ნარმატებით აპარებს მისაღებ გამოცდებს უმაღლეს სკოლაში და ორიცხება სამართალმცოდნეობის პირველ კურსზე. ჩარიცხვით გახარებული ანდრია ორი დღით ჩადის მმობლებთან, რათა ამცნოს უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის შესახებ.

1992 წლის 26 აგვისტოს უშიშროების უმაღლესი სკოლის ოფიცირებთან და თანაკურსელებთან ერთად მიემგ ზავრება გავრაში ტერიტორიული მძღიანობისათვის ნარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. 29 აგვისტოს გავრის ზონის სოფელ კოლხიდაში უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა სწავლას მოწყურებული, ნიჭიერი ახალგაზრდა, პირველკურსელი ანდრია ჭანტურიძე.

ანდრია ჭანტურიძეს ოჯახში დარჩა მამა – ვლადიმერ ჭანტურიძე, დედა – ქეთევან ფანჩულიძე – ჭანტურიძისა, ძმები – ლევანი და პაატა, და – გვანცა.

ანდრია ჭანტურიძეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდაცემისათვის დაჯილდოოებულია „ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით“ (სიკვდილის შემდეგ). მიენიჭა „პოლიციის ლეიტენანტის“ წოდება. მისი სახელი მიენიჭა შეს აკადემიის პირველი კურსის პირველი ოცეულის მეორე ათეულს. მის სახელს ატარებს თერჯოლის ერთ-ერთი ქუჩა, თერჯოლის შეს რაობნული განყოფილების ეზოში ვახსნილია ანდრია ჭანტურიძის სახელობის სკვერი. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შეს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუბულთა მემორიალზეც.

ანდრია ჭანტურიძის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუბულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ანდრია!





ԵՐԵՍՔԻ ԿՇԱՏԾ

1966-1992

ԵՐԵՍՔԻ ԿՇԱՏԾԱ ՀԱՅԱՁԱ ՌԱՎԵԴԱԳՈՎՈՒՄ Հ. ԹՐՈ-
ՈԼՋԻ 1966 ԵԼՈՎ 4 ՊԱՆՉԱՐԸ. 4 ԵԼՈՎ ԾԿՄ, ՌԱՎԵԴԱԳՈՎՈՒՄ ԹՈՍԻ ՌՋԱ-
ԵԽ ՍԱԿԵՄՎՐՋԵԾՄԱԳ ՏԱՅԱՐՏՎԵԼՈՒՄ - ՏՅՈԼՈՒՄ ՎԱԺՄՈՎՈՒԾԱ.
ԵՐԵՍՔԻ, 1973 ԵԼՈՎ, ՑՅՈՒՆԵՐԾՄԱ ՏՅՈԼՈՒՄ 146-Ե ՍԱԺՄԱԼՈՐ
ՏԿՐՈՂԱՑԻ ՄԵՐՎԱՆԵՐԸ, ԵՐԱՐՈՒ 1981 ԵԼՈՎԸ ԵՐԵՍՔԻ ՍԵՎԵԼՈՎ
ԱԳՐԵԼԵՐԾՄԱ ՏՅՈԼՈՒՄ ՆԵՐ ԱՐԱՎԵՐՋԵԿՆԻԿԱՐ ՍԱԵԲԱՎԵԼԵՐԾՄԱ.
ԱՐԱՎԵՐՋԵԿՆԻԿԱՐ ՍԱԵԲԱՎԵԼԵՐԾՄԱ ՎԱՅԱՀԱՅՐԵՐԾՄԱ ՄԵՐՎԵՐԾՄԱ
ՎԱԻՆՎՈՐԾ ՍԱՄԵԽԾՐԾ ՍԱՎԱԼԾՎԵՐԾՄԱ ՍԱՄՏԱԿՆՈՒՄ. ՍԱՃԽՈՏԱ
ԱՐԲՈՒՅԻՖԱՆ ՋՎԹՈՅԾՈՒՅԱԾՈՎՈՒՄ ՄԵՐՎԵՐԾՄԱ, 1986 ԵԼՈՎԸ ԵՐԵՍՔԻ
ՄՄԱՅԱՅԻՆ ԻՆՎԵՐԾ ՍԱՅԱՐՏՎԵԼՈՎ ՄԻՆԱԳԱՆ ՏԱՅՄԵՏԱ ՍԱՄԻՆՈՒՄ-
ՐՈՒՄ. ՊԳ, 1987-1989 ԵԼՈՎԾՄ, ԳԱԴԱՎԱԿՐՈՒՄ ՈՒՅՆ ՏՅՈԼՈՒՄ ՍԱՅԱՐԵՆ
ՏԱԿԱՐԵՆ ՐԱՊՈՆԻ ՄԻՆԱԳԱՆ ՏԱՅՄԵՏԱ ՐԱՊՈՆՄԱ ԳԱՆԿՈՎՈՒՄ-
ԾԱՅԻ. ՄԻՆԱԳԱՆ ՏԱՅՄԵՏԱ ՌՐՎԱԿՐՈՒՄ ՄՄԱՅԱՅԻՆ ԵՐՐՈՌՈՒՄ ԹԱՅ
ՏԱՎՈ ԳԱՄՐՈՒԻՆԱ, ՐՈՎՈՐԾ ԵՆԵՐԳՈՎԵԼՈՒՄ, ՏԱՎՈՍ ՄՐՎԱԼԵՐԾՄԱ
ԿԵԴՈԼԾԵՆԳՈՎՈՒՄ ՄԵՐՎԵՐԾՄԱ.

1989 ԵԼՈՎ ԵՐԵՍՔԻ ԿՇԱՏԾԱ ՀՈՒՐ ԵՆԻ ՌՎԵՆԵՐԾՄԱ ԻՆԿՐԱՆԵՐԾՄԱ
ՃԱ ԻՐՈՎԵՔԵԲԱ ՍԵՐ ԿԱՎՑԻՐՈՎ ՄԱՍ ՄՐՎԱԿՐՈՎ ՄՈԼՈՒՐՈՎՈՒՄ ՄԱԾԱ-
ԼԵՐԾՈ ՏԿՐՈՂՈՎ ՏՅՈԼՈՒՄ ՀԱԿԱՎԵԼՄԱԾՄԱ ՍԱՅԱՐՏԱԼՈՎՈՒՄ ԵՐԵ-
ՋՈՒՄ ՏՅՈԼՈՒՄ ԵՐԵՐՈՒՄ ՄՐՎԱԿՐՈՎՈՎ ԵՐԵՐՈՒՄ ՏԱՎՈՎ ՄԵՐՎԵՐԾՄԱ
ԵՐԵՍՔԻ ԱՎԳՈՒՐԱԳ ՄՐՆԱԿԻԼԵՐՈՒՄ ՏԱՅԱՐՏՎԵԼՈՎ ՔՐՈ-
ՒՄ ՏՅՈԼՈՒՅ ՎԱԴԱՐԵՐԾՄԱ ՍԱ ՑՈՎԱԳՐՈՒՄ ԵՐԵՐՈՒՄ ՏԱՎՈՎ ՄԵՐՎԵՐԾՄԱ
ԼՐՈՒՄ ՏՅՈԼԵՐԾՄԱ, ԱԵՎՎԵ ԱՎԳՈՒՐԱԳ ՄՐՆԱԿԻԼԵՐՈՒՄ ՑԵԽԻՆՎԱԼՈՎ
ՌԵՎՈՆՆԾ ՔՐՈՒՄ ՏՅՈԼԵՐԾՄԱ ՄԵԼՈՎԱՆՈՎՈՎ ՍԱՏՎՈՎ ԵԱՐՄՈՎԵՎՄԱ
ՃՐԾՈՎԵՐԾՄԱ.

ԵՐԵՍՔԻ ԿՇԱՏԾԱ 1992 ԵԼՈՎ 26 ԱԳՎՈՍՔՈՎ ՄԱԾԱԼԵՐԾՈ ՏԿՐ-
ՈՎՈՎ ԱՊՐԱԳ ՄԵՐՎԵՐԾՄԱ ՏՅՈԼԵՐԾՄԱ ՏԱԲԱ ՃԱ ԿՇԱՏԾԱԿՐԵԲՏԱԲ ԵՐՏԱԳ
ԳԱԵՄՑ ՑԱՎՐԱ ԳԱԳՐԱՑԻ ԺԱՐՏՎՈՎ ՄՐՆԱԿԻԼԵՐՈՒՄ ՏԱՎՈՎ ՄԵՐՎԵՐԾՄԱ
ԱՓԵԱՑ ՏԵՊԱՐԱԳԻՍՔԵԲՏԱԲ ՃԱ ԲՐԴՈՎՈՎԱԿԱՏՎՈՎ ԱՎԵՎՈՎԵՐԾՄԱ



თან” უთანასწორო ბრძოლაში ერნესტი 1992 წლის 29 აგვისტოს ბრძოლის ველზე, სოფელ კოლხიდაში გმირულად დაეცა. მუხანათურად მიპარულ მტერს ერნესტ კუკსამ ხელყუმბარა გაუხსნა, მთელი ტანით წამოიმართა და სასიკვდილო ტყვიით განგმირული დაეცა.

ერნესტ კუკსას ოჯახში დარჩა დედა – ირინა ლოგინოვა, პენსიონერი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1993 წლის 4 აპრილს №176 პ/შ ბრძანებით ერნესტ კუკსას მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება (ხიკვდილის შემდეგ). სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის / ხარისხის ორდენით“. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შეს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე. ერნესტ კუკსას სახელს ატარებს შეს აკადემიის მეოთხე კურსის პირველი ოცეულის მეორე ათეული.

ერნესტ კუკსას გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ერნესტ!



ლევან ცისკარიშვილი

1967-1992



ლევან ცისკარიშვილი დაიბადა 1967 წლის 14 სექტემბერს თბილისში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის 130-ე სამუალო სკოლა და იმავე წელს მუშაობას იწყებს მცხეთის სატყეო მუზეუმის ნეობაში. 1985 წელს ლევანი განვიზულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. მსახურობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარის ნაწილში ახალციხეში, სადაც გაიარა სპეციალური სწავლების კურსი და მიენიჭა ზემდეგის წოდება. სამხედრო სამსახურის გავლის დროს სახელმწიფო საზღვრის სამაგალითო დაცვისათვის დაჯილდოვდა მედლით. 1988 წელს ლევან ცისკარიშვილს მიენიჭა სამხედრო წოდება - „ლეიტენანტი“. მავე წელს დაჯილდოვდა მედლით შეიარაღებული ძალების 70 წლისათვან დაკავშირებით.

ლევანის მამა - ალექსანდრე ცისკარიშვილი იგონებს: „ლევანს ბავშვობიდან იზიდავდა სამხედრო ფორმა, ოცნებობდა გმირი გამხდარიყო. ბავშვურ ფიქრებში საომარ თერაციებს უძლვებოდა და გმირის სახელით დამშვენებული ტოვებდა ბრძოლის ველს. ლევანი თავის ხასიათს ბავშვობიდან წვრთნიდა. ყველას შეაყვარა თავი დახვეწილი ქცევით, ადამიანებთან ჯანსაღი ურთიერთობის თანდაყოლილი უნარით. ვინც მას იცნობდა ყველა გულთბილი სიტყვებით იგონებს. ხშირად თავისუფალ დროს საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრებ პატარა მეგობრებთან საუბრით იყო დაკავებული. მათ შემოიკრიბავდა კორპუსის ნინა ეზოში და მათთვის საინტერესო თემებზე ესაუბრებოდა. ლევანი გვიანობამდე წიგნის კითხვით იყო გატაცებული.“

სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ლევანმა მუშაობა დაიწყო მაუდ-კამპოლის კობინატში. ერთი წლის მუშაობის შემდეგ, 1989 წელს ლევან ცისკარიშვილი ნარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს



სსრ კავშირის შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაქულტეტზე.

უმაღლეს სკოლაში სწავლის პერიოდში ლევანი თანაკურ-სელებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართვე-ლოს სხვადასხვა რევიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაც-ვის ღონისძიებებში და თავდადებით იბრძოდა სამაჩაბლოში ტერიტორიული მთლიანობისათვის ნარმოებულ ბრძოლებში.

1992 წლის 29 აგვისტოს, როცა ქართველ ერს ღვთისძ-მობლის წმინდა დღესასწაულის მადლი ეფინებოდა, დილით უმაღლესი სკოლის 2 ოფიცერი და 8 კურსასტი აღმოჩნდა. ისინი სისხლის უკანასკნელ წევთამდე ებრძოდნენ მფერს. მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ვერას გახდნენ. ამ უთანასწორო ბრძოლამ შეინირა: მირიან თეთრაძე, ვახტანგ კვესიტაძე, ლევან ცისკარიშვილი, ბადრი გერაძე, ზაქარია ვეშაპური, ერნესტ კუქასა, ნუჯ ზარ მარშანიშვილი, ანდრია ჭანტურიძე, გელა ბელქანია და ბაჩუკი კოკაია.


ლევან ცისკარიშვილის გასვენებაში მისმა პატარა მეგობრებ-მა მიტანეს გვირგვინი ნარჩერით „პატარა მეგობრებისაგან“:

ლევან ცისკარიშვილს ოჯახში დარჩა დედა – ლამარა ბურდილაძე-ცისკარიშვილისა, მამა – ალექსანდრე ცისკა-რიშვილი, და – ნინო.

ლევან ცისკარიშვილს საქართველოს შსს 1993 წლის 4 აპ-რილის № 176 პ/შ ბრძანებით მიენიჭა მეთაურთა შემადგენლო-ბის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება (სიკვდი-ლის შემდეგ). სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცო-ბისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის / ხარისხის ორ-დენით“. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთი-ანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე. ლევან ცისკარიშვილის სახელს ატარებს შსს აკადემიის მეოთხე კურ-სის მესამე ოცეულის პირველი ათეული. ქ. თბილისში, დილმის მასივში მისი ოჯახის საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს ქუჩა ატარებს ლევან ცისკარიშვილის სახელს.

ლევან ცისკარიშვილის სახელი და გვარი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთი-ანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ლევან!





მირიან (მალეაზ) თეთრაძე

1951-1992

ძნელია იმ ავბედითი წლების გახსენება, უფრო ძნელია გაიხსენი ის მეგობრები ვის გვერდითაც მოვინია ამ ავბედითი წლების გველა. ასეთ ადამიანთა – მეგობართა რიცხვს ეკუთვნის მილიციის მაიორი მირიან თეთრაძე, რომელმაც სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლას შესწირა თავი.

მირიან თეთრაძე დაიბადა 1951 წლის 7 სექტემბერს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მირიანი სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრონიკისა და კავშირის ფაკულტეტზე, რომლის სრულ კურსს ამთავრებს 1973 წელს. მუშაობდა სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის თბილისის სატელევრაფო აპარატების ქარხანაში ინჟინერ-კონსტრუქტორად. 1980-1984 წლებში სამუშაოდ გადადის თბილისის ფერადი ტელევიზორების ქარხანა „ეკრანში“ ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ. შრომისმოყვარეობით გამოიწეული მირიანი მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდებოდა. თავისი თავის სრულყოფამ გადააწყვეტინა სწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე გაეგრძელებინა.

1984 წლიდან მირიან თეთრაძე შინაგან საქმეთა ორგანიზაციის. მუშაობდა საქართველოს შსს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე, სოციალისტური საკუთრების დატაცების ნინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროს ინსპექტორად საპატრულო საგუმავო სამსახურში.

მირიან თეთრაძე 1987 წლიდან სსრ კავშირის შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის თანამშრომელია. მუშაობდა სპეციალისტინების კათედრის



კაბინეტის უფროსად, ოპერატიულ სამძებრო საქმიანობისა და კრიმინალისტიკის კათედრის მასწავლებელ-მეთოდის-ტად, კურსის უფროსის მოადგილედ, კურსის უფროსად.

მირიანი იყო საქართველოს ეროვნული მილიციის ლირსე-ული ოფიცერი. მოკრძალებული, საქმის მცოდნე, დაკისრე-ბული მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი. უმაღლესი სკოლის პირად შემადგენლობაში მირიანი სარგებლობდა დი-დი ავტორიტეტით. იგი სასწავლებლის პირად შემადგენლო-ბასთან ერთად იდგა საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯო-ზე. თავის კურსანტებთან ერთად იძრძოდა ტერიტორიული მთლიანობისათვის ნარმობული ბრძოლაში.

1992 წლის 26 აგვისტოს უმაღლესი სკოლის ოფიცრებთან და კურსანტებთან ერთად მირიან თეთრაძე გაიგზავნა გაგ-რაში ქართული მოსახლეობის დასაცავად. მირიანი თავის აღ-საზრდელებთან ერთად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებ-რძოდა მტერს და უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაეცა გაგრის ზონის სოფელ კოლხიდაში.

მირიან თეთრაძე დაკრძალულია თბილისში, კუკის ძმათა სასაფლაოზე. იგი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობი-სათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავადადები-სათვის დაჯილდოებულია „ლირსების მედლით“ და „ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით“ (სიკვდილის შემდეგ). მისი სახელი მიენიჭა შსს აკადემიის მეორე კურსის პირველ ოცეულს. მისი გვარი ოქროსფერი ახოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთი-ანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალზე.

1999 წლის აპრილში ტრაგიულად დაიღუპა მირიანის 18 წლის ქალიშვილი, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმ-ნიფო უნივერსიტეტის პირველკურსელი ნინო თეთრაძე.

მირიან თეთრაძეს ოჯახში დარჩა დედა – გულნარა თეთ-რაძე, მეუღლე – ნატო პოლსკაია – თეთრაძე, შვილი – დავით თეთრაძე.

მირიან თეთრაძის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბი-ლისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანო-ბისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, მირიან!





ნუგზარ (ნუპრი) მარშანიშვილი

1966-1992

ნუგზარ მარშანიშვილი დაიბადა 1966 წლის 25 თებერვალს თბილისში. 1983 წელს დაამთავრა თბილისის 39-ე საშუალო სკოლა. თვრამეტი წლის იყო ნუგზარი, დედა რომ გარდაეცვალა. ემოციურმა და მგრძნობიარე ნუგზარმა მძაფრად განიცადა საყვარელი ადამიანის გარდაცვალება. მან ადრეულ ასაკში დაიწყო ლექსების ნერა. ყველა ლექსით ნუგზარი დედას ეჩურჩულებოდა და ეფერებოდა. მისი ლექსები სევდით არის გაუღენილი და ეს სევდა ორ ასვენებდა მთელი თავისი ხანძოელე სიცოცხლის მახილზე.

ნუგზარ მარშანიშვილი 1985 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ იგი უბრუნდება ინსტიტუტს და სწავლას განაგრძობს. 1988-1989 წლებში ნუგზარი მუშაობას იწყებს თბილისის მეტროპოლიტენში, მილიციის სერვანტად. 1989 წლის აგვისტოდან ნუგზარი სსრ კავშირის შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის კურსანტია. მისი ასეთი გადაწყვეტილება განაპირობა 1989 წლის 9 აპრილს ქართული მილიციის მიერ გამოწენილმა ვაჟკაცობამ და გადაწყვიტა ჩამდგარიყო მრავალათასიან მილიციელთა რიგებში. ასე მიიჩნევდა საჭიროდ: „იქ უფრო გამოვადგები ჩემს ქვეყანას, ჩემს ხალხს“. 

ნუგზარი უმაღლესი სკოლის ოფიცირებთან და კურსანტებთან ერთად მონაწილეობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში თბილისსა და ქვეყნის სხვადასხვა რევიონში. ნუგზარ მარშანიშვილი თავგანწირვით იცავდა ქართულ მოსახლეობას სამაჩაბლოში ოსი ექსტრემისტების თავდასხმისაგან.

1992 წლის 29 აგვისტოს გაგრის ზონის, სოფელ კოლხი-დაში უმაღლესი სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად საბრძოლო მოქმედებების ფროს თავგანწირვით მებრძოლი ნუგ ზარ მარშანიშვილი სხვა თანამებრძოლებთან ერთად გმირულად დაეცა.

ნუგ ზარ მარშანიშვილს ოჯახში დარჩა მეუღლე – მზია ხაბეიშვილი – მარშანიშვილისა, შვილი – ნათია, მამა – ილია მარშანიშვილი, და – ნათია მარშანიშვილი.

საქართველოს შსს 1993 წლის 4 აპრილის №174 პ/შ ბრძანებით ნუგ ზარ მარშანიშვილს მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური ნოდება (სიკვდილის შემდეგ). სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის /ხარისხის ორდენით“. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალზე. ნუგ ზარ მარშანიშვილის სახელს ატარებს შსს აკადემიის მეოთხე კურსის მეორე ოცეულის პირველი ათეული.

ნუგ ზარ მარშანიშვილის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ნუგ ზარ!





გელა ბელქანია დაიბადა

1970-1992


გელა ბელქანია დაიბადა 1970 წლის 3 მარტს გალის რაიონის, სოფელ ნაბაკევში. 1977 წელს შევიდა ნაბაკევის საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1987 წელს. 1988-1990 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1990 წლის დეკემბრიდან გელა მუშაობას იწყებს გალის შინაგან საქმეთა განყოფილების სახელმწიფო ობიექტებისა და დანერგულებების დაცვის სამსახურში მიღიციელად.

„გელა განსაკუთრებული ბავშვი იყო, – ივონებს დედა, ქალბატონი ნელი – უსაზღვროდ კეთილი, გულისხმიერი, კაცობრყვარე, ერთგული, გულუხვი, ვაჟაცური ბუნების, მუდამ ხალისიანი. ძმების წინამდლოლი იყო, მათი იმედი და დასაყრდენი. ბავშვობაში ბევრს კითხულობდა, უყვარდა ისტორიული ნიგნების, ისტორიული რომანების კითხვა“.

1992 წლის აგვისტოში გელა ბელქანია წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს საქართველოს უშიშროების სამინისტროს უმაღლეს სკოლაში, სამართლმცოდნეობის სპეციალობაზე და ირიცხება პირველ კურსზე. უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვიდან 2 კვირაში თანაკურსელებთან ერთად გაიწვიეს გაგრაში ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად.

– ქორწილს უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ გადავიხდიო, – ასეთი პირობა მისცა დედას, მაგრამ პირობა გელამ გერ შეასრულა და თვალცურებლიანი დატოვა საყვარელი დედა. დედას ერთი ნუგები დაუტოვა ლმერთმა: ბიძის მოსახელე გელა ბელქანია, რომელიც ძალიან ჰქავს მას.

საბედისწერო გამოდგა გელასათვის და მისი თანაკურსელებისათვის 1992 წლის 28-29 აგვისტოს დილა გაგრაში. გელა ბელქანია გმირულად დაიღუპა გაგრის ზონის სოფელ




კოლხიდაში. გელა ბელქანია დაკრძალულია ვალის რაიონის, სოფელ ნაბაკევში.

გელა ბელქანიას ოჯახში დარჩა დედა – ნელი მუშაკია, მამა – ანზორ ბელქანია, ძმები გიორგი და ჯუსტონი, ძმისშვილები.

საქართველოს შსს 1993 წლის 4 აპრილის №176 პ/შ ბრძანებით გელა ბელქანიას მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება (სიკედილის შემდეგ). სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით“. მის სახელს ატარებს შსს აკადემიის პირველი კურსის მეორე ოცეულის პირველი ათეული. გელა ბელქანიას გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალზე.

გელა ბელქანიას გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში, გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, გელა!





ბაჩუკი კოპაია

1970-1992

ბაჩუკი კოკაია დაიბადა 1970 წლის 20 სექტემბერს ფოთში. 1987 წელს დაამთავრა ფოთის №6 სამშალო სკოლა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ბაჩუკი 1988 წელს განვეული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, საიდანაც 1990 წელს დემობილი ზებული იყო. საბჭოთა არმიიდან დაბრუნებული ბაჩუკი მუშაობას იწყებს ფოთის საქალაქო შს განყოფილებაში საპატრულო-საგუშავო სამსახურში. მან აირჩია მილიციის მუშავის რთული და უათერაკებით აღსავს ვ ზა. 1992 წლის აგვისტოში ბაჩუკი უმაღლესი განათლების მისაღებად გამოცდებს აბარებს საქართველოს უმიშროების სამინისტროს უმაღლეს სკოლაში და თანაკურსელებთან ერთად მიერგვნის დროს იგი 2 თანაკურსელთან სოსო შიომღილთან და ანდრია ჭანტურიძესთან ერთად, თავის საკუთარ სახლში გაათევს და დილით 27 აგვისტოს უმაღლესი სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად ფოთის პორტიდან კატარდით ქ. გაგრაში მიერგვნის ზავრება.

29 აგვისტოს გაგრის ზონის სოფელ კოლხიდაში მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად იღუპება. ბრძოლისას გამოავლინა უმაგალითო გამბედაობა და თავგანწირვა.

ბაჩუკი კოკაიას ოჯახში დარჩა დედა – მთვარისა კოკაია, მამა ბორის კოკაია, ძმა – პაატა კოკაია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1993 წლის 4 აპრილის №176 პ/შ ბრძანებით ბაჩუკი კოკაიას მიერიქა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური ნოდება (სიკვდილის შემდეგ). სამშობლოს ტერიტორი-



ული მთლიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენი“. შეს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალზე ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია ბაჩუკი კოკაიას სახელი. ბაჩუკი კოკაიას სახელს ატარებს შეს აკადემიის პირველი კურსის პირველი ოცეულის პირველი ათეული ფოთში ქუჩა, სადაც ბაჩუკის მშობლების საცხოვრებელი სახლი მდებარეობს, ბაჩუკი კოკაიას სახელს ატარებს.

ბაჩუკი კოკაიას გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში, გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ბაჩუკი!





ზაქარია (ზაზა) ვეშაპური

1969-1992

ზაქარია ვეშაპური დაიბადა 1969 წლის პირველ აპრილს თბილისში. 1975 წელს მშობლებმა ზაზა შეიყვანეს თბილის №4 საშუალო სკოლაში. სკოლაში სწავლის პერიოდში განსაკუთრებულ მისტრაფებას იჩენდა უცხო ენის შესწავლისადმი, უყვარდა გერმანული ენა, პატივს სცემდა გერმანელი ხალხის სულიერ კულტურას. ზაზა ფიზიკურად ძლიერი იყო და მშობლებმა იგი ნაძალადევის ფალავანთა კლუბში მიიყვანეს საგარჯოშოდ. არაერთხელ გაიმარჯვა კიუკის, მოსკოვის, ბაქოს, ერევნის საერთაშორისო და საკავშირო ტურნირებში. 1988 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება.

ზაქარია ვეშაპურს, სიმართლის მოყვარულ ახალგაზრდას, გულმა ვაჟუაცურ, ხიფათითა და მოულოდნელობით აღსავსე პროფესიისკენ გაუნია და 1989 წელს მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგების მიხედვით ჩაირიცხა სსრ კავშირის შეს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე.

1990 წელს ზაზა სიყვარულით ქმნის ოჯახს და 1991 წლის 23 აგვისტოს შეეძინება პირველი ვაჟიშვილი, რომელსაც გარდაცვლილი მის საპატივცემულოდ მის სახელს, თემურს დაარქმებს.

უმაღლეს სკოლაში ჩაირცხვის დღიდან ზაზა თავის თანატოლებთან და სასწავლებლის პირად შემადგენლობასთან ერთად მონაწილეობას იღებდა საქართველოს მასშტაბით საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში. 1989-1991 წლებში ზაზა ცხინვალის რევიონში იცავდა ქართულ მოსახლეობას ოსი ექსტრემისტების თავდასხმისაგან. იგი გამოირჩეოდა სიმამაცითა და თავდადებით.



1992 წლის 26 აგვისტოს ზაზა უმაღლესი სკოლის პირად შემადგენლობასთან ერთად გაემგზავრა ქ. გაგრაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. გაცრაში გამგზავრების წინა დღეს ივი ესაუბრა თავის მეგობრებს და სთხოვა თავისი პატარა თემურისათვის მზრუნველობა არ მოეკლოთ. დილით, 26 აგვისტოს გამოეთხოვა ფეხმძიმე მეუღლეს, მშობლებს და უჩიუმრად გაეიდა სახლიდან.

29 აგვისტოს დილა ზაზასათვის საბედისნერო აღმოჩნდა. აღყაში მოქცეულ კურსანტებთან და ოფიცირებთან ერთად იგი გმირულად დაეცა სოფელ კოლხიდაში. ზაზა ნავიდა და თან გაიყოლა ერთი წლის ვაჟის თემურის დარდი და მომავალი შვილის სიხარული, რომელიც მისი დაღუპვის შემდეგ მოვალინა ქვეყნიერებას, მას ზაზა დაარქვეს.

ზაქარია (ზაზა) ვეშაპურს ოჯახში დარჩა დედ-მამა: – მაყვალა და გიორგი ვეშაპურები, მეუღლე ანა ვეშაპური, შვილები თემური და ზაზა.

საქართველოს შსს 1993 წლის 4 აპრილის №176 პ/7 ბრძანებით ზაქარია ვეშაპურს მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება (სიკვდილის შემდეგ). სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის / ხარისხის ორდენით“. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალზე. ზაქარია ვეშაპურის სახელი მიენიჭა შსს აკადემიის მეოთხე კურსის მეორე ოცეულის მეორე ათეულს.

ზაქარია ვეშაპურის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში, გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ზაზა!





ვახტანგ პვესიშვილი


1957-1992

ვახტანგ კვესიშვილი დაიბადა 1957 წლის 13 მაისს ზესტაფონის რაიონის სოფელ ბოსლევში. 1963 წელს შევიდა სოფელ რევილის რვანძლიან სკოლაში. აღნიშნული სკოლის არასრული კურსი 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა და სწავლა ვანაგრძო თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში, რომელიც 1974 წელს დაამთავრა. ნიჭით დაჯილდოებულმა ქაბუქმა იმავე წელს ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერ-მშენებლის სპეციალობაზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვახტანგი მუშაობას იწყებს თბილისის სანარმოო ვაერთიანება „ელექტროაპარატში“. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ვახტანგი განვიზული იქნა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

ვახტანგი შენაგან საქმითა ორგანოებში 1984 წლის მაისიდან. მუშაობდა საქართველოს შსს მე-7 განყოფილებაში, ხოლო საქართველოს უმისროების სამინისტროს უმაღლეს სკოლაში, - 1992 წლის აპრილიდან. მუშაობდა კურსის უფროსის თანამდებობაზე. უმაღლეს სკოლაში მუშაობის პერიოდში, ვახტანგი სიკეთით, ერთგულებითა და თავაზიანობით გამოიჩინდა. ყოველთვის მონესრიგებული იყო და პოლიციისათვის საუკეთესო თვისებებს ავლენდა. მის სახეზე დაღლილობა და გულგატებილობა არასოდეს იხატებოდა.

ვახტანგი ვაგრაში ვამგზავრებამდე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში. იგი მონაბანილეობას იღებდა ფოთში, ჩხოროწყუში, წალენჯიხა-სა და სენაკში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში.

1992 წლის 29 აგვისტოს სოფელ კოლხიდაში ვახტანგ-მა უმიშრად ჩახედა სიკვდილს თვალებში. მან თანამებრძო-



ლებთან ერთად მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუნია, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მამაცთა შორის დაუცა.


ვახტანგის დედა მარიამ კვესიტაძე შვილის დალუპვის შემდეგ გარდაიცვალა. ვერ აიტანა ტკივილი და მისი სული ვახტანგის სულთან შესახვედრად ვაემზ ზავრა.

ვახტანგ კვესიტაძეს დარჩა მხოლოდ მოხუცებული მამა, თარ კვესიტაძე. მისთვის უსაზღვროა შვილისა და მეუღლის გარდაცვალებით მიყენებული დარდი და ტკივილი.

ჰოლიციის კაპიტანი ვახტანგ კვესიტაძე საქართველოს ტერიტორიული მხალიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულია „ღირსების მედლით“ და „ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით“ (სიკვდილის შემდეგ). მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დალუპულთა მემორიალზე. მისი სახელი მიენიჭა შსს აკადემიის მეოთხე კურსის პირველ ოცეულს. სოფელ რკვიის სამუალო სკოლა ვახტანგ კვესიტაძის სახელს ატარებს.

ვახტანგ კვესიტაძის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში, გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დალუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ვახტანგ!





ბადრი გერაძე

1967-1992

ბადრი გერაძე დაიბადა 1967 წლის 3 მაისს ნეალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში. 1974 წელს შევიდა გვიშტიბის საშუალო სკოლაში, რომელიც 1984 წელს დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გაინვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. სამხედრო მოვალეობის მოხდის შემდეგ ბადრი სწავლობს ქუთაისის კომპერატიულ ტექნიკუმში, რომელსაც 1988 წლის ივლისში ამთავრებს.

ბადრი გერაძე შინაგან საქმეთა ორგანოებშია 1989 წლის 4 იანვრიდან. შემაობდა თბილისის სახელმწიფო ობიექტების დაცვის მილიციურლად ბადრი ნარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს 1989 წლის აგვისტოში სსრ კავშირის შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე და ორიცხება სამართალმცოდნებობის სპეციალობის პირველ კურსზე. უმაღლეს სკოლაში სწავლის პერიოდში ბადრი უშიშრად და თავგაანნირვით მონაწილეობდა სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიერ გატარებულ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში.

ბადრიმ ოჯახი უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვამდე შექმნა. თავისი პროფესიოდან გამომდინარე ოჯახისათვის ვერც კი იცლიდა, თუმცა გამორჩეული მზრუნველი მამა და მეუღლე იყო. ის ყოველთვის მოუთმენლად ელოდა ოჯახში მისვლას. იქ, სადაც სიყვარული და სითბო სუფევდა.

ბადრი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ნარმოებულ ბრძოლებში. თანაკურსელებთან ერთად იცავდა ქართულ მოსახლეობას ოსი ექსტრემისტების თავდასხმისაგან. იგი გამოიწეოდა საბრძოლო უინით და სიმამაცით. ორჯერ დაიჭრა საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობის დროს.



1992 წლის 29 აგვისტოს დიღა სოფელ კოლხიდაში ბადრი გერაძისათვის უკანასკნელი გამოდგა. მას მომავალი ნათელ ფერებში ენატებოდა, მაგრამ მუხანათმა წუთისოფელმა, ავმა ბედისნერამ მისი სიცოცხლე გავრის ზონის, სოფელ კოლხიდაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისას შეწყვიტა.

ბადრი გერაძეს ოჯახში დარჩა მამა – მიტუშა გერაძე, დედა – მაგული გერაძე, მეუღლე მაია ჩინჩალაძე და შვილი – ირაკლი.

საქართველოს შსს 1993 წლის 4 აპრილის №176 პ/7 ბრძანებით ბადრი გერაძეს მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება (სიკვდილის შემდეგ). სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის / ხარისხის ორდენით“. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალზე. ბადრი გერაძის სახელს ატარებს შსს აკადემიის მეოთხე კურსის მესამე ოცეულის მეორე ათეული.

ბადრი გერაძის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, ბადრი!



მოყვანის შესახებ. გადავწყვიტეთ, რომ ერთ საათში უნდა გაესული-ყავით და დაღუპულები წინა ხაზიდან გამოგვეყვანა. აქ შეკრებილი ლანძღვა-გინებით მოვისსენიებდით ყველას, ვინც ასეთ მდგომარე-ობაში ჩაგვყარა – ე. წ. სარდლებს, რომლებსაც არ შესწევდათ ომის წარმართვის უნარი. შეკრებილებს, ისე მოგვიახლოვდა უმაღლესი სკოლის უფროსი გივი კვანტალიანი, ვერც კი შევწინეთ. გავაფ-რთხილა, გინება შეგვეწყვიტა და მომმართა, ახსნა-განმარტება დამენერა ბიჭების დაღუპვის გამო. დავწყნარდი და ხმამაღალი ტო-ნით ვუთხარი: „დაღუპული ბიჭების ჩამოსაყვანად მივდივარ და ახ-სნა-განმარტებას მოგვიანებით დავწერ“. გ.კვანტალიანმა მიპასუ-ხა, – ჯგუფს ვაგზავნი და დაღუპულებს ისინი ჩამოიყვანენო.

ის დამე თეორად გავათენეთ. შუადღეს, 30 აგვისტოს შტაბ-თან შეიკრიბნენ ჩვენი სასწავლებლის პირადი შემადგენლობა და გვარდიელები. ადგილობრივებმა შტაბს აცნობეს, „შახის“ სახლში „ბოევიკები“ იმაღლებიანო. დაზვერვა გადაწყდა იმ ადგილმდება-რეობისა, სადაც „შახის“ სახლი მდებარეობს და შესაძლო მტრის დაჯგუფების სალიკვიდაციოდ. ჩვენი შემადგენლობიდან გამოი-ყო: მაიორი არზუმანოვი, კაპიტანი მალხაზ ნემსინვერიძე, მეორე კურსელები: ზაზა შავლუხაშვილი, სერგო დავიდოვი, მერაბ ტერ-ტერაშვილი, დათო მალრაძე, დავით მთვარელიძე; პირველკურ-სელები: ვაჟა ტაკაშვილი, გიორგი ხიდაშვილი, ზვიად ჩხიტუნიძე, გოგიტა კიქნაძე, ზაზა ოქროპირიძე, ელგუჯა წურწუმია, ელდარ ხვედელიძე, ზურაბ ნანილაშვილი, ბაჩუკი საათაშვილი, ერი თუ-მანვი, თამაზ გოგაძე, ემზარ ნადირაძე, ავთანდილ ცინცაძე და გოჩა ტურაშვილი, ზემდეგი ჯუმბერ ნარიმანიძე. ისინი გავადიე-ლებთან ერთად, ჩვენი სასწავლებლის „ბრდმ“-ით სოფელ კოლხი-დისაკენ გაემართნენ. გზიდან მარჯვნივ გაუხვიეს და 200 მეტრში საბავშვო ბალთან გაჩერდნენ. საბავშვო ბალის ოთახებში სიცარი-ელე იყო, ერთ კუთხეში პიანინო იდგა და იატაკი მოფენილი იყო ავტომატური იარაღიდან გასროლილი მასრებით. მეორე სარ-თულზე სისხლის გუბენები იდგა, ფანჯარასთან ქვიშის ტომრებით სავსე თავდაცვითი ზღუდე იყო გაკეთებული. ეტყობოდა, მტერი ამ შენობიდან ჩვენს პოზიციებს ესროდა.

შენობიდან გამოსულებმა გადაწყვიტეს, მებრძოლების ნაწილის იქვე დატოვება, ნაწილმა კი მალხაზ ნესინვერიძის მეთაურობით გზა განაგრძო „შახის“ სახლისაკენ, რომელიც საბავშვო ბალიდან 250 მეტრში მდებარეობდა. ირგვლივ დაცარიელებული სახლები იდგა. ყველა ეზოსა და სახლის შემოწმების შემდეგ „შახის“ სახლს მიადგნენ. მალხაზმა ავტომატიდან რამდენჯერმე ესროლა სახლის მარცხენა ფანჯარას. სერგო დავიდოვმა და ზაზა შავლუხაშვილმა

თითოჯერ გაისროლეს ყუმბარმტყორცნიდან. გასროლის შემდეგ სახლის პირველ სართულზე პირველები გოგიტა კიქნაძე და გიორგი ხიდაშელი შეიჭრნენ. ატყდა ორმხრივი სროლა. შენობას უკინდან მოადგნენ სერგო დავიდოვი და ჯუმბერ ნარიმანიძე. ორმხრივი სროლების შედეგად დაიჭრნენ გიორგი ხიდაშელი, ზვიად ჩხიტუნიძე და ემზარ ნაღირაძე. მათ გამოსაყვანად ჯავშანტრანსპორტიორი მივიდა.

სროლა გრძელდებოდა. ჩვენი მებრძოლები სნაიპერს ჰყავდა მიზანში ამოყვანილი და შიგადაშივ ისროდა. მალხაზ ნემსიწვერიძემ პიზიციის შეცვლისას წამოიძახა: „ოჟ, მაგათი დედაც... დამჭრეს“. სნაიპერის ტყვია მარჯვენა ბეჭში მოხვედროდა, ტკივილი არც კი უგრძვნია, მხოლოდ სისხლის სითბო ივრძნო მარჯვენა ხელში. მალხაზი სასწრაფოდ უნდა გასცლოდა იმ ადგილს, ვინაიდან სნაიპერს იგი სამიზნეზე ჰყავდა აყვანილი. მან და მეორეეურსელმა დათო მაღრაძემ 40-50 მეტრი იხოხეს, რომ სნაიპერს ვერ შეემჩნია. ამ დროს „შახის“ სახლის კუთხეში მდგარ ჯუმბერ ნარიმანიძეს მიზანში ამოელო „სკდ“-ს ტიპის შაშხანით სნაიპერი, ისროლა და „შახის“ სახლიდან 80 მეტრის დაშორებით, ხეზე მჯდარი სნაიპერი მიწაზე დაენარცხა. ჯუმბერი მივიდა მსხვერპლის სანახავად. იგი, შარვლის ჯიბეში ნაპოვნი პასპორტით ყაბარდო-ბალყარეთის მოქალაქე, 30 წლის ქალი იყო.

ბინდი წვებოდა. საჭიროება მოითხოვდა, „შახის“ სახლში მოკალათებული მტრის ლიკვიდაცია დროზე დამთავრებულიყო. სახლი მთლიანად ალყაშია. გოგია „პულიმიოტჩჩიკმა“ (ამ გვარდიელს ასე ეძახდნენ) „შახის“ სახლის პირველი სართულის პატარა ოთახში ხელყუმბარა „РТД-5“-ი შეაგდო. ყუმბარა აფეთქდა. მეორე სართულიდან რკინის მილიდან თვითნაკეთი ყუმბარა გადმოაგდეს, რომელიც არ აფეთქდა. სერგო დავიდოვმა ეს თვითნაკეთი ყუმბარა სასწრაფოდ შეაკეთა, ფითოლს ცეცხლი წაუკიდა და უკან შეაგდო. აფეთქდა. ყველა სროლა-სროლით შეცვიდა „შახის“ სახლში, სადაც ასეთი სურათი დახვდათ: მეორე სართულზე მტრის 4 გვამი ეგდო, ერთი ცოცხალმკედარი იყო. მას „აკმ“-ის ლულა ჰქანდა ჩადებული პირში, მაგრამ იმდენი ძალა აღარ შესწევდა, რომ სასხლე-ტისათვის გამოეკრა. ის ადგილზევე იქნა ლიკვიდირებული. სახლის უკან მტრის 2 გვამი იყო გაშოტილი. სავარაუდოდ, გაქცევისას მოხვდათ სასიკვდილო ტყვია. ამ შეტაკებისას ხელყუმბარების ნამსხვრევებით დაიჭრნენ პირველკურსელები ავთანდილ ცინცაძე და გოჩა ტურაშვილი.

31 აგვისტოს, სოფელ კოლხიდიდან, სადაც ჩვენი სასწავლებლის პირადი შემადგენლობა იბრძოდა, ჩვენი მეგობრების ცხედ-

რები ჩამოასვენეს. რამდენიმე კურსანტი და მე გაგრის საავადმყოფოში მივედით. გაირკვა, რომ გივი – კვანტულიანს წინა ხაზე მებრძოლი გვარდიელებისათვის დაუვალებია ცხედრების ჩამოს-ვენება.

საავადმყოფოსთან სატვირთო მანქანაზე ესვენა ვახტანგ კვესიტაძის, ბადრი გერაძის, ლევან ცისკარიშვილისა და ზაქა-რია ვეშაპურის ცხედრები. აქვე ესვენა ერთი გვარდიელის და 2 აფხაზის ცხედარი. გვარდიელს ყელი ჰქონდა გადაჭრილი. აფხაზ მეომრებს სამარე გაგრის საავადმყოფოს უკან, ეზოში ექსკავა-ტორით გაუთხარეს. საავადმყოფოს მორგში მოტანილ თუთიის კუბოებში ჩვენი ბიჭები ცრემლიანი თვალებით აწვენდნენ დაღუ-პულებს.

29 აგვისტოს გაგრის ნავსადგურიდან ფოთის მიმართულებით გასული გემით გავაცილეთ ჩვენი მეგობრების – მირიან თეთრაძის, ნუგზარ მარშანიშვილის, ერნესტ კუკასას, ანდრო ჭანტურიძის, ბა-ჩუკი კოკაიას და გელა ბელქანიას ცხედრები. ისინი იმ გზით გავა-ცილეთ, რა გზითაც აქ, გაგრაში ჩამოვედით. გაგრის სტადიონზე, სატვირთო მანქანაზე დასვენებულ თუთიის სასახლეში ჩასვენე-ბულ ვახტანგ კვესიტაძეს, ბადრი გერაძეს, ლევან ცისკარიშვილს და ზაქარია ვეშაპურს, 31 აგვისტოს ღამე გავუთხეთ და დილით ვერტმფრენით გავაცილეთ.

3 სექტემბერს მოსკოვში, შედგა რუსეთის ფედერაციის პრე-ზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრა. მასზე აფხაზეთში შექმნილი ვითარება განიხილეს. შედგა ამ შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი. მისი ძალით უზრუნველყოფილი იყო საქართველოს რესპუბლიკის ტე-რიტორიული მთლიანობა; 5 სექტემბრიდან შეწყდებოდა ბრძოლა ქართველებსა და აფხაზებს შორის, შეწყდებოდა ყოველგვარი ძა-ლის გამოყენება ურთიერთის წინააღმდეგ.

3 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი დაზავების შესაბამი-სად, ორივე მხარეს – აფხაზებსა და ქართველებს მძიმე ტექნიკა უნდა გაეყვანა ფრონტის ხაზიდან. ჩვენ პირობა პირნათლად შევას-რულეთ. კოლხიდის საშუალო სკოლის სიახლოეს განლაგებული 8 ტანკი ადგილიდან რომ არ დაძრულა, ფოთის მიმართულებით გაიყ-ვანეს. თუმცა მათ იქ გაჩერებას რა აზრი ჰქონდა?!

მოსკოვში დადებულმა ე. ნ. ხელშეკრულებამ (იგი რუსეთის მორიგი სატყუარა იყო) ქალაქი გამოაცოცხლა: სკოლებში და-იწყო სწავლება; ამუშავდა საზოგადოებრივი ობიექტები; ბაზარში გაცხოველდა ვაჭრობა... ერთი სიტყვით, გაგრა აღავდა საო-მარ მდგომარეობაში მყოფ ქალაქს. უამრავი ხალხი ირეოდა – ფორ-

მიანი თუ უფორმო, დიდი თუ პატარა. ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ გაგრაში შეიძლება მზვერავებიც ყოფილიყვნენ შემოპარულნი. ქალაქი ქაოსმა მოიცვა. მას არ ეტყობოდა უშიშროების სამსახურის მაკონტროლებელი ხელი.

გვარდიელების ჩამოსვლამ განაპირობა ის, რომ უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა ხელმძღვანელობამ ქალაქის შემოსასვლელების დასაცავად გადაიყვანა. კურსანტთა ერთი ნაწილი მთიდან შემოსასვლელ ბილიკებს იცავდა.

ყურადღება მინდა გავამახვილო კურსანტების ფენომენზე გაგრის დაცემის დღეებში. მათი პატრიოტული, ზნესრული სახე იმხანად ცხადად წარმოჩნდა. მათთან ყოფნისას აშკარად ვგრძნობდი, ეს პირტიტველა ბიჭები როგორ სწრაფად იზრდებოდნენ, ზნეობრივად, სულიერად მაღლდებოდნენ, ვაჟაცდებოდნენ. მათი სულგრძელობა, სიმამაცე, სამშობლოს სიყვარული, გაგრის მოსახლეობისადმი პასუხისმგებლობა დღითიდლე მატულობდა. კურსანტებმა ერთმანეთი აქ, ამ ბრძოლებში შეიცრეს. საერთო განსაცდელმა ისინი ერთ მტკიცე მუშტად შეკრა, დაამეგობრა. იმ დღეებში მათ ისეთი მაღალადამიანური თვისებები წარმოაჩნდნეს, რომელთა მაგალითზეც თაობები უნდა იზრდებოდნენ.

მახსენდება პირველკურსელთა ურთიერთობები, მისაღები გამოცდებისას რომ დაიწყო და აქ, გაგრაში გაგრძელდა. იმ დღიდან ოთხი წლის განმავლობაში (სწავლის პერიოდში) და დღემდე ერთმანეთს არ ივინწყებენ. უმაღლესი სკოლის ყველა ლონისძიებაში ერთმანეთის ვერდით იდგნენ. გაგრაში მათ მეტსახელებსაც ჩაეყარა საფუძველი. ამის სულისჩამდგმელი და, ასე ვთქვათ ნათლია ბაჩუკი საათაშვილი იყო, რომელმაც თითქმის ყველას მიუსადაგა შესაფერისი სახელი. ჩამოვთვლი ბაჩუკის მიერ შერქმეულ მეტსახელა ბიჭებს, რომლებსაც თანაკურსელები დღემდე ასე მიმართავენ:

- თამაზ გოგაძე – ნაჯიბულა (ავლანეთში სამხედრო სამსახურის გავლის გამო);
- აკაკი სადრაძე – პასპორტი (იგი ენის ბორძიკით. ლაპარაკობდა და და პასპორტს დამარცვლით ამბობდა);
- მერაბ ედიბერიძე – შოშნე (ფულის თვლას იგი შოშნვას უწოდებდა და ამიტომაც შეარქვა ეს მეტსახელი);
 - მამუკა ასლამაზიშვილი – თაგვი;
 - გიორგი ქუთათელაძე – ზამპოლიტა;
 - ერიკ თუმანოვი – რემბო;
 - დავით გიგაშვილი – ულიბკა;
 - მორის ჯუგაშვილი – ყამა (მრავალნახნაგა სატევარი);

მიხეილ ბარბაქაძე – კრისი (მხატვრული ფილმი „შესანიშნავი შვიდეულის“ ერთ-ერთი გმირის სახელი);

– მურმან ბასილიძე – კარაბლ (ზღვის ჰორიზონტზე ხომალდი გამოჩნდა და რუსულად წამოიძახა, კარაბლ);

– რომან ქუთარაშვილი – კიშკა (ბევრს ჭამდა).

მათი ასეთი დამოკიდებულება მაგონებდა ქართული მხატვრული ფილმ „ლიმილის ბიჭების“ გმირებს.

სოფელ კოლხიდაში, გაგრის ზონის წინა ხაზზე კვლავ ირღვევა აფხაზთა და ქართველთა მხარეებს შორის არშემდგარი დაზავება. 9 სექტემბერს სალამოს „პოევიკებმა“ გააფთრებით შეუტიეს ჩვენს პოზიციებს.

გაგრაში შექმნილმა მდგომარეობამ ფართო ასპარეზი გაუხსნა აქ ჩამოსულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს. საბრძოლველად ჩამოსულებში საბრძოლო განწყობა არ იგრძნობოდა. ისინი, ძირითადად, ძარცვა-გლეჯვით და მარადიორობით იყვნენ დაკავებულნი. ამაში კი მხედრიონს ვერავინ ვერ შეეცილებოდა. სამხედროები, ფაქტობრივად, დემორალიზებულნი იყვნენ.

იმ დღეებში განთიადის მილიციის განყოფილების მუშაკებთან ერთად ჩვენი სასწავლებლის პირადმა შემადგენლობამ დააკავა „თეთრი არწივის“ მებრძოლები: საბაშვილი, სტეფანოვი, ნაზარაშვილი, კარლოვი, გელაშვილი, ჩხარტიშვილი, ქებაძე, გოჩილაშვილი, ნამორაშვილი და ლომიძე, რომლებსაც სატვირთო მანქანით დატვირთული ავეჯი გაგრის პორტში შეჰქონდათ თბილისში გასაგზავნად. გაგრის მილიციის განყოფილებაში მიყვანილმა ზემოდასახელებულმა პირებმა დანაშაული მოინანიეს და პირობა დადეს, თუ გვაპატიებთ, წინა ხაზზე ვიპრძოლებთო. სამხედროები ასეთ დანაშაულებს ხშირად სჩაღლუდნენ. ვერც ჩვენ გადავურჩით ქართველი-საგან გაქურდვას. 12 სექტემბერს სასწავლებლის თანამშრომელთა ერთი ჯგუფის დაბა ლესელიძეში სახელმწიფო ავტოინსპექციის შენობაში სადილობისას კურსანტებზე განპირობებული 3 ერთეული ავტომატური იარალი გაქრა. იმ დღეს ვერ მოხერხდა შესაძლო ქურდის მოძებნა. მეორე დღეს კურსანტებმა დააკავეს მხედრიონელი შოთა ლლონტი, რომელმაც კურსანტებთან ერთად ისადილა, მოიპარა სამი ავტომატი, შეუმჩნევლად გადავიდა ფსოუს ხიდზე და რუსეთის ტერიტორიას მიაშურა.

კურსანტებმა დაკავებული მხედრიონელი ვერ გამოტეხეს. საჭირო გახდა მისი წინა დღეებში სოფელ ხეივანში იმ სახლში მიყვანა, სადაც ხშირად სტუმრობდა ნარკოტიკული ნივთიერების შესაძენად (სოფელი ხეივანი ნარკოტიკების გასაღებით განთქმული სოფელი იყო). მხედრიონელი შოთა ლლონტი კატეგორიულ უარს აცხადებდა

დანაშაულზე. სხვა ზომები უნდა მიგველო. ამისათვის, იგი ჩავსვით ავტომანქანა „ვოლგაში“ და 2-3 საათის განმავლობაში დაკითხვებს ვუტარებდით. მაინც არ ტყდებოდა. მას ოფლიანობა და კიდურების კანკალი დაეწყო. მიმიკაზე დაეტყო, რომ ე. წ. „ლომკაშ“ შემოუტია. ცხვირსახოცს ხან მარჯვნივ ქაჩავდა ხან მარცხნივ. რომ არ შემოგვევდომოდა, განთიადის საავადმყოფოში დიმედროლი გავუკეთეთ. ამან ეფექტი ვერ გამოიღო. ბოლოს გადავწყიტე, მისი დახვრეტის ინსცენირება მომენტი. კურსანტებს: ედიშერ ხიდაშელს, სოსო ბერიაშვილსა და კახა ჩინჩალაძეს მიველაპარაკე ამის შესახებ. მანქანიდან ჩამოსულმა ვუბრძანე მხედრიონელი აეყვანათ სოფელ სალმეს მიმართულებით და დაეხვრიტათ. მანქანას პირჯვარი გადავწერე და „ვოლგა“ სოფელ სალმეს მიმართულებით წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ავტომანქანა ფსოუს ხიდთან, ავტოინსპექციის საგუშაგოსთან გამოჩნდა და გაჩერდა იქ, სადაც მე ველოდებოდი. მხედრიონელი დარწმუნებული იყო ბიჭები დახვრეტდნენ და დანაშაულის აღიარება ამჯობინა. ჩვენი ავტომატები თურმე რუსეთის ტერიტორიაზე გაეყიდა. ჩვენ კი მათ ნაცვლად გადაჭრილ კონდახიანი 3 ავტომატი მოგვიტანა. მართლაც, დასახვრეტი ადამიანი დავინდეთ, ამ ცოდვას თავი ავარიდეთ. მოგვიანებით, აფხაზეთში იმის დამთავრების შემდეგ ვიგებთ შოთა ლლონგტის ბედისწერის ამბავს. გაგრის დაცემის დღეს სანატორიუმ „КБРЦ“-ში (კლიმატო-ბალნეოლოგიური რესპუბლიკური ცენტრი) შოთა ლლონგტის სხვა მხედრიონელებთან ერთად ჩრდილოკავკასიელი „ბოევიკები“ ჩაცხრილავენ. იგი ცხოვრობდა თბილისში, ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტლის 30-ე კორპუსში, დედა ნაზი ლლონგტი მუშაობდა ე. შევარდნაძესთან კანცელარიაში.

29 სექტემბერს გაგრაში ჩამოდის უმაღლესი სკოლის 18 მუშაკი.

30 სექტემბრისა და 1 ოქტომბრის ლამით აფხაზებმა კვლავ შემოგვიტიეს. მასიური სროლები მატულობდა. აფხაზებმა ვერაგულად დაარღვიეს ცეცხლის შეწყვეტისა და გაგრის ზონაში სტატუს-კვოს აღდგენის შესახებ მორიგება და შეგნებულად მიმართეს საომარ მოქმედებას წინასწარ დაგეგმილ ესკალაციას, გააფართოვეს თავდასხმის პლაცდარმი და უფრო მეტი ძალებით განახორციელეს შეტევა.

დილით, 1 ოქტომბერს პოლკოვნიკმა მიხეილ მარინაშვილმა (იგი სექტემბრის დასაწყისიდან ქ. გაგრის დაცვას ხელმძღვანელობდა) ჩვენი შენართების შეტევაზე გადასვლის ბრძანება გასცა. გამთენიას, უმაღლესი სკოლის „ბმპ“, რომლის ეკიპაჟს შეადგენდნენ ვაჟა ტაკაშვილი, ალექს დათებაშვილი, სერგო დავიდოვი, გოგიტა კიკ-ნაძე, დავით მთვარელიძე, გოჩა შურლაია და ამბროსი (ზვიადი) ბო-

კერია, უმაღლესი სკოლის უფროსის ბრძანებით, ესტაკადის მარცხნივ, შტაბის უკან ავიდა და ერთ-ერთი სახლის ეზოში გაჩერდა. რომ გათენდა, მიხეილ მარინაშვილმა ჩვენ ეკიპაჟს უბრძანა, აქ გამაგრებულიყვნენ და მეორე „ბმპ“-საც მიახმარდა, მაგრამ შეპირებული „ბმპ“ არსად ჩანდა. „ბმპ“-ში, რომელსაც ვაჟა ტაკაშვილი მართავდა ქვემების ათიოდე ჭურვი და ტყვიამფრქვევის 500-მდე ვაზნის მარაგილა იყო დარჩენილი. ჩვენი შემადგენლობა შტაბთან ახლოს შუადლებდე იდგა. კურსანტებმა მტრის მიმართულებით ქვემებიდან რამდენიმეჯერ ისროლეს. შემოტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ ჩვენი შენაერთები უკან იხევდნენ.

ესტაკადასთან, ხიდის ქვეშ ჰაუბიცა თავისი „ტიაგაჩით – MTB“-ე იწვოდა. ადგილობრივი მებრძოლები მაღალი სულისკვეთებით იბრძოდნენ, თუმცა შეტევა იმდენად მასირებული იყო, რომ ყველა ფორმირება უკან იხევდა. მხედრიონელების „ბმპ“-ს ყუმბარმტყორცნი ესროლეს და უკან დახევა დაიწყო. უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობის უმეტესი ნაწილი ქალაქის სახელმწიფო ბანკთან იყო განლაგებული, ნაწილი კი ქალაქის მილიციის განყოფილებასთან იდგა.

1 ოქტომბერს, დილით გაგრის მილიციის შენობასთან შეკრებილ უმაღლესი სკოლის კურსანტებს თხოვნით მიმართა გაგრის მილიციის განყოფილების მუშაკმა მაიორმა იური ძიძიგურმა მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაგრის ზემოთ ტყის მასივთან ადგილობრივი დალუპული მოქალაქის გამოყვანის გამო (იური ძიძიგური წარსულში საკალათბურთო გუნდის თბილისის „დინამოს“ წარმატებული მოთამაშე იყო). დავალების შესასრულებლად კურსანტთა რიგებს გამოეყვნენ: მალხაზ ჩანადირი, რომან ონიანი და თამაზ გოგაძე. ისინი „გაზ-66“-ის მარკის ავტომანქანით გაემგზავრნენ. ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართავდა ადგილობრივი სომები მოქალაქე. ტყის მასივს რომ მიუახლოვდნენ, ავტომატური იარაღიდან სროლა ატყდა. კურსანტები იძულებული გახდნენ მანქანიდან გადმომხტარიყვნენ და გზის გასწვრივ ბეტონის ფილებს ამოფარებოდნენ. რამდენიმეუთანი ორმხრივი სროლების დროს როგორ გაიპარა „გაზ-66“-ის მძლოლი, ბიჭებმა ვერც კი შენიშნეს. გაირკვა, რომ სომებმა მძლოლმა, გაგრის ზემოთ ტყის მასივთან ჩვენი კურსანტები წინასწარ მოფიქრებული გეგმით მიიყვანა. ბიჭები დასალუპავად იყვნენ განწირულნი, თუმცა ადვილად შეძლეს თავის დაღწევა, ერთმანეთის საცეცხლის დაზღვევით მათ საცეცხლე ხაზიდან გამოსვლა მოახერხეს.

2 ოქტომბერს დილით სანატორიუმ „ენერგეტიკის“ მხრიდან, ზღვიდან შემოსული კატარლიდან „ბოევიკები“ მსხვილკალიბრიან

ტვიამფრქვევებს უშენდნენ ქალაქს. ეს კარგად ჩანდა ლავრენტი ბერიას აგარაკიძან, სადაც უმაღლესი სკოლის „ბმპ“-ს ეკიპაჟი იყო გამაგრებული. მათთან ერთად აქ იმყოფებოდნენ ადგილობრივი მილიციის მუშაკები და მოხალისეებისაგან შემდგარი 12-14 კაციანი ჯგუფი. უკვე კარგად გათენებული იყო, როდესაც გამანადგურებელი სუ-25 ცაში გამოჩნდა. 2-3-ჯერ შემოუფრინა მტრის პოზიციებს და დაბომბა. თავიდან გამანადგურებელი ბიჭებს რუსების ეგონათ. ქალაქში 7-8 ადგილას შავი კვამლი ავარდა „ენერგეტიკისა“ და ქალაქის ცენტრის მიმართულებით.

„ბმპ“-ში მჯდომრმა ჩვენი სასწავლებლის ეკიპაჟმა ადგილი შეიცვალა და ქალაქის საავამდყოფოსკენ გადაადგილდა. გადაადგილების დროს „ბმპ“-დან ამოსულმა სერგო დავიდოვმა, რუსთაველის ქუჩაზე დიდი სისწრაფით მომავალ მტრის „ბმპ“-ს ნინასწარ მომზადებული ყუმბარმტყორცნიდან დაუმიზნა და ოდნავ ააცილა. მტრის „ბმპ“ გაჩერდა და ჩვენი ეკიპაჟისკენ მოტრიალდა. სერგომ მოასწრო სატყორცნში მეორე ჭურვის ჩადება, გაისროლა და ჭურვი „ბმპ“-ს კარებში მოხვდა. „ბმპ“ შეტორტმანდა და ნაძვნარში შევარდა.

ამ დღეს (ორი ოქტომბერი) აფხაზებმა საბრძოლო ტექნიკისა და არტილერიის მხარდაჭერით ყოველი მხრიდან შეუტიეს ქალაქს და ქალაქის სიღრმეში შემოიჭრნენ. რამდენიმე შენაერთი უწევდა ნინააღმდეგობას ქალაქში შემოსულ მტერს, რომელთაგანაც კვლავ მედგრად იდგნენ უმაღლესი სკოლის თანამშრომლები. მებრძოლთა რიგებში დაბნეულობამ დაისადგურა – არავინ აღარავის აღარ ემორჩილებოდა, კონტრშეტევები ცალკეული ჯგუფის მებრძოლების პირადი ინიციატივით ხორციელდებოდა, მათ „შემოქმედებაზე“ იყო დამოკიდებული. მებრძოლთა რიგები გაგრის დაცემის დღისთვის კარგა შეთხელდა. გაგრის დაცვის ხელმძღვანელობას აღარ ძალუდა ასეთი შემოტევების მოგერიება. ქალაქი ცეცხლის ალში გაეხვია. მებრძოლებიც და ქალაქის მოსახლეობაც შველას ითხოვდნენ. ხშირად ისმოდა ჩრდილოკვეკასიელი დაქირავებული „ბოევიკების“ გაუგონარი სისასტიკის მსხვერპლთა განწირული კივილი. ქალაქის ქუჩები მოფენილი იყო უპატრონოდ მიტოვებული გვამებით.

საველე ტელეფონით იტყობინებოდნენ ჩვენი შენაერთების უკან დახევის შესახებ. ისინი გაგრას ტოვებდნენ. ყველა მხრიდან ტყვიების ზუზუნი ისმოდა. უმაღლესი სკოლის კურსანტთა ეკიპაჟმა გადაწყვიტა ჯავშანტრანსპორტიორში ჩაჯდომა და ძველი გაგრის მიმართულებით ჩვენ შენაერთებთან მისვლა, მაგრამ მანქანის დაძვრა ვერ შეძლეს. სისტემაში ჰაერი იყო ჩატუმბული, სასწრაფოდ ჰაერი

გამოუშვეს, სისტემა გაივსო და ეკიპაჟმა განაგრძო მოძრაობა ძველ გაგრისეკნ, გვირაბის მიმართულებით. იქ დახვდათ გვივი კვანტალიანი, მიხეილ მარინაშვილი, გაგრის კომენდანტი ბადრი ფირცხელანი და 150-მდე მებრძოლი. აქ იდგა ტანკი ტ-54, „ავაზას“ 2 „ბმპ“ და ორი ჰაუბიცა“.

გვივი კვანტალიანმა უმაღლესი სკოლის „ბმპ“-ს ეკიპაჟის წევრებს მიმართა: „ჩვენი ჯავშანტრანსპორტიორი „ბრდმ“-ი 8 კურსანტთან ერთად ქალაქშია ჩარჩენილი და უნდა გამოიყვანოთ“. ვაჟა ტაკაშვილმა და სერგო დავიდოვმა ჯავშანტრანსპორტიორების ეკიპაჟის წევრებს ქვემების ჭურვები სთხოვეს. 3 ჭურვი ავაზელებდა მისცეს, 4 კი – მხედრიონელებმა. ვაჟა ტაკაშვილმა სთხოვა მიხეილ მარინაშვილს ეკიპაჟის დასაზღვევად ერთ-ერთი ტრანსპორტიორი გამოეყო. ერთ-ერთი „ბმპ“-ს მძღოლმა ქვემების მწყობრიდან გამოსვლა და მანქანაში ზეთის უკმარისობა მოიმიზეზა, მიხეილ მარინაშვილმა – მეორე „ბმპ“ კი აქ გვჭირდებაო.

უმაღლესი სკოლის ეკიპაჟს 2 ადგილობრივი მებრძოლი დაემატა. „ბმპ“-ში ჩასხდომისას კურსანტები გოგიტა კიკნაძეს, მისი არასრულწლოვანობის გამო წაყვანაზე უარს უუბნებოდნენ, მაგრამ გოგიტა თავისას არ იშლიდა, „თუ არ წამიყვანთ და ეკიპაჟს ჩამომაცილებთ, მე ფეხით გამოვყები დანარჩენ მებრძოლებს“. სულ 40-მდე ადგილობრივი და კურსანტი გაპყვა ფეხით წინ შიმავალ ჩვენი სასწავლებლის, „ბმპ“-ს. გოგიტამ მაინც თავისი გაიტანა და ეკიპაჟის წევრებთან მოკალათდა.

პანსიონატ „თბილისთან“ სამხედრო მანქანა „ვილისზე“ დამონტაჟებული ტყვიამფრქვევიდან „ბმპ“-ს სროლა აუტეხეს. სერგო დავიდოვმა „ბმპ“-ს ტყვიამფრქვევიდან უპასუხა და „ვილისის“ ძარაზე მდგომი სამი მეომარი ტყვიამფრქვევიანად გადაცვივდა. „ბმპ“-მ გზა განაგრძო.

სასტუმრო „საქართველოსთან“ თავზე მწვანე ლენტშეკრული მებრძოლები ირეოდნენ (ჩვენ ბიჭებს კი თავზე შავი ლენტი ჰქონდათ შეკრული). ორ მწვანე ლენტშეკრულს სერგომ ტყვიამფრქვევიდან ესროლა და ადგილზე გამოუყვანა წირვა. უმაღლესი სკოლის ეკიპაჟი უახლოვდებოდა გაგრის კომენდანტურას, როდესაც საპირისპირო მიმართულებით დიდი სიჩქარით მომავალი ჩვენი სკოლის „ბრდმ“ შენიშნეს. „ბრდმ“ მტერს ჩაეგდო ხელში. ბიჭებს „ბრდმ“ მიეტოვებინათ და შემოვლითი გზით წამოსულიყვნენ ძველი გაგრის მიმართულებით. „ბრდმ“-დან ჩვენ „ბმპ“-ს დაუწყეს სროლა. ბიჭებმა „ბმპ“ ფოსტის შენობას ამოაფარეს და სერგო დავიდოვმა ტყვიამფრქვევი აამოქმედა. „ბმპ“-დან გამოსროლილი რამდენიმე ტყვია „ბრდმ“-ს ბენზინის ბაკს მოხვდა და მანქანა ცეცხლის ალში გაეხ-

ვია. მილიციის შენობასთან ტანკი ტ-54 გამოჩნდა. სერგომ „ბმპ“-ის ქვემებიდან ჭურვი ესროლა, ტანკი ევკალიპტის ხეებში შევიდა, მეორე ჭურვი კომუნიკაციას მოხვდა და ტანკი გაჩერდა. ტანკთან მიიჭრნენ მხედრიონელი გივი გამიაშვილი და ორი ადგილობრივი მებრძოლი. გამიაშვილმა გააღო ტანკის ლუკი და შიგნით ხელყუმბარა ფ-1 ჩააგდო. ტანკი ცეცხლში გაეხვია.

ის იყო ჩვენი ბიჭები ფოსტის დატოვებას და იქიდან გამოსვლას აპირებდნენ, რომ ჯავშანტრანსპორტიორი „ბმპ“ გამოჩნდა, რომლის ძარაზე „აბსნი“ ეწერა. სერგომ გოგიტა კიკნაძის მოწოდებული ქვემების ჭურვი ქვემებში შეაგდო და „აბსნის“ მიმართულებით გაისროლა, მეორე ჭურვის გასროლა სერგომ ველარ მოახდინა, რადგანაც მტრის „ბმპ“-დან გამოსროლილმა ქვემების ჭურვმა ჩვენი „ბმპ“-ის კოშკურა დააზიანა, შეუძლებელი გახდა კოშკურის მოტრიალება. საკომანდო სავარესელში მჯდომმა ალეკო დათებაშვილმა ჭოგრიტში გაიხედა და დაინახა როგორ უახლოვდებოდა მტრის „ბმპ“ მათ ჯავშანტრანსპორტიორს. მტრის „ბმპ“-მ კიდევ ორი ჭურვი ისროლა. სერგომ იყვირა, რომ სასწრაფოდ ყველას დაეტოვებინა „ბმპ“. ჯავშანტრანსპორტიორში ბოლი იდგა, დენთის სუნმა სული შეუხუთათ. ვაჟა ტაკაშვილმა გადაწყვიტა ნინასნარ ახდილი ლუკიდან ამოსვლა, მაგრამ ადგომა ვერ შეძლო, ფეხებში სიმძიმე იგრძნო. მას მოესმა დასუსტებული, ტკივილიანი ხმა: „ვაი, დედა!“ ვერ გაარჩია ვისი ხმა იყო. ხმა სიღრმიდან მოდიოდა. ამ დროს მტრის „ბმპ“-მ სცადა ჩვენი „ბმპ“-ის გამოყვანა ევკალიპტების ხეებიდან. რამდენჯერმე დააჯახა და რომ არაფერი გამოუვიდა, მიატოვა და გასცილდა იქაურობას. ამასობაში ვაჟამ ძალა მოიკრიბა, მოახერხა „ბმპ“-დან ამოსვლა, გაიარა 10-12 მეტრი და ნაიცა. ჭურვების სროლით გაბრუებულმა მოახერხა ნამოდგომა. იქვე მდგარი გაზიეთების ჯიხური ჩაამტვრია, რომ ყურადღება მიეცყორო ჩვენიანებისათვის და აყვირდა, შველას ითხოვდა. მხედრიონელი გივი გამიაშვილი პირველი მიიჭრა ვაჟასთან, ფეხზე ნამოაყენა, კურსანტებმაც მიირბინეს. დათო მთვარელი-ძემ, გოჩა შურლიამ, მამუკა ხიჯაკაძემ და ზვიად ბოკერიამ „ბმპ“-დან ამოიყვანეს გოგიტა კიკნაძე, რომელსაც ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი, პოლიციის პერანგი და სამხედრო შარვალი – კომუფლაჟი დასისხლიანებული ჰქონდა. სერგო დავიდოვი ტყვიამ-ფრქვევის ტყვიებით მარჯვენა ფეხიდან მკერდის მიმართულებით იყო დაცხრილული. ალეკო დათებაშვილს მარჯვენა ხელი ჰქონდა დასისხლიანებული, საიდანაც სისხლი სდიოდა, იგი ცოცხალი იყო. ორ ადგილობრივ მებრძოლს, რომლებიც „ბმპ“-ს სადესანტო განყოფილებაში იყვნენ, თავები არ უჩანდათ.

ალეკო, სხვა დაჭრილებთან ერთად „ნივაში“ მოათავსეს. სერგო, გოგიტა და ორი ადგილობრივი მებრძოლი მიკროავტობუს „რაფში“. „ნივას“ და „რაფის“ საჭეს ადგილობრივები მართავდნენ. ვაჟა ტა-კაშვილი „შიგულში“ ჩასვეს და ადგილიდან დაიძრნენ. წინ „შიგული“ მიღიოდა, უკან „ნივა“ და „რაფი“. დანარჩენი ქვეითები მანქანებში ჩასხდნენ, ზოგიც „შიგულის“ საბარგულში მოთავსდა“, კურსანტების ნაწილმა ტყით ამჯობინა ნასვლა.

შუაღდე გადაცილებული იყო. სასტუმრო „საქართველოს“, რომ მიუახლოვდნენ, გვირაბთან მწვანელენტიანები ირეოდნენ. „ნივა“ ყველას გაასწრო, „რაფი“ და „შიგული“ მიჰყვებოდნენ. მიკროავტობუს „რაფიდან“ ერთ-ერთმა მებრძოლმა ქართულად წამოიძახა „გაგვატარეთო“. მწვანელენტიანები „რაფს“ სროლა-სროლით გამოედევნენ. ბიჭები გაქანებულ მანქანიდან ხტებოდ-ნენ, „შიგულისათვის“ მწვანელენტიანებს ყურადღებაც არ მიუქ-ცევიათ. გივი გამიაშვილი იქიდან გადახტა „ზღვის ნაპირიდან გა-მოვალო და – გასძახა ბიჭებს – ვეცდები დაგაზღვიოთო“. პორტის სიახლოეს, ტრასაზე „ნივა“ მტერს აეფეთქებინა. მანქანას ხალ-სი ეხვეოდა. აფეთქების შედეგად „ნივაში“ მჯდომნი ასფალტზე აქეთ-იქით ეყარნენ.

„შიგული“ დიდი სიჩქარით გასცდა სასტუმრო „საქართველოს“ და შუქნიშანთან მდგარმა მტრის რაზმის ერთ-ერთმა წევრმა, მა-ლალმა, წვერმოშვებულმა, თავზე კარაკულის ქუდდახურულმა და წითელჩექმიანმა ჩვენების შეჩერება სცადა. ბიჭებმა შუქნიშანთან შეკრებილებს დიდი სისწრაფით ჩაუქროლეს და ერთ-ერთმა ჩვე-ნიანდა რუსულად მიაძახა: „დავაი, რებიატა, ვპერიოდ!“ შეკრე-ბილებმა სროლა ატეხეს. საბარგულში მჯდომმა ორმა მეომარმა სროლითვე უპასუხა, „შიგულის“ სალონიდანაც გახსნეს ცეცხლი. სროლის შედეგად სალონში სამი მეომარი დაიღუპა, ორიც – სა-ბარგულში. დაშვებული საბურავებით ჩვენიანები აგრძელებენ მოძრაობას. ტრასაზე კიდევ ტანკი და „ბმპ“ იდგა. „ბმპ“-ზე ზემოთ ორი რუსი სამხედრო ფორმიანი იჯდა. ტანკზე კი ბერვისქუდიანი მამაკაცი. ეს და ზემოთ შეხვედრილი წითელჩექმიანის ჩაცმულო-ბის მიხედვით კაზაკი უნდა ყოფილიყო. ჩვენიანები გასცდნენ რა მათ, ყველამ, „შიგულის“ მძლოლმა, მის გვერდით დაჭრილმა მეო-მარმა და ვაჟა ტაკაშვილმა რამდენიმე ხელყუმბარა ისროლეს მა-თი მისამართით.

გაგრას კარგად გაცილებულებმა ჩვენების მიერ დაკავებულ პო-ზიციებამდე მიაღწიეს. მანქანა გააჩერეს და მძიმე წუთებით დათრ-გუნულები მანქანიდან გადმოხტნენ. გადარჩენილმა მებრძოლებმა სულის მოთქმა ვერ მოასწრეს, რომ იქვე მდგომმა მიხეილ მარინაშ-



ქ. გაგრა. 1992 წლის 2 ოქტომბერი. ესტაკადასთან, ხიდის ქვეშ ჩვენს საბრძოლო ტექნიკას ცეცხლი უკიდია.

ამ დღეს აფხაზურმა მხარემ გადამწყვეტი შეტევა განახორციელა. ქალაქის ქუჩებში გავლა არ შეიძლებოდა, იმდენი მიცვალებული იყო უპატრონოდ მიტოვებული.

ვილმა შეკითხვით მიმართა პირველკურსელ ვაჟა ტაკაშვილს, თუ რა ტექნიკით იყო მტერი შემოსული ქალაქში.

ამ ვითარებაში აღნიშნული კითხვა უადგილოდ გამოიყურებოდა, იმდენად რამდენადაც გაგრის დაცვის ხელმძღვანელს, სამხედრო მაღალჩინოსანს დაზვერვის საშუალებით უნდა მოეპოვებინა აღნიშნული ინფორმაციაც. მებრძოლები უნდა გაეფრთხილებინა აქ გაუთვალისწინებელი საფრთხეების შესახებ. გაგრის დაცვის დღეებში კარგად გამოჩნდა, რომ დაზვერვა, როგორც ასეთი, არ ჩატარებულა.

კურსანტებმა კიდევ ერთხელ სცადეს „ბოევიკთა“ შეჩერება, მაგრამ მათ ჭარბ ძალებთან ისინი ვერაფერს გახდნენ. მტრის ტყვიამ აქ კიდევ ერთი კურსანტის სიცოცხლე შეინირა. 2 ოქტომბერს, დაახლოებით 17 საათზე სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებით შეტევაზე გადასვლისას მძიმედ დაიჭრა მეორეკურსელი გელა თუთარაშვილი, რომლისთვისაც ეს ჭრილობა საბედინერო აღმოჩნდა.

თუ არა საქართველოს ხელმძღვანელობას სხვას ვის უნდა სცოდნოდა ის, რომ 1992 წლის 17 აგვისტოს ჩეჩენეთის დედაქალაქ გროზნოში ახლადშექმნილმა ჩრდილოკავკასიის მთიელთა კონფედერაციის მიერ გამართულმა ყრილობამ საქართველოს ომი გამოუკხადა, თბილისს დაბომბვითა და ტერაქტებით დაემუქრა და ჩრდილოკავკასიის ყველა ეთნიკურ ნარმონაქმნს მოსთხოვა აფხაზეთში შეიარაღებული მოხალისების გაგზავნა ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ჩეჩენები, დაბესტრნელები, ოსები, ყაბარდინელები, ადილეელები, კაზაკები – რუსები და სომხები იბრძოდნენ ჩვენს წინააღმდეგ – საქართველოს წინააღმდეგ. სწორედ ამ შემადგენლობამ, აფხაზებთან ერთად წამოიწყო 1 ოქტომბერს შეტევა ბზიფის ხეობაში, ბიჭვინთის რაიონსა და გავრის ზონაში. აფხაზებმა, მთიელთა კონფედერაციის ძალებითურთ შეაღწიეს ამ რაიონებში. მძიმე საბრძოლო ტექნიკითა და არტილერიის მხარდაჭერით იერიში მიიტანეს გაგრაზე, რამაც დიდი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწყია. გაგრა დაეცა. დაქირავებული კავკასიელი მთიელები ქართულ მოსახლეობას მხეცურად ექცეოდნენ. ქალაქის სტადიონზე შერეკეს და ათასამდე ქართველი გაწყვიტეს. არ დაინდეს ავადმყოფები და დაჭრილები. მოკლულებს თავებს აჭრიდნენ და ფეხბურთს თამაშობდნენ. ცოცხლად დარჩენილები იძულებულნი იყვნენ მიეტოვებინათ ქალაქი და გაურკვეველი მიმართულებით გადახვეწილიყვნენ. გაგრის დაცემის დღეს, სხვა ქართველებთან ერთად სტადიონზე წამებით მოკლეს ჩვენი სასიქადულო კალათბურთელი, მილიციის მაიორი იური ძიძიგური.

6 ოქტომბერს მონინააღმდეგებ დაიკავა ლესელიძე. ჩვენმა კურსანტებმა და ოფიცრებმა, სხვა ქართველ მეომრებთან ერთად, ტყიან მთა-გორიან ადგილებს შეაფარეს თავი და ისინი მოგვიანებით დაბრუნდნენ თბილისში.

კურსანტებმა და ოფიცრებმა, იქ, გაგრაში, ქვეყნისა და ერის წინაშე თავიანთი მოვალეობა პირნათლად მოიხადეს. მათ უჩვენეს ხალხს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში უდრევი ნების ადამიანები მსახურობენ. მათი დაუგინებარი თავდადება, სხვა ქართველ მეომართა ნათელ სახელებთან ერთად სამარადისო ადგილს დაიკვიდრებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მე მსურს ჩამოვთვალო იმ კურსანტთა გვარსახელები, ვინც იქ იდგა, სადაც ასეთ დროს ყველა ნამდვილი პატრიოტი უნდა მდგარიყო. აი ისინიც:

მეოთხე კურსელები:

გაგრაში გმირულად დაღუპულები: ლუკან ცისკარიშვილი, ნუგაზარ (ზური) მარმანიშვილი, ერნესტ კუკსა, ბადრი გერაძე, ზაქარია ვეშაპური.

გადარჩენილები: კახა ადამია, კობა კალმახელიძე, დათო სიხა-რულიძე და ნოდარ გავაშელიძეილი.

მესამე კურსელები:

ედიშერ ხიდაშელი, იოსებ ბერიაშვილი, ზურაბ ბადრიაშვილი, ვალერიან (ვალო) ბერიძე, გია დავითაშვილი, ავთანდილ გაიმარჯვაშვილი, ზურაბ მინდიაშვილი, მიხეილ მუმლაძე, ზურაბ ქაჯაია, დიმიტრი არჩვაძე, მერაბ ლიპარტია, გოდერძი მინაძე, გოჩა ულენტი, ზეიად ჯაჭვაძე, გიორგი ბუნტური, რომან ონიანი, დავით ყაულაშვილი, მალხაზ ჩანაფირი, ბათუ ხარაიშვილი და ბესი ბარნაბიძევილი.

მეორე კურსელები:

გაგრაში გმირულად დაღუპულები: სერგო დავიდოვი, გელა თუ-თარაშვილი.

გადარჩენილები: ზაზა შავლუხაშვილი, ირაკლი ბაქრაძე, გოჩა შურლაია, მამუკა ხიჯავაძე, დავით მთვარელიძე, ამბროსი (ზია-დი) ბოკერია, კახაბერ ჩინჩალაძე, ალექსი იოსელიანი, ძმები დავით და ზურაბ მალრაძეები, ვაჟა საბიაშვილი, ნოდარ ნოზაძე, დათუნა ცანკაშვილი, მამუკა დავითინიძე, ნუვ ზარ ხაჭაპურიძე, დავით ზარ-ნაძე, ვლადიმერ მწარიაშვილი, ლევრი ხვისტანი, დავით ქობულაძე, ელგუჯა არლვლიანი, მერაბ ტერტერაშვილი.

პირველკურსელები:

გაგრაში გმირულად დაღუპულები: გოგიტა კიკნაძე, ალექს და-თებაშვილი, გელა ბელქანია, ბაჩუკი კოკაია, ანდრო ჭანტურიძე.

გადარჩენილები: ვაჟა ტაკაშვილი, ბაჩუკი საათაშვილი, გივი კობალაძე, მამუკა ბერიკიშვილი, ვეფხის ეინშურაშვილი, არქადი გაბრიშვილი, პეტრე ოსიაშვილი, ერიკ თუმანოვი, გელა გელაშვი-ლი, ვალერი ხიმშიაშვილი, მორის ჯუგაშვილი, არჩილ მახარაშვილი, გოჩა ტურაშვილი, კობა კაპანაძე, რამაზ ნადირაძე, ევგენი ცერც-ვაძე, ელდარ ხედელიძე, დავით მოთიაშვილი, ზაზა ოქროპირიძე, ზვიად კაპანაძე, თეიმურაზ ჩადუნელი, გიორგი ხიდეშელი, ზვიად ჩხიტუნიძე, სოსლან თაბაგარი, ხვიჩა სურმავა, სერგო ქოთუაშვი-ლი, უვთანდილ და ედიშერ კვასტიანები, კობა ხეთაგური, ივახე ქვე-ხიშვილი, რომან ქუთარაშვილი, მამუკა ასლამაზიშვილი, ძმები გოჩა და ხვიჩა სახამბერიძეები, დავით დილმელიშვილი, სერგო ბობოხიძე, თამაზ გოგაძე, აკაკი სადრაძე, კახა კუპრაძე, გიორგი სიხარულიძე, სპარტაკ დილიმაშვილი, კახაბერ ჯალაბაძე, ბადრი კირთაძე, მერაბ ედიბერიძე, იოსებ შიოშვილი, კახა ჩიქოვანი, ემზარ ნადირაძე, და-

სერგო დავითოვი

1966-1992



სერგო დავითოვი თავის ცხოვრების წესით, განსაცდელის უამს გამოჩენილი გმირობით მავალითის მიმცემი იყო არა მარტო კურსანტებისათვის, არამედ ოფიცირებისთვისაც. ავღანეთის მიღებულებამ გამოცდილებამ (სერგომ სამხედრო სავალდებულო სამსახური ავღანეთში მოიხადა) სერგოს ჩამოუყალიბა სულიერი სიმტკიცე, სიმამაცე და თავდადება. უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით იბრძოდა აფხაზეთში ტეროტორიული მთლიანობის დასაცავად. იცოდა, რომ აფხაზეთში მტერი არანაკლებ ვერავი და დაუნდობელი იყო როგორც ავღანეთში.

გავრაში ნარმოებულ ბრძოლებში ჩვენი შემადგენლობის მონაწილეობის დროს ისეთი შთაბეჭდილება შემუქმნა, რომ სერგოს სიკვდილზე არც მანამდე უფიქრია და არც იმ საბედისნერო დღეს – გაგრის დაცემის დღეს, თანამებრძოლებთან ალეკო დათებაშვილთან, გოგიტა კიკნაძესა და ვაჟა ტაკაშვილთან ერთად ჯავაბანტრანსპორტიორ „ბმპ“-თი რომ ეპვეთა საბრძოლო შემართებით და დიდი უინით მტერს.

სერგო დავითოვი დაიბადა 1966 წლის 25 ნოემბერს თბილისში. 1972 წელს შევიდა ქ. თბილისის 91-ე საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო წელი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1984 წელს ხარატის სპეციალობით. სამხედრო სავალდებულო სამსახური ავღანეთში მოიხადა. ავღანეთის ომის შესახებ არასოდეს უსაუბრია, სიჩუმეს ამჯობინებდა.

1988 წლის ივლისიდან სერგო დავითოვი მუშაობას იწყებს საქართველოს შეს ქ. თბილისის სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების პოლკში, მიღლიცილად. სერგო კურსანტთა შორის გამოირჩეოდა გულისხმიერებით, პროფესიო-



ნალიზმით და რაც მთავარია, საქმისადმი და მეგობრებისად-
მი ერთგულებით.

1991 წლის აგვისტოში სერგო საქართველოს შსს მილიცი-
ოს უმაღლეს სკოლაში აბარებს მისაღებ გამოცდებს და გამოც-
დების შედეგების მიხედვით ირიცხება სამართალმცოდნეობის
სპეციალობაზე. მისი სურვილი იყო გამოსულიყო უმაღლესი
განათლების იურისტი. ქ. თბილისის სახელმწიფო ობიექტებისა
და დანერებულებების პოლექში მუშაობის დროს მივლინებული
იყო სამაჩაბლოში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად,
ხოლო 1992 წლის 26 აგვისტოდან სერგო დავიდოვი უმაღლესი
სკოლის კურსანტებთან და ოფიცირებთან ერთად გაემზავრა
გაგრაში აჯხაზი სეპარატისტებისა და ჩრდილოკავკასიელი
„ბოევიკების“ წინააღმდეგ საპრძლეველად.

გაგრის ზონა სოფელ კოლხიდაში ბრძოლისას სერგომ
ყველას მაგალითი უჩვენა თუ როგორ უნდა იბრძოდეს მებრ-
ძოლი მტრის წინააღმდეგ. გაგრის დაცემის დღეს – 2 ოქტომ-
ბერს სერგო დავიდოვმა და მისმა თანამებრძოლებმა სასტიკი
ბრძოლა გაუჩაღა გადამთიც „ბოევიკებს“, მაგრამ უთანას-
წორო ბრძოლაში დაიღუპა.

სერგოს დაღუპვამ მის მშობლებზე მძიმედ იმოქმედა.
ავადმყოფი მამა – კარლენ დავიდოვი შვილზე დარდმა გადაი-
ყოლა, მოვარებით დედა – მაყვალა მურმანოვას გულმა ვერ
გაუძლო, სიცოცხლე მოისწრაფა, მშობლების სულები ზეციურ
სასუფეველში გაემზავრნენ გზაანეული შვილის საძებრად.

სერგოს ოჯახში დარჩა ძმა – გიორგი დავიდოვი.

საქართველოს შსს 1997 წლის 31 მაისს №287 პ/შ ბრძანებით
სერგო დავიდოვს მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლი-
ციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება. სამშობლოს ტერი-
ტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირო-
ბის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ
გორგასლის / ხარისხის ორდენით“. მისი გვარი ოქროსფერი
ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმარ-
თულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა
მემორიალზე. სერგო დავიდოვის სახელს ატარებს შსს აკადემი-
იის მეორე კურსის პირველი ოცეულის პირველი ათეული.

სერგო დავიდოვის გვარი და სახელი ამოტვიფრულია
თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთი-
ანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენ სახელი უკვდავია, სერგო!



გოგიტა კიკნაძე

1975-1992



გოგიტა კიკნაძე გაზაფხულზე ნუშის ყვავილობის თვეში დაიბადა. ბუნებამ გაზაფხულივით უცვად დააბერტყა სილამაზეც და სიკეთეც. ყოველმხრივ გამორჩეული იყო და სიცოცხლეც გამორჩეულად უყვარდა. გაგრაში წინა ხაზზე რომ გადიოდა ბიჭები საყვედურობდნენ, ეფარებოდნენ ტყვია არ მოგეკაროს. გოგიტა კი ხშირად ერთსა და იმავეს სიცოლით პასუხობდა: „ტყვიას ჩემი მიგნება გაუჭირდება“. გაგრაში ჩამოყალიბდა მისი ვაჟკაცური სული. ტოლს არ უდებდა მასზე უფროსი ასაკის კურსანტებს, სულ წინ მიინევდა, – მტრის ჯავრი უნდა ვიყაროთ“. ომი სახტიკია და დაუნდობლია. მან არც პატარის და არც დიდის გარჩევა არ იცის. გაგრის დაცემის დღეს – 2 ოქტომბერს გოგიტა თავის მეგობრებთან ერთად გმირულად დაეცა. მისთვის სულ ჩვიდმეტჯერ გაიელვა გაზაფხულმა.

გოორვი და ელენე კაპაძების ოჯახში 1975 წლის 8 აპრილს დაიბადა გოგიტა. მათ ეამაყებოდათ ნანატრი ბიჭის დაბადება, დედმამიშვილებს გვერდს ვაჟკაცი რომ უმშევენებდა. მშობლებმა გოგიტა თბილისის 182-ე სამუალო სკოლაში შეიყვანეს, რომლის სრული კურსი 1992 წელს დაამთავრა. სკოლა სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა, რომ გადაწყვიტა სწავლა გაეგრძელებინა საქართველოს უმიშროების სამინისტროს უმაღლეს სკოლაში და ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა. 1992 წლის 13 ავგისტოს გოგიტა ნარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და ხდება უმაღლესი სკოლის კურსანტი. უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის მიერ გამოცხადებულ ყაზარმულ მდგომარეობაზე გადასვლისას გოგიტა თანაკურსელებთან ერთად რჩება უმაღლესი სკოლის ტერიტორიაზე მემდგომი ბრძანების შესასრულებლად მხოლოდ ერთხელ მოახერხა გოგიტამ მინ მისვლა და დედასთან გამომშვიდობება. ეს იყო 25 აგვისტო, 1992 წელი.

გოგიტას დედა – ქალბატონი ელენე იხსენებს: „გოგიტა 25 აგვისტოს მოვიდა სახლში, მთხოვა დილისათვის სამხედრო ტანსაცმელი გამიმზადე, დილით ადრე უნდა ნავიდეო“.



ქალბატონი ელენე იმ საღამოს განსაკუთრებულად მოესიყ-
ვარულა შეიღოს. დილით ადრე გოგიტა დაემშეიდობა მშობ-
ლებს, დებს და შინოდან გავიდა. კიკნაძების ოჯახისათვის
მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ გოგიტა უმაღლესი სკო-
ლის კურსანტებსა და ოფიცირებთან ერთად გამგზავრებული-
ყო გავრაში ქართული მოსახლეობის დასაცავად.

გავრიდან რამდენჯერმე ესაუბრა გოგიტა დედას. ქალ-
ბატონი ელენე ეხვერებოდა: „ძალიან მენატრები, მალე ჩამო-
დიო!“. გოგიტამ დედას ასე უპასუხა: „ეგ ხომ დალატის ტოლ-
ფასია, ბიჭებს ვერ მივატოვებო!“

გოგიტა კიკნაძე 1992 წლის 2 ოქტომბერს გაგრაზე მასიუ-
რი შეტევისას მტრის მიერ გამოსროლილი ჭურვით დაზიანე-
ბულ ჯავშანტრანსპორტიორ – „ბმპ“-დან თანამებრძოლებთან
ერთად მიმდევ დაჭრილი გადაჭყავთ სამგ ზავრო მიკროავტო-
ბუსში. გაგრის გასასვლელში გადამთიელი ბოევიკების „მხრი-
დან გამოსროლილმა ჭურვმა გოგიტას სიცოცხლე შეინირა.

გოგიტას ოჯახში დარჩა დედა ელენე კიკნაძე და დები
მაია და თამარი.

მამა – გიორგი კიკნაძე შვილის – გოგიტას დარდა იმსხ-
ვერპლა, მისი სული ზეციურ სასუფეველში გაემგ ზავრა გ ზა-
აბნეული შვილის საძებნელად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1997 წლის 28
ივლისის №770 პ/შ ბრძანებით გოგიტა კიკნაძეს მიერიქშ მეთა-
ურთა შემადგენლობის სპეციალური წილება „პოლიციის ლე-
იტენანტი“. სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით, სამმობ-
ლოს ტერიტორიული მოლიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენი-
ლი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა
„ვახტანგ გორგასლის / ხარისხის ორდენი“. მისი გვარი ოქროს-
ფერი ასოებით ამოტვიფრულია შეს აკადემიის ტერიტორიაზე
აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუ-
პულთა მემორიალზე. გოგიტა კიკნაძის სახელს ატარებს შეს აკა-
დემიის პირველი კურსის მეორე ოცეულის მეორე ათეული.

თბილისის 182-ე საშუალო სკოლა, სადაც გოგიტა კიკნა-
ძე სწავლობდა მის სახელს ატარებს. სკოლაში გოგიტას მე-
მორიალური კუთხეა გახსნილი.

გოგიტას დედამ ქალბატონმა ელენემ გოგიტას სახელზე
საცხოვრებელი სახლის – ქ. თბილისი, ვარკეთილის მასივი, ზემო
პლატო, კორპუსი „ბ“-ს წინ პატარა სკვერი გაცემდა. სკვერში პა-
ტარა ქვა დევს, რომელზეც გოგიტას სახეა ამოტვიფრული.

გოგიტა კიკნაძის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბი-
ლისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანო-
ბისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, გოგიტა!



ალექსანდრე (ალექს) დათებაშვილი

1969-1992



ალექსანდრე დათებაშვილი თანამებრძოლებთან: გოგიტა კუნაძესთან, სერგო დავითოვთან და ვაჟა ტაკაშვილთან ერთად გავრის დაცემის დღეს გმირობას ჩაიდენს. ეს კურსანტები შემართულნი იდგნენ გავრის დამცველთა რიგებში. თვალნინი მიღდას მათი სახეები, რომლებიც არასოდეს ნაიმლება ჩემ მეხსიერებაში. გავრის დაცემის დღიდან – 1992 წლის 2 ოქტომბრიდან ალექს დათებაშვილი, სერგო დავითოვი და ვოგიტა კუნაძე უც ზო-უკვლიდ დაკარგულებად ითვლებოდნენ.

ალექს დედა – ქალბატონი ლალი იხსენებს: „ალექსო მთელი ქუთაისის შემოიარა, ჯავშნიანი მანქანის „ბმპ“-ს სათა-დარივო ნანილები შეაგროვა და გავრაში ნასასვლელად მოემზადა... გავრაში გამზ ზავრების დღეს დედას მოეფერა და დაამატა: „დედი, ჩემი მეობრები მელოდებიან და მე მათ ვერ ვუდალატებო“. ალექსო დედას ქ. გავრიდან 29 სექტემბერს დაურეკა, მისთვის ჩვეული სითბოთი მოიკითხა და შეპირდა რომ სულ მაღლე დაბრუნდებოდა სახლში.

ქალბატონი ლალი ერთ საიდუმლოს უმაღლავდა ალექს: იმას, რომ იგი აყვანილი შვილი იყო დათებაშვილებისა. ამ საიდუმლოს შვილს მაშინ გაუმხელდა როცა ალექს დაქორწინდებოდა და ოჯახს შექმნიდა.

ალექს დათებაშვილი დაიბადა 1969 წლის 22 თებერვალს ქუთაისში. 1986 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლა. შემდეგ მამის – ბატონი ამირანის რჩევით ალექს ქუთაისის 33-ე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს ამთავრებს. 1987-1989 წლებში ალექს სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან დემობილი ზებული ცოტა ხნით მუშაობას იწყებს ქუთაისის სახტუმროთა გაერთიანებაში მუშად. მას გული შინაგან საქმეთა



ორგანოებისაკენ მიუწევს და 1989 წლის ოქტომბრიდან მუშაობს ქუთაისის შინაგან საქმეთა სამართველოს საპატრულო-საგუშავო სამსახურში ცალკეულ ბატალონში მიღიცის ზემდევის თანამდებობაზე. საპატრულო-საგუშავო სამსახურში მუშაობის პერიოდში აღეკი გამოირჩეოდა თავმდაბლობით, მასზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა პირნათლად და კეთილსინდისიერად. თანამშრომლებში სარგებლობდა დიდი პატივისცემით.

1992 წლის აგვისტოში აღეკი დათებაშვილი წარმატებით აბარებს საქართველოს უმიმროების სამინისტროს უმაღლეს სკოლაში მისაღებ გამოცდებს და ირიცხება სამართლმცოდნეობის სპეციალობაზე.

აფხაზეთის ქადაქ გაგრის დასაცავად აღეკი თანაკურსელებთან ერთად გაემგზავრა 1996 წლის 26 აგვისტოს. გაგრაში ბრძოლები მიმდინარეობდა. პირველკურსელმა აღეკი დათებაშვილმა თანამშროლებთან ერთად დიდი წინაღმდევობა გაუნია მოზღვაუბულ მტერს და გმირულად დაეცა გაგრაში.

აღეკი დათებაშვილს ოჯახში დარჩა მშობლები დედა – ლალი ტყეშელაშვილი-დათებაშვილისა და მამა – ამირან დათებაშვილი, რომლებსაც აღეკი ცხოვრებას ულამაზებდა და ტკბილი სიბერე უნდა უზრუნველყო მათვის.

საქართველოს შსს 1997 წლის 28 ივლისს №770 პ/შ ბრძანებით აღეკი დათებაშვილს მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება. სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის / ხარისხის ორდენით“. მისი გვარი ოქტომბერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუბულთა მემორიალზე. აღეკი დათებაშვილის სახელს ატარებს შსს აკადემიის პირველი კურსის მეოთხე ოცეულის პირველი ათეული.

აღეკი დათებაშვილის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუბულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, აღეკო!



გელა თუთარაშვილი

1971-1992



გელა თუთარაშვილი დაიბადა 1971 წლის 14 მარტს ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშებში. 1977 წელს გელა მშობლებმა ცხინვალის მე-4 საშუალო სკოლაში შეიყვანეს, რომელიც 1988 წელს დაამთავრა. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თამარაშენის მებოსტნეობის მეურნეობაში. 1989-1990 წლებში გელა მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

ბავშვობიდან გელა კეთილი, ალალმართალი ყმანვილი იყო. ბუნებით ემოციური ყველაფერს საოცრად განიცდიდა. გელამ მისიმედ განიცადა დედმამიშვილის, ნინოს გარდაცვალება, ნუთისოფელმა ადრეულ ასაკში დააშორა დას. ამ გარემოებამ გელა გულჩათხრობილი გახდა. მშობლები ცდილობდნენ ერთადერთი შეილისათვის არაფერი დაეკლოთ, მას ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებას ასწავლიდნენ.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულმა, გელა თუთარაშვილმა გადაწყვიტა საქართველოს შსს მილიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები გამოცდების ჩაბარება. იგი, 1991 წელს მისაღები გამოცდების შედევების მიხედვით, საქართველოს შსს მილიციის უმაღლესი სკოლის სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველი კურსის კურსანტია. უმაღლეს სკოლაში ჩარიცხვის დღიდან გელა თუთარაშვილი თანაკურსელებთან ერთად მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში. თბილისში, სენაკში, ჩხოროცხუში და წალებრჯიხაში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სადარაჯობები მდგარი გელა თუთარაშვილი გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით და საქმისადმი კეთილსინდისიერი შესრულებით. თანაკურსელებში სარგებლობდა დიდი პატივისცემით.

გელა თუთარაშვილი უმაღლესი სკოლის კურსანტებთან ერთად მივლინებულ იქნა გავრაში საბრძოლო მოქმედებებში



მონაწილეობის მისაღებად. მაშინ, როდესაც გავრა აღებული იყო კოალიციური „ბოევიკების“ მიერ, კურსანტებმა სცადეს შეტევაზე გადასვლა და „ბოევიკთა“ შეჩერება, მაგრამ მტრის ქარბ ძალებთან ვერაფერს გახდნენ. შეტევაზე გადასვლისას, მტრის მიერ გამოსროლილი ტყვიით მძიმედ დაიჭრა მეორე კურსელი გელა თუთარაშვილი, რომლისთვისაც ეს ჭრილობა საბედისწერო აღმოჩნდა.

ერთადერთი შვილის დაღუპვით გამნარებული მშობლები სასონარკვეთას მიეცნენ. თავს დატეხილ უბედურებას, ტკი-გილს ვერ გაუძლო დედამ – ქალბატონშა ლამარამ და მალე გარდაიცვალა.

გელას დარჩა მამა – ვურამ თუთარაშვილი, რომელიც შვილის სურათებს შესცეკრის და მის ნივთებს ეფერება.

საქართველოს შსს ბრძანებით გელა თუთარაშვილს მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობით „ბოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება. სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, თავდადებისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდა „ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით“. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალზე. გელა თუთარაშვილის სახელს ატარებს შსს აკადემიის მეორე კურსის მეოთხე ოცეულის პირველი ათეული.

გელა თუთარაშვილის გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, გელა!



ვით გიგაშვილი, ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი, ტარიელ ხარაიძე, ვალერი ნათელაშვილი, გიორგი ქუთათელაძე, ავთანდილ ცინცაძე, თეიმურაზ ცნობილაძე, მურმან ბასილიძე, ზურაბ ნანილაშვილი, ბადრი პატარიძე, მიხეილ ბარბაქაძე, ბაქარ ბეგიაშვილი, ზაზა სიგუნავა, ვეფხია ბეჟანიშვილი, ივანე მახაჭაშვილი, ვოჩა მგალობლიშვილი, ბადრი გვეღესიანი, გოჩა ძოხენიძე, კახა გერე კოტორაშვილი, არჩილ ბასილაშვილი, ქართლოს მოკვერაშვილი, კობა კილაძე, თეიმურაზ შალიკაშვილი, დავით ონიაშვილი, ნუგ ზარ ელბაქიანი და კახა ტურაშვილი.

გაგრის დაცვის დღეებში მამაცობის მაგალითები გვიჩვენეს ოფიცრებმაც, გაგრაში გმირულად დაღუპულებმა: მაიორმა მირიან თეთრაძემ და კაპიტანმა ვახტანგ კვესიტაძემ.

გადარჩენილმა ოფიცრებმა: პოდპოლკოვნიკმა ლეონიდ სუბოტინმა, მაიორმა ვაჟა გურგენიძემ, კაპიტანმა ელგუჯა (რეზო) ჭანტურიამ, კაპიტანმა მალხაზ ნემსინვერიძემ, მაიორმა იშხან არზუ-მანოვმა, ლეიტენანტმა ხვიჩა პატარიძემ, ლეიტენანტმა ვახტანგ სულთანიშვილმა; ზემდეგებმა: ჯუმბერ ნარიმანიძემ, მალხაზ ქავთარაძემ და გელა ლეიტენანტმა; ასევე უმაღლესი სკოლის თანამშრომლებმა: გიორგი გიუტაშვილმა, ლუდვიგ კოტორანმა და ალექსანდრე პოლოსოვმა.

გაგრის ბატალიებს რომ ვიხსენებ, ეჭვი არავის უნდა შეეპაროს ჩვენი სამხედრო ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობაში. ამ საქმეში ჩაუხედავი კაციც კი ადვილად შეამჩნევდა, ჩვენს ე. წ. შეიარაღებულ ძალებში როგორი უდისცილინობა და ქაოსი იყო გამეფებული, არ იყო ერთიანი ფრონტი. რა დისციპლინაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თავად ერთ-ერთი სამხედრო მაღლაჩინოსანი, პოლკოვნიკი პაატა დათუაშვილი გაგრის დაცემის წინა დღეებში ყველას თვალწინეული მისამართის კენია იღებს გებს და მიიპარება. ნარმოიდგინეთ, ამის შემთხვევაში რიგითი ჯარისკაცი რას იზამდა?! შტაბი საბრძოლო ვითარებას კოორდინაციას ვერ უწევდა, არ იყო საველე კავშირი.

ახლა – საბრძოლო ტექნიკაზე. მძიმე ტექნიკა საკმარისი იყო, მაგრამ გამოყენება ვერ მოხერხდა. ჯავშანტრანსპორტითა გარკვეული ნაწილი მწყობრიდან იყო გამოსული. სამხედროებს არ ჰქონდათ შეტევის სურვილი. სამხედრო „სტრატეგებმა“ ვითომ არ იცოდნენ, რომ ადგილზე ტკეპნით ვერაფერს გავხდებოდით. ყველასათვის ცნობილია, რომ ომს ის იგებს, ვინც აქტიურად მოქმედებს, შეტევაზე გადადის, ადგილზე დგომას ხომ მეტი მსხვერპლი და დამარცხება მოჰყვება.

საგუშაგოებსა და საბრძოლო პოზიციებს თვითნებურად ტოვებდნენ, რაც ზემოთ აღნერილი უდისციპლინობის, ქაოსის ფონზე

სულაც არ იყო მოულოდნელი. გაგრის შტაბში ყოველდღე იმართებოდა 2-3 საათიანი თათბირები. რა საკითხებს განიხილავდნენ ჩვენთვის უცნობი იყო, მაგრამ ფაქტია – ბრძოლა მიმდინარეობდა და თათბირების დრო არ იყო.

3 სექტემბრის ხელშეკრულება არ შესრულდა. აფხაზურმა მხარემ მოლაპარაკების პროცესი პრაქტიკულად იმისათვის გამოიყენა, რომ გაგრა, განთიადი და ლესელიძე გადამთიელებს დარჩენდათ. აქ თავსმოხვეული ომი იყო. მისთვის სეპარატისტები და ექსტრემისტები კარგა ხანს ემზადებოდნენ და მათ მხარდამჭერები რუსეთში ჰყავდათ.

გაგრის ბრძოლების დღეებში, როცა ქართველი მეომრები და მოსახლეობა შველას ითხოვდნენ, ქუჩები უპატრონოდ მიტოვებული გვამებით იყო მოფენილი, დანარჩენ საქართველოში ბევრი უმსგავსობები ხდებოდა: ტელევიზია რეკლამებით გამუდმებით მოუხმობდა ჩვენს მოსახლეობას (განსაკუთრებით, მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც ფული აკეთა, გამდიდრდა და ეხლა დასვენება მოენატრა) დასასერებლად ანტალიაში, დუბაიში, კვაპროსსა თუ კანარის კუნძულებზე. ზოგმა შვილები უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში გააგზავნა, ზოგმაც, ცივი ნიავი არ მიეკაროთო, ნაშიერთ საზღვარგარეთ ნაყიდ „ქოხებში“ დაუდეს ბინა. საქართველოში ომია და ყველა მოქალაქე სამხედრო რეჟიმის შესაბამისად უნდა გარჯოლიყო!

გაგრის ბრძოლებთან დაკავშირებით დასაწყისში მოკლედ მიმოვისილე რამდენიმე ავტორის უაზრო, უნიჭო, ვილაცეების მონაყოლზე აგებული, დაუსაბუთებელი ნაჯლაბნები უმაღლესი სკოლის შესახებ. აუტანელია ყოველივე ის, რაც ჩვენზე დაწერეს პრესაში. აუტანელს ხდის საქართველოს გენერალური პროკურორის დასკვნა „1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის რეგიონში საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტიგენტის გადაადგილების და სამხედრო დამარცხების მიზეზების შესახებ (იხილეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №360, 27 სექტემბერი, 2000 წელი). ამ დასკვნის მიხედვით, გამოძიებით დადგენილია, რომ გაგრა-ლესელიძის მონაკვეთზე 1992 წლის 17 აგვისტოდან – 2 ოქტომბრამდე იბრძოდნენ ეროვნული გვარდისა და გაგრის ბატალიონები, ასევე „შავნაბადისა“ და „მხედრიონის“ ფორმირებათა მებრძოლები.

ხედავთ? აქ პროკურატურის ოფიციალურ დასკვნაშიც ვერ მოიძებნა ჩვენი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის (შსს უმაღლესი სკოლის) ადგილი! ამ დასკვნის შემდგენელს გაგრის ბრძოლებში რომ მიეღო მონაწილეობა, ბევრ უტყუარ

ცნობას შეაგროვებდა დასკვნისათვის და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვდა. მათ კი ხელისუფლების ზემო ეშელონებში აუცილებლად მიაკვლევდა. დიახ, მათ განირეს გაგრის მოსახლეობაცა და მებრძოლებიც. თუმცა, როგორც ყველა ხელისუფალი ამის უფლებას არ მისცემდა...

არის გაგრის დაცემის ამსახველი დოკუმენტური ფილმი, რომელსაც წინა წლებში ხმირად უჩვენებდნენ საქართველოს ტელევიზიის არხებით. მისი წამყვანიც არ ასახელებს გაგრის პრძოლების მონაწილეთა შორის საქართველოს უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის ოფიცრებსა და კურსანტებს.

გაგრის დაცემით გამოწვეული ტკივილი არ იყო განელებული (ამას დავიწყება არ უწერია!), რომ საქართველოში 11 ოქტომბერს შედგა საპარლამენტო არჩევნები, – საქართველოს დემოკრატიული მშენებლობის გზაზე დიდმინიშვნელოვანი მოვლენა. ამით დაიწყო ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობა. საკანონმდებლო ორგანოში ისეთებიც ბლომად „აირჩიეს“ პარლამენტს კი არა, რიგით თანამდებობასაც რომ ძნელად ანდობდა კაცი. მაგრამ, ასე თუ ისე საქართველოს ახალი ხელისუფლება ჰყავდა.

არჩევნების ჩატარების შემდეგ უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა ბრძანებით გაემგზავრა სენაკის რაიონის სოფელ მენჯში. აქ უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა მენჯი-სენაკის მიმართულებით ახორციელებდა პატრულირებას და ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმის შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვის ღონისძიებების შემუშავებით იყო დაკავებული. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმის მოსალოდნებლი თავდასხმის ასაცილებლად და მათთან შესახვედროად დისლოკაციის ადგილის რამდენჯერმე დატოვება მოგვიწია. „ზვიადისტების“ თავდასხმის მოლოდინში ყოფნამ, სენაკი-თევკლათის და სენაკი-ჩხოროწყუს ტრასებზე პოზიციების გამაგრებამ, ჩვენს რიგებში დაძაბულობა შეიტანა. რამდენიმე ოფიცერმა და კურსანტმა დისლოკაციის ადგილი დატოვა და შინ წავიდა. მაშინ, როდესაც მამრობითი სქესის ოფიცერები გარბოდნენ, ქალი ოფიცერი – მაიორი მანანა მოსულიშვილი მამაცურად იდგა სხვა ოფიცრებთან და კურსანტებთან ერთად.

დეკემბრის შუა რიცხვებში უმაღლესი სკოლა იცვლის დისლოკაციის ადგილს და სენაკში გადადის, რუსული ჯარის მიერ მიტოვებულ სამხედრო ქალაქში და მომდევნო წლის მაისამდეიქ დაჰყოფს.

ოქტომბერში უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის სახელზე შემოდის ბევრი კურსანტის განცხადება დასწრებული სწავლები-

დან – დაუსწრებელზე გადაყვანის თხოვნით. ამას ძირითადად ის კურსანტები ითხოვენ, რომლებიც გაგრაში ბრძოლებში არ მონაწილეობდნენ.

ბოლო პერიოდის რესპუბლიკაში რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ გარკვეულწილად იმოქმედა უმაღლესი სკოლის საქმიანობაზე, შეიმჩნეოდა სამსახურებრივი და სასწავლო დისციპლინის შესუსტება. კურსანტები ლექციებს აცდენდნენ.

წლის ბოლომდე უმაღლესი სკოლა გადასულია საბრძოლო მზადყოფნაზე. სასწავლებლის სხვადასხვა აქციაში მონაწილეობა ერთსა და იმავე ოფიცრებსა და კურსანტებზე გადადის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მი-
ლიციის უმაღლესი სკოლის ოფიციერთა და კურსანტთა
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებსა
და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის
ნარმოებულ პრძოლებში მონაწილეობის

გეოგრაფიული რეაა და მასშტაბები


1993 წ.

სოხუმი

ქუთაისი

სენაკი

თბილისი



არავინაა მართალი და არავინ – დამნაშავე, ასეთი დრო იდგა

1993 წელი

„იყო რწმენა, მავრამ არ იყო მაცხოვნებული მადლი“. ნშინდა მამათა გამონათქვამი

ახალი წელი იდგა. თბილისის ცა მთელი ღამე განათებული იყო სხვადასხვა იარაღიდან ნასროლი ტყვიებით. ასე აღნიშნავდნენ თბილისში ამ დღესასწაულს. ისროდნენ მსხვილკალიბრიანი ტყიამ-ფრქვევებიდან, პისტოლეტებიდან, ავტომატებიდან. გასართობად გვქონდა საქმე? რას მივაწეროთ ყოველივე ეს? ალბათ, უზნეობას.

გაგრის დაცემით გამოწვეული ტკივილი არ განელებულა და არც შეიძლება დავინწყებას მიეცეს! ანდა როგორ შეიძლება იქაური საშინელების დავინწყება?! ჩვენი ბიჭების, ადგილობრივი გვარდი-ელების, სხვა ქართველი მებრძოლების, გაგრის მცხოვრებთა სი-ცოცხლე იქ შეწყდა! მტერმა ქართველების სისხლით შეღება გაგრა და ჩვენ გვეზეიმებოდა?!

გაგრის დაცემის შემდეგ, ოქტომბრის შუა რიცხვებიდან სოხუმში საბრძოლო მოქმედები უფრო გამწვავდა. თუ წინა წელს სოხუმი სარაკეტო დანადგარებიდან იპომბებოდა, 1993 წლის დასაწყისიდან ქალაქს თვითმფრინავებიდან ბომბავდნენ რუსი სამხედროები. 15-16 მარტს აფხაზი ექსტრემისტები, ჩრდილოკავკასიელებისა და რუსი სამხედროების მხარდაჭერით, მასობრივად ბომბავდნენ სოხუმს.

უშიშროების უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას აგრძელებს სენაკში. აქ ძირითადად, მეორე და მესამე კურსელები არიან, ხოლო მარტიდან პირველად მიემატნენ.

უკვე ორი კვირაა თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი პარალიზებულია, მეტროპოლიტენი გადაადგილების ერთადერთ საშუალებად არის ქცეული და მოქალაქეთა მოზღვავებული ნაკადი მეტროპოლიტენში აფერხებს წესრიგის დაცვას. საქართველოს მთავრობის დავალებით და შს სამინისტროს წერილის საფუძველზე, 14 იანვრიდან (1993 წ.) მეტროპოლიტენში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მივლინებულ იქნენ პირველკურსელები.

თეპერვალში თბილისში ურთულესი კრიმინოგენული ვითარება შეიწა, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვდა ექსტრემალური ღონისძიებების გატარებას. ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამ-ძებრო საქმიანობის ხაზით სტაჟირების გასავლელად, თბილისის შესამართველოში 4 თებერვლიდან იგზავნებიან უშიშროების უმაღლესი სკოლის მეოთხე კურსელები.

1993 წლის 16 მარტს სოხუმში შექმნილი რთული საბრძოლო ვითარების გამო, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით, შეს სამინისტროში და მის დაქვემდებარებულ ორგანოებში შემოიღეს ყაზარმული მდგომარეობა. მისი პირადი შემადგენლობა გაძლიერებულ მზადყოფნაზე გადაიყვანეს.

მარტში უმაღლესი სკოლა განიცდის ცვლილებას. იგი გამოეყო უშიშროების სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 15 მარტის №232 დადგენილებით: 1. მიღებულ იქნა ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 23 თებერვლის №155-9 დადგენილებით ყოფილი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის ნაცვლად, შექმნილია საქართველოს რესპუბლიკის შეს უმაღლესი სკოლა და საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზერვო სამსახურის უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი. 2. საქართველოს რესპუბლიკის შეს უმაღლესი სკოლა თავისი მდგომარეობით გაუთანაბრდა მთავარ სამმართველოს, მას მიეცა შესაბამისი ავტონომია, იურიდიული პირის უფლება, მიენიჭა უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის სტაცუსი, ხოლო კურსდამთავრებულებს იურისტ-სამართალმცოდნის კვალიფიკაცია. უმაღლესი სკოლა გადმოვიდა ისევ პირვანდელ შენობაში.

შეს უმაღლესი სკოლა ამზადებდა საქართველოს რესპუბლიკის შეს სამსახურის ოფიცირებს. განისაზღვრა სკოლის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე ყოველწლიურად 100-100 მსმენელის მიღება.

სოხუმში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად შეს უმაღლეს სკოლაში მზადებაა. გამგზავრებამდე ორი დღით ადრე სასწავლებელში ყაზარმული მდგომარეობა გამოცხადდა. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის რიგდება სამხედრო ფორმა - კომუფლაჟი. შაბათს, 3 ივლისს დილით აეროპორტში მივდივართ. 4-5 საათის ლოდინის შემდეგ, გივი კვანტალიანის მონდომების მიუხედავად, იმ დღეს სოხუმში ვერ გავფრინდით. აეროპორტის ადმინისტრაციამ მიზეზად საპარაზო ტრასის გადატვირთვა და სოხუმის

მიმართულებით ფრენის შეწყვეტა დაასახელა. გამგზავრება მეორე დღისათვის გადაიდო.

სოხუმში წამსვლელები სკოლის საერთო საცხოვრებელში დარჩენ, რათა დროულად გადაეყვანათ აეროპორტში. უმაღლესი სკოლის თანამშრომელთათვის გამოყოფილი ორი ავტობუსი შუადღეს აეროპორტის ეზოში იდგა. ავტობუსებში მყოფი ოფიცირები და კურსანტები ხუმრიბდნენ, საუბრით ერთობოდნენ. გაირკვა, რომ ზოგიერთ კურსანტს ჯახახებისათვის არ უცნობებია სოხუმში წასვლის შესახებ. ოფიცირების ნაწილმა პირობა დადო კურსანტების წინაშე, რომ მათ გვერდით იძრდობლებდნენ, თუმცა სიტყვა გატეხეს. ბევრი მათგანი დისლოკაციის ადგილს – სოხუმის პირველ ქართული საშუალო სკოლის შენობას არ გასცილებია.

დიდი დრო გასულიყო. გივი კვანტალიანი არ ჩანდა. დაახლოებით, 16 საათზე მოვიდა ცნობა, რომ ტუ-154 ასაფრენ ბილიკზეა. ტრაპთან შევჯგუფდით. თვითმფრინავში შესასვლელ კართან საცობი შეიქმნა. დასაჯდომი ადგილები აღარ იყო და კურსანტები ერთმანეთის შევიწროებით ცდილობდნენ სავარძლებში მოთავსებას. პირველ კურსელმა ნიკოლოზ (ნიკა) ჩეჩელაშვილმა და მე ერთმანეთს გადაეხედეთ, მივხვდით, რომ სოხუმამდე ფეხზე მდგომთ მოგვიწევდა ფრენა. მაგრამ ბედმა გაგვიღიმა. ეკიპაჟის წევრებს შორის აღმოჩნდნენ ჩემი ბავშვობის მეგობარი სერგო არზუმანიანი და ნიკა ჩეჩელაშვილის მამის მეგობარი, ხომალდის მეთაური თემურ ჭოხონელიძე, ხოლო ბორტინუინერი ვაჟა ფარჯიანი ეკიპაჟის კაბინაში ყოფნისას გავიცანით. შეხვედრამ გავახარა (სერგო დიდი ხანია არ მენახა). მათ ეკიპაჟის კაბინაში შეგვიპატიუქს და დასაჯდომი ადგილებიც მიგვიჩინეს. საუბარში ისე განვლო დრომ, რომ როგორ მივუახლოვდით სოხუმის აეროპორტს მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა თვითმფრინავმა დაშვება დაიწყო. ასაფრენ ბილიკს ზღვიდან შემოუურეთ, მარჯვნივ მოხვევისას, ხომალდი შეტორტმანდა. მეგონა, პილოტი საჭეს ვერ დაიმაგრებდა, მაგრამ გამოცდილმა მფრინავმა შეძლო თვითმფრინავის უსაფრთხოდ დაჯდომა. თენგიზ ჭოხონელიძე გამოტყდა, ასეთი რამ კომუნისტური წყობის დროს რომ გამეეცებინა, ფრენას ამიკრძალავდნენ და დააყოლა, – ეს გაუთვალისწინებელი შეცდომა თვითმფრინავის გადატყირთვამ გამოიწვიაო.

აეროპორტიდან ქალაქის მიმართულებით ავტობუსებით გავეგზიავრეთ. რამდენიმე წუთში სოხუმის ცენტრში მდებარე პირველ ქართულ საშუალო სკოლასთან მივედით. აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენი დისლოკაციის ადგილი იყო. 2 საათიც არ იქნებოდა გასული, რომ მოვიდა ცნობა ჩვენი შემადგენლობის დაუყოვნებლივ წინა ხაზზე გასვლის შესახებ. მოიტანეს ავტომატის ვაზნების 3 ხის ყუთი, ჩავსხედით

ავტობუსში და გუმისთის მიმართულებით გავეშურეთ. ავტობუსი მე-12 სასუალო სკოლის ეზოში შევიდა. იქ გვითხრეს, რომ გზა ფეხით უნდა გაგვეგრძელებინა. გუმისთაზე მდებარე შტაბში მისასვლელად ადგილობრივი მებრძოლი, მზვერავი წაგვიძლვა. ოფიციურებმა გადავწყვიტეთ შემდეგნაირად გავნანილებულიყავით: წინ ჩადგნენ მაიორები: რეზო ჭანტურია და შოთა ახალაია, მათ ნანილი კურსანტებისა გაჰყვებოდნენ, შუაში კაპიტენები: მალხაზ ნემსინვერიძე და გელა გუდაძე და კურსანტები, ბოლოს მე და ვიცე-პოლკოვნიკი დავით ჩაგუნავა.

ჩამობნელდა. გუმისთის შტაბთან მისასვლელად მიმყოლი გადა-ადგილებით სწრაფად ვმომრაობდით. გზად მიტოვებული სახლების ეზოებს გავდიოდით. გადაადგილებისას ურთიერთმხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, სათანადო პოზიციებს ვიკავებდით. ასე დავძლიერ ეს დამდლელი გზა გუმისთის შტაბამდე. შტაბი უჩხოზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მეოთხე სართულზე იყო განლაგებული. შტაბის უფროსი მაიორი ზურაბ სამუშია იყო. მისი დავალებით, იმავე ღამეს გუმისთის დამბეჭთან წინა ხაზზე გავედით და პოზიციებზე განვილავდით. აქ ფრონტის ხაზი გადიოდა, დენთის სუნი იდგა და კიდევ რაღაც მძიმე, აუტანელი სუნი. მხოლოდ მეორე დღეს, დღის სინათლეზე გაირკვა რა ყარდა ასე. აუტანელი სუნი აფხაზი მეომრების გვამებს ასდიოდა. ისინი მრავლად იყო მიმოფანტული ჩვენ პოზიციებზე. აფხაზებს, წინა ღამეს უჩხოზის და აჩადარას პოზიციები გაურღვევიათ და შეტევა განუხორციელებიათ ჩვენი პოზიციების ასაღებად, მაგრამ ადგილობრივ მებრძოლებს, სხვა ქართულ შენაერთებს მოუგერიებიათ და მტერი დაუხოცავთ, თუმცა ჩვენებიც დალუპულან. სუნი დამბებს მიღმიდანაც მოდიოდა.

შუაღამეს გაწვიმდა. იძულებული ვიყავით, თავი ბლინდაუში შეგვეფარებინა. იგი ბეტონის ფილებისაგან იყო აგებული. კურსანტებისა და ოფიცირების ერთი ჯგუფი, წვიმის მიუხედავად, დამბებთან გამაგრდა. მთელი ღამის განმავლობაში ვმოხაცვლეობდით. დილას მზემ გამოანათა და გამოიდარა.

შზის გულზე ეყარნენ მოკლულები. ზღვის მლაშე მონაბერთან შერეული გვამების ამაზრზენი სუნი ისე იყო გამჯდარი, რომ მთელი იქ ყოფნისას სუნი არ გვპორდებოდა. ზოგ კურსანტს გულისრევის სპაზმები სტანჯავდა. ამის გამო იყო, რომ მეორე კურსელმა ივანე მირიანაშვილმა ვერ გაუძლო არსებულ მდგომარეობას და უკან, დისლოკაციის ადგილას, სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში გავაგზავნეთ.

კარგად გათენებული იყო. დამბების ბოლოს, რკინიგზის ლიან-დაგთან ჩასაფრებულთა შემოწმება გადავწყვიტე. სანამ ბიჭებამდე მივიდოდი, დამბებს ამოფარებული მივყვებოდი ბილიკს და გზად

მიმოფანტულ გვამებს ვაკვირდებოდი. ყველა დაღუპული (აფხაზი თუ არააფხაზი) 40 წლს გადაცილებული იქნებოდა, მხოლოდ ერთი ახალგაზრდა შევნიშნე. გვამებს მოყვითალო-მომწვანო ფერი დას-დებოდათ. რკინიგზის სიახლოვეს მეორე კურსელები იდგნენ. მათ აფხაზთა ზურგჩანთები გაეხსნათ, ამოელოთ რამდენიმე დღის საგ-ზალი – ხორცის კონსერვები და შეექცეოდნენ. მათთან რამდენიმე წუთი დავყავი, შექმნილ ვითარებაზე ვიმსჯელეთ და გამობრუნები-სას გავაფრთხილე, ყურადღებით ყოფილიყვნენ. ჩვენი პოზიციები, ზღვის ნაპირიდან დამბების გაყოლებით რკინიგზის ხაზამდე 300-350 მეტრზე იყო გაჭირული. ძირითადად ომ-ლამობით ისროდნენ.

ჩვენი განლაგებიდან (ამ ადგილს „ხიმიკებს“ ეძახდნენ) 3-4 მეტ-რში პირალმა ევდო 40-42 წლის მამაკაცის გვამი, რომელსაც ხელე-ბი მოკრივესავით ჰქონდა მომუშტული. სიკვდილს ის ამ პოზაში გა-უშეშებია, თითქოს კიდევ აგრძელებსო წინააღმდევობის განევას, მომწვანო-მოყვითალო სახე მოღუშული ჰქონდა. ამის შემხედვარე მეორე კურსელმა ადამ გულბანმა თქვა: „ხედავ, რა ვაჟკაცურად მომკვდარა“. იქვე მდგარმა მესამე კურსელმა მალხაზ ჩანადირმა მიუგო: „ეტყობა ამ გვამის გაშეშების ინტენსივობაზე ტემპერატუ-რას მოუხდენია გავლენა. სიკვდილს წინ კურნჩხვები უძლოდა, რაც კუნთების გაშეშების ძლიერი გამოხატულებაა, და არა ის, რაც შე-ნა გვონია. ტყვიით მიყენებულმა ტკივილმა შეაწუხა“. სხვა გზა არ გვქონდა, გარემოს უნდა შევგულებოდით.

შუადღეს ადგილობრივი მებრძოლები ამოვიდნენ, მზვერავები ვართო, – გვითხრეს. ერთ-ერთს ცილინდრი ეხურა, ეტყობოდა, მა-თი უფროსი იყო, ვინაიდან მისი კარნახითა და ხელმძღვანელობით ორმა „რაზვედჩიკმა“ გვამებს მოუწყო ე. წ. „პირადი ჩხრეკა“. გვა-მებს ატრიალებდნენ, ჯიბეებიდან საბუთებს, რუსულ ფულს იღებდ-ნენ. ერთ-ერთ გვამს ჯიბეში შეტევაზე გადმოსული რაზმის წევრთა სიაც კი აღმოაჩნდა. ამ პროცესის დროს, სუნი უფრო მძაფრდებოდა და ჩვენი ადგილზე გაჩერება შეუძლებელი ხდებოდა. კურსანტებმა შემომხედეს, მათ ამით მაგრძნობინეს, რომ „რაზვედჩიკების“ ქმე-დებები შემეჩერებინა და მათი წასვლა მომეთხოვა. ბიჭებს თვალი ჩავუკარი. ამით მივახვედრე, რომ წყნარად მდგარიყვნენ. სანამ „რაზვედჩიკები“ გვამების „პირად ჩხრეკას“ ანარმოებდნენ, მათ საუბარს ვისმენდით და დავრწმუნდი, რომ ისინი ნასამართლევები იყვნენ. ამიტომაც და პრობლემების აცილების მიზნით, რაც „მხედ-რიონელმა“ შოთა ლლონტმა შეგვიქმნა გაგრაში, გადავწყვიტე მათ-თვის მათივე ენაზე მიმემართა. ამით ორი რამ უნდა გადამეწყვიტა: ჯერ, იქაურობას რაც შეიძლება სწრაფად უნდა გასცლოდნენ და კიდევ – ამათაც არ მოეპარათ იარაღი. კურსანტები მზად იყვნენ,

თუ იარაღისკენ წაუცდებოდათ ხელი, ადგილზევე გადაეწყვიტათ მათი ბედი.

„რაზვედჩიკების“ ლიდერი ჩემთან ახლოს იდგა და აქედან ხელ-მძღვანელობდა ორ თანამებრძოლს. ცილინდრის გამო, მისთვის „დუდაევი“ შეურქმევიათ (ჩეჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამ-სგავსებდნენ, ნამდვილად კი დრანდელი (ცაავა იყო)). „დუდაევ“, რა უნდა გითხრა, – მივმართე და დავამატე – „შენ ატმასკა უნდა მომ-ცე. ბრიაუკას უთხარი გრიმიტობას შეეშვან, დაზაგრულ სეპარა-ტისტების დაშმონვას შეეშვან, ისედაც ყარს აქაურობა, ყოფა აქვთ ნატირები, ფარა ხომ გაიკრეს, გაიყვანე აქედან“. ამის თქმა იყო და „დუდაევმა“ ჩემსკენ მოიხედა. თითქოს მამოწმებსო, თვალი შემავ-ლო. მივხვდი, ჩაცმულობა ეუცხოვა. არც დავაყოვნე და ვუთხარი: „ეს კომუფლიაჟი აქ დამიადეს (სამხედრო ფორმაზე სამხრეები არ მეკეთა), იტოგში, მასკიროვკაში ვარ. ძმიშვილს წამოვყევი და არ მინდა ამ ბრომქებს მოვაკვლევინო, თანაც რამდენიმე ექსტრე-მისტს გავასალებ. ნასროკალი ვარ და ერთმანეთს უნდა გავუგოთ, ძმაო, „დუდაევ“, რომელ ზონაში იჯექი?!“ ცილინდრიანმა არ დამა-ლა თავისი ნასამართლება და შემომაგება – „სამი სროკი რუსეთში მოვიხადე ქურდობის სტატით“.

„დუდაევმა“ კიდევ ერთხელ მოიხედა ჩემკენ, მიუპრუნდა თავის საძმოს და მბრძანებლური კილოთი მიმართა: „ეხლა წავედით, და-აჩქარეთ!“

უარგონმა გაჭრა, „რაზვედჩიკები“ ქვემოთ, კორპუსებისკენ წა-ვიდნენ. ჩვენ პოზიციებს რომ გასცილდნენ, რამდენიმეწუთიანი სი-ჩუმის შემდეგ გაოცებული კურსანტები ჩვენმა „დუდაევმა“ ხუმრო-ბის ხასიათზე დააყენა.

იმ სალამოდან – დილამდე, ისე როგორც წინა ლამეს, მდინარე გუმისთაზე გამავალ ფრონტის ხაზზე პოზიციური სროლა არ შეწყ-ვეტილა. მონინაალმდეგე ავტომატური იარალიდან ისროდა, ტყვიე-ბი დამბებს ხვდებოდა და ხმა ლამის წყვდიადში იკარგებოდა. სრო-ლითვე ვუპასუხეთ, 3-4-ჯერ ყუმბარმტყორცნიდანაც ვისროდით. 5 ივლისს მონინაალმდეგის მხრიდან გამოსროლილმა ტყვიამ შუბლ-თან, თვალის არეში მსუბუქად დააზიანა მეორე კურსელი ზაზა შავ-ლუხაშვილი.

5 ივლისს სროლა დროებით შეწყდა. ეს გადაწყვეტილება ორივე მხარემ მიიღო, რათა აფხაზებს თავისი მოკლულების ცხედრები გა-ეტანათ, მაგრამ მოლაპარაკებისას, ჩვენ თვალწინ გუმისთაზე გამა-ვალ რკინიგზის ხიდზე რომ გაიმართა, აფხაზებმა ამაზე უარი თქვეს – მოკლულები სოხუმელები არიან და შეგიძლიათ თქვენვე დაასაფ-ლაოთო. რაღას ვიზამდით? გვამები ისე ყარდა, იქ გაძლება ყოვლად

შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ ისინი წინასწარ გათხრილ ორმოში დავასაფლავეთ. ამის შესრულება 7 ივლისს საღამოს ჩვენთან პოზიციებზე ამოსულ 30 კურსანტს დაევალა. მაგრამ სუნი მაინც იდგა. ეს სუნი დამბებს იქით დახოცილი აფხაზების გვამებიდან მოდიოდა. ის ადგილი კი დანაღმული იყო ნაღმი-ხაფანგებით – „ლიაგუშკებით“. აქვე „ხიმიკების“ პოზიციებზე ადგილობრივი მებრძოლებისაგან ვიგებთ, რომ აფხაზების მხარეზე იბრძოდნენ სოხუმელი ქართველები – წერეთელი და მინაძე.

6 ივლისს, შუადღეს აფხაზებმა სოხუმის ცენტრალურ რაიონს „გრადის“ ტიპის რეაქტორული დანაღვარებიდან დაუშინა ცეცხლი. იმ დღეს ჩვენი შენაერთი პოზიციებიდან გამოდიოდა. ოფიცრებისა და კურსანტების ნაწილი იმ გზით გამოვიდა, რა გზითაც აქ, დამბებთან ამოვიდა, ხოლო – ნაწილი, ადგილობრივი მებრძოლის შეგზურობით სამანქანო გზით შტაბისკენ მოემართებოდა. აფხაზებმა ჩვენი გადაადგილება შენიშნეს და ეშერის მთიდან „ნურსის“ ტიპის რაკეტა (მართვადი რაკეტა) გამოისროლეს. რაკეტა კურსანტების გადაადგილების ადგილას დაეცა და აფეთქდა. მძიმედ დაჭრილი კურსანტები გზის პირას ეყარნენ. წინა ხაზიდან ახალგამოსულებმა მივირბინეთ რაკეტის აფეთქების ადგილას და ისინი სწრაფად გადავიყვანეთ გზიდან. რაკეტის ფრთას პირველკურსელის გოჩა გურგენიძისათვის ფეხი წვიმში გადაეჭრა და უჩხოზე მდებარე მედპუნქტიდან ამოსული ექთანი რეზინის უგუტით სისხლის დენას უჩერებდა. მეორეკურსელები: გოჩა თამლიანი, ადამ გულბანი, არჩილ გულედანი, არჩილ დანგაძე, ჰამლეტ ჯორბენაძე, გია ტაბუცაძე და პირველკურსელები: თამაზ გოგაძე, ბადრი პატარიძე დაჭრილები იყვნენ ფეხსა და ზურგში. პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ, რადიოკავშირის საშუალებით გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების მანქანა „კობრამ“ ისინი სოხუმის საავადმყოფოში გადაიყვანა.

7 ივლისს, გუმისთაზე ჩვენ შემადგენლობას შემოემატნენ ლეიტენანტი ზურაბ ღლონტი და ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულები: კახა ადამია, მიხეილ ბაიდოშვილი და დავით სარაჯიშვილი. კურსდამთავრებულებს ნებაყოფლობით გადაეწყვიტათ დამდგარიყვნენ იქ, სადაც მათი თანატოლები იბრძოდნენ (მოგვიანებით, 1993 წლის 5 აგვისტოს საქართველოს შსს გამოსცემს №345 პ/შ ბრძანებას, შსს უმაღლესი სკოლის 1993 წლის 49 კურსდამთავრებულის ქ. სოხუმში სამუშაოდ 6 თვით გაგზავნის შესახებ. ამ რაოდენობიდან 10%-იც არ იმყოფებოდა სოხუმში. ომი მიმდინარეობდა და რა სამუშაო უნდა ჩაეტარებინათ კურსდამთავრებულებს, გაუგებარია). იმ დღეს შემოგვემატნენ მესამე კურსელები: ავთანდილ გაიმარჯვაშვილი, გოდერძი ჩანქსელიანი და კობა პაპუაშვილი; მეორე

კურსელი გოჩა შურდათ; პირველკურსელები: ბაჩუკი საათაშვილი, თეიმურაზ ჩადუნელი, ვეფხია კინწურაშვილი, გოჩა ტურაშვილი, მიხეილ ბარბაქაძე, ვალერი ნათელაშვილი, ვაჟა ტაკაშვილი, გელა გელაშვილი, არკადი გაბროშვილი, პეტრე ოსიაშვილი, სერგო ქოთუაშვილი, მორის ჯუგაშვილი, მამუკა ასლამაზიშვილი, ძმები ხვიჩა და გოჩა სახამბერიძები, კახა ჯალაბაძე, გიორგი ქუთათელაძე, თეიმურაზ ცნობილაძე, ნუჯზარ ელაძქიანი და სხვები.

ახლადჩამოსულთაგან ვიგებთ, 4 ივლისს სოხუმში ჩვენი გამგზავრებისას გივი კვანტალიანის აეროპორტში გამოუცხადებლობის მიზეზს. თურქე, ის იმ დღეს 10 საათზე დაიბარეს სახელმწიფო მეთაურის ადმინისტრაციაში და თანამდებობიდან გადაყენების შესახებ აცნობეს. ამავე დღეს უმაღლეს სკოლაში იკრიბება კურსანტებისა და ოფიცრების ნაწილი და კურსანტებს გივი კვანტალიანის სასწავლებელში დასაბრუნებელი აქციის მოწყობისაკენ მოუწოდებენ. ოფიცრების ნაწილი კი კლუბში შეკრებილ კურსანტებს სიმშვიდის შენარჩუნებას სთხოვდა და კვანტალიანის სანინააღმდეგო არგუმენტებს აყალიბებდა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად სკოლის ეზოში 50-60 კურსანტი და ოფიცერი შეიკრიბა. ისინი ორგანიზებულად წავიდნენ გივი კვანტალიანის საბურთალოს ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსთან და მჯდომარე აქცია გამართეს, მისი სამსახურში დაბრუნების მოთხოვნით.

მეორე დღეს, 5 ივლისს შსს უმაღლეს სკოლას სტუმრობს საქართველოს შსს ხელმძღვანელობა – შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გენერალ-მაიორი ჯიმი მიქელაძე და კადრების სამმართველოს უფროსი ვალერი გელბახიანი (ვალერი გელბახიანი ე. შევარდნაძის პრეზიდენტობისას საკანონმდებლი ხელისუფლების წარმომადგენელია და დღეისათვის იგი პოლიტიკურად დევნილია). ჯიმი მიქელაძე და ვალერი გელბახიანი კლუბში შეკრებილ კურსანტებს უმტკიცებდნენ, რომ სასწავლებლის უფროსი გივი კვანტალიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს გვერდის ავლით, თავისი ინიციატივით აგზავნიდა კურსანტებს საბრძოლველად შიდა ქართლსა და აფხაზეთში. შემდგომ ვალერი გელბახიანი დასძნს, რომ 2-3 წლის განმავლობაში ცოდნა არ მიგილიათ და უცოდინარ კურსდამთავრებულებს შს ორგანოებში ვერ მივიღებთო.

კურსანტებმა ხმა აიმაღლეს, ნარკომანებს და ქუჩიდან მოყვანილებს იღებთ შს ორგანოებში და ჩვენ რატომ არ უნდა მიგვიღოთ, ცოდნასაც ვიღებთ და თქვენი ბრძანებებითაც ვმონაწილეობთ ღონისძიებებსა და ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებშიც, რამდენად გამართლებულია კურსანტების განვევა ომშიო.

ვალერი გელბახიანმა უპასუხა: ომში წაყვანა გივი კვანტალიანის ინიციატივით ხდება და არა შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით. შეკრებაზე ასევე ითქვა ისიც, რომ უმაღლესი სკოლას უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ჯიმი მიქელაძე. ამაზე გაბრაზებულმა კურსანტებმა ჯ. მიქელაძეს მიმართეს, „საიდანაც მობრძანდით, ისევ იქ წაბრძანდით, ჩვენ, კი, გივი კვანტალიანი დაგვიბრუნეთ.

ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები შსს უმაღლეს სკოლას სიცრუით ბერავდნენ. ამას, რომელი, თუნდაც, ბრიყვი, დაიჯერებდა, რომ კურსანტები ომში მხოლოდ კვანტალიანს თავისი ინიციატივით მიჰყავდა და ხელისუფლება, სამინისტრო პაიპურში არ იყო, ანდა უდრტვინველად იტანდნენ ასეთ გაუგონარ თავნებობას?! მათვის სულ ერთი იყო ამ ომში ვინ და რამდენი დაიღუპებოდა, ოღონდ მათ და მათ ოჯახებს ცივი ნიავი არ მიჰყარებოდათ. კიდევ ერთი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ანალიტიკური განყოფილების უფროსის, მთავარი სამხედრო მრჩევლის, ინჟინერ-პოლკოვნიკ ვ. ჩიქვანის 1993 წლის 3 ივლისის №309 ნერილი, რომლის თანახმად და სახელმწიფო მეთაურის განკარგულების საფუძველზე, სოხუმში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ივლის-აგვისტოში იგზავნებოდნენ შსს უმაღლესი სკოლის ოფიცირები და კურსანტები.

8 ივლისს ეშერის მთიდან კვლავ დაგვცეხს. ისინი ამით ჩვენს მოთმინებას ამონშებდნენ. ავთო გაიმარჯვაშვილი რამდენიმე წუთია ჭოგრიტით ადევნებს თვალს აფხაზთა პოზიციებს. მებრძოლთა მოძრაობას გულდასმით სწავლობდა. დაინახა, რომ გუმისთასთან მდებარე მიწურის (ბლინდაჟის) ახლოს მებრძოლები გადაადგილებისას შეჯგუფდნენ. კოორდინატები ზუსტად გადასცა გვერდით მდგომ მეორეკურსელ კახა ჩინჩალაძეს, რომელსაც მომზადებული ჰქონდა ყუმბარტყორცნი კუმულატიური ჭურვით და იმანაც ზუსტად ისროლა. ჭურვი მიწურს მოხვდა და ააფეთქა. მიწურის სიახლოვეს ვაიუშველებელი ატყდა. ერთი საათი არც იყო გასული, რომ მეორე კურსელმა ზვიად გოგლიძემ სნაიპერის შაშხანით სიცოცხლეს გამოასალმა ერთ-ერთი აფხაზთა მებრძოლი. მეორე დღეს ჩვენმა დაზვერვამ მოიპოვა ინფორმაცია, რომ კახა ჩინჩალაძის გასროლილმა ჭურვმა მიწურში მყოფი მებრძოლები ამოხოცა, ხოლო ზვიად გოგოლაძეს მოეკლა აფხაზთა დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი. ორივე კურსანტს, 23-ე ბრიგადიდან თავდაცვის სამინისტროში გაგზავნილი წერილის საფუძველზე, რომელსაც ხელს გენერალი გენო ადამია აწერდა, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით მადლობა გამოეცხადა.



გუმისთა. ჩვენი განლაგების ადგილი. ხელოვნური რკინა-ბეტონის დამბები დანგრეული იყო აფხაზური მხრიდან გამოსროლილი ჭურვებით.

გუმისთა. „ხიმიკების“ პოზიციაზე იმყოფებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის პირველკურსელები

მარცხნივ
ბაჩუკი
საათაშვილი,
მარჯვნივ
თეიმურაზ
ჩადუნელი



სოხუმილი მებრძოლის მარცხნივ მორის ჯუგაშვილია



გუმისთის პოზიციიდან შეცვლაზე გამოსული კურსანტები და ოფი-
ცრები, უჩხოზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის მიტოვებულ ბინძი,
ძალების მოსაკრებად ისვენებდნენ, რათა 2-3 საათიანი შესვენების
შემდეგ ისევ წინ, გუმისთის დამბებთან დამდგარიყვნენ.

ერთ-ერთი შესვენების დროს ბინძი მყოფ კურსანტებსა და
ოფიცრებს მეორეჯურსელი პაატა ჯდამაძე პიანინოზე დაკრული
ჰანგებით მათ შინაგან მონოლოგს ასმენინებს.

ხელისუფლებას სიცრუის მორევში ვყავდით ჩათრეული, ამის
დასტურია სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება. საქართვე-
ლოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის 1993
წლის 4 ივლისის №133 განკარგულება, რომელიც ორი პუნქტისა-
გან შედგება:

„1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული
ძალების მთავარსარდლის ბრძანების შეუსრულებლობისათვის,
რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს შსს პოლიციის
უმაღლესი სკოლის მონაწილეობასთან დაკავშირებით სოხუმის
დაცვის ღონისძიებებში, სკოლის უფროსი, პოლიციის გენერალ-
მაიორი გივი კვანტალიანი განთავისუფლდეს დაკავებული თანამ-
დებობიდან.

საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს
უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნეს საკითხი გივი კვანტალიანისათ-
ვის პოლიციის გენერალ-მაიორის წოდების ჩამორთმევის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის შს მინისტრს თ. ხაჩიშვილს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოვალეობის შესრულება დროებით დააკისროს შს მინისტრის მოადგილეს პოლიციის გენერალ-მაიორ ჯემალ მიქელაძეს.

შს უმაღლესი სკოლის 4 ივლისის №63 პ/შ ბრძანებით 83 ოფიცერი და კურსანტი გაემგზავრა სოხუმის დასაცავად. ამის შემდეგ, უმაღლესი სკოლის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ჯ. მიქელაძის ბრძანებით, რაც ივლის-აგვისტოს თვეებით არის დათარიღებული, სოხუმში იგზავნება 25 ოფიცერი და 128 კურსანტი. სულ, სოხუმის დასაცავად მონაწილეობდა 36 ოფიცერი 211 კურსანტი. გუმისთაზე, საბრძოლო პოზიციებზე იდგნენ ოფიცრები: კაპიტანი მალხაზ ნემისინვერიძე, კაპიტანი გელა გუდაძე, ვიცე-პოლკოვნიკი დავით ჩაგუნავა, მაიორი ელგუჯა ჭანტურია, შოთა ახალაია, ლეიტენანტი ზურაბ ლლონტი, ვიცე-პოლკოვნიკი იური დიაჩკოვი-დუმბაძე, მაიორი იშხან არზუმანვი, ლეიტენანტი ხვიჩა პატარიძე, ვიცე-პოლკოვნიკი ვაჟა გურგენიძე, ვიცე-პოლკოვნიკი ვიქტორ ნიკოლაიშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი ივანე (მერაბ) ქოქიაშვილი, მა-



„ხიმიკების“ პოზიციას არ დალატობენ პირველკურსელები: პეტრე ოსიაშვილი (მარცხნივ) და ვალერი ნათელაშვილი (მარჯვნივ)

იორი ალექსანდრე ხუციშვილი, პოლკოვნიკი რეზო კიბორძალიძე, კაპიტანი გიორგი გიორგაძე, პოლკოვნიკი რობიზონ ხმალაძე, ვი-ცე-პოლკოვნიკი მიხეილ ხურცია და სხვა.

გუმისთაზე ლოკალური სროლა არ წყდება. ირლვევა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. სკოლის პირადი შემადგენლობა კვლავ იცავდა სოხუმს. შეთანხმების შესაბამისად, ქართული შენაერთების გამოყვანა მიმდინარეობს: დრანდაში, რკინიგზის ბაქანზე ტვირთავენ საბრძოლო ტექნიკას. მისი გატანა ქართველებმა 7 აგვისტოდან დაიწყეს, 25 აგვისტოდან კი ჯარების დამორიშორების პროცესი მიმდინარეობდა. აგვისტოს ბოლოს უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა თბილისში ბრუნდება.

ქართული ჯარისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყვანით ისარგებლეს აფხაზთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა, დაარღვიეს სოჭში მიღებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და 16 სექტემბერს განახორციელეს შეტევა ოჩამჩირის მიმართულებით, მოგვიანებით კი გუმისთის მიმართულებითაც შეუტიეს. ისინი იყენებდნენ მძიმე ტექნიკას, სარაკეტო დანადგარებს. თუმცა შეთანხმებისამებრ ეს ტექნიკა აღარ უნდა ჰქონოდათ. აქ რუსული კვალი თვალსაჩინო იყო. საბრძოლო ოპერაციებს ქართველთა წინააღმდეგ რუსი გენერალიტეტი ხელმძღვანელობდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ გენერალმა გ. კონდრატიოვმა რუსეთის უზენაესი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას სოხუმის დაცემის თარიღი იწინასწარმეტველა. ოპერაცია მისი დაგეგმილი იყო და კარგად იცოდა როდის აიღებდა სოხუმს.

სოხუმის დაცემას, გარდა ჩვენი ძალების არაკონკრეტული მოქმედებისა, რაც მთავარია, მძიმე ტექნიკის გამოყვანისას „დიდი დახმარება“ გაუნია დასავლეთ საქართველოში არასტაბილურმა მდგომარეობამ. აფხაზებმა რუსების დახმარებით, ისარგებლეს დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომით, დაარღვიეს სოჭში მიღებული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მთელი ძალებით შემოგვიტიეს.

1993 წლის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში გახშირდა ექს-პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგები. განსაკუთრებით აქტიურობდა ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებანი. მან და მისმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა საშიშროება შეუქმნეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. 15 სექტემბერს ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა რაზმა, ჯავშანტექნიკის გამოყენებით შეუტიეს სამტრედიას. ავანტიურისტმა ქობალიამ შეიარაღებული რაზმით დაიკავა სენაკი, ხობი და აბაშა, მიუახლოვდნენ ქუთაისს. შეს სამინისტროს 17 ოქტომბრის №13/1-176 ტელეფონოგრამის სა-

ფუძველზე, ქუთაისში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად იგ-ზავნება უმაღლესი სკოლის 50 მუშაკი.

საქართველოში დაბრუნებულმა ზვიად გამსახურდიამ 24 სექ-ტემბერს თავის გამოსვლაში თქვა, რომ მთავარია ედუარდ შევარდ-ნაძის რეჟიმის დამხობა, ამიტომ მან ომი უნდა წააგოს, ხოლო როცა კანონიერი ხელისუფლება აღდგება, იგი აფხაზეთს დაიბრუნებს. სოხუმში ამ დროისათვის უმძიმესი მდგომარეობა იყო: მებრძო-ლები და მოსახლეობა შველას ითხოვდა, უთანასწორო ბრძოლაში იღუპებოდნენ მებრძოლები, მოსახლეობა.

27 სექტემბრისათვის სოხუმის ევაკუაცია არ მოხდარა. იმ დღეს აფხაზებმა რუსების-კაზაკების, ჩეჩენების, ადილეელების, ყაბარდო-ელების, სომხების და სხვა გადამთიელი „ბოევიკების“ დახმარებით, დაიკავეს სოხუმი. მოსახლეობის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა. რუსებმა სისრულეში მოიყვანეს სოხუმის აღება. რუსების მზაკვ-რულმა გეგმამ, ძალთა დაშორიშორების, მძიმე ტექნიკის გაყვანის შესახებ ქართველები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. სოხუმის ბრძო-ლებში გამოიკვეთა, რომ ქალაქის აღების ოპერაციაში მონაწილეთა შორის უდიდესი ნაწილი რუსი პროფესიონალი სამხედროები იყვნენ. აქ, ბრძოლებში რუსთის მრავალრიცხოვანი დესანტი მონაწილეობ-და. ისინი ახალ ტექნიკას იყენებდნენ, მაგალითად, დისტანციურად სამართავი ტანკები, სითბურ რაკეტები და ა. შ.

დასავლეთ საქართველოში კი პრეზიდენტყოფილის მომხრეებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ნამოენყოთ ომი. ექსტაზში შესული ზვიად გამსახურდიას მომხრეები ხელისუფლების დაბრუნებისათ-ვის უმძიმე ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. 2 ოქტომბერს მათ ფოთი დაიქვემდებარეს. მისი აღებისას „გრადის“ ტიპის დანადგარები გა-მოიყენეს. „ზვიადისტებს“ შემოყვანილი ჰყავდათ ჩეჩენები, კაზაკე-ბი და აფხაზები. სოხუმიდან დაძრულ ლტოლვილთა მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო. ავანტიურისტმა ლოთი ქობალიამ კი მათ ზუგდიდან გამომავალი გზა არ გაუხსნა და ჭუბერში სიცივისა და შიმშილისაგან ასობით მოხუცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა.

ამ მძიმე დროს სოხუმიდან ლტოლვილთა გამოსაყვანად უკრა-ინელმა ხალხმა, უკრაინელმა მფრინავებმა ქართველი ხალხისათ-ვის დაუვიწყარი დახმარება აღმოგვიჩინეს – უბედურების ზონიდან ათასობით ლტოლვილი გადმოიყვანეს. სხვა ხალხების შვილები უან-გაროდ გვეხმარებოდნენ, ლოთი ქობალიას მებრძოლები კი საქარ-თველოს ქალაქებსა და რაიონებს „გრადებითა“ და „ნურსის“ ტიპის რაკეტებით ბომბავდნენ. 4-6 ოქტომბერს, ისინი უტევდნენ ოზურ-გეთს, ლანჩხუთს, ხონს, სამტრედიას და როგორც ითქვა, ლტოლვი-ლებსაც გზა ჩაუკეტეს.

ე. შევარდნაძის მოთხოვნით, ფოთის აკვატორიაში შემოსულმა რეს მეზღვაურთა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ სამთავრობო ჯარებს დახმარება აღმოუჩინა. მათ მოახერხეს გარდატეხა შეეტანათ სამოქალაქო ომის მიმდინარეობაში, უკუაგდეს მონინააღმდეგე, დაიკავეს ლანჩხუთი და მოიგერიეს შეტევა ვაწწე. 21 ოქტომბერს სამთავრობო ძალები შევიდნენ ხონში, 22-28 ოქტომბერს მათ დაიკავეს სამტრედია, ფოთი, სენაკი, ხობი და გავიდნენ ზუგდიდის მიმართულებით.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში 1993 წლის ოქტომბერში აღიძრა სისხლის სამართლის საქმეები სამშობლოს დალატისა და ანტისახელმწიფო ორგანიზაციის საქმიანობისათვის და გაიცა დაპატიმრების სანქციები ზვიად გამსახურდის მთავრობის წევრებზე, მათი ორგანიზატორული და ნამქეზებლური საქმიანობის გამო. თუმცა ზემოაღნიშნულზე ბრალდებები არავისთვის წაუყენებიათ.

26 ოქტომბერს საქართველოს შსს უმაღლეს სკოლაში განგაში გამოცხადდა. ამის მიზეზი ქვეყანაში არსებული მდგომარეობა იყო. სასწავლებლის შემადგენლობის შეკრებას პირადად ხელმძღვანელობდა შსს უმაღლესი სკოლის უფროსი, პოლიციის გენერალ-მაიორი რომან გვენცაძე (იგი ორი კვირის წინ დაინიშნა ამ თანამდებობაზე, კერძოდ, 1993 წლის 12 ოქტომბრის საქართველოს შსს №465 პ/შ ბრძანებით). წაიკითხეს შსს წინა დღით დათარიღებული ტელეფონოგრამა №8/1-207, რომლის თანახმად 26 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად უნდა გამგზავრებულიყო სასწავლებლის 100 კაციანი რაზმი. იმ დღეს ოფიცერთა და კურსანტთა ეს რაოდენობა ვერ შეიკრიბა. იმ ხანად სასწავლებელში სულ 80 კურსანტი და ოფიცერი იყო. ამის შემხედვარე რომან გვენცაძემ ემოციები ვერ დამალა და დაიმუქრა, თუკი ხვალ, 27 ოქტომბერს, 10 საათზე 100 კაცი არ შეიკრიბება, სკოლას დავხურავო. ასეთი მუქარები შსს უმაღლესი სკოლის ყოფილი უფროსის გივი კვანტალანისაგან 1991-1993 წ. წ. ხშირად გვესმოდა, თუმცა სკოლა ჩვეული საქმიანობით განაგრძობდა ცხოვრებას.

მეორე დღეს, 27 ოქტომბერს 10 საათზე უმაღლესი სკოლის პლატფზე 100 კაცი იყო გამწკრივებული. რომან გვენცაძე თავად ესწრებოდა პირადი შემადგენლობის სიის ამოკითხვას. მწყობრში იდგა 8 ოფიცერი, 2 პირველკურსელი, 44 მეორე კურსელი, 16 მესამე კურსელი და 30 მეოთხე კურსელი. აღნიშნული ჯგუფის ხელმძღვანელად დაინიშნა უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე სამწყობრო მომზადებისა და რეჟიმის დარგში, პოლიციის პოლკოვნიკი მერაბ რუხაძე.

აღნიშნული ჯგუფი იმავე დღეს სენაკში გაემგზავრა. სენაკს სამთავრობო ჯარები აკონტროლებდნენ. მათ წინა დღეს შეუტიეს ექსპ-

რეზიდენტის უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს და ქალაქი გაა-თავისუფლეს. უმაღლესი სკოლის 100 კაციანი ჯგუფი, წესისამებრ, შეს სამინისტროს საკონდინაციო შტაბს დაუქვემდებარეს. ზემდ-გომი ორგანოს დავალებით კურსანტები და ოფიცირები სენაკის შე-სასვლელ-გასასვლელებში გაანაწილეს.

სენაკი ნაომარ ქალაქს ჰგავდა. საღამოს ჩხოროწყუდან სროლა ისმოდა. კურსანტები და ოფიცირები ჩხოროწყუ-მენჯის გზაჯვარე-დინზე, რუსთაველის, მოსკოვისა და კუიბიშევის ქუჩებზე განლაგ-დნენ. ამ ქუჩებზე მიტოვებულ სახლებში ღამე თეთრად გაათენეს, პოზიციებზე მორიგეობით გადიოდნენ. დილით, საკონდინაციო შტაბი, რომელიც ქალაქის სასტუმროში იყო განლაგებული, და-ძაბულობა შეიმჩნეოდა. შტაბის გადაწყვეტილებით შინაგან საქმე-თა ორგანოების თანამშრომლებს ქალაქი უნდა დაეტოვებინათ და სოფელ ნოსირისაკენ გასულიყვნენ. სენაკიდან გასულებს, მდინარე ტეხურასთან, სოფელ ნოსირის მხარეს მაგისტრალზე ასეთი სურა-თი დახვდათ: რუსები სანგრებს თხრიდნენ. სკოლის შემადგენლობა ადგილზე დარჩა, ხოლო შინაგან საქმეთა ორგანოს დანარჩენი თა-ნამშრომლები სამტრედიის მიმართულებით წავიდნენ.

შუადღე იყო. აპაშის მხრიდან სენაკის მიმართულებით მომავალ ავტოკოლონას ჯაბა იოსელიანი მოუძღვდა. მეორე მანქანით შინა-გან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია და თბილისის მთავარი სამ-მართველოს უფროსი თემური მიქაელ მოდიოდნენ. მათი ბრძანებით პოლიციის თანამშრომლებმა პირი იბრუნეს და სენაკში შევიდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა მუშაკი აკაკი ხორავას სა-ხელობის თეატრთან შეიკრიბა. შტაბში დანაყოფების მეთაურები დაიბარეს და ჯაბა იოსელიანის ბრძანებით, სენაკის დასაცავად გა-ანაწილეს. უმაღლესი სკოლის თანამშრომლები ისევ რთულ პოზი-ციებზე გაანანილეს – ჩხოროწყუ-მენჯისა და სენაკი-ჩხოროწყუს გზაჯვარედინზე. ამ გზაჯვარედინებზე ყოფნის დროს კურსანტებ-მა, გვარდიელების მიერ გატაცებული სოფელ ნოსირის მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანა „ნივა“ მეპატრონეს დაუბრუნეს. მათ ხა-ლიჩების ფაბრიკაში საძარცვავად შესულ გვარდიელებს ააღებინეს ხელი ამ განზრახვაზე.

განაწილების ადგილებზე დაბრუნებული კურსანტები და ოფიც-რები მიტოვებულ სახლებს ამოფარებულები აკონტროლებდნენ პოზიციებს. ქალაქში ავისმომასწავებელი სიჩუმე იყო დასადგურე-ბული. მოსახლეობა არსად ჩანდა. ამ ყოფაში ერთი საათი იქნებოდა გასული, როცა უმაღლესი სკოლის მუშაკებმა ჩხოროწყუს მხრიდან ქალაქში შემოსული ჯავშანტრანსპორტიორი „ბრდმ“-ი შენიშნეს, უკან და გვერდებზე ქვეითები მოყვებოდნენ.

თავიდან ისინი თავისიანებად აღიქვეს და ცეცხლი არ გაუხსნიათ. თუმცა, ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმი სხვა-ნაირად ფიქრობდა.

„ზვიადისტთა“ შეიარაღებული მებრძოლების ქალაქში შემოსვლისთანავე სენაკში დისლოცირებულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის მაღალმა ჩინოსნებმა მიატოვეს ქალაქი და სასწავლებლის მუშაკები ექსპრეზიდენტის შეიარაღებული მებრძოლების პირისპირ აღმოჩნდნენ. ორთაბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. სროლა „ზვიადისტებმა“ და მათმა დამქამებმა დაიწყეს. იქ, სადაც მეოთე კურსელები იდგნენ, ყუმბარმტყორცნიდან გამოსროლილი ჭურვი აფეთქდა და მისი ნამსხვრევებისაგან მძიმედ დაჭრილი მეორე კურსელი ფრიდონ ტყეშელაშვილი დაიღუპა. ამის შემხედვარე დანარჩენმა კურსანტებმა და ოფიცრებმა სროლას სროლით უპასუხეს. მეოთხე კურსელი დემე წულუკიანი ტყვიამფრქვევით მომარჯვებული გადაელობა „ზვიადისტთა“ ჯავშანტრანსპორტიორს და სროლა აუტეხა, მაგრამ „ბრდმ“-დან გამოსროლილმა მსვილი კალიბრის ტყვიამ მოცელა. იგი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. ჩეჩენისა თუ აფხაზის ტყვიით მძიმედ დაჭრილ მეოთხე კურსელ გია ვარამაშვილს სენაკის საავადმყოფოში მარჯვენა ფეხის ბარძაყის ამპუტაცია ჩაუტარდა, მძიმე ჭრილობა მიღლო მკერდის არეში მეოთხე კურსელმა თემურ გურაშვილმა. ვინც გადარჩა, ზოგმა მიტოვებულ სახლებს შეაფარა თავი, ნაწილი რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრებ ჯემალ ბერაიას (ხალიჩების კომბინატის დირექტორი) ოჯახმა შეიფარა, ზოგს „ზვიადისტების“ რისხვა დაატყდა თავს. ტყვედ ჩავარდნილებს ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმი ავტომატის კონდახებით გაუმასპინძლდა, ხოლო „ზვიადისტების რისხვას“ გადარჩენილებს სენაკის გასასვლელში მხედრობინელებმა სიტყვიერი შეურაცხყფა მიაყენეს და ავტომატებიც წაართვეს.

შსს ხელმძღვანელობამ მიატოვა კურსანტები და ოფიცრები და ისინი „ზვიადისტებს“ შეატოვა.

უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა სენაკში გაღებული სისხლის ფასად ბრუნდება თბილისში. იმის ნაცვლად, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფსიქოლოგიურ სტრესში მყოფი კურსანტებისა და ოფიცრების ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისათვის ეზრუნა, ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული რაზმისათვის სენაკის ჩაბარების გამო საყვედურებით აავსეს. ეს ლაჩრები თავად კისრისტებით რომ გამოიქცნენ სენაკიდან, სულ რაღაც 100 კაციან რაზმს აგალდებულებდნენ კარგად შეიარაღებულ „ზვიადისტთა“ პირსის-ხლიანი ჯარის შეჩერებას.

ფრიდონ ტყეშელაშვილი

1975-1993



ფრიდონ ტყეშელაშვილი დაიბადა 1975 წლის 4 მარტს ქობულეთის რაიონის დაბა ოჩიამურში. მაღლე ოჯახი საცხოვრებლად სამტრედიაში გადმოვიდა. 1982 წელს მშობლებმა ფრიდონი სამტრედის მე-5 საშუალო სკოლაში შეიყვანეს, რომლის სრული კურსი 1992 წელს დაამთავრა. ბავშვობაში ფრიდონი გატაცებული იყო სპორტით. სკოლის დამთავრების შემდეგ ფრიდონი გადაწყვეტის მისალები გამოცდების ჩაბარებას საქართველოს უშიშროების სამინისტროს უმაღლეს სკოლაში და 1992 წლის 13 აგვისტოს მისალები გამოცდების შედეგების მიხედვით ივი ჩარიცხულ იქნა საქართველოს უშიშროების სამინისტროს უმაღლესი სკოლის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე.

ფრიდონი, საოცრად კეთილშობილი, ალაძი და ბავშვური, გულუბრყილო დამოკიდებულებით გამოიწეოდა თანაკურსელებს შორის. ოცნებობდა მაღალკალიფიციური იურისტის განათლების მიღებას და მონინავე სამართალდამცავთა რიგებში ჩადგომას, მაგრამ სენაკში სამოქალაქო ომის საბეჭისწერო დღეებმა ნათელ მომავალზე მეოცნებებ ჭაბუკის სიცოცხლე შეინირა.

ფრიდონ ტყეშელაშვილს ცუდ დროს მოუწია თავისი პროფესიული არჩევანის გაკეთება. ამ პერიოდში ცხოვრებაში ხელმოცარული და განაწყენებული ადამიანების დრო იდგა. ყველა უსაქმურს და ნაძირალას იარაღი ეჭირა ხელთ სამშობლოს დაცვის საბაბით და თავიანთ შავბნელ საქმეებს აკეთებდნენ. სამნუხროა, რომ ასეთი გონიერადან მშული ადამიანების მსხვერპლი გახდა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი 18 წლის ფრიდონ ტყეშელაშვილი.


ფრიდონ ტყეშელაშვილს ოჯახში დარჩა მამა – რომან ტყეშელაშვილი, დედა – მარინა მაღლაკელიძე და მმა – კახა და – ფიქრია ტყეშელაშვილები.



საქართველოს შსს ბრძანებით ფრიდონ ტყეშელაშვილს
მიენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით
ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ
სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მე-
მორიალზე. მის სახელს ატარებს შსს აკადემიის მეორე კურ-
სის მესამე ოცეულის პირველი ათეული.

ფრიდონ ტყეშელაშვილის გვარი და სახელი ამოტვიფრუ-
ლია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს
ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალ-
ზეც.

შენი სახელი უკვდავია, ფრიდონ!





დემოტი (დემ) ნულუკიანი

1966-1993

დემოტი ნულუკიანი დაიბადა 1966 წლის 18 სექტემბერს მესტიის რაიონის სოფელ ფარში. 1983 წელს დაამთავრა მესტიის საშუალო სკოლა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1988 წელს დემოტი ამთავრებს პროფესიულ სასწავლებელს. პროფესია, რომელიც პროფესიულ სასწავლებელში მიიღო, მას არ აკმაყოფილებდა. გულმა ვაჟკაცური პროფესიისკენ გაუწია. იგი 1990 წლის აგვისტოში ნარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს და ორიცხება სხრ კავშირის შეს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე.

ზღაპრულ ბუნებაში გაზრდილი დემე საოცრად გულისხმიერი, პატიოსანი, სულგრძელი ახალგაზრდა იყო. უმაღლეს სკოლაში სწავლის დასასწისში მას ნილად ხვდა უაღრესად რთულ პირობებში დაეცვა დედაქალაქის და მისი მოსახლეობის სიმშვიდე. ეს, ის პერიოდია, როდესაც საქართველოში დამოუკიდებლობის მომოვების შემდეგ ანარქიამ და ქაოსმა დაისადგურა, გაუარესდა კრიმინოგენული ვითარება, ქვეყანაში დაუსჯელად დათარებობდნენ სხვადასხვა ჯურის დამნაშავენი.

დემე ნულუკიანი მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ნარმოებულ ბრძოლებში სამაჩაბლოში. აქ, თანაკურსელებთან ერთად იცავდა ქართულ მოსახლეობას ოსი ექსტრემისტებისა და ჩრდილოკავკასიელი „ბოევიკებისაგან“.

1993 წლის 25 ოქტომბრის შსს განკარგულებით და შსს უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის ბრძანებით 27 ოქტომბერს სენაკში გაიგზავნა ასკაციანი ჯგუფი, რომელთა შორის იყო მეოთხე კურსელი დემოტი ნულუკიანი.



ქვეყანას საშიშროება ემუქრებოდა. ამბიციურად ვან-ნყობილი იარაღასხმული ლოთი ქობალიას რაზმი თბილისზე ლაშქრობისათვის ემზადებოდა, მძიმე ვითარება იყო შექმ-ნილი სამეცნიელოს რეგიონში. სამოქალაქო ომის გამჩადებ-ლებს, სენაკში დისლოცირებულმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკოორდინაციო შტაბმა, შსს მილი-ციის უმაღლესი სკოლის ასკაციანი ჯგუფი დაუპირისპირა. შინაურ მტერს (მათ რიგებში იბრძოდნენ ჩეჩენები, კაზაკები და აფხაზები) მოძმის სისხლი სწყუროდა და მიიღო კიდეც.


29 ოქტომბერს, შუადღეს ლოთი ქობალიას შეიარაღებუ-ლი რაზმის მიერ ქ. სენაკზე განხორციელებული შტურმის დროს, მათ მიერ გამოსროლილი ყუმბარმტყორცნით დაღუ-პული მეორე კურსელის ფრიდონ ტყეყშელაშვილისა და მისი, მძიმედ დაჭრილი თანაკურსელების ვია ვარამაშვილის და თემურ გურაშვილის შემხედვარე, დემეტი გადაუდგა „ზვია-დისტა“ ჯავშანტრანსპორტიორს, რომელიც სროლა-სრო-ლით მოიწევდა წინ და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა. დემეტ წულუკიანი ჯავშანტრანსპორტიორიდან ნას-როლმა ტყვიამ იმსხვერპლა. იგი მძიმედ დაჭრილი სენაკის საავადმყოფოში გარდაიცვალა. დემეტ ბოროტებასთან ბრძო-ლაში დაეცა.

დემეტ წულუკიანს ოჯახში დარჩა მამა – ვალო წულუკიანი, დედა – ნუცა წულუკიანი, დედმამიშვილები.

საქართველოს შსს ბრძანებით დემეტი წულუკიანს მი-ენიჭა მეთაურთა შემადგენლობის „პოლიციის ლეიტენან-ტის“ სპეციალური წოდება. მისი გვარი ოქროსფერი ასოებით ამოტვიფრულია შსს აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მე-მორიალზე. მის სახელს ატარებს შსს აკადემიის მეოთხე კურ-სის პირველი ოცეულის პირველი ათეული.

დემეტი წულუკიანი გვარი და სახელი ამოტვიფრულია თბილისში გმირთა მოედანზე არსებულ საქართველოს ერთი-ანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალზეც.

შენი სახელი უკვდავია, დემეტ!



დასკვნის ნაცვლად

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის გავლილ გზაზე 1941 წლიდან – სენაკის მოვლენებამდე აშკარად გამოიკვეთა ხელისუფლების, ზემდგომი ორგანოების განკარგულებებისა და პრძანებების შესაბამისად, მისი ოფიცირებისა და კურსანტების მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში, ქვეყნის დემოკრატიზებისა და ერთიანობისათვის წარმოებულ პრძოლებში მონაწილეობა. შესასწავლია მიღლიცის სკოლის მუშაკთა მიმართ გატარებული 1937 წლის სისხლიანი რეპრესიების პერიოდი. სასწავლებლის ისტორიის სრულად წარმოსაჩენად აუცილებელია დადგინდეს რეპრესირებულ მუშაკთა ვინაობა, გაირკვეს მათი ბრალდება და გაეცეს პასუხი კითხვებს: ვინ? რატომ? რისთვის?

ვისესნებ საქართველოს უახლესი ისტორიის 1989-1993 წლების უმძიმეს პერიოდს; ცნობილ, თუ ნაკლებად ცნობილ ფაქტებს, ქვეყნაში იმ დროს მოქმედი ძალების პოზიციებს, ქიმპობას და დაპირისპირებას, ღალატს, შემთხვევით პოლიტიკოსთა უმწეო პოლიტიკას, ძალაუფლებისათვის პრძოლას, სამხედრო „სტრატეგების“ ავტორიტეტულობას, ფრონტის ხაზზე გამეფებულ უდისციპლინობასა და განუკითხაობას, ეგრეთ წოდებული სარდლების სრულ უვიცობას პრძოლის წარმოების უმარტივეს საკითხებშიც კი; როგორ იმსხვერპლა ყოველივე ამან სასწავლებლის კურსანტები და ოფიცირები, და არა მარტო ისინი, არამედ საქართველოს მრავალი ახალგაზრდა, მშვიდობიანი მოსახლეობა და დაგვაკარგინა შიდა ქართლი და აფხაზეთი.

გორბაჩოვშინის ხანა იდგა. ამ პერიოდმა, გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოიტანა პერესტროიკისა და გლასტინოსტის ფენომენი. იგი ვითომდა დემოკრატიული ფასეულობების დაცვას გულისხმობდა. ნამდვილად, თავშივე ეტყობოდა, რომ განხორციელება არ ეწერა. მთელი ქვეყანა ქაოსის მორევში ჩაიძირა. სარკავშირის მთელ ტერიტორიაზე (ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში) იმძლავრა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. საბჭოთა სახელმწიფო დღითიდლე ემსგავსებოდა ჩასაძირად განწირულ ხომალდს.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანი დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. ქვეყანა-

ში გამოჩნდნენ პოლიტიკური პარტიების ლიდერები, რომლებიც დამოუკიდებლობის მშვიდობიანი-კონსტიტუციური გზით მოპოვებას ცდილობდნენ. თბილისში იმართებოდა მიტინგები. პოლიტ-პარტიების ლიდერები საჯაროდ გამოხატავდნენ თავის აზრებსა და შეხედულებებს. თბილისი მასობრივმა აქციებმა 4 აპრილიდან მოიცავა. ეს მოხდა მოულოდნელად და სპონტანურად, რაშიც გარეშე ძალებმაც დიდი როლი ითამაშა. მიმდინარეობდა სსრ კავშირის დემონტაჟი.

9 აპრილის მსგავსი მოვლენები მაშინდელ სსრ კავშირის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქში განვითარდა.

9 აპრილი იყო და არის პოლიტიკური აქტი, რომელიც ჩაიდინა სსრ კავშირის მაშინდელმა მმართველმა ხროვამ და მასზე თანაბარი პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა ყველა პირველ პირს, თუმცა ეს პასუხისმგებლობა არ დამდგარა უბრალო მიზეზის გამო – კომუნისტური რეჟიმის პირობებში კომუნისტები თავის მიმართ გამამტყუნებელ გადაწყვეტილებას ხომ არ მიიღებდნენ?!

ქვეყნის დამოუკიდებლობისაკენ, სსრ კავშირიდან გამოყოფისაკენ მშვიდობიან, კანონიერ ლტოლვას ცენტრმა ქვეყნის ავტონომიებში წლების მანძილზე ძირითადად მის მიერვე გაღვივებული სეპარატიზმი და ექსტრემიზმი დაუპირისპირა, სისხლით მორწყა ქართული მიწა და შიდა ქართლისა და აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა.

1990 წლის ოქტომბერში მრავალპარტიულ არჩევნებში თავისუფალი საქართველო – მრგვალი მაგიდის დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის პროცესი გაძლიერდა.

ქართველი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის წინ აღუდგნენ ოსი ექსტრემისტები. მათ ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი ვითარებით (ასეთი დრო საქართველოს 1917 წელსაც დაუდგა) და ოლქის სტატუსის ეტაპობრივი შეცვლა გადაწყვიტეს. სუვერენული საქართველოს გვერდის ავლით ჯერ – ავტონომიურ რესპუბლიკად, შემდეგ კი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება, საქართველოს შემადგენლობიდან გასვლა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან გაერთიანება მოითხოვეს.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლითაც გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და მისი სახალხო დეპუტატების საბჭო. ასევე ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნეს „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები. დაიწყო კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს

შორის. ოს სეპარატისტებს დამატებითი იმპულსი შესძინა სსრ კავ-შირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებაშ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ.

ქართულ მილიციას (საქართველოს შსს უმაღლეს სკოლასაც), ვითარების სტაბილიზაცია დაეკისრა, მაგრამ იგი ქართულ სოფ-ლებში იდგა და დანარჩენ ტერიტორიას ვერ აკონტროლებდა. სსრ კავშირის შინაგანი ჯარის შემოყვანის შემდეგ ქართული მილიცია ქართული სოფლებიდანაც გამოიყვანეს და ქართველი მოსახლეობა დაცუველი აღმოჩნდა. შინაგანი ჯარის მიერ გათამამებული ოსი ექსტრემისტების მოქმედება სულ უფრო აგრესიული ხდებოდა. სეპარატისტები იარაღდებოდნენ რუსეთიდან შემოტანილი ცეცხლსასროლი იარაღით. ისინი ქართველებს სადისტურად უსწორდებოდნენ. რუსეთის სამხედრო ძალებს ამოფარებულმა ოსმა სეპარატისტებმა ქართული მოსახლეობის მასობრივი გამოძევება დაიწყეს. ქართველები საკუთარ სამშობლოში ლტოლვილებად იქცნენ...

ქართული საზოგადოება კი პოლიტიკურ პარტიებად იყო დახულებილი. ახლადარჩეულ ეროვნულ პარლამენტს ქვეყანაში პოზიტიური ძვრების მოხდენა არ ძალუდა. მან ვერ შეძლო მთავარი – ერის გამთლიანება. პირიქით, ქვეყანაში იმძლავრა კუთხურმა სეპარატიზმა. მიტინგობრინია და გაფიცვომანია სახადივით მიგვედო. ქართული მილიცია ორად გახლეჩილ თანამემამულეთა – ხელისუფლების მომხრეებსა და ოპოზიციონერთა შორის იდგა და აკვირდებოდა, როგორ ენირებოდა ქვეყანა მათ პირად ამბიციებს. ამ დროისათვის რუსთაველის გამზირი, მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია გადაჭედილი იყო საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული მოქალაქეებით. დედაქალაქის მთავარი არტერია, რუსთაველის გამზირი ხელისუფლებაშ ჩახერგა. არანაკლები დანაშაული ჩაიდინა გიორგი ჭანტურიამ, ვისი ბრძანებითაც რუსთაველის გამზირზე ქვალორდი და სხვა სამშენებლო მასალა დაყარეს და ტრანსპორტის მოძრაობაც შეწყდა. შეს სამინისტროდან იყო მითითება არავითარ შეიარაღებულ კონფლიქტში არ ჩავრცელიყავით.

ამ დაუსრულებელმა პროცესებმა 1991 წლის ბოლომდე გასტანა და ეროვნულმა ხელისუფლებამ ლოგიკური დასასრული მიიღო. ოპოზიციურად განწყობილთა ნაწილმა შეიარაღებული გზით ჩამოაგდო ზვიად გამსახურდიას მთავრობა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

ძალაუფლება ხელში სამხედრო საბჭომ იგდო. 1991-1992 წლებში საქართველოში შექმნილი უკიდურესად მძიმე კრიმინოგენული ვითარება იყო შექმნილი. მრავალი ოფიციალური და არაოფიცია-

ლური შეიარაღებული დაჯგუფება სრულ უკონტროლობას ქმნიდა. რთულ პირობებში უხდებოდათ შსს სისტემაში მომუშავეებს დანაშაულობების გახსნა და დანაშაულის უმეტესი ნაწილი გაუხსნელი რჩებოდა.

საქართველოში ისედაც უკიდურესად მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა სამხედრო საბჭოს სახელით 1992 წლის 27 თებერვალს გამოცემულმა ამნისტიამ, რომლის ძალითაც, ციხიდან და კოლონიებიდან გაათავისუფლეს ისეთი მძიმე დანაშაულისათვის გასამართლებული ბოროტმოქმედები, როგორიცაა: ბანდიტიზმი, ქურდობა, ძარცვა, ნარკოტიკების რეალიზება. გათავისუფლებული ბანდიტები მთელ საქართველოს დაერივნენ. ნაძარცვ-ნაყაჩალარი მიჰებინდათ „კამაზებით“, „ფურებით“, „იკარუსებით“, მიკროვაჭობუსებით და ხელს აყოლებდნენ მსუბუქ მანქანებს.

აფხაზეთში ომის დაწყებამდე, უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარების გამო, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობდა. იყო უძილო დამეები. ასეთ ვითარებაში გადიოდა დღეები, თვეები. გაუთვალისწინებელ სიტუაციებში უმაღლესი სკოლის მუშაკები ქვემო ქართლში ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. კურსანტებისა და ოფიცირების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო რეგიონში ვითარების სტაბილიზებას. კურსანტებს ჩამოუყალიბდათ რჩმენა, რომ ისინი ხალხს, ქვეყანას სჭირდებიან, სწორედ ასეთი შემართებით, ამგვარი რჩმენით, მამულისა და ერის სიყვარულით შთაგონებულნი, დადგნენ ისინი შიდა ქართლში ოსი ექსტრემისტების პირისპირ, რაც ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში გადაიზარდა.

საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესები მძიმედ დააწვა ქვეყანას. მისთვის დამაშვრალი, ერის სამსახურში ჩამდგარი ლიდერი არ ჰყავდა. ულმობელი, მგლური დრო იდგა. ამ პერიოდში ხალხი იმედგაცრუებამ შეიძყორო. იყო იმდენი სისხლი, ტკივილი, რომ ზოგჯერ ამის გაძლება თითქოსდა შეუძლებელი იყო.

ამ ყველაფერს აფხაზეთში ვითარების დაძაბვა დაერთო. 1992 წლის პირველი ნახევრიდან სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედმა ბანდფორმირებებმა გააძლიერეს თავდასხმები საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტზე. კარგად შეიარაღებული ბანდები, აფხაზ სეპარატისტებთან ერთად, ქვეყნისათვის საზოანო აქციებს ახორციელებდნენ, ანარქიისა და ქაოსის გამოსაწ-

ვევად. ხელყოფდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, თანამდებობის პირთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. კარგად ორგანიზებული შეიარაღებული დაჯგუფებები თავს ესხმოდნენ რკინიგზის მაგისტრალებსა და კავშირგაბმულობის კომუნიკაციებს, ასევე, სამეგრელოსა და აფხაზეთში დისლოცირებულ შსს მუშაკებსა და ქალაქების შე განყოფილებებს.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილებით, შეიარაღებული ბანდების თარეშის აღკვეთის, რკინიგზის ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების ნორმალიზების მიზნით, რესპუბლიკის რკინიგზაზე შემოიღო საგანგებო წესები, რის განხორციელებაც თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებულ ძალებს დაევალა.

ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გასატარებლად, თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალები აფხაზეთში შევიდა, რამაც სეპარატისტების აგრესიული ზრახვების აღსრულებას მისცა საბაბი. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ არ გათვალისწინა ის, რომ საქართველოს გასაპროცესი დღიდან აფხაზეთში არ შენელებულა სეპარატისტული მოძრაობა. პირიქით, XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იქ ინერგებოდა და ვითარდებოდა აგრესიული სეპარატიზმი, რაც საქართველოს სუვერენული უფლებების შეზღუდვას და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას ისახავდა მიზნად.

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს აფხაზმა სეპარატისტებმა ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში ცეცხლი გაუსწინეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ამ დღიდან ქვეყანა კიდევ ერთი შეიარაღებული კონფრონტაციის წინაშე აღმოჩნდა.

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ხელშეწყობით დაიწყო აფხაზეთში ჩრდილოეთ კავკასიელ შეიარაღებულ ბოევიკთა მრავალრიცხოვანი ჯგუფების გადმოსვლა, რამაც საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინაპირობა შექმნა. ამით, სეპარატისტები დასახული მიზნის – საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფას – მესამე ძალის დახმარებით შეეცადნენ. აფხაზმა ბოევიკებმა რამდენიმე ლოკალური თავდასხმა განახორციელეს. აგვისტოს ბოლოსათვის გაგრის ზონაში რთული ვითარება შეიქნა.

გაგრის ზონის მოსახლეობის დასაცავად, უმაღლესი სკოლის უფროსის ბრძანებით, იქ უძილო ღამეებით გადაღლილი და ნერვებ-დაწყვეტილი ოფიცრები და კურსანტები იგზავნებიან. გაგრის დაცვაში ჩვენი 143 კურსანტი და ოფიცერი მონაწილეობდა. ბრძოლებში

მამაცობის ჭეშმარიტი მაგალითები გვიჩვენეს სასწავლებლის კურსანტებმა, მათი პატრიოტული, ზნესრული სახე გაგრის დაცემის დღეებში ნათლად წარმოჩნდა. ცხადად იგრძნობოდა, ეს პირტიტველა ბიჭები როგორ იზრდებოდნენ; ზნეობრივად, სულიერად მაღლდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ. მათი სულგრძელობა, სიმამაცე, სამშობლოს სიყვარული, გაგრის მოსახლეობის მიმართ პასუხისმგებლობა დღითიდლე იზრდებოდა. კურსანტებმა ერთმანეთი აქ, ამ ბრძოლებში შეიცნეს, საერთო განსაცდელმა ისინი დაამეგობრა, ერთ მტკიცე მუშტად შეკრა. მათ ისეთი მაღალი ადამიანური თვისებები წარმოაჩინეს, რომლის მაგალითზეც მომავალი თაობები უნდა გაიზარდონ. მათ უჩვენეს ხალხს, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებში უდრევი ნების ადამიანები მსახურობენ. მათი თავდადება სხვა, ქართველ მეომართა ნათელ სახელებთან ერთად, სამარადისოდ დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

1992 წლის 3 სექტემბრიდან (შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ) გაგრაში არც ერთი შეტევითი ოპერაცია არ განუხორციელებია ქართულ მხარეს, მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლებითა და მშვიდობიანი მოლაპარაკებებით კმაყოფილდებოდა. აფხაზებმა კი პირიქით – ჩვენი უმოქმედობა ძალების მოსაკრებად, ჩრდილო კავკასიელი ბოევიკების დამატებითი ძალების მობილიზებისა და თანამედროვე იარაღით შესაიარაღებლად გამოიყენეს და შეუტიეს კიდეც გაგრას. 2 ოქტომბერს გაგრა აიღეს, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. მრავალი მებრძოლი და მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

დადგენილია, რომ გაგრის დაუფლებაში და სასაზღვრო ზოლის (განთიადი – ლესელიძის მიმართულების) ხელში ჩაგდებაში აფხაზ სეპარატისტებს „მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ მოწოდებით გამოგზავნილი ასეულობით ჩრდილო კავკასიელი – ჩეჩენი, ადილე, ყაბარდო, ოსი „მოხალისე ბოევიკი“ ეხმარებოდა. მნშვნელოვანი ძალა იყო კაზაკებისა და, ძირითადად, ადგილობრივი სომხებისაგან ჩამოყალიბებული ბატალიონი. ასევე, რუსი ეხმარებოდა სამხედრო სპეციალისტებითა და შეიარაღებით.

1993 წლის ივლის–აგვისტოში შსს უმაღლესი სკოლის 247 კურსანტი და ოფიცერი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა სოსუმი, გუმისთის მისადგომებთან. მთელი ამ ხნის განმავლობაში პოზიციური სროლა არ წყდებოდა; იბომბებოდა სოსუმი. აფხაზები კვლავ სისტემატურად არღვევდნენ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სნაიპერები. ეგრეთ წილებული ლაბორატორიის მხრიდან ჩვენს პოზიციებს ჯავშანტრანსპორტიორიდან უშენდნენ ჭურვებს, ისროდნენ ყუმბარმტყორცნებიდან და ავტომატებიდან.

1993 წლის 27 ივნისს ცეცხლის შეწყვეტის და საომარი მოქმედების განუახლებლობის შესახებ სოჭში რუსეთ-საქართველო-აფხაზეთის მიერ დადებული ხელშეკრულების თანახმად, ქართულმა მხარემ კონფლიქტის ზონიდან გამოიტანა მძიმე სამხედრო ტექნიკა (ანალოგიურ, 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების შეუსრულებლობას აფხაზთა მიერ გაგრის აღება მოჰყვა). გასაგები იყო, რომ სოხუმსაც გაგრის ბედი ელოდა. მდგომარეობით ისარგებლეს სეპარატისტებმა, რომლებმაც რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ხომალდებისა და არტილერიის მხარდაჭერით, შეუტიქს სოხუმს და 1993 წლის 27 სექტემბერს აიღეს კიდეც.

აფხაზი სეპარატისტები, რუსი სამხედროები, სომხები, კაზაკები თუ ჩრდილო კავკასიელი „ბოევიკები“ არაადმიანური სისასტიკით უსწორდებოდნენ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას. მათ მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ულეტა მოაწყეს, რაც გენოციდის ტოლფასია.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე (როგორც ცხინვალის რეგიონში, ასევე აფხაზეთში) აღმოცენებული კონფლიქტებიდან მკაფიოდ იკვეთებოდა ეთნოსეპარატისტული ტერორიზმის ნიშნები. ამას კი იდეურად, შეიარაღებით და ცოცხალი ძალით დიდ დახმარებას უწევდა რუსეთი, რომელმაც ამ ტერიტორიების ანექსიაც განახორციელა.

მაშინ, როცა გაგრასა და სოხუმში სადისტა ხელში ჩავარდნილი აფხაზეთის ქართული მოსახლეობის განწირული დალადისი ზეცას სწვდებოდა, ექსპრეზიდენტის შეიარაღებულმა გვარდიამ (მეთაური ლოთი ქობალია), რომლის შემდაგენლობაშიც იბრძოდნენ კაზაკები, ჩეჩენები და აფხაზები, საქართველოში გააჩადა სამოქალაქო ომი. მათ შტურმით აიღეს ზუგდიდი, ხობი, სენაკი და სხვა დასახლებული პუნქტები; ქუთაისზე შეტევისათვის ემზადებოდნენ. ამ ვითარებაში სენაკში დისლოცირებული უმაღლესი სკოლის პირადი შემადგენლობა საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა. ლოთი ქობალიასა და აკაკი ელიაგას რაზმის მებრძოლების ხელით დაიღუპნენ კურსანტები: დემე წულუკიანი და ფრიდონ ტყეშელაშვილი, მძიმედ დაიჭრნენ გია ვარაბაშვილი და თემურ გურაშვილი. ექსპრეზიდენტმა და მისდამი დაქვემდებარებულმა რაზმა თუ გვარდიამ თუ ეს სამშობლოს დიდი სიყვარულის გამო ჩაიდინეს, მკითხველმა შეაფასოს.

სოხუმის დაცემისას გადარჩენილნი ლოთი ქობალიამ არ გამოატარა ზუგდიდიდან. ხალხი იძულებული გახდა (ათასობით ლტოლვილი და მებრძოლი) ქარსა და ყინვაში კოდორის ხეობით გადმოსულიყვნენ აფხაზეთიდან. გზად მოხუცები და ბავშვები იღუპებოდ-

ნენ. გადარჩენილებს კი ძარცვაუდნენ სამეგრელოსა და სვანეთში. მეომრებსაც არ ინდობდნენ.

ისმევა კითხვა: რა დამსახურება ჰქონდათ საქართველოს წინაშე ამ ადამიანებს (ექსპრეზიდენტის მომხრეებს), რომ ასეთი მსხვერპლის გაღებად ღირებულიყო ხელისუფლების შენარჩუნება?!

გარდა ამისა, წინამდებარე წიგნიდან კარგად ჩანს გულისტკივილი და სიძულვილი კველას მიმართ, ვინც ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა ბრძოლის ხაზზე დაცემულები და ნამდვილი მებრძოლები.

ყოვლად გაუმართლებელი იქნება თუ აღნიშნულ პერიოდს (1990-1993 წ. წ.) ობიექტურად არ შევაფასებთ. დასაწყისში ითქვა, რომ პოლიტიკური შეფასებებისაგან თავს ვიკავებთო, თუმცა საით წაუვალთ სიმართლეს – სწორედ ამ პერიოდის პოლიტიკურ-მა ცხოვრებამ დაასვა დიდი დაღი საქართველოსა და, ცხადია, შსს უმაღლეს სკოლასაც.

ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში მთავარი დამარცხების მიზეზი მაინც ის იყო, რომ ჩვენ (ქართველებს) არ გაგვაჩნდა საერთო წიადავი – სისხლხორცეული ერთობა, მშობლიური მინის სიყვარული. ადამიანთა დიდმა წანილმა ვერ გაიზიარა საქართველოში დატრიალებული ტრაგედია, საქართველო, ცოცხალ არსად ვერ გაითავისეს. მეტიც – ძალაუფლების მოყვარული გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველი. ძალაუფლების მოსურნე ხომ ბატონობისაკენ მიისწრავის და ამაში ხედავს თავის დანიშნულებას. ასეთი ლტოლვა კი ბრძოლას მოითხოვს და სწორედ ბრძოლაში ხედავენ ისინი სიცოცხლის აზრს. შპანგლერი – გერმანელი ფილოსოფოსი მათ ინდივიდუალობის იდეალურ ტიპს მიაკუთვნებს. ასეთი იდივიდუალური ტიპი უამრავი აღმოჩნდა ჩვენში. საკუთარი თავის განდიდების გარდა მათ არაფერი ადარდებთ. ქვეყანა და ხალხი ვის ახსოვე!

მასხენდება, დიდი ილია ჭავჭავაძის მოთხოვნა „სარჩობელაზედ“. მასში იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას წამოსწევს. ორი ძმის უბედურებაში მწერალი ბრალს საზოგადოებას სდებს, რომელმაც განირა ისინი. მოკლე ამონარიდი: „რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა მამინაცვალმა წაგვართვა, გაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზე დაგვსვა. ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შინაურები ვისაც კი შეეძლო, გვიტყა-პუნებდნენ თავში. ბოლოს, როცა წამოვიზარდეთ, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდან, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თურქურმიშაზედ, ვაიდამ უუიში ჩაგვაგდო. ვითმინეთ და ვეღარ მოვითმინეთ. დავკარით ფეხი და გამოვიქეცით... ჩვენ ყველასათვის უცხონი ვი-

ყავით, ყველანი ჩვენთვის“. ასე მკაცრად და დაუზოგავად მოექცნენ ყმანვილებს ადამიანები, საზოგადოება. ისინი ყველან დამცირება-სა და დევნას ხვდებოდნენ. ცხოვრებაში წმინდა და კეთილი გულით შემოვიდნენ, მაგრამ დაუნდობელმა სინამდვილემ ისინი გააბორო-ტა, ცუდ გზაზე დააყენა: „პატარები ვიყავით ყველა ხედავდა, რომ ოვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩდა, არავინ მოგვემველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისერზედ. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო...“

თუკი ღრმად დაგაკვირდებით დიდი ილიას მოთხობაში ასა-ხულ ორი ძმის ისტორიას, ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე შე-იძლება პარალელები გავავლოთ ჩვენი ქვეყნისა და შსს უმაღლესი სკოლის 1990-1993 წლების ისტორიას შორის.

აღნიშნული პერიოდის მძიმე დღეებში, როცა ჩვენი მეომრები სისხლს ღვრიდნენ მშობლიური მიწისათვის, ამავე მშობლიურ მი-ნაზე ყოვლად მოუთმენელი ამორალური რამ ხდებოდა: ტელევი-ზია გამუდმებით მოუხმობდა (განსაკუთრებით მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც ქვეყნისა და ხალხის უბედურებაზე ფული აკეთა, ამ სისხლიანი ფულით გამდიდრდა და ახლა განცხრომა ენება), და-სასვენებლად დუბაიში, ანტალიაში, კვიპროსსა თუ კანარის კუნ-ძულებზე. ზოგმა შვილებიც კი გახიზნა საზღვარგარეთ, ცივი წიავი არ მიეკაროთ, დაე, სხვების შვილებმა დვარონ სისხლი ჩვენს გასამ-დიდრებლადო (ამით გენოფონდი გადაარჩინეს, დღეს ისინი სახეზე გვყავს თავისი ავი ზრახვებით).

გაგრის დაცემიდან ორი წლის შემდეგ აეხადა ფარდა „საიდუმ-ლობას“. გამოვლინდა, რომ გაგრაში სასწავლებლის ოფიცრებისა და კურსანტების მივლინებისა და საბრძოლო მოქმედებებში მონა-ნილეობის პარალელურად, სასწავლებლის უფროსი გივი კვანტა-ლანი საარჩევნო „ფერხულში“ აქტიურად ყოფილა ჩაბმული. იგი, საქართველოში ახალი ხელისუფლების ლეგიტიზების მიზნით ჩა-სატარებელ საპარლამენტო არჩევნებში (არჩევნები 1992 წლის 11 ოქტომბერს გაიმართა), პარტიული სიის მეექვსე ნომრად გადიოდა. საკანონმდებლო ორგანოს წევრობა ნებავდა, მაგრამ შესაძლებლო-ბები ვერ გაითვალისწინა.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის დაღუპული კურსანტებისა და ოფიციელების მემორიალი

1994-1995 წ.წ.
2000-2003 წ.წ.

„გმირი-ყველაზე ხანმოკლე პრო-
ცესიაა ამქვეყნად“

იულ როვერსი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 3 ივნისის №349-18 დადგენილებით, შსს უმაღლესი სკოლა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიად გარდაიქმნა.

შსს აკადემიის პირველი რექტორის პოლიციის გენერალ-ლეიტენანტ შოთა გორგოძის ამ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან (1994 წლის 4 ივნისი), აკადემიის ტერიტორიაზე საფუძველი ეყრება 1990-1993 წლების ნიშანსვეტს – ხსოვნის მემორიალს. სწორედ იგი უნდა ყოფილიყო ავადსახსნებელი წლების სამშობლოსათვის გმირულად დაღუპულთა სამარადებამო ხსოვნის სიმბოლო.

მემორიალის მშენებლობა 1995 წლის 24 მაისს დასრულდა. პროექტის ავტორები საქართველოს სასიქადულო შვილი, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, არქიტექტორი საურმაგ ღამბაშიძე და მხატვარი ოთარ მგელაძე იყვნენ. ამ მემორიალით მწუხარებითა და მონინებით პატივს მივაგებდით ქვეყნისათვის დაღუპულ გმირებს (წარსულში იმიტომ ვლაპარაკობ, რომ 2004 წლის აპრილიდან მემორიალი ბუტაფორიად აქციეს).

მემორიალის გახსნის დღიდან, აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებული შინაგანანების მიხედვით, სწავლის დაწყებამდე ყოველ დღილით სასწავლებლის პლატფორმაზე კურსანტთა სიის ამოკითხვის შემდეგ კურსანტები მწყობრი სვლით და სამწყობრო მისალმებით, პატივს მიაგებდნენ გმირულად დაღუპულ ოფიცერთა და კურსანტთა ხსოვნას. ყოველი წლის 29 აგვისტოსა და 2 ოქტომბერს მე-

მორიალი ყვავილები იყო შემკული. მემორიალთან უამრავი ხალხი იყრიდა ხოლმე თავს. აკადემიის პირადი შემადგენლობის გარდა, მოდილდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელები, ჩვენი კურსდამთავრებულები, ბრძოლებში დაღუპული ოფიცირებისა და კურსანტების ოჯახის წევრები და სხვა საპატიო სტუმრები. განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო მემორიალის გახსნაზე – 1995 წელს, 1999 წლის ოქტომბერში – შსს უმაღლესი სკოლის ბაზაზე შექმნილი შსს აკადემიის ხუთი წლის იუბილეზე, ასევე 2003 წლის 10 ოქტომბერს უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბებიდან 25 წლის საიუბილეო დღესასწაულზე. ყველა ლონისძიებაზე საპატიო ადგილი ჰქონდათ მიჩნილი დაღუპულთა ოჯახის წევრებს.

შსს აკადემიაში ახლადჩარიცხული კურსანტები ფიცს მემორიალთან დებდნენ. საქართველოს შსს პასუხისმგებელი მუშაკები და შსს აკადემიის ხელმძღვანელები კურსდამთავრებულებს მემორიალთან გადასცემდნენ შსს აკადემიის სრული კურსის დამთავრების დიპლომებს.

ასე მივაგებდით პატივს სამშობლოსათვის თავგანწირულ ვაჟკაცებს. მათი თავდადება, გმირობა დავიწყებას არასოდეს მიეცემა. ჩვენ, მათ მეგობრებს სამარადუამოდ გვემახსოვრება მათი თავგანწირვა, მათთან ერთად დგომა იმ ძნელბედობის ჟამს. ამ ახალგაზრდებმა სამარადისო ადგილი დაიმკვიდრეს შსს აკადემიისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. უკვდავია მათი სახელები. ისინი სამშობლოს სადარაჯოზე საქართველოს მარადიულ ჯარისკაცებად დგანან.

მემორიალზე ოქროსფერი ასოებითაა ამოტვიფრული გმირობით უკვდავყოფილი ოფიცირებისა და კურსანტების გვარ-სახელები:

ბელქანია გელა
გერაძე ბადრი
დათაშვილი თემური
დავიდოვი სერგო
დათებაშვილი ალექსანდრე (ალეკო)
ვეშაპური ზაქარია
თეთრაძე მალხაზი (მირიანი)
თუთარაშვილი გელა
ირემაძე იმედა
კვესიტაძე ვახტანგი
კიკნაძე გოგიტა
კოკაია ბაჩუკი
კუკსა ერნესტი
ლიპარტელიანი ხვიჩა

ლობჟანიძე ვლადიმერი (ზაზა)
მარშანიშვილი ნუგზარი (ნუკრი)
მიდოდაშვილი სპარტაკი
ნანიკაშვილი ვალერი
ტყეშელაშვილი ფრიდონი
ცისკარიშვილი ლევანი
წულუკიანი დემეტი (დემე)
ჭანტურიძე ანდრია

- ეს ის გმირები არიან, რომლებმაც შექმნეს მილიციის უმაღლე-
სი სკოლის (შსს აკადემიის) ისტორია;
- ეს ის ბიჭები არიან, რომლებმაც უცხო ქვეყანაში სწავლას,
ეროვნული მილიციის უმაღლეს სკოლაში სწავლა არჩიეს;
- ეს ის ბიჭები არიან, რომლებსაც ღმერთმა, ნიჭთან ერთად
სამშობლოს ერთგულების უნარი დაანათლა;
- ეს ის ბიჭები არიან, ვინც თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამ-
სხვერპლოზე მიიტანა;
- ეს ის ბიჭები არიან, რომლებმაც ცხოვრება მთელი სისავსით
ვერ შეიგრძნეს.

ამ ბიჭებზე ფიქრი არ ასვენებდათ და არც ახლა ასვენებთ თა-
ნამებრძოლებს. ბრძოლებმა ღრმა კვალი დაამჩნია მათ სულსა და
გულს. ისინი ხმირად სტუმრობდნენ აკადემიას, რათა მემორიალ-
თან დგომით პატივი მიეკოთ ბრძოლებში დაღუპული თანამებრძო-
ლებისათვის. იხსენებდნენ ბრძოლის წინა ხაზზე, როგორ ულოცავ-
დნენ ურთიერთს, რომ მეორე დღეს ცოცხლებს ხედავდნენ ერთმა-
ნეთს. მათ მეხსიერებაში დღემდე გუგუნებს ომით განცდილი დღე-
ები, რამაც ბევრი ტკივილი განაცდევინა.

ბრძოლებში მიყენებულმა ჭრილობებმა და ტრავმებმა თავი
იჩინა ომგამოვლილ კურსდამთავრებულებში. მათთან ერთად გან-
ცდილი დღეები მათ ვაჟუაცობაზე, სიმამაცეზე თქმის უფლებას
მაძლევს. მედგარი ბუნებითა და მოქმედებით შინაგან საქმეთა თა-
ნამშრომლების მთელი გალერეა შექმნეს. მათ ხასიათში უმთავრესი
სამართლიანობა, მეგობრების პატივისცემა და სამშობლოს ერთ-
გულება იყო და ოჯახის დიდი სიყვარული უნათებდათ გზას.

ძნელია გაიხსენო ეს ჭეშმარიტი მამულიშვილები. მათ ხომ უსაშ-
ველო ტკივილი და ცრემლი დაგვიტოვეს. თითქოს ეს ტკივილი და
განცდა არა კმაროდა, ომის ჯოჯონებეთს გადარჩენილი ბიჭები, იქ
რომ ვერ დააკლო რა სიკვდილის მსახვრალმა ხელმა, სამსახურებ-
რივი მოვალეობების შესრულებამ, ომის საშინელებისაგან შერყე-
ულმა ფსიქიკამ გავლენა იქონია მათ შემდგომ ცხოვრებაზე.

გავიხსენებ შიდა ქართლის, გაგრისა და სოხუმის დაცვის მონაწილეებს:

პირველკურსელი ელდარ ხვედელიძე ავტოკატასტროფაში დაიღუპა (იგი გაგრის დაცვისას მამაცურად იბრძოდა კოლხიდაში);

კურსდამთავრებული ნოდარ გავაშელიშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ავტოკატასტროფაში დაიღუპა (იგი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა შიდა ქართლში, ცხინვალის რეგიონში და გაგრაში);

კურსდამთავრებული ვასილ ბაციკაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ავტოკატასტროფაში დაიღუპა;

კურსდამთავრებული ავთანდილ გამარჯვეაშვილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას რეციდივისტის ტყვიამ შეინირა.

კურსდამთავრებულ მალხაზ დათაშვილს ჯერ 1991 წლის 11 აპრილს, რამდენიმე თამარაშენელთან ერთად აკავებენ და 22 დღე სასტიკად ანამებენ ოსები, ხოლო 1993 წლის 9 დეკემბერს თავს დაესხმებიან ოსები და სასტიკი წამებით გამოასალმებენ სიცოცხლეს სამ ქართველთან ერთად;

კურსდამთავრებული მალხაზ ჩანადირი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. მას სიკვდილის წინ გონება დაუბნელდა – ბიჭებთან მივდივარო, ამოიკვნესა და წავიდა.

კურსდამთავრებულ მორის ჯუგაშვილს მედგარი ბუნებით და სამართლიანობით გამორჩეულს, აფხაზეთის ომში შემართულ მებრძოლს, გაგრის დაცვისას მძიმედ დაჭრილს, სოხუმის მედგარ დამცველს, სამშობლოსა და მეგობრების სიყვარულით გულანთებულს, მუხანათურად კლავენ ბენდერები უკრაინაში.

კურსდამთავრებულ ბაჩუკი საათაშვილს ძალზე უყვარდა მეგობრები, ოჯახური გარემო, სიყვარულსა და პატივისაცემას გამოხატვდა ყველას მიმართ. აფხაზეთის ომის ერთ-ერთი გმირი, თავისი მოქმედებით ბევრ კურსანტს საბრძოლო სულისკვეთებას უმაღლებდა. იგი დიდი გულისა და დიდი შემართების ახალგაზრდა – ვაჟაცობის განსახიერება იყო. ძალიან განიცდიდა 2008 წლის აგვისტოში რუსი ოკუპანტების შემოჭრას. მისმა გულმა ფეთქვა შეწყვიტა 2009 წლის 9 მაისს.

შიდა ქართლში, გაგრასა და სოხუმში უდიდეს გასაჭირებამოვლილმა თავდაუზოგავმა ბიჭებმა ასე დაასრულეს თავისი ხანმოკლე სიცოცხლე. ამ უღალატო ბიჭების გარდაცვალებით გამოწვეულმა სევდამ ჩემში სულის სიცარიელე გამოიწვია. მათ სახელებს დავიწყება არ უწერია. ყველა გვემასოვრება და მათ წმინდა საფლავებზე ქედს მოვიდრეკთ, სანთლებს დავანთებთ.

მემორიალის პატივისცემა, მისი მოვლა-პატრონბა ჩვენი მუდმივი საზრუნავი იყო. ტრადიციადქცეული ღონისძიებები გრძელდებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 29 ივლის №293 პ/შ ბრძანებით, მინისტრის მოადგილე პოლიციის გენერალ-მაიორი გურამ ქარქაშაძე შსს აკადემიის რექტორად დაინიშნა. ამ დღიდან კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა ასეთი ღონისძიებები: 2001 წლის აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნში „ერთგულება, თავდადება, პროფესიონალიზმი“, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის სამძებროს კრიმინალებთან ბრძოლის 80 წლისთავს მიეძღვნა, მისი ინიციატივით, წარმოჩენილია აკადემიის ოფიცერთა და კურსანტთა თავდადება სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

შსს აკადემიის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბების 25 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო თარიღის აღნიშვნამდე ერთი წლით ადრე სასწავლებლის ხელმძღვანელთა შემადგენლობიდან საორგანიზაციო კომისია შეიქმნა. მას ამ მოვლენის ღირსეულად აღსანიშნავი ღონისძიებების შემუშავება დაევალა. აღსანიშნავია თბილისის მთავრობაში გურამ ქარქაშაძის ინიციატივით გაგზავნილი შუამდგომლობა, გლდანის რაიონში იმ ქუჩას, სადაც შსს აკადემია მდებარეობს, ანუ ქერჩის ქუჩის პირველ შესახვევს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუბულ შს სამინისტროს აკადემიის გმირ კურსანტთა“ სახელის მინიჭების შესახებ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 22 მაისის №07.03.147 დადგენილებით, ქერჩის ქუჩის პირველ შესახვევს „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუბულ შს სამინისტროს აკადემიის გმირ კურსანტთა“ სახელობის ქუჩა ეწოდა.

გურამ ქარქაშაძის რედაქტორობით, 2003 წელს, შსს აკადემიის უმაღლეს სასწავლებლად ჩამოყალიბების 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა წიგნი: „სახეები, მოვლენები, ფაქტები“. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დალუბული კურსანტებისა და ოფიცრების მამაცობასა და თავგანწირვას.

ეს ღვთისნიერი კაცი, ხელოვნების ჩინებული მკვლევარი გურამ ქარქაშაძე მძიმედ განიცდიდა დალუბული კურსანტებისა და ოფიცრების ხვედრს. იგი ისეთივე ტკივილით აღიქვამდა ბიჭების დალუბვას, როგორც ჩვენ, მათი თანამებრძოლები.

საქართველოს შს მინისტრის ბრძანებით, პირველი ოქტომბერი შსს აკადემიის დღედ გამოცხადდა. ამ დღის დაარსების იდეაც გურამ ქარქაშაძეს ეკუთვნის. ამ დღეს პირველკურსელები ფიცს და-



1999 წლის ოქტომბერი. საქართველოს შსს აკადემიის საიუბილეო დღესთან დაკავშირებით სასწავლებლის პირველკურსელები საზეიმო აღლუმისათვის ემზადებიან

დებდნენ ერისა და სამშობლოს წინაშე.

საიუბილეო დღესასწაულზე – 2003 წლის 10 ოქტომბერს – დილიდან აკადემიაში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. პროფესორ-მასწავლებლებთან და კურსანტებთან ერთად იდგნენ აკადემიის კურსდამთავრებულები, უმაღლესი სასწავლებლის ყოფილი უფროსები, დაღუპულ კურსანტთა და ოფიცერთა ოჯახის წევრები და სხვა საპატიო სტუმრები.

საზეიმო ღონისძიება „გმირ კურსანტთა“ ქუჩის გახსნის ცერემონიალით დაიწყო. დღის წესრიგის მიხედვით, კურსანტებმა და ოფიცერებმა გვირგვინით შეაქცეს საქართველოს მთლიანობისათვის დალუპული კოლეგების მემორიალი, რომელსაც, შე მინისტრის ბრძანებით, „დიდების მემორიალი“ ენოდა. შემდეგ პირველკურსელთა ფიცის მიღება და საზეიმო აღლუმი გაიმართა. სტუმრებმა და აკადემიის მუშაქებმა კლუბში გადაინაცვლეს, სადაც აკადემიის საიუბილეო მედლით, მთავრობის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს ვეტერანი და მონინავე თანამშრომლები, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ კურსანტთა და ოფიცერთა ოჯახის წევრები.

საზეიმო ღონისძიება გაგრძელდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. მას ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის წევრები. საღამო გახსნა აკადემიის რექტორმა გურამ ქარქაშაძემ. თავის გამოსვლაში მან განსაკუთრებული ადგილი დაუთმო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპული კურსანტებისა და ოფიცრების გმირობას. მოხსენებებით გამოვიდნენ შსს აკადემიის სამართალმცოდნეობის სპეციალობის მესამე კურსის წარჩინებული კურსანტი, კურსანტთა საბჭოს თავმჯდომარე პაატა კობერიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი. საქართველოს შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა საზოგადოებას გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, შსს აკადემიის რექტორის გურამ ქარქაშაძისათვის პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

გადაიფურცლა უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც შსს აკადემიად გარდაქმნამდე, საზოგადოებისათვის თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის სახელით იყო ცნობილი.

„ვარდების რევოლუცია“ და შსს აკადემია

ერის დაცემა მაშინ იწყება,
როდესაც იგი, მს საუბედუროდ,
საკუთარ ისტორიას ივიწყებს“.

დიდი ილია

2003 წლის გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება დაიძინა. საპარლამენტო არჩევნების შედეგების გადასინჯვის მოთხოვნით პოლიტიკური პარტიები და გაერთიანებები სხვადასხვა საპროტესტო აქციას მართავდნენ. გაისმოდა ანგარიშნსტიტუციური მოწოდებები ხელისუფლების გადაყენების შესახებ. ოპოზიცია გამუდმებით ცდილობდა პოლიციის რიგებში განხეთქილების შეტანას, სხვადასხვა სამსახურის ერთმანეთთან დაპირისპირებასა და პოლიციის ნაწილის მიმხრობას.

საჯარო გამოსვლებში ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ცდილობდნენ საზოგადოება დაერწმუნებინათ, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ შექრიბა პოლიციელთა საკმარისი რაოდენობა სახელმწიფო კანცელარიასთან, რომ შსს აკადემიის მუშაკები არ მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებებში, რომ ზოგიერთ რეგიონში პოლიციელები აღფრთოვანებული ხვდებოდნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს და სხვა.

აღნიშნულ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი პირადი შემადგენლობა გადასული იყო მუშაობის სადღელამისო რეჟიმზე და ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ ღონისძიებებში, შსს სხვა სამსახურებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის პირადი შემადგენლობა (ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე) სწავლების ციკლის დაურღვევლად. შსს პირადი შემადგენლობა ცდილობდა არანაირ პროვოკაციაზე არ წამოგებულიყო და არ აპყოლოდა მოზღვავებულ ემოციებსა და ვწებათაღელვას.

სახელმწიფო კანცელარიის გარშემო, სადაც შსს სხვადასხვა ორგანოს თანამშრომლებთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად შსს აკადემიის პირადი შემადგენლობაც იდგა, რამდენი-

მე გადამლობი საგუშავო იყო გამართული. ერთი – მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნიდან“ კანცელარიისაკენ ამავალ კიბეებზე, მეორე – სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის დასაწყისში, მესამე – ინგოროვას ქუჩის თავსა და ბოლოში და ინგოროვასა და ჩაიკოვსკის ქუჩების შეერთების ადგილზე. აკადემიის პირადი შემადგენლობის ნაწილი იდგა სახელმწიფო კანცელარიის წინა მოედანზე. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა გაგრძელდა 23 ნოემბრამდე.

რაც დრო გადიოდა, თბილისში დაძაბულობა სულ უფრო მატულობდა. რამაც კულმინაციას ნოემბრის შუა რიცხვებში მიაღწია. საქართველოს რეგიონებიდან მიტინგზე ჩამოსულმა უამრავმა ხალხმა დედაქალაქში უმართავი მდგომარეობა შექმნა. სამართლიანი არჩევნების მოთხოვნა, პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით შეიცვალა.

16 ნოემბერს კი, ფილარმონიაში გამართულ შეკრებაზე გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებმა მხარი დაუჭირეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერის ინიციატივას საქართველოს მასშტაბით სამოქალაქო დაუმორჩილებლობის დაწყების შესახებ. მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: „ყველა სახელმწიფო დანესტებულებას გაფიცვისკენ მოვუწოდებ, იმიტომ, რომ აშკარა ზენოლა ხდება. ხალხს ეუბნებიან, გამოდით, მხარი დაუჭირეთ შევარდნაძეს, თორემ სამსახურიდან გაგაგდებთო.“

ოპოზიციის ბრძოლამ შედევი გამოიღო: 23 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტი გადადგა. პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვალა.

ეს მოვლენა „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა ქეყნის ისტორიაში. ყველა რევოლუციას აქვს თავისი გამომწვევი ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური მიზეზები. ალბათ, დადგება დრო და ისტორია პირუვნელად იტყვის სიმართლეს ე. წ. „ვარდების რევოლუციაზე“. მანამდე კი იმას ვიტყვი, რა ხელი დაატყო ამ რევოლუციამ შსს აკადემიას, წარმოვაჩინო აქ შექმნილი მდგომარეობა.

„ვარდების რევოლუციის“ „ზათქი“ არც კი იყო განელებული, რომ შსს აკადემიას ესტუმრა გიორგი ბარამიძე (იგი 27 ნოემბერს საქართველოს შს მინისტრად დაინიშნა). პირად შემადგენლობასთან შეხვედრა მან რატომლაც ადმინისტრაციული შენობის ფორეში გამართა. ფოიე გადაჭედილი იყო, ყველა ცდილობდა მოესმინა „რევოლუციით“ შობილი ახალი ლიდერის სიტყვები. პირადი შემადგენლობა ქვეყნისა და აკადემიისათვის სასიკეთო ძვრების მოლოდინში განაბული უსმენდა გ. ბარამიძეს. მის სიტყვებში გაიუღერა პოლიტიკურმა განცხადებებმა: შევარდნაძის მმართველობა დამხობილია

და გაყალბებული არჩევნების გზით მოსულ პარლამენტს მუშაობის წარმართვის საშუალება არ მიეცაო. ასევე იღლაპარაკა შე ორგანოებში რეფორმების გატარების აუცილებლობაზე, ორგანოებში ახალი სისხლის შეშვებაზე, უმტკივნეულო შემცირებებსა და ამის ხარჯზე, შე ორგანოების მუშაკთა ხელფასების გაზრდაზე.

ეს „ნოვატორული იდეები“ არახალია. ის ყოველთვის იყო ყველა ფორმაციის დროს პოლიტიკური განსჯის საგანი. კომუნისტური წყობის გარიურაჟზე, კომუნისტი ხელმძღვანელების მიერ მიღლიცის ჩამოყალიბების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. მიღლიცის ორგანოების შევსება ახალი სისხლით მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობას მოუწია.

„ისტორიული მნიშვნელობის“ თავყრილობა ცუდად მენიშნა. გიორგი ბარამიძის ვიზიტმა გამახსენა ხალხის ბელადის – ლენინის შეხვედრები ხალხის მასებთან. იგი ხალხს ყველგან ხვდებოდა: ფაბრიკა – ქარხნებში, ქუჩებში, მოედნებზე და ა. შ. (ამ ყველაფერს კი – ლენინის ცხოვრებას და მოღვაწეობას, სკოლის ასაკში ვეცნობოდით მრავალი დოკუმენტური და მხატვრულ ფილმის მეშვეობით).

გ. ბარამიძის შეხვედრიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს შსს აკადემიის მუშაკებმა იგი ისტორიულ კრეისერ „ავრორად“ აღიქვეს, ხოლო მისი სიტყვები „ავრორას“ გასროლად, რასაც ძირეული სასიკეთო გარდაქმნები უნდა მოჰყოლოდა. ვერ ხვდებოდნენ, რომ მთავარი „გასროლა“ ჯერ კიდევ წინ იყო.

„ვარდების რევოლუცია“ თავისი არსით, 1917 წლის ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციის მაგონებს. თუმცა მაშინ უამრავი მსხვერპლი იყო, ხოლო „ვარდების რევოლუციამ“ უსისხლოდ ჩაიარა, მაგრამ ახალი ხელისუფლების მიერ გატარებულმა ე.წ. რეფორმები, რამაც საზოგადოებრივ ურთიერთობებში გაუკულმართებული პირობები შექმნა, ათასობით ადამიანს მორალური ზიანი მიაყენა, ბევრი ფიზიკურადაც გაანადგურა, ძალზე ჰავას, „დიადი ოქტომბრის მინაპოვარს“. „ვარდების რევოლუცია“ ტრაგედიად გადავვეცა!

ახალი სისხლის „შეშხაპუნება“, ადამიანის გარდაქმნა (ეს იდეა კომუნისტებიდან მოდის), რეპრესიებით და გაუკულმართებული პირობების შექმნით კი არ უნდა განხორციელდეს, არამედ აღზრდის მეშვეობით. გარდაქმნა ხომ იდიოტური სიტყვაა და გადაშენებას ნიშნავს.

რეფორმები, თავისი არსით ქვეყნისათვის კარგის მომტანი რომ უნდა ყოფილიყო, ერთობ ტენდენციური გამოდგა.

საპარლამენტო არჩევნების დამთავრების შემდეგ (2004 წლის 29 მარტი), შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ შსს აკა-

დემის კლუბში შეერტოლ პროფესორ-მასწავლებლებსა და კურსანტებს ახალი რექტორი ლევან იზორია წარუდგინა. დაგვარნიშუნა, რომ 30 წლის ლ. იზორია აკმაყოფილებდა პრეზიდენტ მ. სააკაშვილს მიერ ხელმძღვანელი კადრების მიმართ წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს – უცხო ენები იცის და სადოქტორო დისერტაცია აქვს გერმანიაში დაცული, კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლია სამხრეთ კავკასიაში.

რეფორმატორმა ლ. იზორიამ „დაგვმოძღვრა“, დავიწყებას უნდა მიეცეს საბჭოთა მილიციელის ტიპაჟი, რაც ძირითადად რეპრესიებთან ასოცირდება, უნდა შეიქმნას ახალი თანამედროვე ტიპის პოლიციის სახე და დაგვპირდა, კურსანტთაგან „კეთილშობილ პოლიციელებს“ ჩამოვაყალიბებო.

ამ თამამ განცხადებას მქუხარე ტაშით შეეგებნენ პროფესორ-მასწავლებლები და ფეხზეც წამოუდგნენ (ასეთი „პატივი“ არც ერთ წინამორბედ რექტორს არ ლირსებია). პროფესორ-მასწავლებლებმა ასე აღფრთვანებულად მიანდეს თავისი და აკადემიის ბედი გამოუცდელ იზორიას. ალბათ, პროფესორ-მასწავლებლებმა, კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენელი ბარონ მიუნჰაუზენად წარმოიდგინეს.

ასე და ამგვარად გადალოცილი ლევან იზორიაც შეუდგა რექტორობას. თავიდანვე ჩიხასავით მოირგო ბიუროკრატის როლი. კაბინეტში ფეხმორთხმით მჯდომარე „განაგებდა“ საქმეებს. საიდუმლოდ ხვდებოდა აკადემიის ახალგაზრდა მუშავებს. მათგან შეარჩია „საუკეთესოთა შორის საუკეთესონი“ პრიმიტიული აგენტურული, დამსმენთა ქსელი შექმნა. ჩაუტარა ტრენინგები, დააკვალიანა, დაგეშა... ასე ჩამოაყალიბა „ზონდერ ბრიგადა“. მის წევრებად „ლირსყოფილნი“ ამაყად დააბიჯებდნენ სასწავლო კორპუსში და შიშის ზარს სცემდნენ აუდიტორიებში გამოცდების ჩასაბარებლად შესულ კურსანტებს. ასეთი იყო პრიმიტიული აგენტურული ტექნოლოგიებით გაჯერებული ლ. იზორიას „სტრატეგია“.

აკადემიაში შექმნილი ვითარება, საერთო ფონი მეტნაკლებად ემსგავსებოდა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში შექმნილ მდგომარეობას. ლ. იზორია მორალურად რყვნიდა აკადემიის მუშაკებსა და კურსანტებს, მათ მიმართ უნდობლობას წერგავდა.

გამოცდებზე დამსწრეთა ჯგუფი ჩამოაყალიბა. მასში „ზონდერ ბრიგადის“ წევრთა გარდა, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოწვეული ასპირანტებიც იყვნენ, რომლებსაც არც პედაგოგიური გამოცდილება ჰქონდათ და არც საგნების ცოდნით გამოირჩიოდნენ. ამით იზორიამ პედაგოგიური ურთიერთობების ეთიკა დაარღვია.

აკადემიის რექტორად ლ. იზორიას დანიშვნიდან სულ რაღაც თვე-თვენახევარში სასწავლებლის მუმაკები გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ე. წ. რეფორმის შინაარსი გასაიდუმლოებული იყო. ვისაც ეგონა მუშაობას განვაგრძობთო, მოლოდინმა უმტყუნათ. ავადმყოფურმა ეჭვიანობამ, გაუტანლობამ დაისადგურა. ასეთ ყოფაში ჩაცვენილნი სხვადასხვა გზითა და საშუალებით ცდილობდნენ თავის გადარჩენას, მაგრამ რექტორის კაბინეტიდან გამოტანილმა ამბავმა („ზონდერ ბრიგადის“ წევრების მიერ) მუშაობის მომლოდინეთა იმედი დაასამარა. კერძოდ, გავრცელდა ხმა, რომ რექტორი, 37 წლის ზემოთ ასაკისა და კორუმპირებულ პროფესორ-მასწავლებლებს გაყრიდა. არადა, სწორედ კორუმპირებულები დატოვა, დაანინაურა კიდეც და პატიოსნები და მცოდნეები გაყრა. კარგად გვესმოდა, რომ ეს „რეფორმა“ ხელისუფლების დაკვეთა იყო და უზენაეს სასამართლოსთან არსებული სამართალდამცავი ორგანოების რეფორმების შემმუშავებელი ჯგუფის – რეფორმატორთა: კახა ლომაიას, გიგა ბოკერიას, დავით დარჩიაშვილის და ლაშა ტულუშის მიერ შემუშავებული პროექტით ხორციელდებოდა (ლ. იზორიაც ამ ჯგუფის წევრი იყო).

მასესნდება ლ. იზორიასა და ჩემი შეხვედრა. გურამ ქარქაშაძის რედაქტორობით გამოცემული შსს აკადემიის ისტორიის გაცნობა შევთავაზე. ამას თავხედური პასუხი შოჰეგა: „ამ ისტორიის წამ-კითხავი არ ვარ, შსს აკადემიის ისტორია ჩემი მოსვლიდან დაინწყება!“ რამდენი ლვარძლი ჩააქსოვა ამ პასუხს. ძალზე გავლიზიანდი, ძლივს შევიკავე თავი, რომ საკადრისი მიმეზო.

აპრილის ბოლოდან (2004 წ.) იზორიამ, იმის შიშით, არავინ შემაწუხოსო, სასწავლო და ადმინისტრაციულ კორპუსებს შორის წინააღმდეგობები ალამართინა, შესასვლელები გადააკეტინა და იქ მორიგეობა დაანესა. ამით ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორის ბარიერი აღმართა. ასეთმა ურთიერთობის დანერგვამ სა-უკეთესო პირობები შეუქმნა კორუფციას, რამაც ერთ წელიწადში იჩინა თავი. საინტერესო სურათის მომსწრენი გავხდით: გამოც-დებზე დასასწრებად მიმავალ იზორიას როგორ მისდევდნენ გაბ-ზეკილი გავებით მოადგილები და „ზონდერ ბრიგადის“ წევრები. დაცული იყო უფროს-უმცროსობის ეტიკეტიც და დისტანციაც. გაკვირდებოდით მათ სახეებს და ისეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა, რომ ისინი დლითიდლე ემსგავსებოდნენ ერთმანეთს. თით-ქოს ერთი ტანი და ერთი თავი ჰქონდათ, ერთნაირი ბაცაცა გა-მოხედვა. ამ თუქსუსების შემხედვარეს, გაფხორილნი რომ დაია-რებოდნენ და აუტანელ აურას ტოვებდნენ, ძალაუნებურად ზიზლი მოგერეოდა.

„ვარდების რეოვლუციით“ მოსული დემოკრატია რომ სწორედ ანტიდემოკრატია გახლდათ, აკადემიაში გატარებულმა ე. წ. რეფორმებმაც დაადასტურა. რაც დამსახურებულ მუშაქთა „გაყრას“ (ეს სიტყვა ეკუთვნის ჩუშპარა რეგტორს – იზორიას) გულისხმობდა.

გამახსენდა, 2003 წლის 16 ნოემბერს, ფილარმონიაში გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამართულ შეკრებაზე მ. სააკაძეილი როგორი აღმფოთებული გაიძახოდა, გაგონილა ასეთი ზეწოლა, სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელები ხელქვეითებს ემუქრებიან, ან შევარდნაძეს დაუჭირეთ მხარი, ან სამსახურიდან გაგაგდებთო. ძალიან მალე კი ეს ნაცმოძრაობის ხელწერა გახდა – ხალხის სამსახურებიდან მასობრივი გაყრა დაიწყო.

აკადემიაში აგრესიული პრივიტივიზმით მოსულმა ლევან იზორიამ ყველაფრის გაკეთების უფლება მიაკუთვნა თავის თავს. „ჩაშვების“ ინსტიტუტის შემოლებით და აქ „მოლვანე“ აგენტების საშუალებით მართვდა აკადემიას. სხვათა შორის, აგენტებს, პროლეტარიატის ბელადი – ლენინი სასარგებლო იდიოტებს უწოდებდა. იზორიამ მის მიერ გადაბირებული აგენტი – იდიოტები თავის სასარგებლოდ აამუშავა და მათი მეშვეობით რეფორმად წოდებული ყველა ასაკის მუშავთა გაყრა დაიწყო. ისინი მოკვეთეს საზოგადოებას, დავიწყებას მისცეს და წართმეული წლების ანაბარა დატოვეს.

იზორიამ თანამშრომელთა გაყრის პროგრამა მაქსიმუმი რომ შეასრულა, თავისი მაღალი ყურადღება ფორეში, კედელზე ჩამოკიდებულ მემორიალურ დაფას მიაპყრო.

ამ კედელზე ფრიადოსან კურსანტთა საპატიო დაფას რა უნდაო, მყისვე მისი ჩამოხსნის ბრძანება გასცა.

ამ მემორიალურ დაფაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ოფიცერთა და კურსანტთა სურათები იყო გამოფენილი მოკლე ბიოგრაფიული ცნობებითა და მათ მიერ გავლილი საბრძოლო გზის ამსახველი ფაქტებით. ეს მაგალითი იყო ახალგაზრდა პოლიციელთა და მომავალი თაობებისათვის. ეს ბიჭები სამშობლოს ლირსებისათვის იბრძოდნენ, სწორედ ეს ღირსება შელახა ზნედაცემულმა იზორიამ.

ლ. იზორიას მიერ ნაბრძანები მემორიალური დაფა ჩამოხსნეს იმის შიშით, ვაითუ, სამსახურიდან გაგვყაროსო. ამ ბრძანების შემსრულებლები რექტორის თანამზრახველი გახდნენ. თუმცა რაა გასაკვირი? ისინი ხომ იზორიას დანახვაზე ლამის მიწას ახლიდნენ თავს (ასე მონარქებსაც კი არ ესალმებოდნენ).

მაგრამ იმან, რაც შემდგომში მოხდა, გამოააშკარავა ლ. იზორიას ე.წ. რეფორმების ჭეშმარიტი არსი. აკადემიის სისხლის სამართ-

ტის კათედრის უფროსის ყოფილმა მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მალხაზ ლომსაძემ (იგი აკადემიაში მუშაობდა 1998 წლიდან – 2005 წლის 15 ივნისამდე), საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სახელზე გაგზავნილ წერილში (წერილის სარეგისტრაციო ნომერია 15194, 2005 წლის 6 დეკემბერი), ამხილა სასწავლებელში გამეფებული კორუფცია, თანამდებობების ბოროტად გამოყენება.

სახელდობრ, გამოაშკარავებულია რეფორმებით დანიშნული თანამდებობის პირების მიერ 2005 წლის მაისსა და ივნისში მიმდინარე სახელმწიფო გამოცდებზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტები (რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით); ლ. იზორიას მიერ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ არაკომპეტენტური პირის დანიშვნა (რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 320-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს – სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებას – შეიცავს); გამოვლენილია ფინანსური დარღვევები აკადემიაში ჩატარებული რემონტისას; აკადემიაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე სამართალდამცავი ორგანოებიდან ლოთობისა და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისათვის დათხოვილი პირების დანიშვნა; აკადემიაში გაფორმებული ყალბი პირები, ასევე, იზორიასა და სხვა თანამდებობის პირების მიერ კათედრის გამგეების თანამდებობების შეთავსება.

გაზეთი „ქრონიკა“ (2006 წლის 13-19 თებერვალი) წერდა: „იზორიას გადადგომით, ინფორმაციით, იზორიას პერსონით და პოლიციის აკადემიაში არსებული ფინანსური მდგომარეობით შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია დაინტერესდა და სერიოზული ფინანსური დარღვევების გამო, მოკვლევა დაიწყო.“

...აკადემიის ნაცვლად რამდენიმეთვიანი კურსები შეიქმნება და სხვათაშორის, უკვე თითქმის დადასტურებული ინფორმაციით, ადგილსამყოფელსაც შეიცვლის, სავარაუდოდ, იგი დილომში, საპატრულო პოლიციის შენობაში გადაინაცვლებს. არ დაიჯერებთ, მაგრამ გლდანში, პოლიციის აკადემიის საკმაოდ კარგად გარემონტებულ შენობაში კი გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფო გამწესდება. რა მოტივით გადაწყდა ეს საკითხი, არავინ უწყის“.

წერილის ავტორი, უურნალისტი მარი შათიროშვილი სვამს კითხვას: „უნდა გაუქმდეს თუ არა პოლიციის აკადემია?“ და აქვე ამატებს: „უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვარდების ხელისუფლება“ მას მოდერნიზებული ციხისათვის არ გაიმეტებს. მით უმეტეს, ალ-

ბათ,დაუფასებენ (ლ. იზორიას – შენიშვნა ჩემია) იმ ღვაწლს,რომელიც საპატრულო პოლიციის შექმნაში მიუძღვის“.

ლ. იზორია ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში აცხადებს, ვანო მერაბიშვილთან კონცეპტუალური უთანხმოების გამო გადავდექიო.

იმ დროის პრესა (2006 წლის თებერვალი) იტყობინებოდა შსს აკადემიაში არსებულ სერიოზულ ფინანსურ და სხვა დარღვევებზე. იგივეს წერდა მალხაზ ლომსაძე საქართველოს პრეზიდენტს, მაგრამ იზორიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა. ალბათ ხელისუფლებამ მართლაც გაითვალისწინა მისი „უდიდესი“ დამსახურება საპატრულო პოლიციის შექმნაში და არა მარტო – ეს...

იზორია ამბობს, ვანო მერაბიშვილთან კონცეპტუალური უთანხმოების გამო გადავდექიო. ალოგიკურია. რა კავშირი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულს, კონცეფციასთან?! სიტყვა კონცეპტუალური ღრმააზროვანი, იდეების შთამაგონებელი სიტყვაა. იშველიებს რა ამ სიტყვას, ამით იზორიას მყითხველი შეცდომაში შეჰყავს. ლ. იზორია კი არ გადადგა, იგი მალხაზ ლომსაძის წერილის გამო გაათავისუფლეს.

ერთ დროს ხელისუფლების ფაორში მყოფი ლ. იზორია დღეს „ჩამოლაბორანტებულია“. მან თავისი ჩანაფიქრი, აღეზარდა „კეთილშობილი“ პოლიციელები, ვერ განახორციელა. შსს აკადემიის ისტორია, მას რომ უნდა შეექმნა, კიდევ კარგი, მალევე შეწყდა.

ბიუროკრატის, ძალაუფლების მანიით შეპყრობილ იზორიას (სხვათაშორის, მას ლავრენტი ბერიასაც ამსგავსებდნენ. ასეთები დღევანდელ საქართველოში უამრავია) ისევ თანამდებობისაკენ უჭირავს თვალი. ამისათვის იგი ოპოზიციური პარტიის – „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი ხდება, ირაკლი ალასანიას გუნდში ლიდერობს.

პოლიტიკურ პარტიებში რომ ლირსება არ არის, ეს ბოლო წლებში კარგად გამოჩნდა. მათში უმეტესობა უავტორიტეტო ხალხია. ისეთები, რომლებსაც არაფერი უკეთებიათ ქვეყნისათვის. პარტიიებში იმისთვის მიძვრებიან, რომ მომავალში თბილ-თბილ ადგილებზე წამოჭიმვის იმედი აქვთ. ისინი საერთო ნიშნით არიან ერთ-მანეთთან დაკავშირებულნი (არ გეგონოთ ხალხის, ან ქვეყნის ბედი ადარდებდეთ). ასეთი პარტიების წევრების შემხედვარე, ვისი როიალი ვის პიანინშია, ვერ გაიგებთ. სწორედ მათზეა ნათქვამი: „ბაყაყი თუ ყიყინებს, ალბათ, ემლერება“...

წლეულს, 5 ივნისს, შსს აკადემიის 1996 წლის კურსდამთავრებულები სასწავლებლის დამთავრების 15 წლისთავის აღსანიშნავად შეიკრიბნენ აკადემიის ეზოში (ეს ის კურსდამთავრებულები არიან, რომლებიც გაგრასა და სოხუმში იცავდნენ საქართველოს ტერი-

ტორიულ მთლიანობას) და საქართველოს ერთიანობისათვის და-ლუპული კურსანტებისა და ოფიცირების მემორიალთან მიიტანეს ყვავილების გვირგვინი, მემორიალთანვე გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, გაიხსენეს გმირ კურსანტებთან ერთად გავლილი საბ-რძოლო გზა და მემორიალთან წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მეგობართა ხსოვნას.

ჩვენი ყურადღება მიიქცია მემორიალის სახეცვლილებამ, რო-მელიც შსს აკადემიის რექტორს ორი წლის წინ განუხორციელება. მერაბ ბერძენიშვილის დაპროექტებული მემორიალის ნაცვლად, რაღაც გვარსახელებამოტვიფრული პარალელებისედი დაგვხვდა, ვერ გაიგებ რის გამო არიან მოხსენიებულნი. დიდებული მემორია-ლი ბუტაფორიად აქციება.

ნორმალურ სახელმწიფოსა და ნორმალურ საზოგადოებაში ტრადიციები არ იყარება. იაპონელებს ასეთი გამოთქმა აქვთ: ნა-ციონალური სიმდიდრე. ისინი ამაში გულისხმობენ ერის ლირსეულ შვილებს. ისინი არ ივიწყებენ ერის ლირსეულ შვილებს. ჩვენში კი, ადვილად შეიძლება დაივიწყონ ერის ლირსეული შვილები. ამის მა-გალითია აკადემიის ეზოში მდგარი ბუტაფორიად ქცეული ჩვენი გმირების მემორიალი.

აკადემიაში ყოფნისას, მემორიალის შემხედვარეს ისეთი შეგრძ-ნება მქონდა თითქოს ჩვენი გმირების ისტორია, ჩვენი სულიერი ბი-ოგრაფია (მემორიალი) აქ დამთავრდა.

მემორიალის უგულებელყოფით შსს აკადემიის ხელმძღვანე-ლობას (თუ ხელისუფლებას?) სურს, ჩვენი გმირების ხსოვნა და-ვიწყებას მისცეს. ამის საფუძველს იძლევა ასევე ის, რომ 2006 წლის თებერვალში ვანო მერაბიშვილის და ლევან იზორიას უთან-ხმოებას უნდა მოჰყოლოდა შსს აკადემიის გაუქმება და მის შენო-ბაში ან ვლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფო გამწესდებოდა ან მოდერნიზირებული ციხე უნდა გახსნილიყო. ე.ი. ვ. მერაბიშვი-ლისა და ლ. იზორიას პირად ინტერესებს უნდა გადაჰყოლოდა შსს აკადემია და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული კურ-სანტებისა და ოფიცირების მემორიალი. ბრძოლის ველზე დაცემუ-ლი ჩვენი გმირების მემორიალიც ქუთაისის დიდების მემორიალის ბედს გაიზიარებდა.

აკადემიის ერთი ჯურის მოხელემ (ლ.იზორიამ), აკადემიის ფო-იეში ჩამოკიდებული მემორიალური დაფა ჩამოახსნევინა და გაურ-კვეველი ადგილი მიუჩინა ან საერთოდ გაანადგურა, ხოლო მეორე ჯურის მოხელემ ერის სასიქადულო მოქანდაკის მერაბ ბერძენიშ-ვილის დაპროექტებული მემორიალის ნაცვლად რაღაც არაფრისმ-თქმელი პარალელებისედი ააგო. ამის გაკეთებას მხოლოდ პარანო-

იდული იდეებით აღჭურვილი ადამიანები თუ შეძლებდნენ. გმირების ღირსებასა და ხსოვნას კი, აბა ვინ რას დააკლებს?!

აკადემიიდან გამოსულები ავუყევით ქუჩას, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ შს სამინისტროს აკადემიის გმირ კურსანტთა“ სახელს რომ ატარებს. ვერსად ვნახეთ ქუჩას დასახელების მაჩვენებლები. თვით – აკადემიის შენობაზეც.

ბოლო ოცნლეულმა ასე განგვაწყო: ყველა ხელისუფალი ცბიერი და ვერაგია, მისთვის ადამიანის სიცოცხლე არაფრად ღირს.

დავტოვეთ შსს აკადემიის ტერიტორია იმ იმედით, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ჩვენი გმირების ოჯახის წევრებმა და ჩვენ – თანამებრძოლებმა ერთობლივი ძალისხმევით ვაძძულოთ შსს აკადემიის ხელმძღვანელობა მემორიალს დაუბრუნოს უნინდელი სახე და დიდება.



2011წლის 5 ივნისს, შესაკადემიის 1996წლის კურსდამთავრებულებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული კურსან-ტებისა და ოფიცრების მემორიალთან, ყვავილების გვირგვინი მიაქვთ



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული კურ-სანტებისა და ოფიცრების პარალელური პედედი



1995 წლის 24 მაისს აიგო 1990-1993 წლების გმირ კურსანტთა და ოფიცერთა ხსოვნის მემორიალი



იმ ქუჩას, სადაც საქართველოს შსს აკადემია მდებარეობს მხოლოდ ეს ტრაფარეტი მიანიშნებს, რომ ქუჩას „გმირ კურსანტთა“ სახელი ჰქონია. ამ ქუჩაზე მდებარე არც ერთ შენობაზე არ არის ქუჩის დასახელების მაჩვენებელი

შინაარსი

საქართველოს შსს უმაღლესი სკოლის კალენდარი 1925-1989 წწ.	7
საბჭოთა სახელმწიფო სისტემის დემონტაჟი დასრულებულია –	
1990 წელი	25
მახსენდება ცუდიც და კარგიც... – 1991 წელი	49
ბიჭების ენერგია აქ დაიხარჯა – 1992 წელი	87
არავინაა მართალი და არავინ – დამნაშავე, ასეთი დრო იდგა –	
1993 წელი	181
დასკვნის ნაცვლად	203
საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის	
დაღუპული კურსანტებისა და ოფიცრების მემორიალი	212
„ვარდების რევოლუცია“ და შსს აკადემია	219

შოთა გიორგი

პოლოვცი ვოქვათ სათბოლი

რედაქტორი:
აკადემიური გურგენიძე
კორექტორი:
ოთარე ხატიაშვილი